


ქართული  
ვიკისპროექტის  
ფართოვების  
კონკრეტული

I



# ქართუნი ეპისტოლური წყაროები

XV ს. - 1762 წ.

შეადგინა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და  
შენიშვნები დაურთო

მამისა ბერძნიშვილმა

## მთავარი სარედაქციო კოლეგია

შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე, რ. კიკნაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი, გ. ნადარეიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ვ. ძიძიგური, ე. ხოშტარია, გ. ჭიბლაძე.

სერიისა და ტომის რედაქტორი რ. კიკნაძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნ. დოქტორი გ. აკოფაშვილი  
ისტორიის მეცნ. კანდიდატი დ. მებრელაძე

ტომში თავმოყრილია თბილისის სიძველეთა საცავებში დაცული ეპისტოლური მასალის დედნები XV საუკუნიდან 1762 წლამდე (თეიმურაზ-ერეკლეს ერთობლივი მეფობის დასასრულამდე). სხვადასხვა პირთა და სხვადასხვა ხანის მიწერ-მოწერა ძვირფას საისტორიო წყაროს წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ისტორიის ცალკეული მხარეების და განსაკუთრებით, საზოგადოებრივი აზრისა და კულტურული დონის შესასწავლად. ამავე დროს ეს მასალა წარმოაჩენს წერილის შედგენის ტრადიციულ წესს და მასში თანდათანობით შეტანილ ცვლილებებს.

## საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის გამოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან. სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ, თბ., 1976.

2. აბრაამ ერევანცი. ომების ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ, თბ., 1976.

3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. წიგნი I, ნაკვ. IV. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1977.

4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა, თბ., 1978

5. გ. აბრამიშვილი. სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში. თბ., 1977.

6. ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ., 1978.

7. ტბეთის სულთა მათიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ., 1977.

8. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. (XIV—XV სს.). ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ა. აბდალაძემ, თბ., 1978.

9. „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ, თბ., 1978.

10. ქათიბ ჩელეების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ, თბ., 1978.



11. Яков Цуртавели, Мученичество Шушаник. Перевод В. Д. Дондуа. Введение и примечания З. Н. Алексидзе. Тбилиси, 1978.

12. Памятник эриставов. Перевод, исследование и примечания С. С. Какабадзе. Тбилиси, 1979.

13. Сумбат Давитис-дзе. История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе. Тбилиси, 1979.

14. მ უ ს ტ ა ფ ა ნ ა ი მ ა. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ., 1979.

15. ზ ა ქ ა რ ი ა ა გ უ ლ ე ც ი. დღიური, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ თბ., 1979.

16. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ. გამოკლევა დაურთო მ. სვანიძემ, თბ., 1979.

17. ა რ ს ე ნ ი ს ა ფ ა რ ე ლ ი. განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ. თბ., 1980.

18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV. ძველი ბერძულიდან თარგმნა, გამოკლევა და კომენტარები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1980.

19. ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1980.

20. ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, II. დასავლეთ საქართველოს წარწერები (IX—XIII). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბ., 1980.

21. ცხოვრება საქართველოსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980.

22. Законы Вахтанга VI. Перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе. Тбилиси, 1980.

23. კ. კოხისა და თ. სპენსერის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა. თბ., 1981.

24. ისქანდერ მუნში. აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება. ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულ ტექსტს გამოკლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა. თბ., 1981.

25. პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. ცაგაჩეიშვილმა, თბ., 1981.
26. XV ს. იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალისვილმა. თბ., 1981.
27. გ. ო თ ხ მ ე ზ უ რ ი. XII—XIII სს. მიჯნის ქართული ლაპიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1981.
28. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ. V. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1983.
29. Летопись Картли. Перекод, введение и примечания Г. В. Цулая. Тбилиси, 1982.
30. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I. IX—XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1984.
31. გეორგიევსკის ტრაქტატი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ. თბ., 1983.
32. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებლებით მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ., 1982.
33. თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მიქიაშვილმა. თბ., 1983.
34. Источниковедческие разыскания, ' 1979. Тб. Тбилиси, 1984.
35. ზ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე. საბერეების ფრესკული წარწერები. თბ., 1985.
36. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი. I. ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა, არჩილის წამება. შემდგენლები: მ. კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაყოშია. თბ., 1986.
37. მ ო ვ ს ე ს კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ა ც ი. ალვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ., 1985.
38. დ ე გ რ ა ი დ ე ფ უ ა საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა. თბ., 1985.

39. Жизнь царицы царик Тамар. Перевод и введение В. Д. Дондуа. Исследования и примечания М. М. Бердзенишвили. Тбилиси, 1985.

40. Источниковедческие разыскания, Тбилиси, 1985.

41. იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა. თბ., 1986.

42. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, II, ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. შემდგენლები: ა. სარჯველაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაჯომია. თბ., 1986.

43. Джуаншер Джуаншеряни. Жизнь Вахтанга Горгасала. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая. Тбилиси, 1986.

44. Уложение Георгия V-го Блистательного. Подготовка грузинского текста, русский перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе. Тбилиси, 1988.

45. თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალისვილიმა. თბ., 1987.

46. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ. VI. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1987.

47. თოვმა მეწოფეცი. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლობისა. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციამ. თბ., 1987.

48. ჟამთააღმწერელი. ასწლოვანი მატთანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ. თბ., 1987.

49. XIV—XV სს. არაბი ისტორიკოსების ცნობები საქართველოს შესახებ (ალ-უმარი, ალ-მუჰიბბი, ალ-კალკაშანდი). არაბულიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო დ. გოჩოლეიშვილმა. თბ., 1988.

50. Источниковедческие разыскания, 1985. Тбилиси, 1988.

51. ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის. თბ., 1988.

## წინასიტყვაობა

წინამდებარე კრებულით საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია იწყებს ქართული ეპისტოლური მასალის გამოქვეყნებას.

ეპისტოლურ მემკვიდრეობას წერილობით ისტორიულ წყაროთა შორის თავისებური ადგილი უჭირავს. ეპისტოლე ანუ წერილი ადამიანთა ურთიერთობისა და სამეტყველო ინფორმაციის მანძილზე გადაცემის წერილობითი ფორმაა. თვით სიტყვა ეპისტოლე მიღებულია ბერძნული ზმნისაგან ἐπιστολή, რაც გაგზავნას, გადაცემას, შეტყობინებას ნიშნავს.

მიწერ-მოწერა ჩნდება თითქმის დამწერლობის შექმნისთანავე. ჩვენამდე მოაღწიეს წერილის უძველესმა ნიმუშებმა ძველი ეგვიპტიდან და შუამდინარეთიდან, ხოლო ბერძნულ-რომაულ სამყაროში მიმოწერამ მოიცვა ცხოვრების მრავალი მხარე. წერილი უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე ადამიანთა ურთიერთობების ერთ-ერთი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია.

წერილის გაჩენასთან ერთად ყალიბდება წერილის შედგენის წესიც; მიმართვის ფორმები, წერილის ცალკეული ნაწილები, მათი თანამიმდევრობა.

ეპისტოლური მასალა წარმოაჩენს წერილის დამწერის თანადროული საზოგადოების პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ მდგომარეობას, იდეური ბრძოლის, კულტურის, ყოფის სურათს. როგორც წესი, წერილი შედგენილია მასში აღწერილ მოვლენათა კვალდაკვალ. ამიტომ მისგან მიღებული ინფორმაცია ყოველის მომცველი და დეტალურია. წერილში თვალნათლივ იხატება ავტორის პიროვნება, მისი ინტერესები, შეხედულებები. მაგრამ ამავე დროს წერილის დამწერი ხშირად განგებ, წინასწარდასახული მიზნით ამახინჯებს სინამდვილეს — ეს გარემოება აუცილებელს ხდის წერილის შინაარსის კრიტიკულ ანალიზს.

ეპისტოლური მასალა, როგორც საისტორიო წყარო, დოკუმენტურ მასალას მიემსგავსება. დოკუმენტი ანუ საბუთი — ესაა ნართული წყაროსაგან განსხვავებული წერილობითი ისტორიული წყარო

რო, შედგენილი მასში გადმოცემული ვითარების თანამედროვის მიერ ტრადიციულად ჩამოყალიბებული სქემისა და ტრაფარეტად ქცეული ფორმულების მიხედვით. ეპისტოლეც, ასევე, მასში აღწერილ მოვლენათა თანამედროვისაგან არის დაწერილი და გარკვეული ტრადიციული სქემით აგებული.

ჩვენში მიწერ-მოწერის არსებობას ქართული საისტორიო წყაროები ადასტურებენ ძვ. წ. ა. უკვე პირველი საუკუნეებისათვის (მაგრამ, სამწუხაროდ, არ ჩანს რა ენაზე წარმოებდა მიმოწერა) — „მოქცევაჲ ქართლისა“<sup>1</sup>, ლონტიმროველი, ჭუანშერი საკმარისად ხშირად ასახელებენ წერილის მიწერის ფაქტებს<sup>2</sup>. მიწერ-მოწერას ახსენებენ „მატიანე ქართლისა“, დავითის და თამარის ისტორიკოსებიც. ფაქტის დასახელების გარდა ყველა ამ ისტორიკოსს მოჰყავს სრული ტექსტი წერილისა ან მისი ექსცერპტები. ამასთან იძლევიან წერილის სხვადასხვა სახეობათა სახელწოდებებს. „ქართლის ცხოვრებაში“ დადასტურებულია წერილის შემდეგი სახეობანი: „გლოვის წიგნი“, „წიგნი ზვისა“ (ქცა, I, 183), „წიგნი წვევისა“ (ქცა, I, 344), „წიგნი სიყვარულისა“ (ქცა, I, 183), „წიგნი ლოცვისა და კურთხევისა“, „წიგნი ქებისა და ნუგეშინისცემისა“ (ქცა, I, 116). ხოლო ჭუანშერის ტექსტით ვიგებთ, რომ მეფისაგან მეფისადმი მიწერილი წერილის შესაჯალ ნაწილს „პატრუცავი“ რქმევი (ქცა, I, 94).

ეპისტოლე და მისი სხვადასხვა სახეობა იხსენიება აგიოგრაფიულ ძეგლებსა და მხატვრულ ლიტერატურაში. „ვეფხისტყაოსანში“ მაგ., მრავალჯერა დასახელებული „წიგნი“ წერილის მნიშვნელობით. მოტანილია მთლიანი ტექსტი წიგნისა და მოცემულია წიგნის ზოგი სახეობის სახელწოდება — „მიჯნურობისა უსტარი“ და „საწვეველი წიგნი“.

ხშირია წიგნის — ეპისტოლეს ხსენება „ვისრამიანშიც“.

თუმცა საისტორიო წყაროებში ხშირია ეპისტოლეს — როგორც ადამიანთა ურთიერთობის წერილობითი ფორმის — ხსენება, მაგრამ უშუალოდ ეპისტოლეს დამწერის ხელიდან გამოსულმა წერილმა — დედანმა ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ XV ს-დან. სამაგიეროთ მოგვეპოვება გარკვეული თემატიკის წერილთა პირები — კრებულის სახით ან ცალკეულ ხელნაწერზე დართული. ასეთია მაგ., 1298 წ. გადაწერილი ე. წ. „ეპისტოლეთა წიგნი“, რომელშიაც შესულია X—XIII სს. ქართველ და სომეხ საეკლესიო და სახელმწიფო მესვეურთა მიწერ-

1 მოქცევაჲ ქართლისა, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964. გვ. 85, 86.

2 ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. ტ. I, თბ., 1955, გვ. 82, 98, 124, 142, 158, 176, 183.

მოწერა საეკლესიო საკითხებზე. ასეთია მაგ., გიორგი მცირის წერილი გიორგი შეყენებულისადმი გაგზავნილი მთაწმიდიდან (ათონი) წმ. სვიმეონის მონასტერში, შავ მთაზე (ანტიოქიის მახლობლად), ეს წერილი წინ უძღვის გიორგი მცირის ნაწარმოებს — გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებას. (ქრ. II, 76—78), შესხმა-წერილი მონაზონი არსენისა დავით აღმაშენებლისადმი, რომელიც თან ერთვის რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლის წერას და სხვ.

XVIII ს-დან ჩვენ მოგვეპოვება წერილთა ნიმუშების სპეციალურად შედგენილი კრებულები — სამდივანწიგნობრო წიგნები. ასეთი წიგნების შედგენა ორ მიზანს ემსახურება: ერთი მხრივ ესაა თავმოყრა კრებულის შემდგენლისათვის ხელმისაწვდომი წერილებისა; მეორე მხრივ — მეითხველს საშუალება ეძლევა გაიცნოს და სახელმძღვანელოდ გამოიყენოს სხვადასხვა სახის წერილები.

ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ამბროსი ნეკრესელის მიერ შედგენილი სამდივნო წიგნები (ხ. ი. H — 1334), რომელსაც თვით შემდგენელი „ბარათების წიგნს“ უწოდებს.

ამბროსი ნეკრესელი (1728—1815), გვარად მიქაძე, ცნობილი საეკლესიო მოღვაწე, მქადაგებელი და მწიგნობარია<sup>3</sup>. მის მიერ შედგენილი სამოქალაქო, საეკლესიო და კერძო მიმოწერის ნიმუშების კრებული 439 გვერდისაგან შედგება და შეიცავს სხვადასხვა დროს გადაწერილი სხვადასხვა სახის წერილის პირებს. წერილები ეკუთვნის ისტორიულ პირებს: ვახტანგ VI-ს, ანტონ I-ს, ერეკლე II-ს, ანნა დედოფალს და სხვებს. ამ პირების უდიდესი ნაწილი თვით ამბროსის ხელითაა გადაწერილი. კრებულში ჩართულია რამდენიმე დედანიც წერილისა<sup>4</sup>. წერილების გარდა ამ კრებულში შესულია აგრეთვე საბუთების ნიმუშებიც.

„ბარათების წიგნში“ ამბროსი ნეკრესელი წერილების პირებს ალაგებს მისებური კლასიფიკაციით. კლასიფიკაციას ახდენს ძირითადად ადრესატების მიხედვით. ამავე დროს ის ყოფს წერილებს შინაარსისა და დანიშნულების მიხედვითაც: ასახელებს სამძიმრის, შესხმის, ძაგების, კურთხევის, წყევის, მილოცვის წიგნებს.

არსებობს მიმოწერის ცალკეული ნიმუშების კიდევ სხვა კრებულები. ანტონ I-ის ზოგი წერილის პირი შესულია სხვადასხვა ხელნაწერ კრებულებში (H—247; S—1512). არსებობს ვახტანგ ბატონიშვილის ხელით დაწერილი 14 ეპისტოლეს კრებული (S—1113), ყა-

<sup>3</sup> ამბროსი ნეკრესელის შესახებ იხ. მაქსიმე ბერძენიშვილი, მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, I, თბ., 1980, გვ. 125—128 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1941, გვ. 357.

<sup>4</sup> ამბროსი ნეკრესელის სამდივნო წიგნში ჩართულია 10 წერილი-დედანი XVIII ს-ის მეორე ნახევრისა.

1750 წლის 27 მაისი

საქართველოს იმერეთის მეფის  
მამია ალექსანდრეს ძეს  
გაგაბაძის ოჯახის  
გაგაბაძის ოჯახის  
გაგაბაძის ოჯახის

დ. სიმონი უნდა  
მე. მე. მე.  
მე. მე. მე.  
მე. მე. მე.  
მე. მე. მე.  
მე. მე. მე.  
მე. მე. მე.  
მე. მე. მე.  
მე. მე. მე.  
მე. მე. მე.  
მე. მე. მე.  
მე. მე. მე.  
მე. მე. მე.  
მე. მე. მე.  
მე. მე. მე.

ენის წერილების ნიმუშთა კრებული (Qd—3783), სამგლოვიარო წერილები (S—5352), სწავლა წიგნის მიწერისა (S—5353) და სხვა მრავალი.

XV—XVII სს-დან ეპისტოლური მასალა დედნის სახით თითო-ოროლაა შემორჩენილი. XVIII ს-დან კი მათი რიცხვი ერთბაშად მატულობს. ჩვენს სიძველეთა საცავებში თავმოყრილია ამ ხანის წერილების ცალკეული ეგზემპლარები, მათი შავები, წერილთა კომპლექტები. ზოგი, გარდა იმისა რომ აგროვებდა მასთან მთელი ცხოვრების მანძილზე მიწერილ წერილებს, თავის დაწერილი წერილების შავებსაც ინახავდა. ზოგი კიდევ სპეციალურ დავთარში იწერდა მისგან გაგზავნილ და მასთან მიწერილი წერილების პირებს (ასეთი იყო მაგ., იონა ხელაშვილი). ყოველივე ამის წყალობით დღეს ჩვენს ხელთა XVIII—XIX სს. ზოგი მოღვაწის ეპისტოლური არქივები — საქმიანი და პირადი წერილების საკმაოდ დიდი კომპლექტები (თუმანიშვილის, ყორღანაშვილების, ხელაშვილების, გლახა ჭილაძის, ზურაბ წერეთლის, ოთარ ამილახერისა და სხვათა მიმოწერა).

წერილს წერდა საზოგადოების ყოველი ფენის წარმომადგენელი: მეფე და დედოფალი, სამეფო სახლის წევრები, ცალკეულ ფეოდალთა საგვარეულოების წარმომადგენლები, ვაჭრები და მოქალაქენი, საკლესიო პირნი და მოხელეები; წერილები იგზავნებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და განსაკუთრებით ქვეყნის გარეთ — ირანსა და ოსმალეთში, რუსეთსა და ევროპაში, ქალაქებში: მოსკოვსა და ასტრახანში, მოზდოკში, ყიზლარში, ბაქოში, განჯასა და ერევანში, სტამბულში და სხვა მრავალ ადგილას.

წერილს ჩვენში, ისევე როგორც ყველგან, თავისი სტილი და ფორმა ჰქონდა, მისი შინაარსიც ხშირად შაბლონურად იყო მოთხრობილი. საზოგადოების ყოველი ფენის წარმომადგენლის წერილს თავისი ლექსიკა და სტილი ჰქონდა. მსხვილი ფეოდალური სახლების წევრები და მაღალი სამღვდლოება წერილს წერდნენ ამაღლებული და ღვლარჭნილი სტილით. ვაჭართა და მოქალაქეთა წერილების სტილი მშრალი და საქმიანი იყო. წერილის სტილს საზღვრავდა მისი დანიშნულებაც. მაგ., სამძიმრისა და მილოცვის წერილები იწერებოდა განსაკუთრებით მაღალფარდოვნად.

წერილი, ეპისტოლე თავისი დანიშნულებითა და შინაარსით სხვადასხვა ტიპისა იყო. პირველი, ვინც ჩვენში მოახდინა წერილების, ასე ვთქვათ, კლასიფიკაცია, ეს იყო ს.-ს. ორბელიანი. მის ლესიკონში სიტყვა „წერილის“ ქვეშ ვკითხულობთ: „წიგნი ეწოდების ერთსა წერილთაგანსა მრთელსა, ვისიცა იყოს, ხოლო მინაწერთა მოკითხვათა და სასაქმოთა — უ ს ტ ა რ ი; უდარესისაგან უაღრესის მინაწერსა — ი ე რ ლ ა ყ ი; მცფეთაგან მცფესთან მინაწერთა პ ა ტ რ უ ც ა გ ი; მცი-



რესა ნაწერსა — ავთრათი, ვიეთნი ბარათსა უხმოზენ“. მაგრამ ეს კლასიფიკაცია არ არის სრული. ამასთან არ არის სწორი პატრუცაგის აქ მოტანილი განმარტება. საბა ორბელიანი და აქედან დ. ჩუბინაშვილი პატრუცაგს განმარტავენ როგორც „მეფეთაგან მეფესთან მინაწერ წერილს“. მაგრამ ჯუანშერის ტექსტში, სადაც ეს ტერმინია ნახმარი, ვკითხულობთ: „მისწერა მას თანა წიგნი, რომელსა პატრუცაგსა წერილ იყო ესრეთ“ (ქცა, I, 158). კონტექსტიდან გარკვევით ჩანს, პატრუცაგი მთლიანად წერილის ტიპის სახელწოდება კი არ არის, არამედ მხოლოდ მისი შესავალი ნაწილისა, რომელშიაც წერილის დამწერი და ადრესატი იხსენებიან შესაფერისი ტიტულით (ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1974, გვ. 339).

საბას შემდეგ წერილების კლასიფიკაცია მოგვცა ამბროსი ნეკრესელმა. ზემოხსენებულ „ბარათების წიგნში“ მან მის მიერ გადაწერილი წერილები შემდეგ ჯგუფებად დაყო: 1. მამაკაცთან მიწერილი წერილები (მეგობართან, მამასთან, ბიძასთან, მოყვასთან. ძმასთან შეილთან); 2. ქალთან მიწერილი წერილები (დედოფალთან, ასულთან, დარბაისლის ცოლთან, დედასთან, დასთან, მეუღლესთან, სხვასთან კი შეარცხვინა); 3. საეკლესიო პირებთან მიწერილი წერილები (პატრიარქთან, ეპისკოპოსთან, მღვდელთან, დიაკონთან); 4. სამეფო საგვარეულოსთან მიწერილი წერილები (მეფესთან, მეფის ძესთან, იმპერატორთან, ყეენთან, ხვანთქართან); 5. ერთ ჯგუფში ათავსებს სამძიმრის, შესხმის, ძაგების, კურთხევის, წყევის, მილოცვის წიგნებს.

როგორც ვხედავთ, ამბროსი წერილებს აჯგუფებს ადრესატების მიხედვით და დანიშნულებისა და შინაარსის მიხედვითაც.

თანამედროვე წყაროთმცოდნეობა წერილებს დანიშნულებისა და შინაარსის მიხედვით ყოფს.

XVII—XVIII სს. წერილები თავისი დანიშნულებისა და შინაარსით ორ ძირითად ჯგუფად იყოფა, თითოეულ მათგანში კი შედის წერილის რამდენიმე სახეობა.

წერილების პირველი ჯგუფია: სახელმწიფო და საქმიანი წერილები. მეორე ჯგუფია — კერძო ანუ პირადი წერილები.

წერილების პირველი ჯგუფი იყოფა ორ ძირითად სახეობად: ა) სახელმწიფო წერილები — მეფე-მთავართა მიმოწერა სახელმწიფოებრივ საქმეებზე და ბ) საქმიანი წერილები ცალკეული პირებისა — მეფის, მეფის ოჯახის წევრთა და მსხვილ მოხელეთაგან მიწერილი წერილები, რომლებიც სრულიად გარკვევით სამსახურებრივი ხასიათისა და მხოლოდ საქმიანი ურთიერთობის გამომხატველი. ფაქტიურად ესა ეპისტოლეს ფორმით შედგენილი მიწერილობა.

წერილთა მეორე ჯგუფში — კერძო ანუ პირად წერილებში — ჩვენ ვათავსებთ მეფის, სამეფო ოჯახის წევრთა თუ ცალკეულ კერ-

ძო პირთა ისეთ წერილებს, რომელთაც კერძო, საოჯახო დანიშნულება აქვთ. ამ ჯგუფში შევა, საბას სიტყვით რომ ვთქვათ, „მოკითხვათა და სასაქმოთა მინაწერი“, სამძიმრის წერილები, წვევის წიგნი, მილოცვის წერილები და სხვ.

ორივე ამ ჯგუფის წერილები გარკვეული ფორმით იწერებოდა. მსგავსი იყო მათი როგორც გარეგანი გაფორმება, ისე შემადგენელი ნაწილების თანამიმდევრობა.

ეპისტოლეს შესწავლა მისი აღნაგობის დახასიათებით უნდა დაიწყოს.

წერილის საერთო სქემა შუა საუკუნეების დასავლეთ ევროპაში ხუთი ძირითადი ნაწილისაგან შესდგებოდა: 1. *Salutatio*—მისალმება, 2. *exordium*—მიმართვა-შესავალი, 3. *narratio*—თხრობა 4. *petitio*—თხოვნა. 5. *conclusio*—დასკვნა. ამ ხუთ ნაწილს მოჰყვებოდა ხელრთვა და თარიღი.

ჩვენში დასტურდება ასეთი სქემა: 1. მიმართვა; 2. სახელდება (ადრესატისა და ავტორისა); 3. თხრობა; 4. ხელრთვა (ან ბეჭედი); 5. თარიღი; 6. თარიღს. შემდეგ იწერებოდა მოკითხვები და მადლობები სხვათაგან შემოთვლილ მოკითხვებზე. ჩვეულებრივ. ეს ნაწილი იწერებოდა აშიებზე.

წერილის პირველი ორი ნაწილი — მიმართვა და სახელდება — ყოველთვის არ არის მკვეთრად გამოჩენილი. ზოგჯერ სახელდება წინ უსწრებს მიმართვას. ასეთ შემთხვევაში ჯერ ავტორია დასახელებული, შემდეგ ადრესატი.

საერთოდ, ქართულ მიმოწერაში გავრცელებული იყო ადრესატის სახელის ცალკე დაწერის წესი ფურცლის თავში. ფურცლის შუაგულში მსხვილი და გარკვეული ასოებით იწერებოდა მხოლოდ სახელი ადრესატისა („ვახტანგს“, „ბეგუმ“, „ბესარიონ“, „გივს“, „მარიამ“ და სხვ.), შემდეგ 5—6 სტრიქონის გამოტოვებით იწყებოდა საკუთრივ წერილის პირველი ნაწილი — მიმართვა.

მიმართვა ადრესატის შესხმა-შექებას და აღმატებული ეპითეტებით შემკობასა და მასთან შეყრის ნატვრას შეიცავს. მიმართვა შეიძლება იყოს გავრცობილი და მარტივი. გავრცობილ ფორმას ხმარობს ავტორი სოციალურად თავისზე მაღლა მდგომი ადრესატის მიმართ. დაბლა მდგომი ადრესატის მიმართ კი მარტივი მიმართვა იხმარება.

მეფის სახელზე დაწერილი წერილის მიმართვა განსაკუთრებული მონღომებით იწერება. იმამყულიხანის წერილები ვახტანგ VI-სადმი ამის მეტყველ დადასტურებას წარმოადგენს. მიმართვას, მაგალითად. მისი ერთი წერილის ტექსტის მესამედი უკავია (იხ. აქვე, წერილი № 41).

გავრცობილ მიმართვას „გრძლად კადრება“ რქმევია სახელად. ფორმა „გრძლად კადრება“ დადასტურებულია XV ს-ში (იხ. აქვე, წერილი № 11 და XVII ს-შიაც წერილი № 37). „გრძლად კადრების“ პარალელურად იხმარება აგრეთვე „გრძლად მოხსენება“ (№ 37) გავრცობილი მიმართვის — გრძლად კადრების საერთო სახელად ჩანს ტერმინი „რთული“, ხოლო წერილს, რომელსაც გავრცობილი მიმართვა ახლავს, „რთულითა მოხსენება“ ეწოდება (იხ წერილი № 5)

ეპისტოლეებში დაცულია „რთული მოხსენების“ საწინააღმდეგო ცნებაც — „სუბუქი“. ამ ტერმინით აღინიშნებოდა ისეთი წერილი, რომელსაც მარტივი მიმართვა ახლდა.

მაგ., იმამყულიხანი ვახტანგ VI-სადმი საჩქაროდ დაწერილ ერთ წერილში ადრესატს მარტივად ახსენებს: „მეფეს ბატონს ეს მოვასხენოთ“ და შემდეგ პირდაპირ საქმეზე გადადის. რის გამოც ის წერილის ბოლოში საგანგებოდ ბოდიშსაც იხდის: „წიგნის სუბუქობაზედ უკაცრავად ნუ ვიქნებით — საჩქაროთ დაეაწერინეთ“ (იხ. აქვე, № 28).

მიმართვას — გავრცობილი იქნება ის, თუ მარტივი, მიჰყვება სახელდება. სახელდება ავტორის (ადრესანტის) და ადრესატის სახელებს შეიცავს. როგორც წესი, ამათგან პირველად იხსენიება ის, ვინც უფრო მაღლა დგას სოციალურად თუ ასაკობრივად. მაგ., ნაზარალიხანი თავის ქალს ბეგუმს ასე მიმართავს: „შენი ჰირი შეეყაროს მამაშენს, შვილო ბატონო ბეგუმ“ (აქვე, № 8), შიომ ზედგენიძე კი თავისი ძმის-წულის ოთისადმი გაგზავნილ წერილს ასე იწყებს: „ბიძის თქვენის შიომის კეთილად სახსენებელო და სანახავად სანატრელო ჩემო ძმის-წულო“ (აქვე, № 94); ან კიდევ „ამილახორის გივის დიდათ იმედათ მისაჩენელო ასანავ (№ 93). „მოგიწერ მე, მეფე შაჰნავაზ, ძმებო ბატონო საბავ და მდივანბეგო ბატონო ერასტი“ (№ 15).

მიმართვა-სახელდების გამართვის კიდევ ერთი წესი შეინიშნება. ავტორი შესაფერისი ეპითეტებით შეამკობს ადრესატს, მოიხსენიებს მისი ნახვის წადილს და როცა უშუალოდ მისი სახელის ხსენებაზე მიდგება საქმე, ავტორი ტექსტში თავისუფალ ადგილს ტოვებს სახელის ჩასაწერად; ზოგჯერ სახელის ჩასაწერ ადგილას ტირეებს, ან რამე სხვა ნიშნებს დასვამენ და შემდეგ აგრძელებენ ტექსტს. შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს ასე ხდება მაშინ, როდესაც წერილს მდივანი ადგენს, ადრესატის სახელის ჩაწერა მისი ხელით უნდა მოხდეს, ვისი სახელითაც იწერება წერილი. მაგრამ ეს ყოველთვის არ დასტურდება.

მიმართვა-სახელდების შემდეგ იწყება წერილის ძირითადი ნაწილი — თხრობა. თხრობის წინ ავტორი ღვაძს სიტყვას „მერმე“; ან ინტერვალს გააკეთებს ნაწერში, ზოგჯერ კი (თუმცა იშვიათად) თხრობა ქანწილის ნიშნით იწყება.

კერძო წერილების მიმართვა-სახელდების გამართვაში ერთგვარი განსხვავებაა. კერძო ხასიათის წერილში, თუ მისი ავტორი სოციალურად მაღლა დგას ადრესატზე. მიმართვა მესამე პირის სახელზე დგება — მესამე პირმა უნდა გადასცეს მისალმება — მიმართვა ადრესატს. წერილის ძირითად ნაწილში — თხრობაში — ავტორი უშუალოდ მიმართავს ადრესატს.

მაგ., გიორგი XI-ის შაჰნავაზის სამძიმრის წერილი ერასტი ორბელიანისადმი ასეთი მიმართვით იწყება: „თქვენს ამგვარად მარცხისათვის დიდათ მომძიმარი მეფე შაჰნავაზ ვიკადრებ, მესტუმრეო! ჩვენ მაგიერად ჩვენსა დიდსა იმედსა და დიდად იმედად მისაჩენელ მისახელავსა... ბატონს ერასტის მრავალი მაგათის პატიოსნის თავის მოკითხვა მოგვიხსენებია. მერმე: ვიცით, რომე ჩემს ვახუშტიზედ გულმტკივნეულად იქნებით“ (იხ. აქვე № 16). ამ წერილში მიმართვა მთლიანად მესტუმრის სახელზეა დაწერილი, თავად თხრობა კი — უშუალოდ ერასტის მიმართაა.

ასევეა თეიმურაზ II-ის წერილშიც: „... ჩვენს დიდს იმედს... ყაფლანს მრავალი მოკითხვა უნაბეთ. მერმე: მამა ნუ წამიწყდება... ჩვენ გან შენ სიკეთის მეტი ფიქრი ნურა გაქვს რა“ (№ 61).

არსებობდა გარკვეული წესი ეპისტოლეს ტექსტის განლაგებისა საწერ ქაღალდზე, როგორც წესი, საწერ ქაღალდს არე უკეთდებოდა მარცხენა მხარეს. ავტორი ტექსტს იწყებდა ფურცლის კიდიდან მოშორებით, თუ ვერ დაეტეოდა r-ზე მთლიანად, მაშინ ბოლო სიტყვებს recto-ზევე, მის თავში, ან ბოლოში არეზე გამართავდა ირიბი სტრიქონებით. თუ ესეც არ ეყოფოდა, მაშინ verso-ზე გადავიდოდა (საერთოდ უფრო ხშირად ჯერ verso-ზე მოათავებდნენ წერას და შემდეგ გადადიოდნენ r-ს აშეიბზე) პირშექცევით. Verso — საერთოდ ბოლომდე არ ივსებოდა — ფურცლის ქვედა ნაწილი 3—5 სმ-ზე ნაწერისაგან თავისუფალი უნდა ყოფილიყო, რადგან წერილი ისე უნდა დაკეცილიყო, რომ ფურცლის სწორედ ეს ნაწილი მოქცეოდა მას ზევიდან. ამგვარად დაკეცილ ფურცელს შუაში ლუქის ბეჭდით ბეჭდავდნენ, ბეჭდის აქეთ-იქით კი ადრესატის ვინაობას წერდნენ.

Verso-ზე წერის დამთავრების შემდეგ ავტორი ისევ recto-ს განის აშიას უბრუნდებდა, სადაც ის თავის ნაწერს გააწყობს კუთხეებში ირიბად, ხოლო შუა ნაწილში — სიგრიძე.

წერილის ასე მჭიდროდ წერისას ჩვეულებრივ ხელრთვა, თარიღი და ბეჭედი recto-ს განის აშიაზე მოდის.

შესაძლებელი იყო წერილზე ხელრთვის ნაცვლად ბეჭდის დასმა. ჩვეულებრივ, ხელრთვაც და ბეჭედიც წერილის ძირითადი ტექსტის ბოლოში თავსდებოდა. მაგრამ ზოგ წერილში, განსაკუთრებით იმამყულიხანის წერილებში, შეინიშნება შემდეგი — ბეჭდს ახადმენ უე-

კველად წერილის verso-ზე, იმ ადგილას, სადაც recto-ზე ტექსტო მთავრდება. ამიტომ ასეთ წერილებში ბეჭედი ხან ფურცლის ბოლო-შია, ხან შუაგულში, ხან ნაპირას.

წერილი იგზავნებოდა ორგვარად: ან მრგვალად დახვეული და ან სხვადასხვა ფორმის ოთხკუთხედად დაკეცილი. ჩვენამდე დედნის სახით მოღწეულ ეპისტოლეებს, თუმცა ისინი სიძველეთა საცავებში საგანგებოდ გაშლილ-გასწორებული არიან შენახული, მაინც ეტყობათ თავდაპირველი გადანაკეცის ზოლები. ამ ზოლების საშუალებით შესაძლებელია იმის წარმოჩენა, თუ როგორ იკეცებოდა ძველად წერილი. ბარათს შუაზე კეცავდნენ სიგრძეზე, შემდეგ სიგანეზე, და მიღებულ სწორკუთხედს ახლა განივად კეცავდნენ ვიწრო ზოლებად. ზემოთა მხარეს verso-ს დაუწერელი ნაწილი უნდა მოხვედრილიყო, რომელსაც ლუქით ბეჭდავდნენ და მისამართს აწერდნენ.

ოთხკუთხა კონვერტად დაკეცვის უძველესი ნიმუშია ანტონის წერილი ვაჩიძორის მოძღვარ აბრამისადმი (XV ს. იხ. აქვე, № 1). თითქმის კვადრატის ფორმის ფურცელი შუაზეა გადაკეცილი; მისი recto მთლიანად შევსებულია, verso კი დაწერილია გადანაკეცის მხოლოდ მარცხენა და ქვედა მხარე ფურცლისა. მარჯვენა მხარე დაუწერელია. გაკეცილი ფურცელი (ისე, რომ recto შიგნითაა მოქცეული) ახლა სამად გადაუკეცავთ სიგანეზე და ამგვარად მიუღიათ გრძელფერდა ოთხკუთხედის ფორმის კონვერტი, რომელშიაც შიგნით ექცევა დაწერილი მხარე, გარედან კი დაუწერელი სუფთა ნაწილი.

დაკეცვის ამგვარივე კვალი ჩანს XVII—XVIII სს. სხვა წერილებზე. XVII ს-ს მეორე ნახევრიდან კი უფრო ხშირია ქალაქის დიაგონალურ ზოლებად დაკეცვის წესი. XVIII ს-ს ბოლოს შემოდის ორად მოკეცილი თაბახის ფურცლის სამ გვერდზე წერა წერილისა. მეოთხე გვერდი „კონვერტის“ ზედა და ქვედა მხარედ გამოიყენება. მასზე თავსდება „მისამართი“.

ორივენიარად დაკეცილ „კონვერტს“ ზემო მხრიდან აწერდნენ „მისამართს“, შუაში კი ლუქის ბეჭედს ასვამდნენ.

ადრესატი მიღებულ წერილს, როგორც ჩანს, ისევე დაკეცილს ინახავდა, როგორც მიიღო. ოღონდ მეორე მხარეს აწერდა ვისგან მიიღო ეს წერილი, ზოგჯერ მისი მთავარი შინაარსისა და თარიღის აღნიშვნით.

საერთოდ არსებობს ეპისტოლური მასალის გამოქვეყნების ორი წესი: თემატური და ქრონოლოგიური.

თემატურ წესში იგულისხმება წერილების გამოცემა რაიმე გარკვეული თემის მიხედვით. შინაარსობრივად ერთი თემის შემცველი წერილები ლავდება ქრონოლოგიურად.

წერილების გამოცემის მეორე ე. წ. ქრონოლოგიური წესი თავის მხრივ იყოფა ორ სახეობად: 1. ბუდობრივად — როდესაც ქვეყნდება ერთი ბუდიდან გამოსული ანუ ერთი პირის მიმოწერა მეორესთან ან რამდენიმე სხვა პირთან. 2. ისტორიულ-ქრონოლოგიური წესით ქვეყნდება სხვადასხვა პირთა კორესპონდენცია მიწერილი სხვადასხვა ადრესატებთან, დალაგებული ქრონოლოგიურად. ასეთ წერილებს არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო — არც თემატიკა, არც ადრესატები, არც დამწერი და არც დაწერის ადგილი. (ამ წესით ქვეყნდება წერილები წინამდებარე კრებულში).

XVII—XVIII სს. ეპისტოლური მემკვიდრეობა ცალკე, სპეციალური კრებულების სახით ჩვენში ნაკლებად არის გამოცემული. გამონაკლისს წარმოადგენს ე. წ. სახელმწიფო წერილები — მეფე-მთავართა მიმოწერა; ეს პუბლიკაციები ძირითადად რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიას ეძღვნება.

ეპისტოლური მასალის ცალკეული ნიმუშები მრავლადაა დაბეჭდილი. როგორც წესი, ეპისტოლე იბეჭდებოდა სხვა დოკუმენტებთან ერთად, მათთან აღრევით, მეტწილად ქრონოლოგიის დაუცველად. მაგ., „საქართველოს სიძველენის“ I, II, და III ტომებში ეპისტოლეები შევიდა ფონდების ნომერთა მიხედვით. ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოსულ სოციალური და ეკონომიკური საბუთების კრებულებში შეტანილ იქნა ცალკეული წერილები მათი შინაარსის მიხედვით.

ჩვენში ბუდობრივი წესით ქვეყნდებოდა წერილები უკვე XIX ს. ბოლოდან. იმდროინდელი ჟურნალი „მოამბე“ მაგ., ბეჭდავს არჩილ მეფის 1704 წლის წერილებს კურფიურსტ იოანე-ვილჰელმთან, რომის კეისარ ლეოპოლდთან და მათ პასუხებს (მოამბე, 1899, II), ერეკლე II-ის, გიორგი XII-ის და ვახტანგ ბატონიშვილის წერილებს გაბრიელ ყაზბეგთან (მოამბე, 1900, IV), ალექსანდრე ბატონიშვილისა და იოსებ ბებუთოვის მიმოწერას 1806 (მოამბე, 1900, II), სოლომონ II-ის დროინდელი ზოგი პირის წერილებს (მოამბე, 1896, IV) და ერეკლე II-ის დროინდელ რამდენიმე წერილს (მოამბე, 1894, I). მაგრამ ყველა ეს გამოცემა ეპიზოდური ხასიათისაა და მხოლოდ ჩვენს დროში იღებს ნაწილობრივად სი ტემურ სახეს.

1959 წ. სარგის კაკაბაძემ გამოსცა ზაქარია არქიმანდრიტისა და ოსე გაბაშვილის რამდენიმე წერილი მიწერილი იმერეთის ყოფილ დედოფალ ანნასთან 1814—1824 წლებში<sup>5</sup>. 1962 წ. დ. მეგრელაძემ გამოაქვეყნა იმამყულიხანის და თეიმურაზ ბატონიშვილის წერილები ვახტანგ VI-სთან (მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათ-

<sup>5</sup> ზაქარია არქიმანდრიტისა და ოსე გაბაშვილის წერილები იმერეთის დედოფალ ანნას მიმართ. პუბლიკატორი ს. კაკაბაძე, თბ., 1959.

ცის, ნაკვ. 33, თბ., 1962), 1965 წელს მ. ბერძნიშვილმა სათაურით „ეპისტოლური მასალა XVIII ს. ბოლო წლებიდან“ გამოაქვეყნა მანუჩარ თუმანიშვილის არქივის ნაწილი („ქართული წყაროთმცოდნეობა“, I, თბ., 1965). 1977 წ. მიხ. ქავთარიამ გამოსცა „ანტონ ბაგრატიონის ეპისტოლარული მემკვიდრეობა“ (ნაშრომში: XVIII საუკ. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“, თბ., 1977)<sup>6</sup>.

XIX ს-ს I ნახევრის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან ბევრი გამოცემულია, მაგრამ უფრო მეტი თავის დროს უცდის. გამოიცა მაგ., სოლომონ დოდაშვილის წერილები იონა ხელაშვილის არქივიდან<sup>7</sup>, გლახა ჭილაძის წერილები<sup>8</sup>, ზურაბ წერეთლის ზოგი წერილი<sup>9</sup>, გრიგოლ ორბელიანის წერილები<sup>10</sup> და სხვ.

როგორც ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, ეპისტოლური მემკვიდრეობის გამოცემა დღეისათვის არც თუ სახარბიელო მდგომარეობაშია. მით უფრო მისასალმებელია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების კომისიის გადაწყვეტილება ქართული ეპისტოლური მასალის გამოცემის შესახებ. ამ კორპუსის გამოცემა მნიშვნელოვნად აფართოებს ისტორიული მეცნიერების წყაროთა ბაზას. ქართული ისტორიული საბუთების, ეპიგრაფიკული ძეგლების, ანდერძ-მინაწერებისა და სხვა რიგის წერილობითი წყაროების კორპუსის გამოცემის გვერდით ეპისტოლური მემკვიდრეობის გამოაქვეყნება ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევისათვის მტკიცე საფუძვლის შექმნას.

ქართული ეპისტოლური მასალის კორპუსის I წიგნში შევა მხოლოდ ის წერილები, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს დედნის სახით. ქრონოლოგიურად პირველი წერილი-დედანი, წერილ-ორიგინალი XV ს-ს ეკუთვნის. ზედა ზღვარი ამ გამოცემისა თეიმურაზ-ერეკლეს ერთობლივი მეფობის დასასრულია. ჩვენი კრებულის უკანასკნელი წერილი 1760 წელს ეკუთვნის. სულ ქვეყნდება XV ს. — 1760 წწ. 96 წერილი-ორიგინალი.

ამ 96 წერილიდან სამი — სახელდობრ, ჩვენი კრებულის, № 1, 4, 5 — იბეჭდება არა ორიგინალის, არამედ ე. თაყაიშვილის გამოცემის მიხედვით. ეს გამონაკლისი ამ სამი წერილისათვის ჩვენ დავეუშვიტ შემდეგი მოსაზრებით:

6 მ. ქავთარია აპირებს ცალკე კრებულად გამოსცეს XVII—XVIII სს. მეფეთა მიმოწერა.

7 გამოსცა ს. ხუციშვილმა, მსკი, ნაკვ. II, თბ., 1944.

8 გლახა ჭილაძის 178 წერილიდან ნ. ნაცელიშვილმა გამოაქვეყნა 86 („საისტორიო შოამბე“, თბ., 1986), დანარჩენი გადაცემულია დასაბეჭდად.

9 დაბეჭდა შოთა ბურჯანაძემ (იბერეთის სამეფოს საისტორიო საბუთები).

10 გამოსცა ა. გაწერელიამ. I ტომი (შეიცავს 1832—1850 წწ. წერილებს) გამოვიდა 1936 წ., II ტომი (შეიცავს 1851—1859 წწ. წერილებს) გამოვიდა 1937 წ.

ჩვენამდე დედნის სახით მოღწეულ ეპისტოლეებში მხოლოდ ორია XV ს-სა (ჩვენი კრებულის № 2 და № 3 წერილები), არა გვაქვს არცერთი წერილი XVI ს-დან. ე. თაყაიშვილის შრომაში „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“ კი გამოქვეყნებულია ერთი წერილი XV ს-სა და ორი XVI ს-ს დასაწყისისა, რომელთა დედნები ოლთისში ვაჩიძორის მონასტრის მახლობლად აღმოაჩინეს შემთხვევით. ე. თაყაიშვილმა გადაიღო მათი პირი, დეტალურად აღწერა და თანმხლებ ფოტოგრაფს მათი ფოტო გააკეთებინა, ამის შემდეგ ადგილობრივ ხელისუფალთა მოთხოვნით დედნები გუბერნატორს გაუგზავნა. არავენ იცის, რა მოუვიდა შემდეგში ამ წერილებს. სამაგიეროდ ჩვენ დაგვრჩა ე. თაყაიშვილის გამოცემას დართული ამ ეპისტოლეთა ფოტოები ნატურალურ ზომაში. ეს ფოტოები იმდენად მკაფიოა, რომ არა მარტო შეიძლება მისი თავისუფლად ამოკითხვა, არამედ მასზე მკაფიოდ შეინიშნება ის ზოლები, რომლებიც წერილს ამჩნევია გადანაკეცების ადგილას.

XVIII ს. მეორე ნახევრიდან განუზომლად იზრდება ჩვენამდე დედნის სახით მოღწეულ წერილთა რიცხვი. ავტორადრესატიც და დანიშნულებაც მათი უფრო მრავალგვარია. სიძველეთსაცავების სხვადასხვა ფონდებში გაფანტული ამ ხანის ზღვა მასალაში ადვილად გამოიყოფა ცალკეული პირის ან საგვარეულოს საოჯახო არქივები, რომელთა დაშლა და სხვათა წერილებში შერევით დაბეჭდვა გაუმართლებლად გვეჩვენება. შემდგომში XVIII ს-ს მეორე ნახევრის ეპისტოლეები არქივებად ან თემატურ ჯგუფებად უნდა დაიბეჭდოს. ის წერილები კი, რომლებიც ვერც თემატურად გაერთიანდება და ვერც ბუღობრივად გამოქვეყნდება, უნდა დაიბეჭდოს ერთად, ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.



## ტიქსტივის ზამოცემისათვის

წერილების გამოცემისას უცვლელადაა შენარჩუნებული დედნის ორთოგრაფია. გასწორებულია მხოლოდ კალმის აშკარა შეცდომები, რაც მითითებულია კიდევ სქოლიოში. პუნქტუაცია ჩვენ მიერაა დასმული. კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმულია აღდგენილი ადგილები, მრგვალ ფრჩხილებში კი — დედნიესული ასონაკლებობა.

ქარაგმები მეტწილად გაუხსნელად არის მოცემული. კითხვასხვაობანი ტექსტის პირებსა და სხვა გამოცემებთან ჩატანილია სქოლიოში. ყოველი წერილის არქეოგრაფიული აღწერა გადატანილია გამოცემის შემდეგ განყოფილებაში — „შენიშვნებში“ და განლაგებულია წერილის რიგითი ნომრების მიხედვით. „შენიშვნებშივე“ მოცემული წერილების დათარიღება და ცნობები მათი დაცულობა-გამოქვეყნების შესახებ.

ყოველი წერილის ტექსტს ახლავს სქოლიოების ორგვარი აღნიშვნა: ტექსტსა და წერილის გარეგან ნიშნებთან დაკავშირებული საკითხები ვარსკვლავითაა აღნიშნული და მათი ახსნა ჩატანილია სქოლიოში. შინაარსობლივი შენიშვნები — კომენტარები — კი არაბული ციფრით აღინიშნება და მათი განმარტება გადატანილია „შენიშვნებში“ წერილის რიგით ნომრის მიხედვით.

ბეჭდები და მათი ლეგენდები აღწერილია სქოლიოებში, ხოლო როცა ბეჭედი წერილზე დასმულია მიღებული წესისაგან განსხვავებით, მაშინ ბეჭდის აღწერა შეტანილია შენიშვნებშიც.

„შენიშვნებში“ დამოწმებული ლიტერატურისა და წყაროების სახელწოდებები პირველად მოტანილია სრული სახით, შემდეგ კი — შემოკლებით. შემოკლებათა ახსნას ვურთავთ აქვე.

## შემოკლებათა ახსნა

Additions—M. Brosset, Histoire de la Géorgie, II p. Additions, XIV, StPb., 1857

ბაქრაძე ა. — ანა ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, თბ., 1978.

დოკ. თბ. ისტ. — დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX სს.). I. შეადგინეს ნიკო ბერძენიშვილმა და მამისა ბერძენიშვილმა. თბ., 1962.

ვახუშტი, აღწერა — ვახუშტი აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941.

История Georgianская—История Georgianская о юнгоше князе Амплახорове. СПб., 1779.

ს. კაკაბაძე, ისტ. საბ. V — სარგის კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, V, ტფ., 1913.

ლომიძე, მრავალთავი VIII — დოდო ლომიძე, 1735—1744 წლების ქართლ-კახეთის მმართველთა ქრონოლოგია, „მრავალთავი“ VIII, თბ., 1980.

მსკი, 33 — მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33. თბ., 1960.

ომან ხერხელიძე — საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც. თბ., 1913.

პაპუნა — პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.

საქ. სიძვ. — საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორობით ტ. I, ტფ., 1899; ტ. II, ტფ., 1909; ტ. III, ტფ., 1910.

საქ. ცსია — საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი.

საქ. ხ. ი. — საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტი.

შეხნია ჩხეიძე — საქართველოს ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., თბ., 1913.

- მ. ქავთარია, დასახ. ნაშრ., — მ. ქავთარია, XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1977.
- მ. ქავთარია, მრავალთავი V — მ. ქავთარია, ბაგრატიონთა ქართლ-კახეთის სამეფო სახლის გენეალოგია და ქრონოლოგია, „მრავალთავი“, V, თბ., 1975.
- მ. ქავთარია, მრავალთავი“ XIV — მ. ქავთარია, ყაფლანიშვილთა სახლის გენეალოგია, „მრავალთავი“, XIV, თბ., 1987.
- I — ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. I, თბ., 1955.
- ქცა, II — ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. II, თბ., 1959.
- ქცა, IV — ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973.
- ქრ. III — ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი ...თ. ყორღანიას მიერ, წ. III, თბ., 1967.

## ტექსტები

### № 1

#### XV ს. წერილი ანტონისა ვაჩიძორის მოძღვარ აბრამისადმი

ქ. მიწა წმიდათა მადლთა თქუენდა შემთხუევისა მონატრე ანტონი გრძლად კადრებითა არ დაგრჯი მოძღრის აბრამის<sup>2</sup> წადლმან. ჩემგან არ გეკადრების მოკსენება და სხუას ეზომს მოგაცსენებ, რომე, თუ ანუ პატრონი ზაზა<sup>3</sup> არ მოგიმდურვებია და ანუ შენი თავის პავი არ გინდა, პატრონისა ზაზას უნახავად ციცის<sup>4</sup> ნუ ჰნახავთ. აქა მოუკსენებია და ნულარას დაიყოვნი. წამოლით. შენითა პირითა ეპირიანების პატრონს ზაზას ციცის საუბარი; და უთქვენოს კაცს არ შემოიყვანს შუა<sup>5</sup>. და წამოუვალობას ნუ იქთ. სხვას ნუ ვის მოუცდით, შენ წინათ გამოისწრაფე და დღე და ღამე წამოდი. საქმე აქეთ არის. ნულარ სდგი. წამოლი.

### № 2

#### XV ს. წერილი ბასილისა სულიერ მამა ზოსიმესადმი

წ. თქუენთა წმიდათა მადლთა შემთხუევისა მონატრე ბასილი ეკადრებ, სულიერო მამათ ზოსიმე. პატრონსა მოაკსენე, ვითა ასისფორის<sup>1</sup> შესავალში<sup>2</sup> გაგუგზავნა, მივედით გიორგისთან და იმან მოუხე გაგუიძღუანა და შეს<sup>3</sup> ერთი ქალაბი დულბეზ გაგუიძღანა და ლ...<sup>4</sup>... იქაური ისაქმეო. მაშინ მიველ მონასტერს<sup>4</sup> და ხუცესების თეთრი ავიღე და სარჯულოცა რაი იყო. ერთი კაცი გაგვტყდა, იმას ერთი ძროხა წავეუარე. დარბეული იყო. სხუარ არა ჰქონდა რაი. და ერთისა მრთელ ზედა არა ... რაისაცა გვბრძანებს ჩუენთა. წ. აგრევე, ზოსიმე, პატრონსა შემახუეწე ღმერთმან აგრემ, ამოდ ამყოფლოს, ასპარაშენს<sup>5</sup> რაცა მიბრძანა...<sup>6</sup>... ე წამოველ შემოეს გიორგი მ... და იყვნეთ, მერმე წცხლ კა... ს კწ.

\* აქედან გრძელდება verso-ზე.

\*\* აქედან გრძელდება verso-ზე.

\*\*\* გრძელდება ქალაღის სხვა ფრაგმენტზე.

**XV ს. წერილი უცნობი პირისა უცნობ პირთან**  
(ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი)

... და ეს მიბრძანე ვინა მოვიდა მოყმე\* ფერხთა მტურარი და თქუენის ლახვარი... ხლებას ...ული. ამოყდობილი!... და სანახავად სანატრელო<sup>2</sup> ნატრებო<sup>2</sup>.. ვი სული მე.

№ 4

**XV ს. ბოლო — XVI ს. დასაწყისის წერილი მოძღვარ დავითისა და ჭვარის მონასტრის ყოფილი ბერის ბართლომესი ქრისტეს საფლავის ბერ ნიკოლოზისადმი**

ქ. პატიოსნისა ცხოველს მყოფელის ქრისტეს საფლავისა მადლითა შექუერვილო პატრონო ნიკოლოზ. თქუენნი მიწანი და აწვე წინაშეებისა\*\* მონატრენი მოძლარი დავით, ჯვრელი ბართლომე მოგახსენებთ, თქუენმან მადლმან, არ გეკადრებოდა, რომელ ჩუენი უნახავი წახუე. აწ და ვინათგან ღთი გეწყალობს და მანდ ხავალს<sup>1</sup> ხარ, პირველ თქუენი გამზრდელი წამოვიდა თქუენსა წინაშე და ჩვენ ნამორეთი<sup>2</sup> მოგვიხსენებია. თქვენსა გამზრდელსა ნუ გა(ა)ბედითებთ ესეთთა ჟამთა შიდა\*\*\* მერმე ამა წმიდასა სტეფანეს<sup>3</sup> ნუ მოეშორები, ესეცა დიდი ღუაწლია, რომელ ამა მონასტერსა და ეკლესიასა იღწუვიდე საღმრთოთა საქმეთა მიერი. კულა იგივე მოგაქსენოთ: ჰავი ჟამნია და ამაზე ვითარ ერთგან ვიღუაწნეთ ნებითა ღთისათა, შევიგნეთ თუ რასა მშვიდობასა მოგვივლენს ღმერთი და ესე წმიდა სტეფანე. ბორჰისა კიდე მოეშალა, თქუენი მიზეზი ესე თუა, აჰა თქუენ მამული.

№ 5

**XV ს. ბოლო XVI ს. დასაწყისის წერილი ვაჩიძორის მონასტრის მოძღვარ საბასი პატრონ ნიკოლოზისადმი**

ქ. ღთო, ჩემო პატრონო და სულისა ჩემისა იმედო ნიკოლოზ, შიწასა და ღირსთა ოდნად თქუენთა ლოცვათა სმენისა მონატრესა სა-

\* მოყიგ(?) — დ. კლდიაშვილი, თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები.

\*\* უნდა იყოს „წინაშეშეხუევისა“.

\*\*\* აქედან გრძელდება verso-ზე პირშექცევით.

ბასა. ნეტარძი, თუ აწცა უმიზეზონი სუფევს. მე, ვითა თქუენთა მადლთა ნატრთა მმართვებს, აგრე მომინდომია და მენატრების თქუენთა მადლთა შემთხუვა. მერმე: გრძლად მოკსენებითა! ველარას ვიკადრებ სულდამდი ველარას ვიკადრებ რას, ამა წინასთვისცა მომიკსენებია რთულითა<sup>2</sup> განალამცა წინაშე ვითა სულნი გამიძლებენ. მე რომ თქუენსა ნახვასა ველირსო, განალამცა მაშინ ნეტარძი...

## № 6

### 1616—1619 წწ. წერილი იმერეთის მეფე გიორგისა დარბაზის პატრონ შიოშისადმი

ქ. მეფე გიორგი ვიკადრებ მესტუმრეო (ჩემ) მაგიერად ჩენს დიდს იმედს და დიდათ იმედათ მღვთის წყალობათ საგულვებელს შდივანს ძმას დარბაზს პატრონს შიოშს მრავალი მოკითხვა და კარგათ ყოფნის სიხარული მოახსენეთ. მერმე: მე ასეთი იმედი მაქვს მანდ ბატონისაგან, რომ მაგათიც არ შურდეს ჩვენთვის, თვარამ რაცაზა ოციოდ თუმანი ჩვენი ინამის<sup>1</sup> მანდ მაგათა აქ<sup>2</sup>ს და უხარჯავს, როგორც ყოფილა, ყველა მოგეხსენება. აწე, ბატონსაც წიგნი ვა(ა)ხელი და თქვენ მიართვი, როგორათაც თქვენის ძმობისგან ველოდე, ისე ამ საქმეზე მომეხმარე, რომ მაგ თეთრი ამოართვათ და გამოგზავნეთ<sup>3</sup>. სხვა ცარიელს წიგნს მოგერიდეთ, მაგრამ, ეგებ თქვენც მოგეხსენებოდეს, რომ ჩვენი ყმა ცარიელიც ვერ გამოივლის. სხვას ჩვენს ქართულს<sup>2</sup> და აქაურ ამბავს ეს ჩვენი ყმა მოგახსენებს, ბატონო<sup>3</sup>.

## № 7

### 1688—1658 წწ. წერილი-ბრძანება შაჰისა ყაფლან ბარათაშვილისადმი

ქ. კელმწიფურისა თავ ვართ ბძანებასა მოისმენდეთა და თქმულსა და შამოთვილსა გაიგონებდეთა. ჩვენსა მემკვიდრედ ჩვენსა ერთგულსა და ნამსახურსა ყაფლან ბარათაშვილსა ესე ბრძანება მოი-

\* ინაგის (?) — შ. ბურჯ.

\*\* ყმას — შ. ბურჯ.

\*\*\* გამომ(იგ)საენეთ — შ. ბურჯ.

\*\*\*\* დასულია მურის ბეკედი ნუშის ფორმისა, გარშემო ქართული მხედრული წარწერით: „მნა ღთისა, ყმა ხონთქრისა მეფე გიორგი“, შუაში ორსტრიქონიანი თურქული წარწერა (ა. ბაქრაძე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, თბ., 1978. № 154).

სმინოს<sup>1</sup> ლთისა შეწევნით ჩვენც ამ ცოტას ხანში ყარაბაღისაკე წა-  
მოვალთ და ამ ზამთარ იქ ვიზამთრებთ, და ახლა გავიგონეთ თუ  
ურუმბი არადაჰანას<sup>2</sup> მოსულა. თუ მართალი იყოს და ან ქართლისაკენ  
წამოსვლას აპირებდენ, როგორც მეფეთ მეფემა ძმამა ბატონმა როს-  
ტომ-ხან გებრძანოთ და ან ჩვენს ტახტსა, დავლათს უკდებოდეს<sup>2</sup> და  
პატრონყმობას და ერთგულებას შუეა მოვიდოდეს, ადვილი აზრია,  
იმას იქმნოდა გამოარჩევნა და ლთსა შეწევნით თავად ვერ ჩამოვლენ  
და კიდევ წამოვიდენ, ისივ ქართლია, რომ ამას წინათ ყოფილა რო  
თქვენი გახარება იმათი მოსვლა ყოფილა, და ლთისა შეწევნით რასა-  
ცა სამსახურსა და ერთგულობასა იქთ, ჩვენც ყარაბაღისაკე მოვე-  
დით და ჩემის მამის მეფისათვი მოგვიწერია, რომ თქვენი ვალდებუ-  
ლობა და სამსახური დღისათაგან(?) მოგვაწეროს და ჩვენგან მეტსა  
წყალობასა მიოდინებდეთ პატრონო.

## № 8

1675—1688 წწ. წერილი-ბრძანება გიორგი XI-ისა და მდივანბეგ  
ვახტანგისადმი (ყაფლანიშვილისადმი)

ქ. ბატონო მდივანბეგო ვახტანგ. შენ რომ მითხარ, ან მეო და  
ჩემი ძმანიო და ან ჩემი შვილი და ჩემი ძმანი და ძმისწულები გაი-  
ყარნენო. გასამყრელოს შამაგხვეწე, ჩემს შვილებს და მე მამეცო. მე  
ეს მოგახსენე: თავად ღმერთმან ნუ ქნას, რომ შენი სახლი მოიშალოს  
და ძმობა წაგინდეს, და თუ არ დაიშალონ, გაიყოთ და გაათვისდეთ,  
რაც გასამყრელო ავილო, რომელიც ძმა — შენ და შენს შვილებს  
გამოჰყვეს — ორთავ მოვცე და არც ღმთის მადლობა მე შენი ამაში  
გაგიმტყუნდე, უსაცილოდ კიდევ ეს პირი გაგითავო. ამ წესით გა-  
ვარიგო.

გიორგი (ხვეულად).

ქ. ეს ბძანება ასე გათავდეს. ვახტანგ (ხვეულად)\*.

ეს ბძანება ასე გათავდეს\*\*.

ეს ბძანება ასე გათავდეს\*\*\*.

---

\* დაწერილია recto-ს განის აშიაზე.

\*\* დაწერილია verso-ზე. დასმულია მურის. ოთხკუთხა ბეჭედი წარწერით:  
„ბატონიშვილი სულიმან“ (ა. ბაქრაძე, № 127).

\*\*\* დაწერილია verso-ს განის აშიაზე. აქვე დასმულია ორი ბეჭედი: „მოსა-  
ვი ღსა ბატონიშვილი სვიმონ“ (ა. ბაქრაძე, № 122). „მონა ღთსა ბატონიშვილო  
თეიმურაზ“ (ა. ბაქრაძე, № 72).

ქ. რარიგათაც კურთხეულს ბატონს ბიძაჩვენს მეფეს წყალობა უქნია, ჩვენც, მეფეს, სპასალარს ხოსროს ასე დაგვიმტკიცებია. ხოსრო (ხვეულად)\*.

გასამყრელოს პირობა\*\*.

### № 9

#### 1688—1703 წწ. წერილი ნაზარალი-ხანისა ბეგუმისადმი / ბეგუმი

ქ. შენი ჰირი შე(ე)ყაროს მამაშენს, შვილო ბატონო ბეგუმი. მერ-მე: მრავალი მოკითხვა და ჩემის დამტირებელის თვალეში კოცნა მომიხსენებია. მერმე: ბატონს დედათქვენს დედოფალს<sup>2</sup> მოახსენე აქ ნინოწმინდლის წიგნები უნახოს და, თუ წმინდის ნინოს შეწირული ყოფილიყოს, გაშინჯეთ და თუ წმინდის ნინოსი იყოს და ჰქონოდეს, თქვენც\*\*\* უბოძეთ\*\*\*\*.

### № 10

#### 1688—1703 წწ. წერილი ნაზარალი-ხანისა თავის დეიდა თამარისადმი (პირველი სტრიქონი წაჭრილია)

ის პატიოსნის თავის სიკეთის მღოში მეფე ნაზარალიხან ვკადრებ, ჩვენო დიდო იმედო და დიდად იმედად მღთის წყალობად საიმედოვნოვ. ჩვენო არაოდეს არ დასა\*\*\*\*\* ვიწყარო და ნიადაგ კეთილად და თქვენთა საკადრად მოსაგონო სახსენებელო, ყოველთა ბანოანთა დედათა შორის სიკეთით აღსავსე და ყოველის პატიოსნობით მოუკლებარო, ჩვენგან მშობლის აღავსა საგულეებელო, დედიდავ ბატონო თამარ<sup>1</sup>. მრავალი თქვენის მღთის მოყვარულისა და ჩვენგან დაუვიწყარად სახსოვარის კაის თავის მოკითხვა მოგვიხსენებია.

მერმე: თქვენის მაზლიშვილის სულხანის<sup>2</sup> შემორიგების საქმეზედ წიგნი მოგეწერათ და ოთარი<sup>3</sup> გაახლებინათ გულს რომ არავისგან გვკლებოდეს და წყენა არავისგან მოგვიგონებოდეს, ეგ ხომ\*\*\*\*\* არ

• დაწერილია verso-ს შუაგულში ირიბად.

•• დაწერილია ფურცლის ბოლოში პირშექცევით, სხვა ხელით.

••• აქედან გრძელდება verso-ზე.

•••• დასმულია მურის ბეჭედი წარწერით „მეფე ნაზარალიხან“ (ა. ბაქრაძე,

№ 112).

••••• ეს ორი სტრიქონი საქ. სიძვ. გამოცემაში გამოტოვებულია.

•••••• ეგზომ — საქ. სიძვ.



იქნების, მაგრამ თქვენი შუამავლობა და პატიების დადება რომელზე-  
დაც ყოფილა, კულაეაც გაგვითავებია არ თუ ახლა. თქვენ ასრე მოჭირ-  
ვებით მისი შუამავლობა გებძანათ, რომე ჩვენგან ამისი პატივი დაგ-  
დებოდათ, რადგან თქვენ შუამავლობა გექნათ და მოგეწერათ ჩვენც  
ასრე პატივი დაგვდებია\* და მაგისი დანაშაული შეგვიწინდია, რომ რო-  
გორც ბედნიერის ყუენისა შეცოდებაში არ გავერევი და თქვენს ბევრს  
ურგოსა\*\* და უპატიურობას არა მკადრებ, ისრე ჩემი შვილიც რომ  
დაეკლას, მე მაშინც მე სულხანს აღარცარას უსაყვედურებ და ყო-  
ველი მაგისი დანაშაული კიდევ მიპატივებია. ნურასგზით ჩვენგან მა-  
გისი ურიგოს ექვი ნუ აქვს. ღთი მოგვიცემია ამის თავდებად, რომე  
ჩვენგნივ და ჩვენი საქმითა არა უმარცბდეს რა\*\*\*.

## № 11

1703—1709 წწ. წერილი მდივან გიორგი თუმანიშვილისა მისი ძმის  
მდივან ზურაბისადმი

ქ. ლთნ თქვენი ერთის წამის შეხვეწნა (?) ნუ გაგონოს თქვენს  
გვერთ ხლებისა და აღერსის მონატრეს მდივანს გიორგის, ჩემო დიდო  
იმედო, დიდად იმედად მღთის წყალობად მისაჩენელ-ისახედო. ჩემო  
ნიადაგ ტკბილად ქებით სახსენებლო და აროდეს საკეთილოდ არ და-  
საეიწყარო ძმავ, მდივანო ბატონო: \*\*\*\*მრავალი თქვენის მღთისაგან  
კეთილად გაბრძნობილის, რიტორ-ფილასოფოზობით შემკულას თავის  
შემსგავსებული მღთის ხვეწნით შეყრა მუსიბობის ნატრა მომხსენე-  
ბია.მერჰე: თუ აქაჟრს ა(ნ)\*\*\*\*\*ბავს იკითხავ, მღთის შეწევნით უჭირ-  
ვალად ვარა. წელს თქვენის ბედნიერობით არავის არა სჭირს რა.  
წიგნი გებოძა და მოგეკითხენით, ლთნ თქვენი თავი ამოდ და კარგად  
გემყოფოს. თქვენის ბერაძის საქმე გებძანა და ბატონს მოვანსენე და  
ბატონის შვილს ბატონს ვახტანგს წიგნი აახლო თქვენის ბერაძის საქ-  
მეზედ და უნდა გიბოძოს. ამველად ეს ცოტა სამსახური იქნა და,  
მღთის ძალით თუ არ მოგვედით, სამსახური კიდევ მოხდება. ვინც წა-  
მოვიდეს. თქვენს კარგად ყოფნის ამბავს მოგ(ვ)წერდით და სამსახურს  
გვიბრძანებდეთ. თქვენი კაცები შემოგვევდრებინათ და ნეტამც საბ-  
რალოები სიკუდილს ძალა არ ექნა, თვარემ რომელიც ცოცხალია,

\* დავედებია — საქ. სიძვ., II.

\*\* ურიგოსა — საქ. სიძვ., II.

\*\*\* დასმულია მურის ბექელი ხეული წარწერით: „მეფე ნაზარალიხან“  
(ა. ბაქრაძე, № 112).

\*\*\*\* დატოვებულია ადგილი სახელისათვის.

\*\*\*\*\* ამ ადვილას დედანი შემოცვეთილია.

არა ეჭვირების რა. დათუნა ურწმუნომ რაც წინაზე აჯავრა, ისიც დავანანებინე, არ მივე ახლა აწყინოს რამე, თვალი და ყურიც მიჭირავს, კიდევ მებრალებოდა და ვერცვინ რას შესცოდებს თქვენის ბედნიერებითა. ამათი შემოვლა შემიძლია. ბატონს თბილელს<sup>1</sup> თქვენი მადრიელობა მოეწერა და რასაც კიდევ თვალი და ყური გვიჭირავს თქვენზედა. კილო, რაც მანდ ჩვენი სარმა<sup>2</sup> იყოს, თვალი და ყური გეჭიროთ რო მოგეხსენება, ამხანაგი თუ გძულს, სარგებელი ნუ გშურს. მე ამის მეტს აღარ(ა)ს თავს გახვევ<sup>3</sup>, თქვენ იცით.

ჩემის სანახავად სანატრელის ბატონის ლიპარისათვის მრავალი კარგად ყოფნის ნატრა მოგვიხსენებია<sup>4</sup>.

## № 12

### XVIII ს. I მეოთხედის წერილი გიორგი გურიელისა ვახტანგ VI-სთან (ფ რ ა გ მ ე ნ ტ ი)

ვახტანგს!

ქ. შარავანდედთა სათნოებისათა მომფენელსა საქართველოსასა პირველითა ძველო ოდესმე წარჩინებულთა მეფეთა თანა მოსაგრეობით დიდებით მიმსგავსებულსა და თანაზიარსა დავითისა ნაშეთა ნათქეთა და ნაბრძნთა ენა მკერვობით ნავადად ოქროდ უკვდავ მყოფელად სიტყვად წარმომთქმელსა გვარტონად მისად წარმოშობილსა ძესა მეფისასა და თვით მეფესა ბიძა ჩემსა ბატონსა<sup>\*\*\*</sup> ჩვენ არვეობისა მაგითისა შორითა გონებით მკვირობელი და ეგრეთ-ბილვისა მოწადე მა<sup>\*\*\*\*</sup>ალი გურიელი გიორგი მეფობისა წესსა ზედან გიბაროდენსა მოუძღვანებ და მოვიკითხავთ კურთხეულ არს მრავალ წყალობისა მთოველი ღმერთი, რაჟეთუ მაგათსა სახელოვანად განწგეობისა ამბავსა ესმენილობთ და ამისთვის მიხარის და აღუამძრავსა სიხარულსა მოვასხენებთ:

და ახლა ეს მოვახსენოთ კურთხეულისა მამისა ჩემისა ბურჯი მომდგომი მეცნიერებისა მცნობი ეგენი ბრძანდებოდნენ და მაგათგან ჩვენცა აგრეე მაველით ჩვენისა ქვეყნისა საქმე ყველა მოცხსენებიან კიდევ არის და ბევრი მტერი მოგვება ნდობა და...<sup>\*\*\*\*\*</sup> რული ამით-შეიტყუბის. ჩვენზედ როჟე რომელიცა მანდედამ ჩვენს ქვეყანაშიდ ან სადმე შიძილებოდეს, ჩვენზე უმსახურობისათვის გუნებას ნუ გამოი-

\* გრძელდება verso-ზე პირშეკვეით.

\*\* მოკითხვა მიწერილია recto-ს განის აშიაზე განივად.

\*\*\* დატოვებულია ადგილი ადრესატის სახელისათვის.

\*\*\*\* სამი სანტიმეტრი ამოგლეჯილია.

\*\*\*\*\* ფურცელში სამი ასოს ადგილი ამოხეულია.

ცვლიან. სხვა ჩემის ძმის შემოქმედელის ნიკოლოზის ეს მოვახსენო; რომელიც მოგვიხსენებია, ჩვენ მაგ პირობას არ გამოვსცვლით და რადგან ამ რიგად საქმე მომხდარა, კიდევ მაგათივ სახლთ მოხვდა\*.

## № 18

1703—1709 წწ. წერილი შაჰნავაზ II-ისა (გიორგი XI-ისა) თავის ძმისწულ ვახტანგ ბატონიშვილისადმი

ქ. თქვენის კარგად ყოფნის მონატრე მეფე შაჰნავაზ ვიკადრებ, ჩემო დიდო იმედო და დიდად იმედად მლთის წყალობად მისაჩენელ-მისახელაო ჩემო ორისავე თვალის სინათლევ და აგრეთვე ორისავე ცხოვრებისათვის მრავალ გვარად სიხარულევანო, ნიადაგის ქამის კეთილად თქვენდა საკადრისად პატიოსნად სახსენებელო, გრძლად რაღა მოვახსენოთ, წამ და წუთ ქებით მოსაგონარო, ძმისწულო, ბატონისშვილო ბატონო ვახტანგ! მრავალი თქვენის სახელოს (?) და ყოვლის სიკეთით შემკულის თავის მოკითხვა და ამოდ ყოფნის სიხარული მოგვიხსენებია. მერმე: ეს პაპუა თურქისტანისშვილი ჩვენზედ მრავალ ნამსახური არის და ჩვენგან ამას წყალობის წიგნი აქვს მიცემული. ბახუტა თურქისტანისშვილი ამოვარდა, და ამათი მამის ძმა იყო. თავად სხვაე წყალობა უნდა გვექნა და მერე თავისის ბიძის მამული ამისი უფრო მართებული იყო. ჩვენ ამისთვის გვექონდა წყალობა და ჩვენგანაც ნაბოძები სიგელიც გავვისრულებია და აქ ყანდარს გვიანლებია. ახლა გამოვისტუმრეთ და, თუ ჩვენი თავი გინდა, სიგელს მოგართვამს, რარიგათაც წყალობა გვექნას, ისრე დაუმტკიცეთ და, ვისაც ბახუტას თურქისტანის შვილის მამულთან ყმა ყავდეს ამას გარდა, ისიც ამას უბოძეთ, სხვას კაცთ ხელი არა აქვს. ამ გვარად გაურიგეთ და რაც სითარხნე ეწეროს, იმ გვარად ათარხნეთ და ნურასა მოუშლით\*\*.

## № 14

1703—1710 (?) წწ. წერილი იმამყული-ხანისა თეიმურაზ ბატონიშვილისადმი

თქვენის ადრე შაყრის და ალერსის დიდათ მონატრე მეფე იმამყულიხან ... ჩვენო სანახავად დიდათ სალერსოდ სანატრელო და არო-

\* გადახეულია ფურცელი, ჩანს მხოლოდ ზედა ნაწილები ასობისა. დანარჩენი დაკარგულია.

\*\* დასმულია მურის ოთხკუთხა ბეჭედი ხვეული წარწერით: „შაჰნავაზ“ (ა. ბაქრაძე, № 137).

დეს [დასავიწყარო]\* ძმად, ბატონის შვილო ბატონო თეიმურაზ. მერმე: მრავალი და აურასხელი თქვენის ყოვლად (პატიო)სნის თავის შესაფერი მოკითხვა და აღრეშყარის სიხარული მოგვიხსენებია. მერმე: სახლთ უხუცეს ნოდარს ენისელთ მოურავის სასა[მსახურ]რო\*\* ჰქონია მიცემული, ჩვენც შიგ ვეწერენით. ესეც მამით პაპამდი და თვითოს რუგორ ნამსახურია. ჩვენგანაც ბატონს დედოფალს უკეთ მოეხსენება, გაკეთებული კაცი ჩვენის ერთგულობის გულისათვის წა-ეხდინათ, რდგანაც დაუდამავებელი კაცი იყო, რომ ან იმას არ მიგვე-ცა და ან სხვა წყალობა არ გვექნა, იმის საპასუხოთ ხომ არ იქნებოდა რომელისა ედიშერ სახლთუხუცეს სარგო აქვს, იმდენი აქვს, რომ მო-სავლისაგან ამის თავზე წყალობა უქნია. ბატონს დედოფალს მოახსე-ნეთ, რომ წყალობა გვექნას თუ დავთათის (?) და. ... მბას (?) ეს ჩვენი გვიხილავს და არ გი....ბეთ მან სადმე მართ....ცალი და აქ აილო. ამას ნუ იქმენ, რომ არ უბოძონ. ამას რომ ჩვენის ბა ... ების (?) წყალობა არ დაემართოს, არც მათი საქადრისია და ჩვენგანაც უმართებულო იქნება\*\*\*.

## № 15

### 1707 წ. წერილი გიორგი მდივნისა საბა და ერასტი ორბელიანებისადმი საბა და მდივანბეგო ერასტი!

ქ. ამისთანა მოულოდნელისა და მლთის რისხვის შემსწრებ რამ-დენის უანგარიშო\*\*\*\* ავის დღის მნახავ მაგრა ღონ იცის ამისთანას არცე(რ)თის შემსწორე ჩემს მოწყალისა და მობრალულისა ვინ იცის — თუ რის სასახლოს ჩემდა უღირსად პატივ საფარველ მომნი-ჭებლის, მისის პატიოსნის თავის წახდენის მნახავი, ვაიმე! თქვენთან პირ შავი, ამის გაჭირვების დღის მოუხმებელი\*\*\*\*\* მდივანი გიორგი მოგახსენებ, ჩვენო მოწყალენო და მრავალის კეთილმყოფელნი ბატო-ნი\*\*\*\*\* ბატონი\*\*\*\*\* მრავალი სამსახურის ნატრა მოგვიხსენებია, ახა ვაი და ვაგლახი ჩემს თვალის ჩინსა, რომე ჩემის ჳელმწიფის შვილის ალაგს საესავის ბატონის ვახუშტის წახდენა მოვინახე. ნეტამც ეს მრავ-

\* აღდგენილია სხვა წერილების ლექსიკის ანლოგიით.

\*\* აღდგენილია აზრობრივად.

\*\*\* დასმულია ოთხკუთხა მურის ბეჭედი ხვეული წარწერით: „ნაზარალიხან“. (ა. ბაქრაძე, № 88).

\*\*\*\* უანგარიშოს — საქ. სიძე., II.

\*\*\*\*\* მოუხმარებელი — საქ. სიძე., II.

\*\*\*\*\* დატოვებულია ადგილი სახელის (საბას) ჩანაწერად.

\*\*\*\*\* დატოვებულია ადგილი სახელის (ერასტის) ჩანაწერად.

ვალ რიგად გარჯილი თავი მომკდომოდა, მე ამის წახდენა და თქვენი გამწარება არ მომენახა. ღთნ იცის, დღეს ამტოლი ბატონიშვილი მომკვდომოდა, ის დღე იყო ჩემთვის. მაგრამ ბრძანებასა მლთისასა რა გაეწყობა? ამისთანა მცირე\* წიგნი თქვენი საკადრისი არ იყო. მაგრა ჯერ მაცივებდა და მაცხელებდა, და მერმე ღთნ იცის რაც ჩემს კელიდამე გამოვიდოდა, ამის სამსახურს ვერ მოვრჩი, რაც საქონელი ქონდა, ყველა ამიწერია. სეხნია ციციშვილი ბძანდებოდა და ეს ზაალ კაკონაშვილი და ამ ზალისათვის თავილად<sup>1</sup> დამიწერია და ნუსხას ნახავთ, ჩემის ბეჭდით არის. ღთნ იცის, რაც შემეძლო, მოვლა და სამსახური არ დამიკლია. თეთრი მოქალაქენს მივეცი და ზაალს თავილად აწერია, თამასუქები მოგივათ. ამიტომ ვქენით, რომ აქაური თეთრი მანდ არ გავიდოდა. ახლა მანდ სარგებლით მოგართმენ. მე რაც სეხნია ციციშვილმა და ზალ მაჩვენა, ის დამიწერია და დამიბეჭდავს სია და მიახლებია. ავად ვიყავ, ანდერძს არ დავხდომივარ, სხვისა არ ვიცი რა. ბატონს ასრე ეწყინა, რომე თავისი ბაგრატი<sup>2</sup> დღეს მოკდომოდეს. რომ მოვანსენე, არ დაეჯერა\*\*<sup>3</sup>. ჩემი ვახუშტი ახლა ვნახეთ, ეს რა დამემართათ. ეგებ გაცხელებს და ცხელებით შეუბნებოდეთ. მერმე მოვანსენე, საყუარელი რომ კაცს არ ემეტებოდეს მეთქი, მისას არას დაიჯერებს მეთქი. მერმე წაიშინა თავსა და მრავალი იცა. ღთნ იცის, არც შვილზედ, არც ძმაზედ<sup>4</sup> ეს არ უქნია, რაც ბატონმა ვახუშტიზე ქნა. მწარედ იტირა, გარდახურა\*\*\*<sup>5</sup>; ოცდაათი თუმანი შემოგაწივათ; თორმეტს დღეს კარში არ გამოსულა, დიად დაიტირა და გამოისტუმრა საბატოურად. ახლა, ჩემო მოწყალეებო, თქვენთან პირშავი ვარ, რომე ამისთანა\*\*\*\*<sup>6</sup> საქმე მოხდა და\*\*\*\*\*<sup>7</sup>, რას პირით ვიხილოთ პირი თქვენი. წინამძღვარი გამოატანა და ერთი რამ ასეთი ალაგი უშოვნეთ, რამე ერთი ლუკმაპური ექმებოდეს.

i

№ 16

1707 წ. სამძიმრის წერილი შაჰნავაზისა საბა და ერასტი ორბელიანებისადმი

ქ. ოდეს საცთური სოფლისანი და უნებლიედ ქცევანი ვითარებათა წყეულთა და შეწმასნილთა ჟამთანი გაყრასა კეთილთა ძმათა ჩემ-

\* აქედან გრძელდება verso ზე.

\*\* რომ მოვანსენეთ, არ დავეიჯერა — საქ. სიძე., I.I.

\*\*\* გარდახურა — საქ. სიძე., II.

\*\*\*\* აქედან გრძელდება ვანის აშიაზე.

\*\*\*\*\* ან — საქ. სიძე., II.

თა მზადებდა\*, ვითარცა იტყვის მოციქული, მაშინ მოეგო გონება იგი მცველი ჩემი ანგელოზი, მაქვნდა საწერტელი, რათა მქეჯნიდეს და არა დრო მცეს მე უამით უამად, ვიდრე მე მოსაწევარის ამის ჩემდა მო რისხვისა მლთისა სმენად, არამედ სვინდისი ჩემი მყისსა შინა თვინიერ გრძნობისაგან კიდე მამხილებდა, ვითარცა იტყვის „თმანი-ცა თავისა ჩემისანი აღმაშფოთებდეს“<sup>1</sup>. უწყის უფალმან ჩემან არა ვსიტყვი, ვიგონებდი აღსასრულსა ამას და არა დაშთომად იყო სასოობა ჩემი ჩემთანა ცხოვრებისა ესე რა ესრეთ იქნებოდა, მაშინ მოიწვია ვითარცა ჩემდა საშინელი ძმათა ჩემთა ზედა კერძოთ ოხრისა, ვითარცა წყალთა მღელვარეთა და ქუხილთა ჰაერისათა და ღვართა ხეთქებისათა და მთვართა იგი მოუშენელი ჳმანი საყვირ-თანნი, რომელი წამსა შინა მყის შეკრებს მტვერსა ქვეყანისასა, ვიდრე კორც ძვალამდე მოიწვია ვმა ზარისა, მომიკვდა კეთილი ყოფადობისა მქნელი, ჩემი დამტირებელი, დამმარხველად გამოსალოდნელი, აღმო-მეფხვრა ხე იგი კეთილი, ნერგად აღორძინებული, წარმეტყვევნა ვაზი ტევანოქროვანი, სიტკბოება და ვითარ სიტკბოება ჩემი. თაფლისა გოლეულისა უტკბოსი, ოქრო ბრძმედსა შინა გამოქანდაკებული, მშვი-დი და მდაბალი, ყოვლის ქველის საქმისა მოქმედი, პატრონთა მოსურნე, კაცთა მოყვარე, ჯართა და დარბაისელთა განმაგულოვანებე-ლი, ლხინთა და მეჭლისთა ჩემთა განმანათლებელი, ყოვლის ხვაშია-დისა ჩემისა დამარხველი, ბრძანებისა ჩემისა მორჩილი, ყოველთა ბრძოლთა და მტერთა მომსრველი, ვაამე, და კვალად ვიტყვი: ვაამე! ნათესავთა თქვენთა და სახლეულთა უმეტესად ქებით წარმოშობილი და აღორძინებული ვახუშტი ძმად, შვილად ჩემდა ქმნილი. მოგიწერ მე, მეფე შაჰნავაზ, ძმებო, ბატონო საბავ და მდივანბეგო ბატონო ერასტი! მოგახსენებ ძმათა თქვენთა ქარტასა უსაწყლესა მწუხარება-თა თქვენთა, ვითარ მოგიტხრას ენამან ჩემმან ანუ რომლისა პირითა ვიხილო პირი თქვენი? თვალის სინათლე თქვენი და დიდათ ზურგად იმედი ჩემი სასურველი და სიქადული ძმა თქვენი. წინაშე ჩემსა წარ-მოგზავნილი ამან(ა)თი და შემოვედრებული და აწ სულდართა ველთა-და ფერკთა შეკრული წარმომივლენია! ვამე, რა ვყო მე ცოდვილმან მომიკვდა სვიფონი ლომი და ვეშაპი, მეწვია დელვა გვემული და მო-მისამქედურა მკედარი ჩემი ვახუ(შ)ტი და დამეკარგნეს მსწრაფლ თვალთა წინა და ვარონინებ განცვიფრებული თვალსა და ვერსად მპოვნელი ვარ, ვიდრემდის მცხედარსა ზედა მდებარ იყო, მივილტო-დი ხილვად და ტკბილნი ქართულნი მიმეცა მსუროდა, რათა მასცა ენა გამო(ე)ცა, ვარქვ: ძმაო ვახუში (sic), რად ქმუნვარე ხარ მცირე-სა სნეულობასა ზედა? ეგე არა სნეულება არს, ძალითა ღთისათა,

\* მზადებდა — ხაქ. სიძვ., II.

გკურნებს უფალი ჩემი. ვეც ნუგეში და არა ისმინა, მივეც დიდება, არა ჯელ ყო, მიუგე იგავი პირველი ლაზარესი, ვინ ბეთანიად სნეულ იყო და აღადგინა უფალმა, და არა გულის ჯმა იყო, შევმოსე დიდებისა სამოსელ და შევაც ბეჭედი, რათა დამედგნა ბრჭეთა და პალატთა ჩემთა და განეგო გასაგებელი ჩემი, ამა სიკეთისა სანაცვლოდ მომცო სიტყვა, ვითარც მძაფრი აღტყინებული, და აღლესა მახვილი ორპირი და შთამგმირა გულსა ჩემსა და მცხო ბაგესა ჩემსა სამსალა ნაღვლითურთ აღრეული, წარმოსთქვა ანდერძი რომელი პირველ დაემარხნეს: ჰე მეფეო, მე არა ვისწრაფი დიდებისა შენისათვის. სოფელი ესე წარმავალი არს და მიუნდობელი, ვითარცა აჩრდილი ღამისა, მე მსურის უფალი ჩემი რათა განვიბანო სული მწიკლოვანი და ვიხილო ძალა და დიდება მისი და დავეგო მარჯვენასა მისსა და დამადგინოს, რომელნი მართალნი იხარებენ მისთანა\*. ესე არს ჰუმუნა და მოხსენება ჩემი და ვებხეწები ჯელმწიფებასა შენსა, ძენი და ასულნი ჩემი დაიცვა საფარველსა შენსა და აღმიზარდნო, რათა შური არვინ იძიოს ობოლთა ჩემთა. დასრულნა სიტყვა ესე და შაქრის უტებოსა ბაგეთა მითა აღმოჯდა ბრწყინვალე სული იგი და აღიტაცეს ანგელოზთა და დაადგინეს სავანესა მისსა. ვაამე, მან ყოველივე აღასრულა პირველი მეფეთა საქმე. ვართ და ვსტირთ შეცდომილნი ბაგითა ჩვენითა, სხვისა ვერასი მარგენი ვიქმენით, ღმთის ბრძანებას რა გაეწყობის. აქაც და მანდაცა ბრძანება მისი უნდა აღსრულდეს. მრავალი თავს ცემით მწუხარება მომიხსენებია. დასტურ, ძმა თქვენი იყო, მაგრამ, ღთნ იცის, ჩემიც შეილსა და ძმასავით საყვარელი იყო, ჩემთვის ეს დღე იყო, რომ თავი მამკდომოდა, ჩემი თვალის სინათლე ძმანი და შვილნი დღეს დამხოცოდეს; მოვლა და ჯელის შეწყობა არა დაგვიკლია. მაგრამ ეს ბეგარა ყოვლის კაცის თავს გარდუვალია შაჰნაოზ (ხვეულად)\*\*.

## № 17

### 1707 წ. სამძიმრის წერილი შაჰნავაზისა ერასტი ორბელიანისადმი

ქ. თქვენის ამგვარად მარცხისათვის დიდათ მომძიმარი მეფე შაჰნავაზ ვიკადრებ მესტუმრეო. ჩვენ მაგიერად ჩვენსა დიდსა იმედსა და დიდად იმედად მისაჩენელ მისახედავსა ჩვენსა ნიადაგის ჟამს კეთილად სახსენებელის და აროდის არ დასავიწყარს, გრძლად რალა მოვახსენოთ, დარბაზს მდივანბეგს ბატონს ერასტის მრავალი მაგათის

\* აქედან ვრძელდება verso-ზე.

\*\* verso-ზე ფურცლის თავში პირშექვევით სხვა (ადრესატის) ხელით მიწერილია: ქ. ახალი ყანდარს წიგნი ვახუშტის სამძიმრისა.

პატიოსნის თავის მოკითხვა მოგვიხს(ე)ნებია. მერმე: ვიცით, რომე ჩემს ვახუშტიზედ გულმტკივნეულათ იქნებით. მაგრა ღონ იცის, მე უფრო მტკივის გული, მაგრამ ბძანებასა მლთისასა რა გაეწყობის. ვახუშტი ჩვენად სამტირებლად გვეგულებოდა, რომ რაც ჩვენ მამაპაპათა და ბებიათა ჭირისუფლად ვსხდომივართ, ისრე ჩვენი ჭირისუფლობა იმისათვის უნდა გარდაგვეხდევინებინა, მაგრამ (მუ)ხანათმა სოფელმა არ დაგვაცალა და ასრე მოახილნა საქმე. ან ჩვენი მაგიერი გარდაეხადა და ან მისი ცრემლი გვლ(ი)რსებოდათ. ვიცით, მწუხარებით იქნებით და შავითა. შავის გამოსაცვალად ხალათი მიახლებია. კაბა დიბისა, თელაი სევანარიანი, ერთი ქამარბანდი, სარტყელი ზარბაბისა ყირმიზი, ერთი დოლბანდი თამამ ზარი\*, ნოღრაი მწვანე ერთი! თუ ჩვენი თავი გინდა, ეს ჩაიცვიო, რა ვქნათ, თქვენ გტკივს და ჩვენთვისაც მწველ სატკივარია მის ამ გვარად საქმე. ღმერთმან ნუღარა სამძიმარი მომცეს, ღმერთს მადლი მიეციო, სხვა არ ეკადრების რა. ხალათი ჩვენის მერიქიფის მანუჩარის ძმისწულის დავითის ხელით გვიახლებია.

შაჰნავაზ (ხ ვ ე უ ლ ა დ)\*\*.

## № 18

1707 წ. წერილი მეფე გიორგი XI-ისა საბა-სულხან ორბელიანისადმი

ქ. ჩემო სანახავად სანატრელო ძმაო, ბატონო სულხან! მრავალი მოკითხვა მომიხსენებია: მერმე: თუ ჩემს ამბავს იკითხავთ, მლთით უჭირველად ვარ. შენთან რომე აჰმად-ბეგს წიგნი მოეწერა, იმისი ქართული ეს მომიხსენებია: თუ გიჯობთ და ან გიმჯობინებიათ, თქვენ იცით და ქენით მანდეური და იქაური ამბავი ახლა მე აღარა ვიცი რა, თქვენ უკეთ იცით, რომელიც მოვიხდეთ, ის ქენით.

ქ. რაც კურთხეულის ვახუშტისათვის წიგნები მოგეწერა, ყველა შევიტყვე. ღონ კი იცის, ვახუშტის სიკუდილი ასრე მიძიმს, რომე იმ ტოლი შვილი დამარცხებოდა, შვილადაც მიძიანდა და ძმადაცა. მაგრამ რა ვქნა, ბძანება მლთისასა რა გაეწყობის. პაპუნას საუფროსოსი რომე მოგეწერათ, ახლა მე რომ კიდევ ერთი წიგნი დავწერო და გამოვგზავნო, რას აქნევთ ამისთანა წიგნსა? რაც ქართული! მქონდა, ყველა მდივანბეგის ერასტისათვის მომიწერია და, როგორც მომეწეროს ისრე ქენით. ვისაც ის წიგნი აქვს, თუ გაყრა უნდა, რას მალავს და თუ სახლიკაცობა უნდა და იმათ რას მალავს, რას გამოადგება? მეც-

\* თამამოზარი, საქ. სიძე, II.

\*\* verso-ზე პირშეკვეით. გვიანდელი ხელით მიწერილია: „შაჰნავაზის წერილი ერასტი ორბელიანთან. სამძიმარი და საჩუქარი“.



რომ არ ვიყო, ასრე გარიგებულია პაპუნას საუფროსო. სულ ქვეყანამ იცის. როგორც გარიგებულა, ისრე უნდა იქნეს და არც მოიშლება უსაცილოდ ნურავის ამის ფიქრი\* ნუ აქეთო\*\*. ბატონო სულხან, რაღას მალავთ, რატომ საჯაროდ და საბატონოდ არ იტყვიო? როგორც გარიგებულა\*\*\*, ისრე უნდა იქნას. თვარემ დაგიუინიათ ერთი წიგნი მოგვეც, იმ ერთის წიგნით რას გა(ა)კეთებთ? ძალიან ელაპარაკეთ და როგორა ქნან, ის მაცოდინეთ. თუ ჩემზედ მოაგდებენ და, მე ვიცი, როგორც უნდა იქნას. რაც ერასტისათვის მომეწეროს, ისრევე ქენიო. იმერეთს რომე უშვილო კაცი მოკუდეს, ის მამული ბატონის არის. ქართლში თუ უშვილო კაცი მოკუდების და მალ(ი) გაყრა მოხდა, ეგებ ანით იქნას და მიეცეს იმ სახლის კაცსა, თვარემ თუ დრო დაგვიანდა და ეს სახლის კაცმა გვიან გაიყარა, ბატონის მზემ, ბატონის არის უშვილოს კაცის მამული. თვარემ, რას ქვიან ამისთანა ქართული? რას ხნის გარიგებული საქმე არის, ვინ იცის! ვინ მოშლის ამ საქმესა. ამიტომ შეიქნა ჩემზედ ბატონი ლუარსაბ ქამ შალაბათი?, რომე ეს ამგვარად გარიგდა, სულ ქართველთ ასრე გა(ა)რიგეს. განა ახლანდელი საქმე არის, ძველი წესია, რას ემართლებოდენ, უფროსი კაცი იყო და თავის წილს ითხოვდა. მერმე ყველაყას მისცა.

ქ. ლექსიკონი გამოგეგზავნა და ნეტამც იმას მოსწრებოდა, ვისთვისაც გამოგეგზავნა, მე ის მიამებოდა. შენმა მზემა, ასრევე მიამა და გავეწყვე, რომე თათრულს წიგნზედ მივდგარვარ და კიდევ ვისწავლე, ლამის ის გამაშობინოს ამისა კითხვამა. ბევრი შენდობა მითქვამს და კიდევ გეტყვი შენდობასა. დიად, კარგი წიგნია და კარგადაც გავეწყვევ. ახლა ამ წიგნში ზოგი რამ ქართული სიტყვა არის. ვერ შემიტყვია. თუ ამას გარკვევით კაის ჯელად დამიწერინებ და გამომიგზავნი, კარგი იქნება. ეს ნუსხა არის, შენთვის კიდევ გექნება იმაზედ გარდამიწერინე\*\*\*\*, დიად დაგიმადლებ. ან რას პირით დაგუდგა საქმე ამისთანა საქმე იქნა, მაგრამ ბრძანება ღმრთისსა რა გაეწყობის, ჩემო ძმავე საბავ, ვახუშტის დამკარგავ(ს) ნუ მომიძულებ.

გიორგი (ხ ვ ე უ ლ ა დ)\*\*\*\*\*

ქ. ჩემ მაგიერ ნიკოლოზს, ყაფლანს, ზურაბს, ტეტის მრავალი მოკითხვა უამბეთ\*\*\*\*\*.

\* აქედან გრძელდება verso-ზე.

\*\* აქო — საქ. სიძე., II.

\*\*\* ვრიგებულია — საქ. სიძე. II.

\*\*\*\* გრძელდება განის აშიაზე სიგარძივ.

\*\*\*\*\* აქედან ტექსტი ნაწერია recto-ზე განის აშიაზე სიგარძივ.

\*\*\*\*\* recto-ზე ფურცლის თავში პირშექცევით მიწერილია სხვა (ალბათ დარესატის) ხელით: „საუფროსოზედ წერილი“.

1710—1713 წწ. წერილი კათალიკოზ დომენტისა ნიკოლოზ  
ალავერდისადმი

ქ. თქვენის ყოვლად ღთივ განათლებულისა და ღთივ განბრძნობილის თავის კეთილად მხსენებელი ბატონიშვილი კ<sup>წ</sup>ნი დომენტი მოგახსენებ, ჩვენო დიდო სასოო და დიდად სიქადულად საგულევებლო, ჟამ ყოველ საკეთილოდ ტკბილად და საყვარლად ქებით სახსენებელო და არაოდეს არ დასავიწყარო ამბა ალავერდელო ბატონო ნიკოლოზ! მრავალი თქვენის ყოვლის სამღთო საუწჯისა და ანგელოზთა თანაზიარის თავის მოკითხვა და ღთისა მიერი ლოცვა-კურთხევა, დაცვა-დაფარვა მოგვიხსენებია. მერმე: გვიბძანეთ თქვენი კარგად ყოფნის ამბავი, ღთით კარგად უქირვებლად ბძანდებოდეთ. მერმე — ეს მოგახსენოთ: ახალშენს ერთს საგლეხოს მიწობლიძე თავის სამკვიდროობით ლაპარაკობდა და მანდ სამებელს სამართალი ექნა და ახალშენელთათვის ფიცი დაედვა და ახალშენელთ სახასოდ გამოეფიცათ. ახლა მიწობლიძეები მოვიდნენ და იმ თავის სამკვიდროს მამულის წყალობა გეტხოეს, და უბოძეს ამისთვის უფრო, რომე მაგ ბატონებისა ერთგულნი და ნამსახურნი არიან და ამის გულისათვის უარი აღარა. უთხარით რა, ახლა ასე გავიგონეთ, რომე ბატონს სწყენოდეს ამ საგლეხოს მიცემა მიწობლიძისა. თქვენც მოგეხსენება, თუ ღითი და ახალშენი როგორ სახასოდ შემოწერილი არის. ჩვენ ეგ როგორ გვეგონა, მიწობლიძის წყალობა ბატონ (verso)-ს ეწყინებოდა. ჩვენ მაგათს საწყენს მწვე დიდად მოვერიდებით და ან სანამ პირში სული გვიდგს, მაგათს საწყენს საქმეს არცარასა ვიქთ. ბატონს ავად გასინჯვა და ამას მოგელით, რომე თქვენ მაგიერ ბატონს ყველა კარგვარად გაასინჯოთ, რომე მიწობლიძეებს მაგათვან ეს წყალობა არ მოეშალოს\*.

1718—1724 წწ. წერილი ვახტანგ მეფისა თინათინისადმი

ქ. თქვენის მაგვარის მოულოდნელი (გან)\*\*საცდელისა და გახარების ამბავის სმენისათვის დიდად წყინებული მეფე ვახტანგ ვიკადრებ,

\* დასმულია მურის ბეჰედი ოთხკუთხა ფორმის, ზემო ნაწილში გამოსახულია სვეტიცხოველი, ანგელოზი და ჯვარი. ქვემოთ ორ სტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „კ<sup>წ</sup> მამთთავარი დომენტი ქრისტეს აქეთ ჩღე“ (1705 წ.).

ა. ბაქრაძე აღნიშნავს, რომ ასეთი ოთხკუთხა ბეჰედი, ასეთივე ლეგენდით (იგი კითხულობს ქ<sup>წ</sup>ს აქეთ ჩღე) გვხვდება 1710—1713 წწ. საბუთებზე (ა. ბაქრაძე, № 919. ფოტო ამგვარი ბეჰედისა არა აქვს).

\*\* ფრჩხილებში ჩასმული ასოები ღედანს შემოკვეთილი აქვს.

ჩვენო არაოდეს და არდასავიწყარო ნი(ადაგ ჟა)მ მოსაგონარო, სახსენებლო, ყოვლის სიკეთითა და სწავლით მოუკლებარო, ყოველთა ბანონათა ზნითა და ქცევით მოუკლებარო, დაო ბატონო თინათინ. მრავალი თქვენის შეწუხებულის თავის შესაფერი მოკითხვა მოგვისსენებია. მერმე : თქვენი ამგვარი ამბავი გავიგონეთ და ღიდად გვეწყინა და დაგვიმძიმდა უკაცრაოდ დაგრჩით, რომე რომელიც გემართებდა, იმგვარად ვერ გავისაჯენით. მაგრამ ჩვენი საქმე თქვენც კარგად იცით. ღთს შეწევნით თუ ღთნ მშვიდობა ქნა, რომელიც მართებულია, ვეცდებით. მერე ჭალა რომ გაქვს, სანამდისი(ნ) ცოცხალი ბძანდებოდეთ, რა გორადაც გქონიათ, ისევე გქონდესთ და იმსახურეთ. ღთნ ნუ ქნახდა, თქვენს უკან პაპუნასათვის გვიბოძებია და ამას ქონდეს.

ვახტანგ (ხ ვ ე უ ლ ა დ)\*.

№ 21

1715—25 წწ. წერილი მაჰმადისა ელიზბარ-ბეგისადმი

ქ. მაჰმად მოგახსენებ, რომე ისპაჰანიდამ წიგნები მქონდა, გამოგიგზავნე. თქვენ რატომ არ მობრძანდებით, ამ ქვეყანას არ ნახავთ ალბათ და მაგას ნუ იქთ, რომ არ მობრძანდეთ. რა ერთს ხანს გეპრიანებათ, აქ იყავით. აქაური სამართალი უყავით. საჩივარი გაიგონეთ. მას უკან ვისაც გინდა, უბოძეთ. მამამაც აგრე მოგახსენათ, (რომ) თქვენც მობრძანდეთ, ხელთ ნაქნარი და ან ქორი და შევარდანი იყოს, რომ ჯანიშინისთვინ და ვეზირისათვინ და ქალანთარისათვინ მოგინდებათ. ბატონისაგან წიგნები აიღევით, ვეზირსა და ჯანიშინთან წამოსვლას ნუ დაიშლებთ. მამათქვენსაც წიგნი დაუწერია, ჩემი რაღაც მართებს, მისთვის თუ ტყვეის მამცემთ, მიბძანეთ, მანდ გიახლებით ან კაცს გამოგიგზავნი. თუ არადა, ვინც თქვენი კაცი მოვა, ბარათი გვიბოძეთ, რომ აქავ არ ————— \*\* რომ ორის წლის მუსავალი მე უნდა მამცენ.

№ 22

1716—24 წწ. წერილი დედოფალ ელენესი, ერეკლე I-ის ასულისა, ვახტანგ VI-სადმი  
ვახტანგსი

ქ. მალლისა ღმთისაგან ღირსად და სამართლად ამალლებულ-ალმატებულ ალორძინებულსა საქართველოს ძალსა და ბურჯსა, ძლიერსა და

\* verso-ზე პირშექცევით მიწერილია სხვა ხელით: „ვახტანგ მეფის მოწერილი იმაში ...რს. ბ...ო.

\*\* აქ ორი-სამი სიტყვა აღარ გაირჩევა.

უძლეველსა, ოთხთა ყურეთა ქვეყნისათა სახელგანთქმულით სამკობარ საქებელსა, მიწებრ სატკებნელი შვენიერისა ფერხისა მათისა, მათ მიერ ჩვენდა უღირსად ძითურთ! შეწყნარებული არა მკადრე სძლიობისა დედოფალი ელენე<sup>2</sup> ვიკადრებ და მოვახსენებ. მდივანო, ჩვენ მაგიერად ჩვენსა დიდად ღმთის წყალობად მოწყალედ ხელის ამპყრობლად და მრავლის კეთილისმყოფლად შემნახავ შემწყნარებლად ღმთისა მიერ მონიჭებულსა მეფესა, ყოვლად ყოვლითურთ პატიოსანსა მეფესა ძირთავან იესესთა, კეთილყვავილოვნად შვენიერად აღმოფრჩენილსა, დავითის ნერგსა ვენახსა და რტოსა, სოლომონის სიბრძნის სისრულესა, მეფესა კვიპაროზებრ ამალღებულსა, სვესვიან ბედნიერსა, მეფესა ანდამატებრ მტერთა ზედა გულუშიშრად მძლესა და არ ვისგან ძლეულსა, მეფესა სიუხვის მოყვარულსა და სიძუნწის მოძულსა, მეფესა რომელსა მისცა ღმერთმან სარწმუნოება, სასოება და სიყვარული, მეფესა ერთგულთა და მეყვისთა ლხინსა, მტერთა და ორგულთა ჭირსა და რისხვით ცვილებრ დამდნობელსა, მეფესა ჭრივთა შემწესა, ობოლთა გამომზრდელსა, შიშველთა სამოსელსა, უღონოთა და უპოვართა ხელის ამპყრობსა, უსახლოთა სართულსა, გლახაკთა ნავთსაყუდელსა, ქრისტიანობის გოდოლსა უძრავად დამყარებულსა, გრძლად რალა თავი ვაწყინოთ, უსწოროს დიდის კელმწიფის ყაენის სპასალარსა და თავის სწორად პატივცემულსა, და ადრიბეუანის ბეგლარბეგსა, საქართველოს მეფეს პანკრატიონთ მეფობის მიმღებსა, ჩვენს მოწყალეს პატრონს ჩვენს მეფეს\* რაც ოდენ ჩვენავ იკადრებოდეს, პირი მიწა გაერთებით მოწიწებ მორიდებით ქედდახრით, თვალგანმარტებით, ხელმოქდობით, გულით ერთგულობის სამსახურის წადილი და კარგად ყოფნის სიხარული და შვენიერს ხელს კოცნა მოახსენეთ.

მერმე : ეს მოვახსენოთ : ამდენი ხანია ასრე თავს ვაწყენთ, მაგრამ ჩვენის თავის უიმედოვნესი და უმკვიდრესი მაგათ მეტი ვინ უნდა გვეყვანდეს. ჯერ ღმრთისათვის და მერმე ქვეყანაშიდ სახელისათვის, თვარემ ან აქამდი და ან ამას იქეთ რა უნდა ვმსახუროთ დედა და შვილი, რადგან ხელად შევევარდნივართ. ამას ვეხვეწებით, რომ მოწყალეობის ხელი არ აგვადონ ჩემს უმოწყალოს ნიკზს<sup>3</sup>. ხელი არ ააღონ მაგათმა გამარჯვებამ, მაგათგან პატივის ცემას ვინც შეიტკბობს, მაგას სხვა სიკეთე ამ სოფელს არა უნდა რა, ვსეც არ იკადრება. თვარემ სხვა ჩვენგან რა მოეხსენება ბატონს\*\*.

\* დატოვებულია ადგილი ადრესატის სახელისათვის. დატოვებულ ადგილას ტირეებია დასმული.

\*\* შურის ბეჭედი ელიფის ფორმის. შუაში ჯვარის გამოსახულებით, ვარშემო წარწერით: „ღედოფალი ელენე ბუგუმ“.

1710—24 წწ. წერილი მიწერილობა ვახუშტი ბაგრატიონისა ზაალ ფარეშთუხუცესისადმი

ქ. ბატონიშვილის ვახუშტის დიდო იმედო, დიდათ იმედათ მისა-ჩენელო, ჩვენი აროდეს არა დასავიწყარო ფარეშთუხუცესო ზა(ა)ლ, მრავალი მოკითხვა მოგვიხსენებია. მერმე : ამ ჭავახიშვილს ფარემუხს და ნიკოლოზს ბატონმა ხელახლა განაჩენი უბოძა, რომ რაც დღეს ჰქვიროს მამული და მიწა არა უქვირავს, მის მეტთან გოშპარს ხელი არა აქვსო. ნურცარა ხელი ყარაღაჯში აქსო და ნურცარა ხანდაგშიო. ახლა ბატონმა ხომ ასე უბოძა განაჩენი და ჩვენც ასე შემოგვითუღია, რომ როგორც ამ ფარემუხისა და ნიკოლოზ(ის) (განა)\* ჩვენში ეწეროს, შენც ისე გა(ა)რიგე [ყარაღაჯთა]ნ და ხანდაქთან გოშპარს ხელი არა აქუს და რაც დღეს ჰქვიროს მამულიდან მიწა ჰქონდეს იმათი, ის გოშპარს და(ა)ნებე. სხვასთან ხელი ნუ გაქუს. თვარემ ბატონიც მწვე გიწყენს და ჩვენც დილა(ც) დაგემდურებით, იცოდეთ\*\*.

## № 24

1720 წ. შემდგომი ხანის წერილი იმერთა მეფე ალექსანდრე V-სა ვახტანგ ფალავანდიშვილისადმი

ქ. მაგათის კარგად ყოფნის მდომი მეფე ალექსანდრე ვიკადრებ, მესტუმრეო! ჩვენ მაგიერად ჩვენსა დიდსა იმედსა, დიდად იმედად ლთის წყალობად მისაჩენელსა : ჩვენგან : და... ყოველი საყ(?)თო და სამსა(ხ)ვრისა და აროდეს არ დასავიწყარისა ფალავანდიშვილს, დარბაზის პატრონის ძმას ვახტანგს მრავალი მაგათისა კარგისა თავის შესაფერი მოკითხვა და ამოდ ყოფნის სიხარული მოიხსენეთ. მერმე: წიგნი მოგეწერათ და, რომელიც გებრძანათ, გავიგონეთ : ჩვენი შანა და იმედი გეთხო (verso) ვნათ და ხომ ძმა ხარ და ნათესავი, ჩვენგან რა შანა და იმედი უნდა გინდოდესთ? ჩვენს ქვეყანაში ვინ იქნება მაგისთანა, რომ თქვენ რამე გაწყინოს, ვინც ჩვენი ხელმორჩილი კაცი არის, ვერას გაწყენს და, ვინც ჩვენი უამური არის, იმას თქვენც ერიდენით\*\*\*.

\* აქედან გრძელდება verso-ზე პირშექცევით.

\*\* დასმულია მურის მრგვალი ბეჭედი ასომთავრული ხეული წარწერით: „მონა ლთისა ვახუშტი“.

\*\*\* დასმული აქვს ოვალური მურის ბეჭედი 5-სტრიქონიანი მხედრული წარწერით: „ლთით ვიქმენ მეფედ შე მონა სახელად ალექსანდრე 1720“ (ა. ბაკრაძე, № 144).

1720 წ. დასაწყისის წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ  
VI-ისადმი

უსეინყულიხანი!

ქ. მაგათის ბედნიერისა და ბედნიერ ნიეთ-ეტლ-ბურჯ-კამართა ზე-  
დან დაბადებულ-აღზრდილისა, სახელოვანისა, ურიცხვად სახელკეთი-  
ლობით განთქმულისა, ლთისაგან სამართლად მრავალ-წყალობა-გან-  
მრავლებულისა და პატივ-საფარველ-მინიჭებულისა, სატრფიალოდ გა-  
მოჩენილისა, სიკეთემიუწდომელისა, ყოველთან ენა მოძრავთაგან დი-  
დად საქებელისა და ყოვლითურთ საჯელმწიფოთა სიბრძნე, სწავლა.  
შეცნიერ(ო)ბა, სიმკნე, სიუხვე, სიმდაბლე, მოწყალე ყოფითა და საღ-  
მართო-საერო ფილასოფოსობა უნაკლულოსა და ყოვლისა საჯელმწი-  
ფოთა ქცეუითა აღმკვლსა, იესეს ძირსა, დავითის ნორჩსა, სოლომო-  
ნის ნაყოფსა, კულად სოლომონისებრ მსგავსადვე დასაბამსა სიბრ-  
ძნისასა, ხოლო იოსებისებრ კეთილ შვენიერსა და პირველ ყოფილი-  
სა, მის კარვისა საწამებელისა ახლისა ბესელიელ ჯელოვნისა უგონე-  
რესისა სიყრმე, სიკეთე, სიქველე, რიტორს სიტყუა ემა კეთილი განსრუ-  
ლისა, დიდისა ჯელმწიფისაგან ღირსად პატიოსნად გამოჩენილისა, ძმუ-  
რებ და შვილურებ მიჩნეულისა და მის მიერვე კეთილმზედველობით და  
ჯერჩინებით მალალსა ტახტსა ზედა მპყრობელად მჯდომარესა და ლთისა  
განგებით მეფედ ცხებულსა, ტომსა დიდებულთა, მათ მეფეთასა და მათ  
მიერვე რტო ნორჩად აღმოცენებულსა გრძლად რალა კვადროთ ჯელ-  
მწიფეთ ძესა და (ა)წ თვით ჯელმწიფესა, საქართველოსა მპყრობელ-  
მართებელ-განმწესებულსა, ძმასა ჩვენსა მეფესა ბატონს\* მეფე იმამ-  
ყულიხან მოვასხენებთ: მარავალი (sic) მაგათის სიყრმითგანვე ლთისა  
განგებით ზეციერთა პატივ-დიდებათა მინიჭებულისა და ჩვენთვის დი-  
დათ ზურგად და იმედად და ნუგეშინის მცემლად მონიჭებულსა, სა-  
ნახავად სალერსოდ (sic) დიდად სანატრელისა, ყოვლის ქება დიდების  
წარმოთქმის ღირსისა და ჩვენ მიერვე დღითი დღე და წამ-წუთ საქე-  
ბარ სადიდებელის თავის საკადრისი მოკითხვა, კარგად ყოფნის სუ-  
ფევა, გონების თვალთ მარადის მხედველობის წადირება და ჰამოდ  
ყოფნის სიხარული მოგვიხსენებია\*\*.

\* ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი სახელის ჩასაწერად.

\*\* აქედან იწყება წერალის ძირითადი შინაარსი. დედანში იგი იწყება ახალი  
სტრიქონით.

მერმე: ჩვენი ეპისკოპოზი ქერემელი გრიგოლი<sup>2</sup> გვიახლებია. სხვას ჩვენს სიტყუას ეს\* მოგახსენებთ, ამისათვის დაგვიბარებია, სხვა ერთი ეს მოგახსენოთ: ღთის მის წყალობას მოგცემსთ, როგორადაც ჩვენთვისცა, მათთვისაც სასიამოვნო ეს იყოს, რომ ჩემი ძმა<sup>3</sup> და ბატონი ჩემ რძალი<sup>4</sup> მუდამ თქუენ გახლდენ და, რადგან ღთით ჩვენში ერთობა არის, — აგრეც იქნება. მაგრამ, რადგან ამთენი ხანია, რომ ბატონი ჩემი რძალი თქუენ გახლავსთ, მაგათის აქ წარმობრძანების\*\* დრო არის. ჩვენც ამთენს ხანს მაგათი უნახაობა მწვედ შეგვაწუხებს. ამ კელად რუსხათი<sup>3</sup> უბოძეთ, წამობძანდეს და, როდისაც უბძანებთ, კიდემ ღთით ადრე გეახლებათ. ამის უარს ნუ ბრძანებთ, რომ ამ კელად მაგას რუსხათი არ უბოძოთ\*\*\*.

## № 26

1720 წ. დასაწყისის წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი

ლ[მერ]თო!  
უსეინყულიხან!

ქ. მაგათის მღ(ვ)თისაგან სამართლად ცნობილისა და დიდისა ზე-შთაღმატებულის კელმწიფისაგან მოწყალის თვალით დანახულის და უხვად წყალობაბოძებულის, სახელოვანის და ყოველს ქვეყანას ვმა-აღმატებით სახელგანფენილის და ყოველის პატიოსნობის მქონებელის, თავის კარგად ყოფნის დიდად უზომოდ მონატრე მეფე იმამყულიხან მოვახსენებთ ჩვენსა დიდსა იმედსა და დიდად იმედად ღთის წყალობად ლხინ-სიხარულ-პატივ-საფარველად მოსალოდნელსა, ჩვენსა უანგარიშოდ კეთილ მყოფელად საგულევებელსა და ყოველის ფილასოფოსობით მოუკლებარსა. გრძლად რაღა მოვახსენოთ მეფეს ბატონს\*\*\*\* მრავალი და აღურაცხელი მაგათის სიკეთით ვმაგაწეულისა და სწავლა მეცნიერობით აღსავსის და მღთის მოყვარის თავის საკადრისი მოკითხვა და მათ ნება-წადილზედ ბძანების გაგონების სიხარული მოეხსენოსთ.

\* „სიტყუას ეს“ დაწერილია იმავე სტრიქონზე დაწებებულ პატარა ოთხკუთხ ქალღზე. ამ ადგილას სხვა სიტყვა წერებულა, სინათლეზე გახედვით ჩანს, მაგრამ არ იკითხება.

\*\* აქედან გრძელდება განის აშიაზე.

\*\*\* ფურცლის უკანა მხარეს, იმ ადგილას, სადაც ზედა პირზე ტექსტი მთავრდება, დასმულია მურის ოთხკუთხა ბეჭედი. ბეჭდის შუაში ხვეულად აწერია: „იმამყულიხან“, გარშემო: „მნა ღთისა მეფე დავით“ (ა. ბაქრაძე, № 90).

\*\*\*\* ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი სახელის ჩასაწერად.

მერმე ეს მოვახსენოთ: მანდ რომ გახლდით, ხომ ქვემოთი ალაგების გაჭირვება<sup>1</sup> დარბაისელთ ყველა თვითან მოვახსენესთ და ჩვენსაჲ (მ(ა)ნდ ყოფაში ორ-სამს ალაგს მოკლდომოდენ. რომ მოვედით, თქვენის ჯარის ჩამოსვლა ქიზიყს შეუთვალეთ და ხომ ჯარმა დაიგვიანა, გონებოდათ აღარ მოვაო. ჩვენი ჯარი ზოგი იქ იყო და ზოგს კიდევ ვგზავნიდით, მაგრამ ეს პასუხი მიეცათ: „კახეთი სრულ სარათი<sup>2</sup> არისო, ყველგან ჯარი უნდა იდგესო, მარტო კახეთის ჯარით ვერ გავმაგრდებითო“. ამაში აყრილიყვნენ ქიზიყი, სავანაძო და საენდრონიკოიანო. აქ კარს მოგვადგენენ, ცოლ-შვილი აქ დაყენეს და ჩვენც იქ წასვლას გვეპატიჯებიან და თვითონაც თავც(ა)ც(ა)დ წასვლას აპირობენ და ჩვენგანაც წაუსვლელობა აღარ იქნება. უნდა წავიდე და ამისას თქვენ რას ბრძანებთ. აწე ეს მოვახსენოთ: მანდ ზოგი აყრილი კაცი ჩამოსულან და ახლავე ადრე ბატონმა იასაული დაყენოს. ეგენი აყაროს, მაგათმა იასაულმან წამოასხას და საგარეჯოს მოურავს მოაბაროს, რომ ეგენიც სხვ(ა)ს ქიზიყელთან დაყენოთ, თვარემ, თუ ეგენი ახლავ არ ააყრევინეთ, სხვანიც ბევრი წამოვა: ქვეყნის დაცლა არა სჯობს. ბეჯითი კაცი დაყენეთ და გამოგზავნეთ და ერთიც ეს მოვახსენოთ: ბატონმა ყადაღით<sup>3</sup> მრავალი ტყვია-წამალი უბძანოს, რომ აქ თელავს მოიტანონ, რომ ჯარისკაცმან თავიანთ ფასით იყიდონ. ტყვია-წამლისაც ადრე გამოგზავნა ბძანონ და აყრილის კაცისაც ადრე აყრუ სჯობს\*.

## № 27

1720 წ. წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი

უსეინ(ყ)ულისხანს!

ქ. მეფეს ბატონს აქაური ამბავი ეს მოვახსენოთ: ჩვენ თქვენის ჯარის დასახედავად და მათის რიგიანად საქმის გასარიგებლად წამოვედით. ორშაბათს რომ კალაურში მოვედით, ჩვენმა ყარაულმა ამბავი მოიტანა: „ალაზნანს ლეკის ჯარი გამოვიდაო“. ჩვენ თქვენის ჯარის თავს დასხმისა და მათს სიახლოვეს მოკლდომის ფიქრი ვქენით. იმავ ღამეს თავადისშვილები ქვეითის მეთოდის ჯარით მივაშველეთ. სამშაბათს დილას იმათთან ჩაშველება გვინდოდა. ქანარა რომ დააყვირეს, იმ დროს კიდევ სხვა ყარაული მოვიდა: — ლეკის ჯარი იორზე მოვიდაო და, რადგან იორზე მოვიდაო, ლაშქარს და მის გარეშემოს ალაგებს ველარ მოხვდებო, ზემოთ შესცილდენო. და ვინცავინ

\* verso-ზე დასმულია იმამყული-ხანის ბეჭედი (ა. ბაქრაძე, № 90).



ალაგის ბელადი თავადისშვილი გვახლავს, ყველამ ეს მოგვახსენა: — ეს ჭარი ან საგარეჯოს, ან მარტყოფს და ან უჯარმას და უფრო საგარეჯოს მიუტღებთაო“. ჩვენ შევსხედით და სამშაბათს სალამოს. ოთხი საათი რომ დამისა და გასულიყო, გიორგიწმინდას მოვედით. ჭარს აქ მოველით და ეგების მარტყოფს ან უჯარმოს მოვიდეს, თქვენც ბძანებდით ხოლმე: ლეკის ჭარი რომ შუა ჩაივადოთ, კარგი იქნებოდა და პასუხიც კარგად გაეცემათო. ახლა ესენი ნაპირის ალაგს სადაც მივლენ, შუა ჩამოვარდნილი შეიქნებიან თადბირი და რჩევა თქვენს უკეთ\* არავენ იცის და, რადგან ესენი თქვენზედ ასე ახლოს მოვლენ და ჩვენც პირაქათ ვართ, თუ ახლა ესენი უპასუხოდ გაბრუნდნენ, კულავ უფრო ძალიანს საქმეს გაბედავენ. ჩვენ რომ აქათ წამოვუდით, თქვენს ჭართან კაცი გავგზავნეთ, — ჩვენი აქ წამოსვლა შევატყობინეთ — და ჭერ არ შემოგყვრიან (sic), ზოგი ჩვენი ჭარიც იმათთან არის, პირველ რომ ამ ლეკის ჭარის ამბავი მოგვივიდა, მაშინვე საგარეჯოს ნაცვალი გაახლევიტ და ჭერ არ მოსულა. ახლა თქვენი ამბავი აქ საგარეჯოს გვიბრძანეთ\*\*.

ქ.\*\*\* ეს წიგნი ღამითვე დაიწერა. დღეს ოთხშაბათს დილას, აქ საგარეჯოს, დიად, მოლოდინი გვქონდა. სადილობაც გარდვიდა, რომ არსად რა ამბავი გამოჩნდა. ორმა რიგმა ყარაულმა ჭარის გამოსვლა უეჭველად მოგვახსენეს და, ეს არ ვიცით წვიმამ დააბრუნა, თუ სადით წავიდნენ, — არ ვიცით. მოამბები გავგზავნილია.

## № 28

1720 წ. წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი

### უსენიყულიხანს!

ქ. მეფეს ბატონს ეს მოვახსენოთ: ჭარის ამბევები ხომ უწინვე მოგახსენეთ სამრიგად და ჭერ ამბავი არ მოგვსვლია. ეს ლეკის ჭარი დღეს ხუთშაბათს დილას პატარძელს მოუტღენ. სოფელი უწინვე გამაგრებული გვქონდა, მეთოფე მიგვეშველებინა და იმ ჩვენგან მიშველებულმა მეთოფემ არ შეუშვეს. ვერც ტყვე, ვერც საქონელი ვერ წაიღეს რა. სოფლის ბოლოს სადგომები დაწვეს. იმათ ბევრი კაცი მოუკვდა. ჩვენგან მიშველებულის ჭარიდამ ორი კაცი მოუკვდა (sic). სხვა ვერა ქნეს რა, ამრიგად გაბრუნდენ. ახლა ეს მოგახსენოთ: რადგან ორსავ საქართველოს ბატონებს შუა ჩამოგვიცვიდნენ, თქვენზე-

\* აქედან verso-ზე.

\*\* დასმულია იმამყული-ხანის ბეჟედი (ა. ბაქრაძე, № 90).

\*\*\* ეს ამბავი დაწერილია recto-ს არშიაზე.

დაც ასრე ახლოს მოვიდენ და ჩვენზედაც, თუ ახლა ამათ ასე უკლამოდ გაუშვებთ, სხვას უარესს საქმეს გაბედვენ. ჩვენი ჯარი სულ ამ ნაპირის ალაგის სოფლებში ალაგების გასამაგრებლად დაფანტული გვყავს. იმათაც შემოვიყრით. ძალსა და ქომავს თქვენგან ველით. ქალაქიდან მომშველბელი ჯარი დღეს აქ ჩვენთან მოაწევს და დროიანად და ღ[ვ]ით, ადრე, მის დროს, ხვალ ამათი ომი კარგს დროს მოკდება. ბაზიერთუხუცესი ბეჯან გვიახლებია. წიგნის სუბუქობაზედ უკაცრავად ნუ ვიქნებით — საჩქაროდ დავაწერინეთ. ეს ჯარი ხომ წავიდა, წყნარ-წყნარა მიდის, ჩვენ მკარდამჯარ ავეყვით, თქვენს ჯარსაც შევეყრებით და თქვენი იმედიცა გვაქვს\*.

№ 29

1720 წ. ზაფხულის წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი

უსეინყულიხანს!

ქ. მაგათის ყოვლად მეცნიერისა და საღთო-სახელმწიფო ზნეკეთილობა მდიდრად გარმოზღუდვილისა და ჩვენთვის მრავალ-პატივსაფარველად და უანჯარ-შოდ კეთილის მყოფელად მოსალოდნელის, პატიოსნის თავის დღე ყოველ ქება-დიდების წარმომთქმელი და ხლებისა და მუსაიბობის მოწადე მეფე იმამყულიხან მოვახსენებ ჩვენსადიდ ღ(ვ)თისწყალობად მოსალოდნელსა და ზურგ საიმედოვნოდ საგულებელსა, ყოვლის დიდებით წარჩინებულსა და ქების უაღრისად სახელგანფენილსა, კეთილთა ძირთაგან შესატყვის რტოდ სარწმუნოდ აღმოფურჩუნილსა ძმას, მეფეს ბატონს\*\* მრავალი და აურაცხელი, მაგათის ღთისაგან კეთილსაფარველ-მინიჭებულისა და დიდისა და ზეშთაღწევილის კელმწიფისაგან უზვად წყალობა, გარდამეტებულის თავის მოკითხვა, უენებელად მათს ნება-წადილზე სუფევის წადიერება და მუდამ დაუღვენელად კეთილის ამბვის სმინების ნეტარება მოგვიხსენებია.

მერმე ეს მოვახსენოთ: მაგათს ჯარს მაგათგან დაბარების ამბავი და წიგნი მოსვლიათ და აქადამ წამოსვლას აპირობენ. ქვეყნების ამბავი, მუდამი ბრძოლა და ლეკის დღე და დღე გაძლიაება და ყოვლის კუთხის ქვეყნების რბევა და ძალის დატანება ხომ მრავალჯერ მოგვიხსენებია და ესეც ხომ მოვახსენეთ, რომ, თუ ამავ ზაფხულ თქვენისა და ჩემის გარჯით ქვეყნებს არ შევიინახავთ, ლეკნი უფრო

\* verso-ზე დასმულია იმამყული-ხანის ბეჭედი (ა. ბაქრაძე, № 90).

\*\* ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადვილი სახელისათვის.

ბევრს ავს იქმენ და ქვეყნებს დასუსტებენ მეთქი. ახლა რა ეს თქვენი ჯარი აქ მოვიდა, ვითაც კახეთის ჯარი მუდამ სარათებში<sup>1</sup> დგანან და იბრძვიან, ახლა კიდე უფრო ბევრი ჯარი ზოგი ამ თქვენს ჯართან და ზოგი სარათებში დაეაყენეთ და ამ ჯარების იმედით ხიზანი ისევ თავიანთ ალაგებში მივიდენ და ქვეყნებს იმედი მიეცათ. ამ დროს სხვის ჯარის მოუსვლელად რომ ესენი აქადამ წამოვიდენ, ურიგო საქმე იქნება. ქვეყნებს საქმე გაუჭირდება, უიმედოთ გაკდებიან და ლეკნი რომ ამას შეიტყობენ, უფრო გაძალიანდებიან და ქვეყნებს რბევას მოუმატებენ. რადგან თქვენ ასე გვიბძანეთ და ჩვენც იმ პირობაზედ ვართ, რომ როდისაც ერთს რიგს ჯარს თავიანთი ყავლი გაუთავდებათო, მეორეს რიგს ჯარს გამოგზავნითო, მეორე რიგი ჯარი რომ მანდ მოვიდესო, მას უკან ეგ ჯარი წამოვიდესო, ახლაც ასე მოაჯდინეთ. ამათ წიგნი უბოძეთ, რომ მანამდინ სხვას ჯარს გამოგზავნიდეთ და აქ მოვიდოდეს, მანამდი, ესენი აქ ყვენენ, ქვეყანა ცარიელი არ დარჩეს. ჯერ ხომ ერთი თვე არ არის, რომ ესენი აქ არიან, არც არა მისჭირებიან. სხვის ჯარის მოსვლამდი ამათ აქადამ ნუ დასძრავთ. ეს ჩაფარი აღრე გამოაბრუნეთ, რომ თქვენმა წიგნმა ამ ჯარს აქავ მოუწსრას\*.

## § 80

### 1720 წ. ივნისის წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი

#### უსეინყულიხანს!

ქ. მაგათის სახელოვანისა ურიცხვად სახელ-კეთილობით განთქმულისა, მღთისაგან და მალლის კელმწიფისაგან სამართლად მრავალწყალობა-განმრავლებულ მონიკებულისა და პატივ-საფარველ-აღმატებულ-აღწევილისა და სატრფიალოთ გამოჩენილისა და სიკეთე მიუწოდებლისა და ყოვლითურთ საჯელმწიფოთა ზნითა და ქცეულებითა და აღმკულისა და პირად-პირადად შემკობილისა, იასიან (sic) დავითიან-სოლომონიანისა, კულად მსგავსადვე სოლომონისა სიბრძნითა სადგურისა და ფილასოფოსობა-მოუკლებარისა, საქართველოს მპყრობელ-მართებულსა ძმასა ჩვენსა მეფესა ბატონს\*\* მეფე იმამყულიხან მოეახსენებთ. მრავალი მაგათის ყოვლის ქება-დიდების ღირსისა და ჩვენ მიერვე დღითი დღე საქებარ-სადიდებელისა ზურგად. და იმედათ საგულეებელის, თავის საკადრისი მოკითხვა, კარგად ყოფნის

\* verso-ზე ამ ადვილას დასმულია იმამყული-ხანის ბეჭედი (ა. ბაქრაძე, № 90).

\*\* ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი სახელისათვის და დასმულია სამი ტირე.

სუფეუა, გონების თვალთ მარადის მხედველობის წადიერება და ამოდ ყოფნის სიხარული მოგვიხსენებია.

ვიციტ კელმწიფის კარის ამბავს იკითხავთ, და ჩვენი ჩაფარი მოვიდა, კელმწიფეს ერთი რაყამი ებოძა სამახარობლოდ: „სპასალარის ჯარი და მირვეისის შვილის ჯარი შეიბნენო. ღვთით, სპასალარის ჯარს გაემარჯვა და მირვეისის შვილის<sup>1</sup> ჯარისაგან დიად ბევრი ჯარი დახოცესო და სპასალარიც მირვეისის შვილის შესაბმელად წავიდაო. მირვეისის შვილი გაიქცაო და ყანდარს მიმართაო და სპასალარი უკან მისდევსო და მირვეისის შვილი კი გაექცაო და ქირმანი კელმწიფის თასარუფში<sup>2</sup> მოვიდაო“. მეორე რაყამი ებოძა, ეს ეწერა: „საქართველოს ვალსა და შენ რომ ერევის ხანის ლეკზე სალაშქროდ გამოგზავნა მოგეხსენებინათო, ღრევის ხანის გამოგზავნა არ ვარჩივთო და იმის მაგიერ ეთმადოვლეს ძმისწული ქალბალიხან გამოგზავნეთო, შირვანის ბეგლარბეგობა უბოძეთო. იმან შირვანის ჯარი უნდა მოასხასო და ყარაბაღის ხანი თავისის ყოლბეგებით<sup>3</sup> უნდა მოვიდესო და მულამის ხანო. ყიზილბაშიდამ ეს ჯარები გვიბოძებია და ორივე ვალები ჯარით ერთათ შეიყარენითო და ლეკს თამბა<sup>4</sup> უყავითო“. ღთმან კელმწიფის ღლე ერთი ათასად ქნას, რადგან თქვენი და ჩვენი მოხსენება გაიგონა და ქვეყანას ყური მიუგდო, მანამდი ეს ჯარები შეიყრებოდეს, ქვეყანას ცარიელს ნუ დაგდებთ, რომ ბტერმა ეგების ველარა შეიძლოს რა. რადგან, რომელიც შერიგებაში ჯარი გვიბძანეთ, და ახლაც მოგეწერათ, მაგათ ნულარ და(ა)გვიანებთ, ადრე გვიბოძეთ, რომ მღთით ქვეყნები გავამ(ა)გროთ. მუშუობა (sic) და მკა მოეჯარა, ახლა ეჭირება სიფრთხილე\*:

## № 81

1720 წ. შემოდგომის წერილი დავით II იმამყული-ხანისა ქახტანგ VI-ისადმი

უსეინყულიხანს!

ქ. მაგათის ღვთივ დიდებით დიდებულისა და კეთილ-თვისტომთა მათთა შესამსგავსად სახელ-სიკეთე-განმრავლებულის, სიბრძნე-მეცნიერებით აღვსილისა და ყოვლის საკელმწიფოს ზნით პირად პირადად აღმკულის, ჩვენთვის მრავალ ღ(ვ)თის წყალობად და კეთილის მყოფლად საგულეებელის, თავის ეამითი ეამად დაუცადებლად სიკეთით მხსენებელი და იმედოვნობით მგონებელი მეფე იმამყული-ხან მოვანსენებ თქვენს დიდად პატივ-საფარვლად საგულეებელსა და

\* verso-ზე ამ ადგილას დასმულია იმამყული-ხანის ბეჭედი (ა. ბაქრაძე, № 90).

ძალ-ძლიერებად მოსალოდნელს, ღ(ვ)თისაგან მისად მრავალწყალო-  
ბად მონიჭებულსა და კეთილის შესაძინელად მოვლინებულს ღ(ვ)-  
თისა მიერვე კეთილ საპატრონოდ რჩეულსა და მაღლის კელმწიფი-  
საგან წყალობა გარდამეტებულს, სიმკნით დავითიანს, სიღრმით სო-  
ლომონიანს ძმას, მეფეს ბატონს\* მრავალი მაგათის პატიოსნისა და  
ყოველს ქვეყანას სახელოვნად ჩინებულის თავის შესაფერი მოკით-  
ხვა და ამოდ და მათს ნება-წადილზე სუფევის წადიერება მოგვი-  
ხსენებია.

მერმე: მაშინ რომ თქვენის ჯარის რიგ(ი)თ და რიგით აქ მოყე-  
ნება გვიბრძანეთ და მდივანბეგის ჯარი! რომ წამოვიდა, მეორეს ჯა-  
რის გამოგზავნა მოგახსენეთ. გებრძანათ: დიდი წყალი არისო, ლაშ-  
ქარი არ გამოვავო და მის დროს გამოგვზავნითო. აქამდეც ხომ მუდამ  
მტერობდენ, მაგრამ ახლა მწვედ ძალიანად მტერობა და ქვეყანას  
ცემა დაუწყეს. ქიზიყს მოვიდენ, სოფლები დაწვეს, იალალიდამ ჩამო-  
ბრუნდენ, ღამე გადიდდა და აგრილდა, ახლა ესენი ლაშქრობისაგან  
ალარ მოისვენებენ და თქვენც მოგეხსენებათ, კახეთი ყოველის მკრი-  
საყენ საცემი არის. აქაური ჯარი ერთს ალაგს ვერ დადგება და ამაში  
ქვეყანას ძალს უზმენ. ჩვენი ძმა ბატონისშვილი თეიმურაზ ზოგის რას-  
მე ჯარით გავგზავნეთ ქვემო კახეთს და ახლა იქ არის. ამ დროს ჯარი  
დიად ზარჟრო<sup>2</sup> არის და ამკელად ჯარი გვიბოძეთ, მუნასიბს<sup>3</sup> ადგილს  
დავაყენებთ, რომ დიდის ჯარის შეყრამდი ქვეყნები შევიწახოთ. სხვას  
ჩვენს სიტყვას და ამ ქვეყნის ამბავს ეშვიკალასბაში ზაალ გვ(ი)ახლე-  
ბია და ეს მოახსენებს\*\*.

## № 82

1720 წ. ბოლოს წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ  
VI-ისადმი

### უსეინყულიხანს!

ქ. მაგათის ღთივ კურთხეუთ ამალღებულისა და კეთილ სატახ-  
ტონოდ გამორჩეულის, სახელოვნად ჯმა განფენილისა და სიკეთე  
მიუწდომლად განმრავლებულის, თავის ძმებრივის სიყვარულით აღ-  
ვისილი და კარგად ყოფის წადიერი, მაგათი ძმა მეფე იმამყულიხან  
მოვახსენებ ჩვენს კეთილ პატივ საფარვლად საგულეებელსა და დიდად  
ღთის წყალობად მისაჩენელს, ზურგ საიმედოდ და ძალ ძლიერებად-  
მოსალოდნელს, მკნედ ახოანსა, გმირ-გოლიათსა და თვით მათისავ:

\* ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი სახელისათვის.

\*\* ამ ადგილის verso-ზე დასმულია იმამყული-ხანის ბეჭედი (ა. ბაქრაძე, № 90).

დიდებულის ძირ მოდგმის შესამსგავსად სიბრძნე მეცნიერების მკონებელს შეეფეს ბატონს\* მრავალი მათის საღმრთოს სწავლით სრულისა და საკელმწიფოს ზნე-ქცეულობით შემკულის თავის შესაფერი მოკითხვა, კარგად ყოფის დიდად ნატრადა უვნებლად ცხოვრების სიხარული მოეხსენოს.

მერმე ეს მოეხსენოს: თაობიჯან თქვენ და ჩვენ რომ მცხეთას შევიყარენით, რაც პირობა მოგახსენეთ, ღმან ხომ იცის, მე არც ერთი გამიტეხია. მაგრამ თქვენ კი ბძანებლით — პირობა გამიტეხნაო. მას უკან იყო და ჩვენ რომ კელმწიფეს დავებარებინეთ და მანდ ქალაქს გიახელით და თქვენსა და ჩვენს შუა მოყრობა მოვაქდინეთ და ერთი ჟმა მყვანდა, ძმაცა და ჩვენი ქვეყანა ყველა თქვენს კვლში ჩამოვაგდევით და მოგაბარეთ. მაგრამ მაშინც კიდევ ჩვენს პირობა გაუთავებლობას ბრძანებლით. ღმან გასინჯოს, რომ არას დროს მე თქვენი ერთობა და პირი არ გამიტეხია. თუ ვისმე თქვენსა და ჩვენს შუა დაშორება ნდომებია, არას კაცის სიტყვას არ ავეულოვიარ და არც ვისი დამიჭერებია. ახლა იყო, საფურცლეს შევიყარენით და, რომელიც კელმწიფის დოვლათისა<sup>1</sup> და ქვეყნების სასარგებლო იყო, თქვენც ის პირობა გვიბძანეთ და ჩვენც მოგახსენეთ და ღმან იცის, ჩვენ ის პირი არ გაგვიტეხია და არც გავტეხთ. მაგრამ, რამთენჯღრ თქვენ ამგვარათ კელმწიფეს მოახსენეთ და ჩვენ თავი ვიმართლეთ, თქვენ პირობის გატეხაში ჩამიგდეთ, თვარემ ახლა ჩვენ ამაზე თავს არას ვიმართლებთ. ქვეყანამ იცის, რომე ქსნის ერისთავის შვილები, ყმანი თქვენი არიან\*\* და თავის ალაგში არიან. არც არა ჩვენი დასაბრალე-ბელი არის. თუ ჩვენში ექვს რასმე იყავით, უნდა გებძანებინათ. თუ ასეთი ფიცი მოგვეხსენებინა, რომ თქვენი გული შეგვეჭერებინა — არაფერი. თუ არა და, კელმწიფისათვის მას უკან უნდა მოგეხსენებინათ. ღმან მაგისტანა ნურა ქნას რა თქვენსა და ჩვენს შუა, რომე ამგვარი საქმე კელმწიფის მოსახსენებელი ეთიაჯი<sup>2</sup> იყოს, რადგან თქვენც აქ გამობძანდებით და ერთად შევიყრებით. ჯერ რომელიც ქვეყნების მათვრებელი მტრები გვეყანან ღმითა და კელმწიფის დოვლათით იმათ თანბა<sup>3</sup> უყოთ და მას უკან, რომელსაც თქვენ გვიბრძანებთ, — ჩვენ იმას ვიქთ. ჩვენ არას დროს კემწიფის ბძანება არ დაგვიგდია და არც დავაგდებთ. სხვა ზეპირი სიტყვა მდივნის გორჯასპის<sup>4</sup> პირით მოგვიხსენებია\*\*\*.

\* ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი სახელისათვის.

\*\* ტექსტში: არიანა.

\*\*\* დასმულია მურის ბეჭედი იმამყული-ხანისა ფურცლის verso-ზე (ა. ბაქრაძე, № 90).

## 1721 წ. წერილი ღვეით II იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი

## უსეინყულიხანს!

ქ. მაგათის ზეგადმო ღთისა მიერ კურთხევით ამალღებულ-გან-მღიდრებულის და სიბრძნე-მეცნიერება ზღვისაებრ აღვსით გარდა-ცემულ-გარდამატებულის და ღიდთა მათ კელმწიფეთა თვისად სწო-რად პატივეცემულობით განმღიდებულისა და მალღად განვრცელე-ბულთა ტახტთა ზედან შვებით მჯღომარისა და პატიოსანთა საპატ-რონოთა მეპატრონისა და ერთა ურიცხვთა და ლაშქართა უმარავთა (sic) სიმეწით მპყრობელისა და ჩვენთვის ღიდღად ზურგად და იმე-ღად საგულღებელის და მრავალთა კეთილთა საყოფღად საიმღღოვნოს ყოვღად პატიოსნის თავის კარგად\* ყოფის მოწადე და ხიღვა-განც-ღა-აღერსის მოსურნე ძმა მათი მეფე იმამყულიხან მოვახსენებთ. ჩვენგან ჟამითი-ჟამად მიმღემად (sic) მიუციღებღად, მათად საკად-რისად საგონებელსა და ქება-ღიდების წარმოქმით სახსენებელსა ძმას ჩვენსა მეფეს ბატონს\*\* მრავალი მაგათის სიყრმიტგან ღვთის მსახუ-რებით აღზრდიღის და ყოვღითურთ სიკეთე-გონება მიუწოთმოლო-ბით მქციევისა და ფილოსოფოსებრ რიტორგამომეტყველებრ სრული-სა და ჩვენთვის ღიდღად ღთის წყალობად საგონებელის თავის საკად-რისი მოკითხვა და კარგად ყოფის ნატრა მოვისხენებია. გვიბძანონ მაგათის უქირვეღობის ამბავი. თუ ღვთის შეწეწით უქირვეღად ბრძანღებოღნენ, ვიციტ ჩვენს ამბავს იკითხავთ, ღთით მშვიღობით ვართ.

აწე ეს მოვახსენოთ: ყარაბაღიღამ ჩაფარი მოვიღა. ჩვენთვის წიგნი მოეწერა ყარაბაღის ბეგღარბევს, რომ: აღზაზ-სულთან არე-შისა და შაქის სულთანი შამახიღამ ბარღას მოვიღაო და ასე შემო-ეთვალაო და სხვანი ვინცავინ იქიღამ მიმავალ-მომავალი კაცები იყვ-ნენო, იმატგანაც ასე გავიგონეთო, რომ სურხაი, კულმუხის ბატონი, და უსმის შვიღი და დაუღ მუსვირი თაბარსარანის ჟამათით! შამახიას მოჯღომიანო და ურიებს მაჰღაიღამჰ ჟალაქამღის გარშემოსღგომიანო და იმ ჟალაქის კაცს და ღეკებს ძალიანი ომი შექწიათო. ბოლო(ს) ღეკს ძალა დაუტანებიაო. მე ყაჯარის ჟარი უფროსის კაცის სარღღობით იქ შირვანს მივაშვეღეო და თვიტონ მეც გავღეგო იქ წასასვღელადო და ყოვღის ჩემის ყოღბეღების<sup>3</sup> და ჟარის შემოსაყრღად კაცები ღავაფრინეო და იმატი მოლოღინი მაქვსო და მე იმატს შეყრას ვეღიო

\* ღედანში: კარგავად.

\*\* ამ სიტყვის შემღეგ ღატოვებულთა თავისუფალი აღვიღი.

და, ჩვენ რადგან ორნივე ერთის კელმწიფისა ყმანი ვართო, თქვენ რას გვირჩევთო. სულყველას ჩვენთვის ვაჯიში<sup>1</sup> (sic) არისო, რომ მტერს კელმწიფის ქვეყანა არ დავენებოთო“. ახლა მე ამას მოგახსენებ: თქუენთანაც წიგნი ქონდა ყარაბაღის ბეგლარბეგისა და წიგნიც თქუენთვის მიახლებია და კაციც. ახლა ყარაბაღის ბეგლარბეგსაც ურჩივთ, იმან რა ქნას. ჩვენც გვიბძანეთ, — ან ჩვენ რა გვმართებს, ან თქვენ რასა იქო. ამას დაგვიანება აღარ გაეწყობა, მალე გვიბძანეთ. ეს კაციც აქვე გვიბოძეთ, რომ მალე გავისტუმროთ. ჩვენც თქუენის სიტყვის მომლოდინე ვართ. კიდემ ესეც მოეწერა ჩემის წიგნის აშიაზედ<sup>2</sup>: ეს ამბავიო აღხაზ სულთანს წიგნითაც მოეწერაო. საჯაროდ ნუ გამოვა ეს სიტყვა, ქვეყნებს გული წაუჯდება და კელმწიფის დოვლათის მასლაათი არ არის. უკაცრავად ვიყავით, რომ ეს მოგახსენეთ, მაგრამ ჭერ საჯაროდ გამოსული არ არის და ეს კაციც მალაეს და მისთვის მოგახსენეთ, ანამც თქუენ საჯაროდ გამოსული გგონებოდათ.

## № 34

1721 წ. წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი

### ჰუსეინყულიხანს!

ქ. მაგათის ღთისა მიერ ზეგარდამო კურთხევით ამდღებულის და ტახტ-გვირგვინ შესატყვისად ჩინებულის და სკიპტრა-პორფირ შესაფერად განდიდებულის და ზეაღმატებულის და კაცთა შესწორებულის კემწიფისაგან დიდად პატივცემულის და წყალობა განმრავლებულის და ყოვლის სიკეთის დასაბამის და ყოვლის მეცნიერების მქონებელის და ყოვლის საკელმწიფოს ზნითა და ქცევით უნაკლულს თავის მარადის ქებით მგონებელი და ხილვა თანამზრახველობა და თანამეინაჯობა მოსწრაფედ მნებებელი და მოწადე მეფე იმამყულიხან მოგახსენებ ჩვენთვის ღთისაგან წყალობით ჩვენად ზურგად და პატივ საფარველად გამოჩენილო, ყოვლად ყოვლითურთ ყოველსა შინა სწორ-უპოვრად ქებულო, ჯმა აღმატებით ყოველთა მიერ საქებელ-სადიდებელო მეფევე ბატონო\*, მრავალი თქვენის სიბრძნის საუნჯის სიმქნე-ახოვანება გარეშემოზღუდვილის გმირ გოლიათებრ ძალ-ძლიერებით აღქურვილის და ჩვენთვის დიდად საღთისწყალობოდ საგულვებელის თავის საკადრისი მოკითხვა ნახვისა და შეყრის ნატრა და კარგად ყოფის სიხარული მოგვიხსენებია.

გვიბძანეთ თქუენის უჭირველობის ამბავი, თუ ღთის შეწევნით უვნოდ, უზიანოდ და უჭირველად ბრძანდებოდეთ. ვიცით ჩვენს ამბავს იკითხავთ, ღთის შეწევით უჭირველად ვართ.

\* ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი სახელისათვის.



აწე ეს მოვახსენოთ: კემწიფისათვის უწინდელი ქვეყნის ამბები ხომ უწინვე მოგვიხსენებია და კემწიფის<sup>1</sup> ბძანებით თქუენი ჭარით გამობძანება და კელმწიფისავე ბძანებით თქუენი გაბრუნება და ქვეყნის შეწუხება, ლეკთაგან ძალის წამოტანება და ზოგის სოფლებისაგან ლეკის პირის დაჭერა ახლა ენისელა. მორავეის ზალის<sup>2</sup> პირით ჩვენ მოვახსენეთ, რომ მაშინ მდივნის გურგენის<sup>3</sup> პირითა თქუენც მოვახსენეთ და შირვანის ლეკისაგან დაჭერა ყიზილბაშის ხანებისაგან მოხსენებოდათ. ლომან კემწიფის ერთი დღე ათასად ქნას, ქვეყნებისათვის ყური მოუგდიათ, თქუენთვის აქ გამობძანება უბძანებიათ და კარიდამ ეთმადოვლეს ძმა მაჰმადხანი<sup>4</sup> გამოუგზავნიათ მრავალის ყიზილბაშის ჭარით. რომ კემწიფის რაყმის სავადი<sup>5</sup> მანდ გვიახლებია და ასლი რაყანი<sup>6</sup> ჩვენთან არის. აწე ქვეყნის შეწუხებას და ლეკისაგან გაოჯრებას და დღე ყოველ ოჯრობას ხომ თქუენც ხედაეთ და კემწიფის ბრძანება ეს არის, დაგვიანებაც არა სჯობს. ერთი ამიტომ არა სჯობს დაგვიანება, რომ ქვეყანას გაძლების ღონე აღარა აქვსთ და ნახან ყიზილბაშის ჭარის წამოსვლას და ამ ამბებს შეიტყობენ, უფრო ქვეყნის გაოჯრებას ეცდებიან და მტერობას მოუმატებენ, და მეორე ამიტომ, რომ, რადგან ყიზილბაშის ჭარი წამოსულა, თუ აქათ ლეკის სიახლოვეს თქუენ და ჩვენ ჭარით არ მიუდგებით, ლეკნი ყიზილბაშის ჭარს გარდუდგებიან და ღთან ნუ ქნას და, თუ იმათ რამ დაუმარცხდათ, თქუენც მოგეხსენებათ, კელმწიფის დოვლათისათვისაც დიდი საზიანო არის და ჩვენთვის(ა)ც ძნელი საქმეა. ახლა ამისას რას ბრძანებთ, ჩვენც გვიბძანეთ დღეობითა, რომ, როდისაც თქუენ გამობძანდეთ, ჩვენც მზას დაგხვდეთ ღთითა, და მაჰმად-ხანის ჩვენთან მოწერილის წიგნის სავადიც მანდ გვიახლებია. მერმე ვიცით გიამებათ და კიდევ გუშისწინ აქ ჩვენს ახლოს დიდი ლეკის ლაშქარი მოგვიყდა და ღთითა და კელმწიფის დოვლათით გაგვემარჯვა, ლეკნი დიად გაიქცენ და მრავალი ლეკი მოკვდა. ჩვენი მდივანბეგ(ი) პაატა\* და ეშეკალასბაში ზაალ<sup>7</sup> გვიახლებია, ჩვენს ზეპირს სიტყუ(ა)ს ესენი მოვახსენებენ.

## № 85

1721 წ. წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ IV-ისადმი

ლ(მერ)თო!

ქ. ბატონს რომე წიგნში მოვახსენეთ, რომე კელმწიფის რაყმის სავადი<sup>1</sup> მოგვირთმევიო, სავადი კი აღარ მოვართვით. ისევ უფრო

\* აქედან გრძელდება განის აშიაზე.

უთიბრისათვის<sup>2</sup> ასლი<sup>3</sup> რაყაში მოვართვით. რაგვართაც კელმწიფეს თავდაბეჭდული ებოძათ: ჩვენთვის, ჩვენც ისე თავდაბეჭდული მოვართვით<sup>4</sup>. რახან ბატონმა წაიკითხონ, ისევ მალე წყალობა გვიყონ და გვიბოძონ.

№ 36

1721 წ. წერილი დავით XII იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი

უსეინყულიხანს!

ქ. მაგათის სახელოვანისა და ყოვლის სახელმწიფოსა და სამკედ-როს სწავლით და ქცეულებით შემკობილისა და მალის კელმწიფი-საგან მათ საკადრისათ პატივ-წყალობა-განმრავლებულისა და მღ(ვ)-თისაგან კეთილად დაცულ-დაფარულის თავის შეყრისა და მუსაი-ბობის უზომოდ მოწადე მეფე იმამყულიხან მოვახსენებთ ჩვენსა განუშორებლად კეთილად საგონებარ-სახსენებარსა და დიდათ იმე-დათ, ზურგად და ლხინ-სასიხარულოდ, საიმედოვნოთ საგულეებელს, გრძლად რადლა მოვახსენოთ, საქართველოს მპყრობელს მეფეს ბა-ტონს\* მრავალი და აღურაცხელი მაგათის მლთისა მიერ ამაღლებუ-ლისა და ყოვლისა საფილასოფოსოს და სამეცნიეროს ქცევით აღვსი-ლისა და სამლო ს(ა)ეროს ზნით შემკობილის, თავის შესამსგავსი მო-კითხვა და ამოდ ყოფის სიხარული მოახსენეთ.

აწუ მღივანბეგი! რადგან თავისის ჭამაგირის საქმეზედ კარზე მი-ვიდოდა, ჩვენ ხომ ჰერემლის პირითაც მოვახსენეთ და რადგან კელ-მწიფეს ამგვარი სამსახური თქვენთვის და ჩვენთვის უბძანებია<sup>2</sup>, ამისი მუნასიბი<sup>3</sup> სიტყვები დავაბარეთ და მივსწერეთ. თვითან მღი-ვანბეგი მოვახსენებთ, რაც დავიბარებია და რომელიც მუნასიბი იცოდეთ, თქვენც ის დაბარეთ, რომე მლთით ეს სამსახური წინ წა-ვიდეს და ქვეყნებს ერგოს რამე.

№ 37

1721 წ. სექტემბერ-ოქტომბრის წერილი დავით XII იმამყული-ხანისა

ვახტანგ VI-ისადმი

ჰოსაინყულიხანს!

ქ. მაგათის ღთისა მიერ კეთილად ცნობილისა და მის მიერითა ღირსად წყალობა მინიჭებითა კეთილად დაცულ დაფარულის და მა-

\* ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი სახელისათვის.

დალსა და აღმატებულს სამეუფოსა ზედა წარჩინებულისა და სუფევა განმდიდრებულისა და აგრევე მალლისა და ზეშთააღმატებულის დიდის კელმწიფისაგან ზღვისაებრ პატივ-წყალობა გარდამეტებულის, პატიოსნის თავის დღითიდღე ხანდაუზმნელად ქება-დიდების წარმომთქმელი და მარადყამ ხილვისა და თანამეინაცობის მოსურნე მეფე იმამყულისხან მოვახსენებ ჩვენსა სამარადისოდ პატივ საფარვლად მოსალოდნელსა, ჩვენსა უანგარიშოდ კეთილის მყოფელად საგულეზელსა, ჩვენსა ძალ-შემწედ და დიდ სიქადულად საიმედოვნოსა, ყოვლის დიდებით და სახელოვნობით წარჩინებულსა და ყოველთაგან საქებრად კიდით კიდემდე კმაგანფენილსა, გრძლად რა მოვახსენოთ, მეფეს ბატონს\* მრავალი და აურაცხელი, მაგათის სახელოვნის და მრავალჯერ სახელოვნად ომგამარჯვებულისა, ყოვლის სახელისა და სიკეთის მძებნელის თავის მოკითხვა, ამოდ და ბედნიერად მათს ნება-წადილზე სუფევის წადიერება მომიხსენებია. გვიბრძანონ მაგათი უვნებელად ცხოვრების ამბავი, თუ ღთით უმიზეზოდ ბძანდებოდენ.

აწ ეს მოვახსენოთ: ყოველთვი ამ ქუეყნების ლეკისაგან ძალის წამოტანება და დღე ყოველ კმალს ქუეშ ყოფა მუდამ მოგვიხსენებია და მაშინ გავაზელთ და გაღმამყრის სოფლებს რომ ლეკთ ლაპარაკი დაუწყეს და კელმწიფისაგან ჯარის მოშლისა და მას უკან ჯარის მოუშველლობისა და უიმედობის კმა შემოუგდეს და ნამეტნავის ძალის წამოტანებით და ზოგი გლეხის კაცის უქკუობით, ამითაც პირის მიცემა მოინდომეს. ის ამბავი ხომ მაშინვე კემწიფესაც მოვახსენეთ და თქვენ და სარათის ბეგებს! ყველას შეგატყობინეთ და მოვახსენეთ, ახლა ხომ იმ სოფლებმა პირი მისცეს, მათს ლაშქარში ერეკებიან და როგორც შექი და ყაბალა ლეკთ მიუდგენ და იმათს ლაშქარში ერევიან და როგორც იმათთან შირყანს არბევენ, ნახეს, რომ იმათ არ გარდავდათ რა, ამითაც ისე ქნეს: ლეკნი და ესენი ერთად მუდამ ქუეყანას არბევენ. დღე არ გამოვა, რომ არსად მოუტდენ და ყოველთვი ომი არ იქნას. ხან ჩვენი ჯარიც პასუხს აძლევენ და ზოგან ჩვენს ჯარს გაემარჯვება ხოლმე, მაგრამ ამდენი ომი და კმალს ქვეშ ყოფა, თქუენც მოგვიხსენებათ, კაცისაგან არ გაიძლება და ამაში ამ ქვეყნის კაცი დიად შესჯერდა. გლეხმა კაცმა სამუშაოდ ველარ მოიცალა და ყანა რაც მომყეს, ისინი სწვენ. აქამდის ჭარელნი, თალაღელნი და პირიქით ლეკნი ლაშქრობდენ, რომ ზოგი რამ მათის ლაშქრობისა და ომების ამბავი ოტია ჩაფრის ველით წიგნად მოგწერეთ: ახლა რომ აგრილდა, გულჯადარის ჯარი ჩამოასხეს. გულჯადარა და ესევე ჭარელნი და პირაქეთი ლეკნი ერთად დიდი ჯარი შეყრილიყო და ხოდაშენს, საყდრიონს და სამაყნოს ერთიანად თავს დაესხენ. სოფ-

\* ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი სახელისათვის.

ლები დაწვეს და მოაოკრეს. ჩვენ რაღაც ჯარი გვახლდა, მიაშველეთ. დიად, ძალიანი ომი გარდაიქადეს. ლეკებიც დაიჯოცა და წავიდნენ. გავაზს დგანან, თავად ზომ ყოველს გლახს კაცს ამას ემოცქეულებიან, ჩვენი პირობა დაიჭირეთო და როგორც გავაზს არას უსცოდებთო, ისე თქვენ აღარას შეგცოდებთო, და ამ მოკდომიშვიტად ამავე სიტყვით ბევრი ელაპარაკნათ. თქვენც მოგეხსენებათ, გლახს კაცს მოკლე ჰქვა აქვს, რასაც თვალით არ ნახავს, მის მეტი არა იციან რა და მერმე ის, რომე მეშველი ჯარი ვერსადით ნახეს, მუდამის ბრძოლისაგან შეწუხებულნი, დიად უიმედოდ გავდენ და ექვს იქით ვართ, რომ რაც გლახს კაცი დარჩომილა, ესენიც პირს მისცემენ და, რახან გლახს კაცი იმათს პირობას დაიჭერს, ზოგი ასეთი თავადიც არის, რომ ისინიც მიჰყვებიან და ამაში საქმე უფრო გაძნელდება. თქვენც მოგეხსენებათ, რომ გარჯა და თავის გარდადება ამისაგან უფრო აღარ იქნება. რომ მე კემწიფის სამსახურისა და ქუეყნის მოვლისათვის თავი გარდმიდვია. მაგრამ უმეშულოდ ამდენს ხანს მარტო ერთს კაცს ლხინიც შეაჯერებს, არამც მუდამ დღე კმალი და ომი: ამაში ჩვენ რა გემართებს: ვიცით, რომ კემწიფის ერთგული, ჩვენთვის მოყვარე და საიმედოვნო ბძანდებით და, რადგან ამდენს გაჭირებას ხედავთ, ქუეყნებისაც შეგჭირსთ და, ვითაც თქვენს ჰქვასა და სიკეთეს შევნიდეს, იმ გვარად მოგვექმარებით და ადრე თავს შეიდივით, რომ ჯერ ღ(ვ)თითა და კემწიფის ბედნიერებით თქვენის გარჯით და მოკმარებით კემწიფის დავლათის საქმეც წინ წადგეს და ქუეყნებსაც მოსვენება მიეცეს. ეს ლეკნი აქ გავაზს დგანან. ხომ აგრილდა და აღარ წავლენ და, თუ მოშველება დაგვიანდა, ბევრი ავი საქმე იქნება. დემეტრე\* მდივანბეგი, ეპიფანე და ალავერდლის სახლთუხუცესი სულხან გვიახლებია. ჩვენსა და კახთ მაგიერს სიტყუას ესენი მოგახსენებენ\*\*.

№ 88

1722 წ. წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი

უსეინყულიხან!

ქ. მაგათის ყოვლად პატიოსნისა და მრავლის კეთილით აღსავსის, თავის განუშორებლად ერთად ყოფნის წადიერი და ამაოდ ყოფნის გაგონების მდომებელი მეფე იმამყულიხან ვჰკადრებთ და მოვანსენებთ ჩვენსა აღურაცხელ ღთის წყალობასა, ყოვლისა კეთილის მყო-

\* აქედან განის აშიაზეა დაწერილი.

\*\* verso-ზე დასმულია იმამყული-ხანის ბეჭედი, რომლითაც დაბეჭდილია ყველა მისი წერილი (ა. ბაქრაძე, № 90).

ფელსა, პატივ-საფარვლად საგულეებელსა, ლხინ-სიხარულად მოსა-  
ლოდნელსა, სახელოვანსა და ყოვლს (sic) ქვეყანას სახელოვნობით  
ვმაგანფენილსა, მრავლის სიკეთით პირად-პირადად შემეყულსა, ყო-  
ველთა მეფეთა შორის წარჩინებულსა და აღმატებულსა, ღთისაგან  
ზეციით საფარვლიანსა და ქუეყნად დიდისა და მაღლის კელმწიფისა-  
გან უხვად, ღირსად და სამართლად მრავალ წყალობა-მონიჭებულსა  
და განმრავლებულსა და ამალღებულ-განძლიერებულსა, გრძლად  
რალა ვაწყინოთ, მეფეს ბატონს\* მრავალი მაგათის სიბრძნე მეცნიე-  
რება მოუქლებლის და ყოვლის საკელმწიფოს ზნითა და ქცევით უნა-  
კლულოს თავის შესაფერი მოკითხვა და უნორდ (sic) და უზიანოდ  
ბძანების სიხარული მოეხსენოსთ.

მერმე: ხალილაშვილი ისმეილა აქ ჩვენ გვემსახურებოდა, ნოქა-  
რი იყო და ჩვენს ხოჯა აღა-თაყის, მაგის თავზედ ვანჯას ზოგი  
რამ წართმეულია. ეს ხოჯა თაყაც მანდ გვიახლებია და ამისი საჩივარიც  
მოიხსენონ და გასინჯონ და სამართალი უყონ. უსამართლოს ნუ და-  
მართებენ\*\*.

## № 89

1722 წ. წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი

### უსეინყულიხან!

ქ. სიკშოთა შინა გონებისათა განერცობით და დაუყუდუნებელად  
ერცელ-სიერციით-სიყვარულისა დამნერგველმან, განუქეთელობისა და  
თანავე შეძერწილობის შემწადნემან, თანა-თვალგდებისა და განუშო-  
რებლობის მნებავმან მათთვის დიდ-დიდებად, ქებად და ამალღებად  
განმზრახველმან, ურთიერთს შესიტყუებად თანადგომად ინაწით  
ჯდომად აჰმად-ყოლე (sic) მომნატერელმან, თქუ(ე)ნებრთა სიბრძნე-  
თა, სიმკნეთა და სიღრმე სიქველეთა მცნობელმან და თქუ(ე)ნადვე  
მომხედველმან, მეფეთა ძემან, ძმად თქუნად ჩვენმან იმამყულიხან  
გიწყენ ძიებად მეძიებელმან, კეთილთამან საძიებელნი კეთილოვნები-  
საგანი გიძიენ. ნაძიები უწყინარსვე ზენა ზენათგან ღთისა წადიერე-  
ბით ძიებული და თითთა მისთაგან სამეუფოთა მიწიერად მიწა შესა-  
ქმედ კეთილ-ქმასაყოფელი, გარნა კაცობრივ კაცად აღამიანად აღა-  
მისადვე ბაძნიერი, ვინათგან ცთომით არავე აღამიერი, დიდ-დიდებუ-  
ლი და ნადიდებ დიდებულებად მიწევნული, მთავრებრივთთა პატივთა  
უმთავრესად ზედან უდიდებულეს ჩინებული, გონებისა განგულვე-  
ბით სურვებით სასურვო და თვისობით თვისად, თან-თანადობით

\* დატოვებულია ადგილი სახელისათვის.

\*\* verso-ზე დასმულია იმამყული-ხანის ბეჭედი (ა. ბაქრაძე, № 90).

სათვისო, ზღუდვდ სიმტკიცედ, სიმკნედ, სიმშვიდედ და გოდლად უძ-  
ლველობისად მპოვენებლმან გპოვენ ძმად ჩვენდა ძმათა შორის უძ-  
თავრესი ძმა და მპყრობელი კელმწიფობისა მეფე\* მომკითხველმან  
კითხვით მოვიკითხენით, ანაქესთ მქცევლებრივნი უვნო-უმიზებობით  
ცხოვრებანი მათნი და განვსით განვრცელებით ვისურვეთ დღე-კ(ე)-  
თილობით. განქეშმარიტებანი თვითებანი, დღეთა მათთანი რათა მან.  
დაპარსმან არსებათამან და ორღანოთა ნივთებით დამნივთებელმან,  
ნივთთა აღნაგნი, სივრცით, სიღრმით, სიგრძით, დღე-მრავლობით და  
უამგანუკუთელობით ყოს ქცევა-მოძრობანი ჩვენნი, ამით დღეთა  
შენა საწუთოსა ცხოვრებისა ჩვენისათა აწ და საუკუნოდ.

აწე იუწყ(ე)ნით ესეცა, ჩვენ მიერ წარმოთხრობილნი თქუენც  
მოგვხსენებიათ და იცნობთ და იცით, რომე მონაზონი ბატონი ანნა,  
როგორად სიმცროთგან ღთის მსახურებაზიდ აღზრდილა და იქცევა  
და თავისი თავი ღთისათვის შეუწირავს. მწვედ პატიოსანი და კეთი-  
ლად მქცევი ბატონი დედაკაცია. მაშინ, რომე ბატონი მამა ჩვენი მანდ  
ბრძანდებოდა, თან ახლდა. მწვედ მწყალობელი და ყურის მიმგდები  
ბრძანებულა. ასრე მაშინაც იერუსალიმს წასვლა მოენდომა. ბატონს  
მწვედ დაეშალა და არ მნდომოდა გაშვება. მაგრამე არ დაეშალა წას-  
ვლა — წასულიყო, ბატონს მანდ თქუენის ქალაქიდა, მოქალაქე  
ბელადი<sup>2</sup> გაეტანებინა თანა. ბელადებს კარგად და უმიზებინოდ  
იერუსალიმს მიეყუანათ. კარგად ხანი იერუსალიმს ყოფილიყო. ახლა  
იმათივე შენდობით აქავე საქართველოებში მოსულა. აქანამდის აქ  
ბრძანდებოდა. ახლა ისევე დაგვეთხოვა. მწვედ გვეწყინა და დაუშა-  
ლეთ, რომე ჩვენთვისაც მწვედ დასაკლისად დავინახეთ და ჩვენს  
ქვეყანასაც დიდად დააკლდება, რომე ერთი ამ რიგი სიკეთის მქონე-  
ბელი არავინ დარჩომილა. რადგან დიდი აღთქმა ქონდა, ჩვენგან აღარ  
ღაიშალა, წამოვიდა. ამანაც თქუენ მოგმართათ და ჩვენც თქვენ შე-  
მოგვედრეთ, რომე თქვენნი მოქალაქენი ვაქარნი ბევრნი იარებიან  
იმ ალაგებშია. ამდენი წყალობა უყავით ამას და ჩვენის გულისათ-  
ვისაც მოიწადინეთ, რომე ერთიბრიანს<sup>3</sup> კაცს გაატანოთ და იქ მო-  
არულს, რომე ღთისა შეწევნით უმიზებოდ იმ ალაგებში მიიყუანონ.  
რადისაც მიაღწიოს, პატრიარქს ან იმის ვეჭილს მიუთვალოს და მია-  
ბაროს. რომე იმათი წიგნი მოგერთვას და ჩვენც შევიტყოთ, რომე  
ამისი მისვლა როგორად მშვიდობით მიუწევი, ჩვენც მწვევედ და-  
ვიმადლებთ და ამასაც თქუენი თავი ალოცვინეთ, რომელ თქუენის  
შემწეულობით იმ ალაგებში მიაწიოს და თქვენ გლოცევდეს და გიხ-  
სენებდესთ. ღ(მერ)თიც დიდად დაგიმადლებსთ, რომე გზაზედ ერთი

\* ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი — 6 სმ. შემდეგ  
იწყება თხრობა წერილის ძირითადი შინაარსისა.

რამე შესაწუხებელი გარჯა არა შეხვდეს რა, კაის ბელადების გარჯითა. რადგან ღთის სახელზედ მივა და, რომელიც სჯული უჭირავს იმის გზაზედ ირჯება, ყოველ(ე)ლმან ვინმე კელი უნდა მოუშაროს\*.

## № 40

### 1722 წ. წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი

#### უსეინყულიხან!

ქ. მაგათის მღთის მიერ ამაღლებულისა და ღიღის კელმწიფისაგან სამართლად წყალობა მობოძებულისა და პატივ-საფარველ-განმრავლებულისა და ყოვლის სიბრძნე მეცნიერებით და საფილოსოფოსმეტყუელებით აღვისილის თავის შეყრისა და მუსაიბობის მოწადე ქმნილი მეფე იმამყულიხან მოვახსენებთ ჩვენსა დაუღვენელად მღთის წყალობათ საგულებელსა და სამარადისოთ ჩვენთვის კეთილათ ზურგად და საიმედოვნოდ გამოსალოდნელსა, გრძლათ რადღა მოვახსენოთ საქართველოს მპყრობელს მეფე ბატონს\*\* მრავალი და აღურეცხელი მაგათის სახელოვნსა და ყოველს ქუეყანას მაგათ საკადრისად სახელოვნად ჯმა-მიწვენილისა, საკელმწიფოსს ქვეულობით და სამჯედროს ზნით შემკობილისა და უნახველთაგან სანახავედ სან(ა)ტრელისა და მნახავეთგან საქებარ-სადიდებარის თავის შესამსგავს, მოკითხვა და ამოდ ყოფნის სიხარული მოახსენეთ.

მამჰთხან (sic) რომ ჩვენი ათასი თუმანი ყენის წყალობა თუარი დაგვიხარჯა, მაგისავ ხანობაში, წიგნი მივსწერეთ, ვსთხოვეთ და ასე მოეწერა: „მე დავხარჯეო, — ჯინში მოგცემო“. მაგისი წიგნი ჯელთა გვაქვს, ჩვენ რომ ჯინშის სათხოვნელათ კაცი გავგზავნეთ, მანამდის მაგისათვის ხანობა გამოერთმევათ. უღული-ხან მოსულიყო. ჩვენს კაცს ეთხოვნა და მაგას უღული-ხანთან პირობა დაედვა: „ხელ მივსცემო“. იმ ღამეს ეგ მანდ წამოსულიყო და მაშინაც ამ საქმეზე თქვენ წიგნი და კაცი გახელით და არა მოგვცა რა. ახლა ჩვენ კემწიფეს სხვის ალაგიდამ თანხა ვსთხოვეთ და ებძანა: იმანვე მისცესო. უღულიხანისათვის ებრძანებინათ, რომ მაგისის კერძის რისაც ფერი-საგან უნდა, მაგას გამოართვას და მოგვეცეს. ახლა ეგ მანდ არის და უბძანეთ, რომ ან მანდიდამ თავისი საქოლნით (sic) მოგვეცეს და ან თავის ძმას უღული-ხანს წიგნი მოსწეროს, რომ იქილამ მაგისის რი-

\* verso-ზე დასმულია იმამყული-ხანის ბეჭედი (ა. ბაქრაძე, № 90).

\*\* ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი სახელისათვის დასმულია რამდენიმე ღეფისი.

საც ფერიდ(ა)მ იმან მოგვეცეს. ეს ხომ თქვენც მოგეხსენებათ. ჩვენ ეს გვერჩინა, რომ სხვის ალაგიდამ ებოძებინათ, მაგრამ ისევ მაგაზე ავა-  
ლა<sup>3</sup> გვიყუეს და რადგან მაგასვე მოცემა უბძანეს, ასე გაარიგოს,  
რომ კელმწიფისათვის აღარ შეგვაწყენინონ თავი. ამ საქმეზე ზაალ  
სუფრაჩიშვილი გვიახლებია\*.

№ 41

1722 წ. ზაფხულის წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ  
VI-ისადმი

უსეინყულიხან!

ქ. ვითარცა ყოვლად ყოვლისავე პატიოსნობისა მქონებელსა და  
სახე სახელოვნებისა და პატივ სახოვანისა სახის განმკვეთნელსა და  
ზეშთა ზენარობით უზეშთა ზენარობით უზეშთაეს კაცთა ბუნები-  
თთა მქცეუელობათა, უზედაესსა და ქუენა ქუეყნიერთა, მიწა მიწი-  
ერთა, ნერგებ მცენარეთა, და ხე მწვანილოვანთა, მთა კაპან კლოვან-  
თა და ველებ მალნართა, სიბრძნით დამპყრობელსა, ხოლო სხეულო-  
ვნობის მქონებელთა პირებით წარმომთქმელთა და სიბრძნის მქო-  
ნეთა, ანუ თუ უტყუთა ქუე დამხედველთა, მკეცებრ ძლიერთა, ანუ  
უძლურთა, უნდოდ უმეცართა ყოვლადე მეცნიერებით დამმორჩი-  
ლებელსა, ხოლო ცისა შორისთა მყოფთა ღ(ვ)თისა მიერ მქნილთა სა-  
კუირველებათა და ძნად მისაწომთა საქმეთა ვრცელად გამომეტ-  
ყუელსა და ძალსა მზისასა ბუნებასა მთოვარისასა და ქცეულებათა  
სხვათა მნათობთასა და თავსა შორის თვისსა წინა დამსარკებელსა,  
გინა თუ ქუეყანით ზენა აღსაწუენელთა, ზომით ზომიერობასა, კინ-  
ლა ბრჭალითა თითთათა რავდენობა რიცხვით მეცნიერსა, ხოლო  
ზღვისა შორისთა დაფარულებთა საიდუმლოთა თვის თვისითა ცნო-  
ბიერებითა საცნაურ მქმნელსა და მწყურნებისაცა მისისა აღმწყუ-  
ლობითა პეშვთაცა რიცხვედსა არა უმეცარსა, სახოვნობა სახელისა  
უმეტესსა და სახელ სახისა უმჯობნიეროსა, სწავლა მეცნიერების  
უსაზღვროსა და მეცნიერება სწავლის საზღვარ შეუგებელსა და რი-  
ტორებრივთა მეტყუელებითა ყოველთა ბრძენთა უკმოდ გამომაჩინე-  
ბელსა და პირველის მეფობის დამპყრობელისა მამისა ჩვენისა დავი-  
თის, მსგავსად ღთისა მიერ პოვნიერსა და მისვეებრად გულითადად  
მისსა ცხოვრებულსა, გარნა ქუეყანისა ყოვლისა და მზისა ქუეშეთა  
ყოველთა ძლიერად მპყრობელისა დიდისა კელმწიფისაგან დიდებუ-

\* verso-ზე დასმულია იმამყული-ხანის ბეჭედი (მისი აღწერილობა იხ. № 25  
წერილის სკოლიოში და ა. ბაქრაძე, № 90).



ლებითა დიდითა და კელმწიფობითა ამალღებულსა; ჩვენთვისაც მსგავსად ნათლისა თვალითა ჩვენთასა, ეგრეთვე სამხედველოსა გულთაცა ჩვენთათვის გულითადად მოძმედ შემწე შემთვისედ შეყუარებულსა, შემეგობრებულსა; ძალად დიდად და უზუშთავს დიდ იმედებად სიმაგრე სიმტკიცედ მოსალოდებელსა და ჟამ ყოველ სამეტყუელოდ სამუსაიბოდ საშვებლად და სასიხარულოდ მისახედ სანატრელსა ჩვენსა უზუცესსა ძმასა მეფეს ბატონს\* ყოველთა წადიერებითა, ნახვად მეძიებელი და შეყარად წადიერი და წამითი წამად თანამზრახველობის მნებებელი მეფე იმამყულისხან მოვიკითხავ. დღესკეთილობით მქცეუელობასა თქუენსა და უუნებელობით და უვნო. უმიზეზობით ცხოვრებასა და კეთილ ქცეუადობათა წარმატებასა თქუენსა მრავალი და აურაცხელი მოკითხვა, კეთილმყოფობის ნატრა, შეყრის, მუსაიბობის და სიტკბოთ თანაგანზრახვის სურვილი და კეთილის ამბის გაგონების სიხარული მომიხსენებია. ღთსა მადლობა მიერთმოდენ, ვინადგან თქუენი უვნებლობა და უვნო უმიზეზობა გვესმის.

ვიციით, ჩვენს შეუძლებლობას იკითხავთ, ისეუ შეუძლებლად ვართ. აწე ეს მოგახსენოთ: კემწიფის ბრძანებით რომე მურად-ბეგ. ეშიკალასი თქუენთან მოვიდა და მას უკან ჩვენი ეპისკოპოზ-დარბაისელნი გაახელით თქუენ, რომელიც გმართებდათ იმგვარად თავს შეგედვათ და ამ ქუეყნის მოშველების თადარიგში შებძანებულყუენით და ამ (მ)ზადების დროს მურად-ბეგს რაყამი მოსლოდა. ის დაუბარებინათ და თქუენი აქ გამობძანება მოუვულუფი<sup>2</sup> ექნათ. მაგრამ თქუენ რადგან ამ სარათის ბეგი<sup>3</sup> ბძანდებით, აქაურს საქმეს ხედუდით, რომ იმ კელად თქუენი აქ გამოუბძანებლობა კემწიფის დოვლათს არ უჯობდა და ამ სარათის საქმე მაშინვე ასე მოჰხდებოდა, როგორც რომ ახლა მოჰკდა. ამისთვის არ დაიშალებთ, რომელიც კელმწიფის დოვლათის სამჯობინარო იყო და თქუენგან მართებული იყო, იმ გვარად დიდის ჯარით, ხარჯით და რიგით გამობძანდით. ჩვენ ერთად შევიყარენით და ქართველნი და კახნი დარბაისელნი ერთად დასხდენ, არჩიევს და ლეკის თამბის<sup>4</sup> საქნელად წაბძანდით, მეორე რაყამი მოგსლოდათ, რომე თქუენი ლეკზე მისვლა კემწიფეს კარიდამ დაეშალა. თქუენ ხომე ხედუდით, რომ თქუენი გაბრუნება არა სჯობდა. ჩემის ძმის თეიმურაზის და ალავერდლის პირით ჩემთვის შემოგეთვალათ, მაგრამ მეორედ კემწიფის ბძანების უარი აღარ იქნებოდა. გაბრუნდით და თქუენმა გაბრუნებამ ქუეყანას გული გაუტეხა. ლეკთაც სარათის სოფლებს მრავალჯერ უთხრეს: „კემწიფემ ქართველი ბატონი ამაზე გააბრუნაო, რომე თქუენზე კელი აიღოო“, და

\* ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი სახელისათვის.

თვალითაც თქუენი გაბრუნება ნახეს და თქუენც მოგეხსენებათ მრავალჯერ მტრისაგან მოთხრილი და შეწუხებული გლეხი კაცი ადვილად მოტყუვდება. ამათ ლეკის პირი დაიჭირეს და ლეკს მიუდგენ და, რომელიც ლეკს მიუდგენ, ისინი ქუეყანას მტერობენ და ეს საქმე კემწიფის დოვლათის საზიანო და ქუეყნების მოსათხრელი არის. შიას კოცენ, არბევენ, ქართველს ასე ეპყრობიან. კემწიფის ერთგული საქართველოს ბატონი ბძანდებით. თქუენთვის არ მოგვეხსენებია, როგორ იქნებოდა, აწე რას ბძანებთ, რომელი გემართებს. ჩვენ ამას ვხედავთ და მართალიც არის, თუ ამ ქუეყანას ამავე ზაფხულ მშველელი არ მოუვიდათ, ვინც დარჩომილან და ან ვინც დახიზნულან, ესენიც ლეკს პირს მისცემენ და, რახან ლეკნი და კახნი ერთს პირს დაიჭერენ, ადრიბეე(ა)ნს და აქათს სარათებს დიად ძალს უზმენ და ამათი თამბა ძნელი შეიქმნების. და თუ ადრე, ამავე ზაფხულ, ამათ ქომაგი მოეშველათ, ვინც უკუდგარნი არიან, ისინიც ადრე გამობრუნდებიან და ლეკის თამბაც გაადვილდება, თუ არადა ქუეყნები გათავდება. ჩვენ ამ ქუეყნების ამბავი ყოველთვის კელმწიფისათვის, კარისა და სარათის ბეგებისათვის მოგვიხსენებია და, რაც ჩემგან გაეწყობა, გარჯა და მალი არ დაგვიკლია, მაგრამ თქუენ ხომე კარგად მოგეხსენებათ, მარტო კახეთით ამათი თამბა არ იქნებოდა და არც ახლა იქნება. ამას მოველით თქუენგან: ჩვენს საქმეს და ამ ქუეყანი-სასაც ყური მოუგდოთ და რომელი სამჯობინარო იყოს ამ ქვეყნების სა\*ქმე, კელმწიფეს ისე მოახსენოთ. კემწიფისათვის ჩვენც მოგვიხსენებია, თქუენც ხომე მოახსენებდით. ახლა სანამდინ რომე კემწიფის ბძანება მოგვივიდოდეს, რა უნდა ექნათ, ამ ქუეყნებს რით გავაძლებინოთ. მარტო აქათი ლეკნიც არ არიან, რომე მარტო კახთ ამათი თამბა შეიძლონ. ზაფხულში მრავალს დაღისტნის კაცს მოიშველებენ. ალაგს თავისას მისცემენ. ნუზლს თვითან აძლევენ, ჭარს გაამრავლებენ და ქუეყანას ამ რიგად მტერობენ. კახეთის სოფლები ხომე თავად შორის შორს არის და მერმე ზამთარ გლეხი კაცი სრულ მუშაობაში არის: კვნაში, ვენავის მუშაობაში და ამით კახეთის ჭარი დაფანტული არის და, როდესაც რაიმე ერთად შევკყრით ჭარს, მაშინ აღარ მოვლენ და, საცა უჯარო ალაგია, იქ მივლენ. მერმე დაღისტანს გარდა ყაბალა, შაქი და სხვა იმათშივე გარემო სოფლები შემოიმატეს და ამით კახეთი მარტო თავისის თავით თამბას ვერ უზამს\*\*.

\* აქედან გრძელდება განის აშიაზე სიგარძივ 4 სტრიქონად.

\*\* verso-ზე დასმულია იმამყული-ხანის ბეჭედი (აღწერილობა იხ. № 25 წერილის სქოლიოში).

1722 წ. სექტემბერ-ოქტომბრის წერილი დავით II იმამყული-ხანისა  
ვახტანგ VI-ისადმი

უსეინყულიხან!

ქ. ვითარცა ყოვლისა სიბრძნისა საუნჯესა და მეცნიერებისა ვრცელსა უფსკრულსა და ოთხთავე კიდეთა ქვეყანისათა წარჩინებულებით და ქებულებითა ქებულსა, განათლებულსა და ბრწყინვალესა, დიდებით დიდებულსა და მარად ჟამ უმდიდრესთა პატივთა აღწევნილსა, თვალთაგან ჩვენთა მარადღე საჭვირებლად სანატრელსა და გონებისა ხედვათაგან წამი(თ)ი წამად თანაგანზრახვად საწაღნიეროსა, ჩვენსა ძალსა, ჩვენსა ძლიერებასა და ჩვენთვის დიდად შემწედ სიმტკიცედ და განმძლიერებელად მისახედ მისაჩვენელს, საქმე საქციელ უმჯობესს და საქციელ საქმისა უსანატრელესს ყოვლისავე, საქართველოს მპყრობელს, უხუცესსა ძმასა ჩვენსა მეფეს ბატონს\* ჩვენ მათთან სიტკობ სიყუ(ა)რულთაგან შვებული, ძმობის, ერთობისა და განუშორებლობით შემტკიცებული მეფე იმამყულიხან მოგახსენებ: მრავალ და ურიცხვ უვნოდ და უმიზეზოდა არიან დღენი, ჟამნი და წელნი მქცევლობისა თქუენისანი, მრავალი თქუენის ჯერეთ ზეგანგებით ღთისაგან ამაღლებულის და მიერიოთგან მალლის ქემწიფისაგან განძლიერებულის, სიჩჩო-სიყრმითაგან ვიდრე მოდღეინდელად-დღემდე კმაღამატებით და ენამრავლობით ქებულის, ჩვენთვის შესაყრელად და სამუსაიბოდ სანატრელის, თავის შესაფერი მოკითხვა, კარგის ანბის სმენის სიხარული და უვნო უჭირველობის ნატრა მოგვისხსენებია.

მერმე: წიგნი გებოძათ და თქუენი ლილოსხედ გამოსვლა გებძანათ. მართალს მოგახსენებ, თქუენი კახეთში\*\* გამობძანება, დიად ქვეყნების სარგებელი და ქემწიფის დავლათის სამჯობინარო არის, მაგრამ თქუენც მოგახსენებათ: ლილო ჩვენზედ და აქეთ კახეთზედ შორს არის, თორემ თქუენის ჯარის გამობძანების უკეთესი რა იქნების და, მაშინც ხომე თქუენს გამობძანებას ბევრი სარგებელი აქვს. ასეთი ალაგებიც არის, ლილოს გარდა ჯარის სადგომი სხვაგან, რომე ქართლზედ მიმავალს ჯარსაც წინ გარდაუდგება იქიდამე და კახეთსაც არგებს, უმაგრესი ლილოსაგან. ერთი ეს გებძანა: „რას აპირებთო და რას საქმეზედ სდგენართო“. თავად ყოველთვის და ახლაც კიდემ ამ

\* ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი სახელისათვის.

\*\* დაწერილი ყოფილა — ლილოზედ, შემდეგ წაუშლიათ და იმავე ხელით და მელნით დაუწერიათ — კახეთში.

ქვეყნის გაჭირება კემწიფისათვის მოგვიხსენებია და მათი ბძანების მათუარებელი ვარ და, რაც გაეწყობა და ან გაძლებდა არის, ამას ვსცდილობ, რომე კემწიფის ჯარის მოსვლამდი ამის უარესი აღარა იქნას რა. და თუ ჯარი დაგვიანდა, ვიცით, საქმე დიად გაძნელდება. კემწიფის მოხსენებას გარდა თქუენ ყარაბალს, შირვანს, და ერევნის ხანებს ყველას ხომე მაშინვე შევატყობინე, რომე კემწიფის ბძანების მოსვლამდის ჯარს ვინმე გვიბოძებთ, კარგი იქნების და თუ არადა, ჩვენის თავის გარდადებისა და კემწიფის ბძანების მოცდის მეტი, თუ მტერმა დაგვატალა, — რა გამეწყობა. ჩვენგან სხვა რა მოგეხსენებათ: ჭკუა და ცოდნა თქუენს უკეთესი არავისა აქვს. კემწიფის ერთგულნი და ერთბრიანი ბეგი ბძანდებით და ჩვენთვის ამ ქვეყნის საქმეს ყოვ(ე)ლ დღეთ ხედავთ, მოშველებისა და იმედის მოცემის მეტი ამ ქვეყანას რა ერგება და ჯარის ჩვენების მეტი მტერს უკან რა დააყენებს. ღმან იცის და თქუენმა კარგად ყოფნამ, ამას ჩემის თავის სიფრთხილით და არც სხვა რიგად არ მოგახსენებთ. ვიცი და ვხედავ, რომე თუ ჯარი და მშველელი დაგვიანდა, ამ ცოტას ხანს დიდის ლეკის ჯარის მოსვლაზედ ასეთი რამ მოკდება, რომე კემწიფის დოვლათისაც და ყოვლის აქეთის ქვეყნების საქმე გაჭირებული შეიქმნება. ჩვენ ასეთს გაჭირებაში ვართ, რომე ღმან იცის და ყენის თავის მზემან. ეს თქუენგან წიგნის მოწერაც ერთს ქომავსა, ზურგის მობმასა და მოყრობაში ჩავიგდევით. ჩვენც, უწინვე, რომე ზემოდამე ჩამობძანდით, ნინოწმინდელის ხლებას გიპირობდით, დავიბარე, არ ვიცი რა დაემართა, — არ მოვიდა. თუ ის ავად არ არის, იმას ვახლებთ. თუ იმან ვერ შეიძლო და, სხვას მისანდოს ვისმე ვახლებთ ცოტას ხანშია. სხვა ამ ქვე(ყ)ნისა ეს მოგახსენოთ ამბავი: ამ ალაგების გაჭირება და დღე ყოველ ჳმალს ქვეშ ყოფა წერილად რომე მოგახსენოთ ამბავი, დიად, გრძელი შეიქმნება. ამის უფრო საქმის გაჭირება აღარ იქნება, რომ ამ ქვეყანას არის. დღე ძვირად გავა, რომე ომი და ცემა არსად იქნას, ამ დღეებში ლეკის აღსაყალებს<sup>2</sup> ჩემთვის წიგნი რამ მოეწერათ, უცხო რამ, უმსგავსო და უთავბოლო სიტყუა იყო, რომე ვერ შევიტყუვით, თუ ამისი მოწერა რა არის. ეს მოეწერათ: „ვიცე შენი ყმა გახლავსო, ეგენიც წამოასხიო და ყარაღაჯი დაქეო, ჩვენც კახეთის რბევაზედ კელს ავიღებთო და ჩე(ე)ნც ქომავნი ვიქნებითო. ქვეყანა დასწყნარდესო. ფიცით მოეწერათ, რომე „ჩვენ თქუენზედ სამტეროდ აღარ გავივლითო. ჩვენი ამისი პასუხი ასე შეუბრუნეთ: რადგან კემწიფის ქვეყნებს არბევთ, შირვანი თქვენგან შეწუხებული არისმეთქი, მოდით, ასეთი პირობა დადევით. რომე კემწიფის ალაგებს აღარა შესცოდოთ რა და დასწყნარდეთ-მეთქი. თქუენგან ხათრიჯამი<sup>3</sup>. შევიქნები, კელმწიფესაც მოგახსენებთ და მას უკან თქუენს სიტყუას გავიგონებთ მევთქვი. კემ-

წიფის ალაგს სხვაგან რომ ისრევ მტერობდეთ და მარტო კახეთზედ კელი აილოთ, ამით ვერც მე შეგრიგდები და არც კემწიფის დავლათს უჯობს-მეთქი. — ეს ამიტომე მივსწერე, რომე, რადგან ქვეყანა ასე შეწუხებულია, ამდენი ჯარი არა მყავს, რომე მულამ იმათ პასუხს ვაძლევდე. მანამდი ჯარი მოგვეშველებოდეს, ეგების ცოტას ხანს დას(წ)ყნარდეს-მევთქვი, თორემ თქვენც მოგესხენებათ და მეც ვიცი, რომე მანამდი ამათ ძალიანი თანბა არ დაემართებათ, ქვეყნების რბევისაგან კელს არ აიღებენ, არც დასწყნარდებიან. ეგების ასრე ვინმე გაგაშინჯოსთ, რომე ამ საქმეზედ მე გავლაპარაკებოდე. ღთის მადლმა, ყენის თავის მზემან და მამა ნუ წამიწყდების, რომე არც მე და არც ჩემს ყმას იმათთვის არც წიგნით, არც სიტყვით ამისი არა შეეთვალოსთ რა და ისინი რად შემომელაპარაკნენ, არ ვიცი. ახლა ჩვენ რომე ამგვარი პასუხი შეუთვალეთ, შეიყარნენ და თელავს მოუქდენ, სოფელი დაწვეს და ძროხა და ცხვარი წაიღეს. ტყვის წასაყვანად კი ვერ შეუვიდნენ. ჩვენ ვინც აქ გვახლდენ, მივაშველეთ, უკან მისწოდენ და ღთით ჩვენს ჯარს გამარჯვებოდა, ნაშოვარიც გაეყრევინათ და ოცდაერთი თავი მოგვიტანეს. ამის მეორეს დღეს თუშნი მოვიდენ, შილდის მიუქდენ, დაწვეს და ბევრი ავი უყუ(ე)ს. ტყუე, საქონელი წამოიღეს, რაც იმ სოფლებში ლეკის ჯარი\* დგას, ისინი თუშს ვერ შემოებნენ. თუშნი წავიდნენ. ახლა კიდევ აგრილდა, მთის ჯარის მოსვლის დრო არის და ვინც აქ ლეკი არის, ამათაც კაცი გაუგზავნიათ და ლაშქარი დაუბარებიათ. ვიცი, რომე ახლა დიდი ლეკის ჯარი მოვა, ამ სოფლებში დადგება, კახეთს ცემას დაუწყებს. ჩვენზედაც მოსვლას ამბობენ. ღთი რას მოახდენს იმან უწყის, ან რასაც გლუხს კაცს იმათთვის პირი არ მიუციათ, ან ისინი რას იქმენ ღთმან იცის. ონოფრე წინამძღვარიც<sup>†</sup> თქუნად სახლებლად პაშტა<sup>‡</sup> ხანია დავიბარეთ, მაგან დაიგვიანა, არ მოვიდა. ბატონმა უბძანოს, რომე წამოვიდეს, ნინოწმინდელი და ეგ ერთად ვახლოთ ბატონს.

№ 43

1722 წ. წერილი თეიმურაზ ბატონიშვილისა ვახტანგ VI-სადმი

უსეინ ყული ხანს!

ქ. სიმცროთგან ვიდრე აქანობამდე ჩემთა უღირსთა პატრონებთ მოშორებვისათვის მგლოვარე და სამუდამოთ მათის საფარვლიანის წყალობის გაყრისათვის მოჩივარ-მოტირალი კელმწიფეს მამის შეუ-

\* თავდაპირველად დაწერილი ყოფილა — ლეკი დგას. შემდეგ ჩაუმატებიათ — ლეკის ჯარი.

სწავლული და ყოვლად კურთხეულის დედის დედოფლის დაქვრივ-ბულისა წიაღსა შინა აღზრდილი და მათსა უანგარიშოსა გრზდასა და ნებიერობასა შინა ფუფუნეულ და აქანობამდე მოწევილი, და მსგავსად შეცოდებისათვის ჩემისა მათგანცა დატანჯული და უქამოდ გარდაცვალებისათვის მისისა მარადღე მოჩივარი და მათის პატრონობის გაყრისათვის ცხელთა ცრემლთა მომდინარე და აწ ღთისაგან ჩემთვის დიდად წყალობად მონიჭებულის და მამის მსგავსად ნუგეშინის საცემლად ჩემდა ბოძებული, ჩემად მწყალობელად აღმზრდელი უხუცესი ძმა ჩემი, ჩემთვის რამდენრიგად მოწყალე, რამდენგზის საპატრონო ჩვენის ოჯახის და სახლის ხელახლა გამომჩენელი, დაქცეულის სახლის აღმამართებელი, ყოვლის საკეთილოს საქმის მქონებელი, სიღრმით და სიბრძნით და მეცნიერებით მამათ პაპათ შემსგავსი, ჯელმწიფის მუსაჩიპ<sup>ა</sup> და შვილად აღზრდილი, ჩემი აუარებელი ღთის წყალობა და ყოვლის კეთილის მომნიჭებელი, რა ზურგი, რა იმედი, ჩემზედ რამდენ ჭირნახული, ჩემი პატრონის ძმის მეფის მიცვალებულისათვის ასე უანგარიშოდ ღღის რისხვა მოვლენილი და ყოველი ჩემი შვება, სიხარული განქარვებული, ჩემს ქაშში არღარას კეთილის მომლოდინე, სიხარულ-შვება განცუდებული და მარადქამ დაუცხრომლითა ცრემლითა მტირალ-მოჩივარი, ჩემს ქაშში უარესისა ღთის რისხვის მხილველი, უკეთესისა და უპატიოსნესის ჩემის მოწყალეთ კემწიფეთ დაშორებული თქვენი სიძე ბატონიშვილი თიმურაზ მოგახსენებ, ჩვენო აუარებელო ღთის წყალობავ და უანგარიშოვ შემწე-შემწყნარებული მეფეთმეფეებ ბატონო\* ჩემო უხვად შემბრალო, ამ ღღისათვის გებრალეზოდეთ და ამისთანას ჩემის გაუძლებელის ღღის მოვლენისათვის შეგვიწყნარეთ, ჩემო, რა მოწყალე, რა პატრონი, მამის უტკებესად მომლეი ბატონი ჩემი ძმა მეფე იმამყულიხან გამიქარდა, დავშით მასუკან უძმო-უპატრონო, მომლელ-მომნიჭებელ დაძვირებული და ჩემს ღღეში მისი მგლოველი და მისი კემწიფეს თავის მგონებელი. ვაი, ჩემს ყოფა-ცხოვრებას.

აწე წიგნი გებოძათ, რაც გებძანათ, ყველა გავიგონე, ღმერთი მამეცეს თავდებათ, რაც წმინდანი ღთისანი არიან, იმათიმც მგმობელი ვიქნები, თქვენიმც თავი მამიკლება და ღმერთმან თქვენი შაუბრალეებელი მამკლას. თუ რასაც ჩემს დარბაისელთ ეფისკოპოზთ ჩემთვის ბატონობა დეშალოს ან ჩემის ძმის ბატონობა ერჩიოსთ\*\* და იმის მისაცემლად კახეთი მოენდომებინოსთ, თითქმის ჩემის ძმის სიცოცხლეში — ჩემთვის უნდოდათ. ამათში გაზდილი ვარ და ამათგან ნაკირნახულევი. ესენი მაგას როღის მირჩევდენ, მაგრამე მე ჩემის

\* ადრესატის სახელისათვის დატოვებულ ადგილზე დასმულია 7 ხაზი.

\*\* აქედან გრძელდება verso-ზე.

გუნებით დავინახე და მივხდი, რომე გამეგონა და მესმოდა: ორნი ძმანი იყვნენ იმამყულიხან და მამადყულიხან, ერთად დაბადებული ერთად გაზრდილნი, კურთხეულმა მამა ჩემმა კინალარ იმისის თავაზით კახეთი იმას უშოვა, უფროსი არისო, და დღეს აქამდი სულ შემომწყარალსავით იყო ძმისა, ბატონობა არ მითავაზაო. მაგრამ ჩემი ძმა კურთხეული იმამყულიხან მშვიდი კაცი ბძანდებოდა და კაის საქმით ამშვიდებდა. ახლა მაგისი რა რჩევა მინდოდა, რომე მამადყულიხანის საწყენს თუ რასმე ვიქმოდი ან უკითხავს, დამემტერებოდა და ჩემს საქმეს გზას არ წაიყვანდა და ბეზღებითაც არ მომისვენებდა. თუ რგება და მოხმარება შაუძლიან, დამარცხება უფრო არ შეუძლიან? ერთი ირანში გამოჩენილი კაცი ისიც არის სიყრმითგან კემწიფეს სულ ბეგობაში ყვანდა და ახლა შვიდი-რვა წელიწადია თავის ტახტზე უჯდა. მამაჩემი არ უძახოდა ნაბიჭვარს, ჩემი ძმა და კელმწიფე ნაბიჭვრობით არას პატივს აკლებს. ახლა მე როგორ დაუძახო ნაბიჭვარი და კმალზედ დაუდგე?! აოხრებულის კახეთით რა მაგისთანა ძალი მაქვს. თქვენი უმცროსი ძმა ბრძანდება კარზე ყულარალასი<sup>4</sup>. ღმერთმან ნუ ქნას, ის, რომე კარზედ მაწყენლად გყვანდესთ, უამებლად და მოუსველნად, ვეკობ, თქვენც შეიქნათ. თქვენმა მზემა, მე ასე მეგონა, რადგან ჩემი უღირსი პატრონი ბძანდებით და მამის ალაგს მოწყალე, ამ ჩემს ნდობას და ჩემს ძმასთან ჩხუბის ჩამოუგდებლობას მომიწონებდით და თქვენ კი გამწყრომიყავით. თქვენის თავის მზემა, თუ იმან და მე ერთმანეთს ცემა დაუწყევით, თქვენც დიდათ შეგაწუხებთ და ქვეყანაც მამეთხრება. ველარც შვილი მოისვენებს და ველარც შვილისშვილი. რაღა ვართ რომე ახლა ჩვენ ერთმანეთს ცემა დაუწყოთ. ორი ძმანი ჩვენ ვართ და ორი ძმისწული დაგვრჩა. თუ კემწიფე არ გაგვიწყრა, ჩვენ რანი\* ვართ ერთმანეთისა, რომელიც გაბატონდება, ყველა ერთმანეთის პატრონი ვიქნებით. მაგაზე თქვენგან წყრომას არ ველით და არც სხვა რიგს საქმეს. იშვით\*\* საქმე ბევრჯელ მომხდარა საქართველოებში<sup>5</sup>. რა დადება არის. ერთი უშვილო კაცი როსტომ მეფეც<sup>6</sup> ბძანებულა კელმწიფედ და ერთი ესეც იქნება, თუ ღმერთმა იმისი მოსვლა მალირსა, ღთით და თქვენის ბედნიერებით. რადგან მე თქვენი ვარ, ჩემის გულისათვის ის უფრო მა(ა)მებელი შაიქნების, თუ ჩემი ძმობა ენდომება. ჩემთვის დიდი ღვთის რისხვა არის, რომ თქვენ ერთს საქმეს მიშლიდეთ და მე უარს მოგახსენებდე. მაგრამ ის კარზედ არის და ჩემი წიგნი რომ ჩასულიყო, იმის უნდობლათ ვინ რას გაიგონებდა\*\*\*.

\* დედანში: რახნი

\*\* დედანში ასეა.

\*\*\* დასმულია შურის რვაკუთხა ბეჭედი, შუაში წარწერით: „თეიმურაზ“, გარემო: „ბატონიშვილი“ (ა. ბაქრაძე, № 171).

1722 წ. დეკემბრის წერილი!  
თეიმურაზ ბატონიშვილისა ცახტანგ VI-ისადმი \*

უსეინყულიხანი

ქ. მრავალ მცოდნელობათა ჩემთაგან და ღთისა უხვ მოწყალება აღძვარცვითა, ესეოდენად განცდილი და ჩემ უღირსად მობრალულ-მოწყალე ძმა და კელმწიფე და მის მრავალ საფარელიანობა განშორებული და მისგან უნუგეშინსცემოდ დატევებისათვის ვიდრემდე სულდგმული ვარ, მწარედ მოჩივარ-მორუდუნე მაგათი სიძე ბატონის შვილი თეიმურაზი ვკადრებთ და მოვასხენებთ ყოვლად დიდებულსა, ქებულსა და ღირსად პატიოსნებისა მათისა ამალღებულსა ჩვენად მოწყალედ შემწე-შესავედრებლად და პატივსაფარველად მისახედ-შესავედრსა, მამის მსგავსად მისამართ-მისაქვრეტსა და უმეტესად მამისა მამად წოდებულს, ჩვენს დიდად და აუარებლად ღთის წყალობად საგულევებელს მეფეს და სიმარს ბატონს\*, მრავალი მაგათის ქებაშეუგებელის და ჩვენთვის სახლებლად სანახავად შესაყრელად და სამსახუროდ სანატრელის თავის შესაფერი მოკითხვა-ნახვა-შეყრის წადიერება მრავლად\*\* და მსახურების ნატრა მოიხსენებია.

აწე წიგნი ებოძათ და, რომელიც ებძანათ, გავიგონეთ, ისემც ღმერთი მაგათის ბედნიერის თავის პატივ-საფარველს ჩვენ ნუ მოგვიშლის, როგორც ჩვენ მაგათზედ გუნება დაჭერებული გვექონდეს. ქვეყანაც მაგას ხედვედეს, რომელიც ჩემი სამჯობინარო იყოს, იმას გვიბრძანებთ და გვაქნევიანებთ და, რომელიც კემწიფის დავლათსა და ქვეყანას უჯობს, თქუენც იმას იქით და ჩვენც ღთითა და თქუენისავე პატრონობით თქვენს გარდუალს, ვითაც გემართებს, როგორ რასამე ვიქთ. ჩემი ყოველი მოვლა და პატრონობა თავად უწინაც თქუენს კელში ჩამომეგდო და ახლა ნამეტნავად თქუენს იქით რაღა მეცოდინება. თქუენის ჯარისა ლილოზედ გამოსვლა გებძანათ და ჩვენთვის გეკითხათ. კურთხეულის ჩემის ძმის მეფის იმამყულიხანისა და ჩვენი დარბაისელთ-ეპისკოპოზთ მოხსენება და თავის წყენა თქვენთან ყოველთვის ეს არის, — თქვენ ჯარით გამობძანდეთ და ჩვენს ქვეყანას უშველოთ და მტერი გაგვილაზოთ. თქუენის გამობძანების იმედით აქანამდინ გვიყვენებია ქვეყანა, ხიზანი იყო, თუ მოსახლე ვინმე სახლობს, თქუენი გამობძანება რომე ესმოდა, ბატონის ჩემის ძმის სიცოცხლეშიაც დიდს ზურგსა და იმედს აბემდა (sic) და ამდენი ჭირი

\* ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი სახელისათვის.

\*\* დაწერილი ყოფილა მოკითხვა. შემდეგ წაუშლიათ და დაუწერიათ მრავლად.



გასძლეს. თქუენგან და თქუენის დიდის ჯარით გამოსვლის უკეთესი არა იქნების რა, რომე ამ გათავებულს ქვეყნებსაც თავის ალაგს დაყენებს და მტერსაც დასჩაგრავეს და ძალას მოუშლის. ამ ქვეყნის ანბავიეც ეს არის, რომე მოგვიხსენებია. ბატონი, ხომე გონიერად გაშინჯავს, კიდევ მოხსენებია და კიდევ თვალითაც უნახავს კახეთის გაოკრება და მტრისაგან წახდენა. თუ ღთი და მაგათი ბედნიერობა გვაღირსებდეს და მაგათი გამობძანება იქნებოდეს, ჩვენც ადრე გვიბძანონ, რომ ჩვენი ფიქრითა ვქნათ. კახეთის შიგნით სოფლები რომე გალექდნენ იმათიეც ასეთი ფიქრი გვაქვს, ღთითა და თქუენის ბედნიერობით, რა მაგათს გამობძანებას და კახეთის მოშველებას შეიტყობენ, ისინი ჩვენკენ მოიწევენ და ვისაც გალექებისა და აყრის ფიქრი აქვს, ისინიეც ამ კახეთის ალაგს ველარ დაგდებენ, ველარც გალექდებიან. ზოგი შიშით და ზოგი იმედით და ზურგის მობმით. მაგრამ ბატონსაც მოეხსენება, ლილოზედ ჯარის დადგომა შიგნით კახეთის ალაგებს არას არგებს<sup>2</sup> ამიტომე რომ, რადგან გალექებული სოფლები არიან, იმათ თავიან ალაგებში ლეკნიეც ყუანან ზოგირამ და რა ამას დაინახავს, ჯარი შორს დგასო, საცემლად ვერ მოგვწვდებო. სოფლებს ცემას დაუწყებენ. ლილოზედ დგომა ამიტომე ყოველ<sup>3</sup>ლს ალაგზედ შორს იქნება, თორემე, სადაც თქვენს ტახტზედ ბძანდებით, მანდიდამაც დიდი იმედები ესმით და ამ ალაგებს კიდემ ის აყენებს, თორემ თქუენი ლილოზედ დგომა, როგორ ქვეყანას არ მოაბრუნებს. ერთი ესეც არის, ლილოზედ მდგომი ჯარი განჯას და სხვას ყიზილბაშების ალაგებს არას არგებს, რადგან ჩვენც და ჩვენს ალაგებსაც მაგ წყალობას უზამთ და გამობძანდებით, ასეთს ალაგს მობძანდათ, რომე კახეთსაც არგოთ და ყიზილბაშის ქვეყნებზედაც სამ[ო]ყროდ ბძანდებოდეთ. ჩვენთვის დიდი წყალობა და ქვეყნისათვისაც სამჯობინარო იქნება. ბატონმა ესები გაშინჯოს და მაგათ უკეთ საქმის დანახვა ვინ რა იცის, რომელიეც ან მაგათ უჯობდეს და ან ამ ქვეყანას, — ის მოახდინონ და ის ქნან. ჩვენგან მაგათი მოხსენება ძნელია, მაგრამ რადგან ებძანათ, ჩვენ ეს მოგვიხსენებია და, რომელიეც ბძანოს, მალე გვიბძანონ, რომე ჩვენც ჩვენი ფიქრი ვქნათ და საქმე კელთ დავიჭიროთ. ჩვენი ეპისკოპოზი ჭერემელი გრიგოლი ვგიახლებია და ჩვენს სიტყუას ბატონს მოახსენებ.

№ 45

1728 წ. წერილი თეიმურაზ ბატონიშვილისა ვახტანგ VI-ისადმი

უსეინყულიხან!

ქ. მაგათის ღთის მიერ ზეგარდმო განგებით ღირსად ამალღებულს და განძლიერებულს, საბედნიეროს ეტლზე დამყარებულის,

თავის გვერც (sic) ხლებისა და სამსახურის მოწადე და (ა)მოდ ყოფნის მონატრე მაგათი სიძე, კახეთის ჯანიშინი ბატონის შვილი თეიმურაზ<sup>1</sup> ვჰკადრებთ და მოვახსენებთ ჩვენსა აღურაცხელ, ღთისაგან წყალობად მობოძებულსა, ყოვლის კეთილის მყოფლად მონიჭებულს სახელოვანს და ყოვლს (sic) ქვეყანას კმაალმატებით სახელ-განფენილ-განწვენილს, მრავლის დიდებით აღმატებულსა და წარჩინებულსა, ღთისაგან ზეცით საფარველქანსა და ქვეყნად დიდის კელმწიფისაგან უხვად წყალობა განმრავლებულსა, გრძლად რალა თავი ვაწყინოთ, მეფე ბატონს\*, მრავალი და აურაცხელი, მაგათის მრავლის სიკეთით შემკულისა და ყოვლის სახელმწიფოს ზნე-ცოდნა მოუკლებელის თავის შესაფერი მოკითხვა, გვერც ხლების სამსახურის ნატრა და ამოდ ყოფნის სიხარული მოეხსენოთ.

მერმე ეს მოვახსენოთ: ჩვენს ძმას წიგნი მოეწერა<sup>2</sup> და კელმწიფისაგან მაგათთვის სარღობის წყალობის მოსვლა ებძანა<sup>3</sup> და მაგათი და ჩვენის ძმის ერთობის და კაისმდომობის რაყმის მოსვლა მოეწერა. მათი მოწერილი წიგნი მანდ გვიახლებია. ღმან ბენდიერის კელმწიფის წყალობა ნურაოდეს დაგილიოსთ, ღთის წყალობას მოგცემსთ, როგორადაც ჩვენთვის სასიხარულო და სასიამოვნო ამბავი ეს იყოს. ჯერ კელმწიფისაგან თქვენთვის დიდი წყალობა და მერმე კიდევ, რომელსაც ღმერთს ვეხვეწებოდით, თქვენსა და ჩვენს ძმას შუა იმგვარი ერთობა კელმწიფესაც მოუტდენია. ღთით იმედი გვაქვს, რომე დღეს ამას იქით ერთმანეთის საწყენი არცერთმა იკადროთ. თქვენმა მზემან, ყენის რაყამიც არ მოსლოდა, მე ჩემის ძმისაგან ვიცოდით, რომე თქვენი დიად, ერთობისა და სიკეთის მდომელი იყო და თქვენც ასეთს სიტყუას მიბძანებდით, თქვენც მწყალობელი და სიკეთის მდგომი ბძანდებოდით. ახლა ასე მოკდა, მე ამას ღთისაგან წყალობად ვიბადლი, რომელიც მოგეხსენებოდესთ ან თქვენი ჩაფარი მოსულიყოს, გვიბძანოთ. ამასაც მოვახსენებთ: კახეთში\*\* ლეკმა დიად ძალა ქნა, დიდი ჯარი ჩამოვიდა და გაღმამჯარში დგას და იქილამ, რალაც სოფლები დაგვრჩომია, ლაშქერენ და აოჯრებენ. ამას მოველით, რომ ჩვენც ყური მოგვიგდონ, რომე ამის უფრო ეს ქვეყანა არ მოითხაროს. მდივანი სულხან გვიახლებია და სხვას ჩვენ ამბავს ეს მოვახსენებთ.

თეიმურაზ (ხ ე ე უ ლ ა დ)\*\*\*.

\* ამ სიტყვის შემდეგ დატოვებული თავისუფალი ადგილი და დასმულია რამდენიმე ღეფიზი.

\*\* ტექსტი გადადის მარცხენა აწიაზე, სიგრიძე.

\*\*\* თეიმურაზის ხელრთვა მოთავსებულია verso-ზე იმ ადგილას სადაც recto-ზე მთავრდება ტექსტი.

1726—1781 წწ. წერილი ალექსანდრე ალავერდელისა ტფილელ  
ეპისკოპოს იოსებისადმი

ი ო ს ე ბ ი

ქ. თქვენის პატიოსნის წმიდისა და უმანკოს და სულისა მიერ წმიდისა განწმედლის თავის სამარადისოდ გვერცხლებისა და ალერსს სასობით მონატრე ამა ალავერდელი მოგახსენებ, ჩვენო დიდო ღთის წყალობავ და ორისავე ცხოვრებისთვის დიდო სიხარულო და ყოვლის კეთილის მყოფელად მოსალოდნელო, ჩვენო ჟამ ყოველ ტკბილად და კეთილად სახსენებელო საგონებელო, წაო და ყდ სანატრელო მეუფეო ჩემო ბატონო ტფილელი\* მრავალი თქვენის სიყრმიოვან ქრისტეს სარწმუნოებაზე აღზრდილისა და სულისა მიერ წმიდისა კეთილად ღირსად გამორჩეულის თავის შემსგავსებული მოკითხვა, ხილვის ნატრა და ურთიერთის ამბორებისა და ამოდ ყოფის სიხარული მოგვიხსენებია.

მერმე: ამას წინათაცა და კიდევ ახლა ჩვენისა და ბატონის კათალიკოზის ერთად შეყრა და ურთიერთს მშვიდობის დაგებისა ყოფნა გებძანა. ლთი არს მოწამე და კაცნიც მრავალი, რომე ჩემის თვითმონებითა და არც თავხედობითა და არც წინააღმდეგობითა მე გვირგვინი არ დამეხუროს, რომ მრავალთ დარბაისელთ და მახსოვარ(თ) ვკითხე, მეც მითხრეს და მაგ ბატონს კათალიკოზსაც მოახსენეს, რომ სხვას ალავერდელსა უკათალიკოზოდ დაუხურავსო, და მეც დავიხ(უ)რე. აწე ასე უსასო და ღთის მოძულე როგორ ვიქნები, რომე წმიდას სვეტისცხოველს მოსვლა და თაყვანისცემა არ მინდოდეს და ბატონის კზის შენდობის აღება და მანდ მოსვლა. მაგრამ ასე რიგად საქმე მაქვს მოსული, რომე თავად სხვა კახი კაცი და უფროსლა მე ვერ წამოვალ მანდით, ეს რომ გამიწყრება, სულ ამ სოფლის გათავებას მოველი, ეგ კიდემ მოწყალე არის, შემიწყნარებს რაგინდა დიდი რამ დანაშაული მქონდეს. აწე მე ასე მომივიდა საქმე, რომ უმაგათოდ დავიხურე. მაგათ ეგების ასე ეგონოს, რომე სხვა ალავერდელიც მოინდომებსო, რადგან ამან ქნაო. ეგ ყოველთა იციან ძველითგან, რომე ვინცა ვინ ალავერდელი ყოფილა და ან იქნების, მეცა და სხვანი, ყოველნი სვეტისცხოველს კარს და ვინცა ვინ საჭეთ მპყრობელი კაცი ყოფილა, კურთხევა მისგან მიუღია. ახლა ღთის წყალობისათვის\*\* და ქრისტიანობისათვის ჩვენც ამას მოგახსენებთ

\* დატოვებულია ადგილი სახელისათვის, დასმულია სამი კაუჭი.

\*\* ეს სიტყვები გადახაზულია.

თქვენ და მაგ ეფისკოპოზთა რომე ჩემიც რამ ინავლოთ, ამდონი შუამავლობა მიყავით, რომე მე დანაშულზედ დამიც თავი, დავაშავე, საქმემ და დრომ ასე მოიყვანა, მეც\* ერთი წიგნი მომეწეროს, ისევ შემირიგოს, ისევ შემიტყბოს, ჩემი თავიც ინდომოს. ამ დაკინებულს ქრისტიანობასაც ისე უჯობს. მას უკან თუ ღთი ან მაგათს ჩამობრძანებასა და მაგათ ნახვას მალირსებს, ან მე ვიახლები\*\*, რომელსაც ეგ მიბძანებს, იმას ვიქთ. ნულარც ეგ გვიწყრების, ამდენი გულის კლება გაათაოს, თუ არადა, ბედნიერად იყოს, ჩვენგან ხვეწნის მეტი არა გაეწყობა რა, რა ვქნა, საბოლოსი უბძანებია\*\*\* და საბოლოსი ეს პირობა მომიხსენებია: ჩვენ რო გარდავიცვალნეთ, ვინც ჩვენს უკან ალავერდელი დაჯდეს, უკათალიკოზოდ გვირგვინი ვერ დაიბუროს და ახლა მანდ ჩამოუსლელიობა მოგვიტეოს და შერიგების წიგნი გვიბოძოს. მოხსენება და ხვეწნა ამას ქვიან და ჩვენ მაშინც ამას მეტს არას მოვახსენებთ, ბატონო. ჩვენი აზნაურის შვილი გვიახლებია. იოვანე ავად იყო, თვარა ეს მინდოდა მეახლებინა.

ალექსანდრე ეპისკოპოსი (ხ ვ ე უ ლ ა დ)..

№ 47

1730-იანი წლების წერილი ელისე დმანელისა ვახტანგ, ორბელიანისადმი

ვახტანგს!

ქ. მონა უფლისა იესო ქრისტესი და დღე ყოველ თქვენი სამარადისოდ მლოცველი მტბევარი მიტროპოლიტი და თქვენი მონასტრის მოსამსახურე დმანელი ელისე მრავალს ლოცვა-კურთხევას მოვანსენებ უფალს. სიტყვა გებძანათ, ყველა შევიტყვევ. თავად ნება ღთისა არის დამერმე თქვენი. მაგრამ ეს ასეთი დრო არის, ახლა კაცი კაცს არ უნდა შესძულდეს. ღნ სიცოცხლე მოგცეს, თვარემ ღთი შენ არას დაგაკლებს. მე ასე ვეჭობ, თუ ამან თქვენი საწყენი იცოდეს, სულაც აღარ დადგეს. თუ თქვენი იმედი არა ქონდეს, არც ააშენებს. მაგრამ, რადგან აგრე არის, სანამ\*\*\*\* ააშენებდეს, ისევ შეტყობა სჯობს იმერებოდეთ (?) ურთიერთს, ესეც ღიდად ერიდება წყენას, საწყენსა და თქვენც მოერიდეთ ამის წყენას. მაგაზე თავს ნუ შეიწყენ, თქვენი უნებური ამას არა უნდა რა და შენც დაიჯერე.

\* აქ ერთი სიტყვა მელნითაა გადახაზული.

\*\* ეს სამი სიტყვა სტრიქონს ზევითაა ჩაწერილი.

\*\*\* აქედან ვრძელდება verso-ზე.

\*\*\*\* ტექსტი ვრძელდება verso-ზე. პირშექცევით.

1731 წ. 20 იენისის წერილი-ბრძანება ისპაყფაშისა ელიზბარ და ვახტანგ ყაფლანიშვილებისადმი

ქ. ვეზირი ისპაყფაშა<sup>1</sup> ვიკადრებ. ჩვენ მაგიერად ყაფლანის შვილს ელიზბარს და ვახტანგს ასე უნებეთ, მერმე: საბარათაშვილოში რომ ოთხი მირის<sup>2</sup> სოფლები გიბოძეთ, რაც იმ სოფლებს დაეთარში მირი ეწეროს, ის მირი ჩვენს მაჰმად-ბეგს<sup>3</sup> მიაბარე, რომე საბარათაშვილოს სოფლები იმას აულია დაეთარდრისაგან და სოფლები ოთხივე შენ ზავით<sup>4</sup> ქენ. სხვას კელი არავის აქვს. დაიწერა თიბათვის კ ქქსა უთი.

ისპაყ (ხე უ ლ ა დ)

№ 49

1724—35 წწ. წერილი შანშე ერისთავისა მანუჩარ გლურჯიძისადმი

ქ. შანშე ერისთავის კეთილად სახსენებლო და აროდეს ჩვენგან არ დასაეიწყარო, ძმაო, მანუჩარ გლურჯიძე! მრავალი მოკითხვა მოგვიხსენებია. მერმე: ეს გებძანათ აქ, თქვენს კაცს ჯავახლას შვილს კაცი სისხლას ადავებსო. თქვენვე იცით, ჯერ მე ეგ კაცი არ მეყიდნა, რომ ეგ საქმე მამჯდარიყო. აქამდინ სად იყო ან ეგ ჯავახლას შვილი და ან მისი კაცი. თქვენვე იცით, ატენში ვენაჯი არც მაგასა ქონია. მაგრამ კიდევ ვრჩომილვართ. არც მე მინდა მაგაზედ, არც რას ჯავახლას შვილს შეევაპოები, და არც რას ატენელს კაცსა. მართალია, ერთი ჩემის აზნაურშვილის ბუში გათათრდა, აგერ უწინავე ვინიცის კაცი დაეპრა თუ მოეკლა, სტანბოლის იყო, ახლა იქი\*—დამ გორის ფაშასთან მოსულიყო, აქ ჩემთან მოვიდა, ერთი კვირე დაყო, ორი ტყავი მამპარა და მაშინვე წამოვიდა. თუ მაგ ჩემს ტყავებს გამიმგზავნით, თუ ჩავიგდევ კელში და ან ჩემს მამულში ახას გახლებ, თუ არადა, მე რა უყო. და თუ ეს გეჯავრებათ, ვენაჯი რატომ იყიდა? და თუ მინდა, სულ გაკეთეთ არც რა მაგათი იქნება. ოცდაათი თუმანი მიმიცია, თავის წიგნს-შივისცემ და ჩემს თეთრს ისევე გამოვართმევ. მასუკან რაც გინდოდესთ ქენით. თუ არდაგებაში ამ თათარმ(ა) კაცი

\* verso-ზე პირშექცევით მიწერილია სხვა ხელით: ვეზირი ისპაყ ფაშისაგან ბრძანება.

წერილს recto-ზე დასმული აქვს (ფურცლის თავში) დიდი ოვალური ბეჭედი ოსმალური (?) წარწერით.

<sup>1</sup> აქედან გრძელდება verso-ზე პირშექცევით.

დაპრა, ჩემი მეზრე უბრალოა. ეს დამიჯერეთ, თავის სისხლს აიღებს, თორემ და იხტიარი<sup>2</sup> თქვენია. თათარმა მოკლას ეინმე, სისხლი მე უნდა გავილო, ქ(ა)რთველის შვილ(მა)—და სისხლი მე უნდა გავილო. მაგრამ სამართალს არ გა(ე)წყობა, რა შვილია, გეპრიანებოდეს, ისე ქენით\*.

## № 50

### 1724—85 წწ. წერილი უსუფ-ბეგისა გივი ამილახორისადმი

გივს!

ქ. ბედნიერის ვეზირის ქე(ვ)პა<sup>1</sup> უსუფ-ბეგ ვიკადრებ: ჩვენ მაგიერად ჩვენგან დიდად პატივემულს ამილახორს ბატონს\*\* მრავალი მოკითხვა მოახსენეთ. მერმე ამ თუმანის შვილს ფირა(ნ)ს თავისი მამა მანუჩარ ერთს კობლს კაცს ახალდაბას გოგებას შვილს ეცილებოდა. გავეშინჯეთ, ფირან რომ კაცის ბარათი ეჭირა, როგორც აქამდინ ფირანს ქეროდა. ისევ ამისთვის წყალობა\*\*\* გვიქ(მ)ნია და თქვენ გარიგეთ, როგორც აქამდინ ემსახურებინოს, ისე ახლა ემსახუროს შეძლებით\*\*\*.

## № 51

### 1724—35 წწ. წერილი უცნობი პირისა შანშე ერისთავისადმი

ერისთავს ბატონს შანშეს მრავალი და აურაცხელი თქვენის სახელოვნისა და სახელის მძებნელის თავის შესაფერი მოკითხვა მოგვიხსენებია. ახლა ყაფიჩილარა<sup>1</sup> ქაიას რომ თქვენი კაცი დაეჭირა ფანველის შვილის ხრაჯის\*\*\*\*2 გულისთვის. ის ჩვენ დაწე(რილი) წიგნი მოგეწერათ, თქვენც იცით, ჩვენ ხრაჯში საქმე არა გვაქვს. ყაფიჩილარ ქაია აქ არ არის. აქ ორ-სამ დღეში ჩამოვა, თქვენც წიგნი მოსწერეთ და როგორც სჯობდეს, ისე გარიგეთ. ჩვენი საქმე არ იყო, თვარემ თქვენის ხათრის გულისათვის, როგორც ბძანებდით, ისე გავარიგებდით\*\*\*\*\*.

\* დასმულია მურის რვაკუთხა ბეჭედი ოთხსტრიქონიანი წარწერით, I და II სტრიქონი სპარსულია, III და IV ასომთავრული.

\*\* დატოვებულია ადგილის სახელისათვის.

\*\*\* აქედან გრძელდება verso-ზე.

\*\*\*\* დასმულია მრგვალი ბეჭედი სამსტრიქონიანი სპარსული(?) წარწერით.

\*\*\*\*\* ასეა ტექსტში.

\*\*\*\*\* დასმულია მურის რვაკუთხა ბეჭედი ორ სტრიქონიანი წარწერით (შეიძლება სპარსულით). არ ჩანს.

1724—1736 წწ. წერილი გივი ამილახვრისა ასანა, ფარემუზა, როსტომ და ვაჩასადმი

ქ. ამილახორის გივის დიდათ იმედათ მისაჩენლო ასანავ, ფარემუზავ, როსტომ და ვაჩავ. მრავალი მოკითხვა მოგვიხსენებია. წიგნი მოგეწერათ, დაგვიპირესო, გორს დაგვაბესო, თეთრი წაგვართვესო. საანამდის თეთრი არ მიგიციათ, არა შემატყობინეთ რა. თეთრი მიგიციათ, ახლა რა უნდა გიშველო, ისევ ხომ აღარ მოგიბრუნებენ? მე იმიტომ მოგწერე წიგნი, რომ არ დაიმალებოდა; დამნაშავე კაცი უნდა დაგეპირათ. არ დაიმალებოდა. კაცი ჯელში მოგეცათ\*, ერთს საათს დაქერილი არ გაგიძლიათ, თეთრი მიგიციათ, დამნაშავე კაცი მანდ არი, რაც გინდა, უყავით. დასტური მოგვიცია, ფაშისაგანაც დასტური ავიღე. რაც გინდა, უყავით. წიგნი მოგწერო, თეთრი შეუბრუნე, ხომ აღარ შემოგიბრუნებენ. როგორც მართებული იყოს, სოფელიც ისე მი(უ)ყენეთ და რიგიანათ გაუყავით, როგორც შეძლება ჰქონდეს. ამ ვეშაპურს სხვა თმარობაზე (sic) ნუ გარჯით. რაც ამას შეხვდება, ის გამოართვით\*\*.

1724—1736 წწ. წერილი. შანშე ერისთავისა ასანა თუმანიშვილთან

ქ. შანშე ერისთავის კეთილად სახსენებლო თუმანის შვილო ასანავ! მერმე: კაცები გამამიგზავნია და ნუსხაცა და, თუ ჩემი თავი გინდა, რაც მანდ ჩემი მეჭვრლის ქვეელი კაცები იყოს, მაგათ ეგ თეთრი მალე გამოართვი და გამამიგზავნე. თუ შენ არ გამოართმევ, ეს ჩვენი კაცები გამოართმევენ. ერთი ეს შემიტყვე, მაგ ენგიჩ(ა)რს ხომ ჩემი ბიჭები ყავს, თუ მამცემენ, შენ გამოართვი და თეთრიც შენ მიეც. თუ მაგ ჩემს ბიჭებს არ მამცემს და ამ თეთრსაც ფაშას გაუგზავნი და მაგ ბიჭებისასაც მოვახსენებთ\*\*\*.

\* აქედან გრძელდება verso-ზე.

\*\* დასმულია პატარა რვაკუთხა ბეჭედი გაურკვეველი წარწერით verso-ს ბოლოში პირშექცევით სხვა ხელითა და მელნით მიწერილია: „წიგნი ამილახვარი გივისა“.

\*\*\* verso-ზე პირშექცევით ფურცლის თავში დასმულია რვაკუთხა ბეჭედი. გამოსახულებით: სპილოზე ზის დიდკაცი ხელში ხმლით. დიდკაცი ბალდახინის ქვეშ არის მოთავსებული.

verso-ს დაბლა მხარეს სხვა ხელით: „ქ. ერისთვისა“.

## 1724—1736 წწ. წერილი დავრიშა-ბეგისა მთავარეპისკოპოსისადმი

ქ. თქვენისა კარგათ ყოფნისა მოდომე დავრიშა-ბეგი მოგახსენებ, ბატონო მთავარეფისკოპოზო, მრავალი მოკითხვა მოგვიხსენებია! მერმე: ქვენა ტკოცის<sup>1</sup> სუბაშობა<sup>2</sup> ამ ას(ა)ნა ჩ(ა)უშისათვის<sup>3</sup> მიმიცია, რომე კარგა მოუაროს, გლები თავის ალაგას და(ა)ყენოს და, თუ ჩემი თავი გინდა, შენც უბოძე და შენვე კარგა გემსახუროს და სოფელი არა წამიხდეს და ვეზირის ბურჟურთსა<sup>4</sup> მოუტ(ა)ნინებ.

ქ. დავრიშ-ბეგს მოეცა შენთვის სუბაშობა, ასან ჩაუშო ქვენატკოცისა. ჩვენთან შუა შემოგვსლოდა. თუ კარგად მოუვლი და გამაგრებ, ჩვენც შენთვის გვიბოძებია ქვენატკოცის მოურაობა.

(ხ ვ ე უ ლ ა დ) მჭზი\* (მ თ ა ვ ა რ ე პ ი ს კ ო პ ო ს ი).

## 1736 წ. 10 მაისის მიწერილობა გივი სახლთუხუცესისა გრიგოლისადმი

ქ. სახლთუცესის გივის<sup>1</sup> სიყვარულით სახსოვარი ძმა გრიგოლ. მერე: მარილელნ მოვიდნე(ნ) აქა დ(ა) ბატონს წყალობის წიგნი მოართვეს მამულისა. მანდ უტოს<sup>2</sup> შენ უნდა გახვიდე უტოს გილდაშვილის ნაზრევი თავის მეზრისთ ოთ(ა)რს რომ ბატონის წყალობა გასამყრელო ზვარი ეჭირა, მეზრე ბულალა თავისის მიჯნებით მიაბ(ა)რე და მანამდინ ეს აფჩინა და ხემსურ(ე)ბი მანდ (და)იყ(ე)ნე, კარგ(ა)თ შინახ(ე) და მანდ მარილელთ უთხ\*არ, ჩემი წიგნი რომ მოგივიდეთ და ომან(ი)ც მოვა მანდა, როგორც მოგწერო, ომანმა და შენ ისე გაარიგ(ეთ), რომელიც ჩვენი მსახურები დამებარებინოს გამოგზ(ა)ნე ახლავ. მაისს ი. ქკს უკგ.

გივი (ხ ვ ე უ ლ ა დ)

\* დასმული აქვს რეკუთხა ბეჭედი სამსტრიქონიანი სპარსული წარწერით (ბეჭედი დასმულია verso-ს თავში).

ფურცლის ქვემოთ, სხვა ხელით (აღრესატის ხელით): ქ. ქვენატკოცის სა-  
მოურაო წიგნი.

\*\* აქედან გრძელდება verso-ზე.



1735—1736 წწ. წერილი ეფთვიმი ეპისკოპოსისა ბესარიონ  
კათალიკოსისადმი

ბესარიონ!

ქ. ვინათგან იტყვის სიტყვანი სამლოთო წერილთანი, მოიწინე ეამნი და წელნი, იყოს სვრანი და ძვრანი ადგილ-ადგილ, იყვენენ კაცნი უმადლო, უყვარულ, უღმობელ, უწყალო და შემდგომი. ხოლო ეამსა ამას ცოდვათაებრ ჩემთა დაუთომილი ვითარცა იერუსალიმით გამორამედარას უწყ ყოველი, რამეთუ მცირედ მეწყლებისა უმეტეს მოკლებული ნაღვლიანი ჭირვეული მზრუნავი მონა უფლისა და შენ მეუფისა ჩემისა ვითარცა ქრისტესა შესნა ეგრეთ თაყვანის გცემ ლტოლვილი არაქელა ხისაგან ეგვიბტედ ლტოლვილი თანეს ვიდრე კლდედ შეწყნარებისად იოანეს ეფესოს და იოანე ექსორობისა უღირსი ეპისკოპოსი ეფთვიმი, ამისთვის ვაქებ მოწლედ შეწყნარებისა და შეყვანებასა სახლსა ამას აბრაჰამისა, ჭეშმარიტსა მქადაგებელსა სარწმუნოებისასა, სანატრელო წმიდაო და ყოვლისა კეთილისა მიხმეო, ემპლასტრეო სულსა წულულისასა, ორდანოვ მართმადიდებლობისა, ნავთსადგურ მადლთა სამლოთოთა მეტყველებისაო, მოწყალო და ქველის მოქმედო უფალო, უფალო კ(ათალიკო)ზ პატრიარკო\* წინაშე ვითარცა ერთი სული მრჩობილთა გვამთა შინა მყოფი, ესრეთ მოგეახლები შემეტკობი ამბორის ყოფის კადრებით მოკითხვასა სამსახურის წადილით ნეტარებასა ესრათ (sic) მბაძველობ ათთა მცნებათა არ გარდაძველებით ქება დიდებაი მ...თ მკობლობით ვითხოვ ლოცვასა, სარწმუნოებით კურთხევასა, მარჯვენეს ამბორის ყოფას გვიბრძანეთ ჩემო მწყალებ ბატონო! თქვენი კეთი\*\* ლად ამაღლებულობის ცხოვრება ამდენს ხანს ბატონიკ და ყმაც თქვენის მზერის დაშორებული შევიქენით. ერწამას კი გიხილეთ გუშინწინ, მაგრამ არ თქვა თვალი შედგმა. თუ საქმემ თავი კელათ მოგცეს, ერთობ ნუ მოშორდებით ბატონს. ახლა ამას უნდა ნუგეში და კეთილად საქმის წარმართებულობის იმედი. თქვენს მეტი არც თავის ქვეყანას ვინმე ყოლია თვარემ აქ ვინ ეყოლება კეთილის მოქმედი. მალმალე მოგიგონებსთ, თქვენმა მზემა, კ(ათალიკო)ზი ველარ ვნახეთ. რა საკვირველია, ამას თქვენ თვალში დააკლდეთ არც ასე საქმის გაჩერება ვარგა. ერთი ოქმით ამ ჩვენს საქმემ თავი გაგებას თუ კი\*\*\* იქნება და მოხდება რამ. თვარემ უმჯობესი თქვენ უკეთ იციო. სხვა შე ნუ მომიკვდები და თქვენი გაწყრომილი ნუ მოგკვდებ-

\* დატოვებულია ცარიელი ადგილი სახელისათვის.

\*\* გრძელდება მარცხენა აშიაზე ირიბად.

\*\*\* აქედან გრძელდება verso-ზე პირშექცევით ირიბად.

დიდათ მომერიდება კიდევ მე შენთან რა სამსახურისათვის უნდა ვაწყინო თავი, მაგრამ იმას მეტად მაგათს ორგულს ნუ აქვს კეთილი. მე მაგათ მეტი მოწყალე და მობრალული ამ ქვეყნებშიდ არავინ მყვანდეს. ერთი მაგას მოეხსენებათ, მაგრამ ესეც მაგათი სიწმინდის საფარველს შემოვედრებული არის, ვხედავ და ვიცი არალირსთათვისაც მოწყალე არის და ვინგინდასთვისაც მრავლის წყალობის მყოფელი ან მეცნიერთათვის, ან უმეცართათვის, ვითამ მეც იმათშიდ გავერიე, ერთი და ერთი ეგების ვიყო-მეთქვი. ესე მაგათი ორგული შეწუხდება, სასმელს საქმელს გარეთ მე ყოვლისფერზედ შეწუხებული ვიყო, ნამეტნავად ცხენზედ. მაგათი კელმწიფე დის წყალობა ცხენი მყავდა და ავადეულობით აღარა მარგო რა. ასე დავარდნილი ვარ, ვეხვეწებით მაგათს უხესა და მდიდარს თავს, რომ ერთი ცხენის წყალობა მიყოს. ეგების მოინდომოს საბოძებლათ, მაგრამ ასე ბრძანოს, მე მისი საკადრისი ცხენი არ მყავს რა. კარგი თუ არ იქნება, რაც უნდა იყოს, საჯდომათ რომ არ მარგებდეს, ეს საისხანათ (sic) მაშინც მარგებდეს. დიდის გულს მოდგინებით გეხვეწებით, თუ არ მოვკვდი ორს, სამს ზომას სამსახურს ვეცდებით. თქვენის წყალობით, ასლა ამ კაცს ცალიერს ნუ გამო(უ)შვებენ და, დაპირებით თუ არა, ამას უფრო ვეხვეწები, მოხსენებისათვის გულს არ დააკლოთ და არ გაგვიწყრენ\*. სხვა მაგათი თაფლმწითოლვარეს ტკბილს სიტყვას და ალერსის სასმენელად სანატრელს ძმას ბატონს ვახტანგისათვის<sup>1</sup> სამსახურის და ხილვის წადილი მიკადრებია. ვაი ჩემს სულის დგმას, ამდენს ხანს მაგათი უნახავი ვარ. ეგების ღმერთმა კიდევ მაღირსოს იქნება.

მაგათი საკადრისი ვერა ვიშოვნეთ რა და ერთი ატლასი მიახლებოია.

## № 57

### 1736—38 წწ. წერილი თამარ დედოფლისა გივი ქიზიყის მოურავისადმი

ქ. დედოფალი თამარის დღე ყოველი მათ საკადრისად მხსენებელი და არაოდეს ჩვენგან არ დასაიწყყარს, ნიადავ ესე მოსაგონარ სახსენებელს, ვიზიყის მოურავს გივის მრავალი მოკითხვა მოახსენეთ. მერამე: კელმწიფის წყალობა<sup>1</sup> და სარდლის<sup>2</sup> წიგნი მოგვი(ვი)და და თქვენც შეიტყობდით და ამ საქმეზედ ბებრე (?) გამოვგზავნეთ, ამთე(ნ)ს ხანს დაიგვიანეთ. რატომ ქენით. კემწიფის საქმეები გვაქვს და ჩვენი ამ საქმეზედ თამაზ გამოვგზავნეთ. თქვენ და ნაცვალი, ასისთავი და ვინცვინ ქვევებში იყოს, რამ წაშს ეს ჩვენი წიგნი მოგივიდეს, წა-

\* ჭრძელდება განის აშიაზე ირიბად.

მოდით. ამთონი საქმები გვაქვს და ამაზედ სარგა(რ)დანი<sup>4</sup> ვართ, მაგას ნუ იქ, რომე მალე არ წამოხვიდეთ. იჯდეთ — ადგიტ და იდგეთ — ნულარ დაიგვიანებთ, წამოდით. კემწიფის საქმე გვაქვს\*.

№ 58

1787—1788 წწ. წერილი თამარ დედოფლისა მარიამისადმი

მარიამ!

ქ. დაუწყნარებლად მქცეველის სოფლის სიცრუეით მარადის მწუხარე და აწ ჩემის თვალის სინათლის და ჩემთვის დამტირებლად მოსალოდნელის ჩემის ელენეს<sup>2</sup>. უთმინოს მწუხარებით შეპყრობისათვის და დაუშრეტელის ცეცხლის მოდებისათვის დიდის გულის ტკივილისათ\*\* მოჩივარი და მისის შევნიერისა და ყოვლის შეჭირვების სალხენის პატარას იოანეს სიკვდილის სმენით ჩემის ნათელისა\*\*\* და ყოვლის გაუძლებელის მწუხარების გაძლებინების ჩემის იოანეს<sup>3</sup> სიკვდილის მსგავსად ცეცხლმოდებული დედოფალი თამარი, ღთ აღირსოს თქვენს კეთილს შეყრასა, ჩემო მუდამ განუშორებლად კეთილად და თქვენის სიკეთემიუწოდმელის თავის შესაფერათ საგონებელო რძალო, ბატონო, ბატონის რძალო\*\*\*\* მრავალი თქვენის ჩემთვის ყოვლად კეთილად მოსალოდნელის თავის შესაფერი მოკითხვა, დაუჭირვებლობის სმენის სურვილი მოგვიხსენებია. წიგნი გეზობათ და ჩემის ელენეს მაგისტანას განსაცდელის მოვლენა და იოანეს გათავება გეზბანათ. ღთ ისე თქვენი მტერი შეაწუხოს, როგორც მე უწყალო ცეცხლი მომედვა ჩემის იოანესაგან<sup>2</sup>, რომ ღთი გამიწყრა, ისიც თვალში წამომიღვა და იმის მსგავსათ გული მომიკვდა. ჩემი თავი მოუ\*\*\*\*\*კვდა ჩემს ელენეს, რა მოუთმენელი და ძნელი განსაცდელები მოევლინა. მე ამხელათ ასე დავრჩი, რომ ჩემი გულისტკივილი ვერ შევატყობინე, სანამდინ თქვენი წიგნი არ მომივიდა, მანამდინ კი არ მითხრეს, და მერე ასე საჩქაროთ ველარ დავასწარ და წიგნი ვერ მოვსწერე.

ეს მოგახსენოთ, წიგნის მოცემისა გეზბანათ. არ იქმოდენ, მაგრამ თავაზისა და თქვენის სიყვარულისათვის ქნეს. შენმა მზემ, ასე

\* დასტულია ოთხკუთხა ბეჭედი ოთხსტრიქონიანი მხედრული წარწერით: „ასული ჩემო, დავით მრქვა, შენ იყავ ჩემი ამარი, ვახტანგ მეფისა ასული და დედოფალი თამარი“ (ა. ბაქრაძე, № 70).

\*\* პირში: ტკივილით.

\*\*\* პირში: ნათელსა

\*\*\*\* დატოვებულა ადგილი სახელისათვის.

\*\*\*\*\* აქედან გრძელდება verso-ზე.

გაუსინჯავი არც მე ვარ, რომ ეგ არ ვიცოდე, ქალის გათხოვებაში საფიცარი<sup>3</sup> უნდოდეს და ან თქვენ გულს როგორ არ დაგაჯერებდით. მართალია, მე არ შემძლება თქვენის ჩემზე სიკეთის პასუხი, მაგრამ თქვენ არ დაგკარგავდით თქვენს მრავალს სიკეთეს ჩემზედ და უმართებელს არას მიბძანებდით. მაგრამ ამისთვის მოვახდინე, რომ ჩემი შვილი ასე დაშორებული მყავს და, ვინიც(ის), რომ ჩემს შვილს ასე გონებოდა, დედა ჩემს ამისთვის უქნიაო, რომ თავისის კელმწიფეთ მამა-პაპათ ერთგულის კაცის შვილისთვისაო და თქვენის მამის სახლის\* სიყვარულიც იცის და ეგებ ერთი რამ ეფიქრებინა, თორემ რა წიგნი მინდოდა და ან რა მართებულისა.

მართალია, კარგი სიძე იქნება, თუ ღმერთმა მალირსა იმისი მოსვლა, მაგრამ აგრე უღირსიც არა მგონია რა, რომ უსაფიცროთ არ მეტხოვნა. ახლა გვიბრძანეთ, როგორა<sup>2</sup> ვქნათ, დაფარვით გადავსწყვიტოთ თუ ხანსა და სარდალს შევატყობინოთ? და როგორც თქვენის ძმებისაგან, ისე ამილახორისაგან მინდა, რომ ჩემს ერეკლეზე ისევე გული ქონდეს. შენმა მზემ არც თქვენის სახლის მოყრობას ვიუარებდით და ნამეტნავად მე, მაგრამ ამილახორის სიყვარულით და ამილახორის ჯალაბის<sup>4</sup> გულისათვის კიდევ უფრო მოვინდომეთ. თქვენ იცით, როგორც გაარიგებთ და მოახდენთ და ჩვენც გვიბრძანეთ როგორა ვქნათ. მაგრამ ეს კი მეფიქრება, არამც მამამთილმა არამც არ მოუშვას, დიან უხალისოთ არის. პირს თქვენს უბძანებლად ვერ მოგართმევდათ თაყა\*\* და ახლა შეუთვლი და მოგართმევს\*\*\*.

## № 50

1739—40 წწ. წერილი თეიმურაზ II-სა ელისბარ და ვახტანგ ყაფლანისვილებისადმი

ქ. ჩვენგან მათ საკადრისად დღე ყოველ დიდებით სახსოვართ და მათ შესატყვისათ კეთილად არაოდეს დასავეწყართ ყაფლანის შვილებს ბატონს ელისბარს და ბატონს ვახტანგს მრავალი მაგათზე ყოვლის სამლო სადიდკაცოს ზნე სრულებით უნაკლულოს კაის თავის მოკითხვა და კარგად ყოფის სიხარული მოახსენეთ. მერმე: თქვენი ოჯახი კემწიფეთ მემძახლენნი ყოფილან<sup>1</sup> და ჩვენც თქვენი მოყრობა მოვინდომეთ. ერეკლესათვის თქვენი ქალი მოგვეცით და მოყრობა და

\* პირში: სახელის.

\*\* აქედან verso-ს განის აშიაზე საგრძივ.

\*\*\* აქედან გადაღის recto-ს მარცხენა აშიაზე ქვემოთ.

ერთობა კიდევ უფრო გააეხსნათ. სარდალსა და ამილახვარსაც წიგნები მოვსწერეთ და სხვას ჩვენს სიტყვა(ს) ეს ჩვენი მორდალი პატა<sup>2</sup> მოგახსენებთ, ბატონო\*.

მეფე თეიმურაზის მეორის წიგნი ჩვენის ოჯახის ქალის თხოვაზე თავის შვილის, ერეკლესათვის\*\*.

№ 60.

1746 წ. 25 ივნისის წერილი ანტონ კათალიკოსისა ვიორგი ბატონიშვილისადმი

ვიორგი!

ქ. ლაღადებს პირი დაუდუმებელი და გულის სულთქვამს და წუხს, რამეთუ ზარტყილთმყოფელმან ყოვლისა ამის ამოებამან მოაწინა ჩვენდა განსაცუელნი საგლოველი სამწუხარონი და ვნება-ვაე-ბით განზავებულნი და შეზავებულნი ცრემლთა ნაკადთა სისხლმოდინებით, ცეცხლ გზებით, კენესა-სულთქმა რუდუნეული იქმნეს ამბავნი შესაძრწუნებელნი და გულთირკმელთა დასადაგონი მოიწინეს ჩვენდა მწუხარებანი ყოვლითურთ უნუგეშინისცემონი და ობე აღნაგთა შემაშფოთებელნი, მოავლინა ლაღადისი არა უდარესი იობის წყლულებათა და განსაცდელთა ზედას ზედისა მოქმედობისანი, და საჭირონი ძნიათ ქოთებისანი და მიმოკვეთებით სიჩქურით სლვა ფიცხელნი, აგრგვინებანი ზემალობითა შავთა ღრუბელთანი და გარდამოცემანი წყლისა საქანელისანი, რომელთაგან აღატყდა ზღვა მღელვარე და არაპოვნიერი ნავთსაყუდლისა, ისმინე, ჰოი, ძმაო საყვარელო, რ ყოველთა ზედა ესე უყამო და უხვაშიადო სიკვდილი უფლებს ბრძანებითა შემოქმედისათა და რ არა დაეყენების მეფენი ფუფუნებითა და გლახაკნი უპოვარებითა, და ესე ვითარ სასმელი შესმად თანა გვაც ყოველთა, და ესე არს ბჭე უფლისა და მართალნი შევლენ ამას. შინა ამათ და ესე ვითართა და მწუხარებისა კიდევანობასა შინა მყოფი და კდ, ვაი ჩვენდა, რ იქმნეს დღე კეთილობანი ჩემნი შეცვლილ და შემფოთებულ, რ მიმელო ნათელი და ბრწყინვალეა თვალთა ჩვენთა და სიცოცხლე ჩემი და ცხოვრება მანედან კიდებულო, და დაშრტა ნათელი თვალთა ჩემთა საყვარელნი, სასურველნი და სატროფონი, სიხარულნი გულისა და სასურველნი სულისა, პატიონება და იმედი მაღალთა მეფეთა ასულნი და თვით სიმალლესა ზედან აღ-

\* დასმულია მურის ოთხკუთხა ბეჭედი წარწერით: „თეიმურაზ“ (ა. ბაქრაძე, № 74).

\*\* ეს ფრაზა მიწერილია verso-ზე. პირშექცევით გვიანდელი ხელით.

წევნილნი მრჩობლკეცად, დანი<sup>2</sup> ჩვენი უტკბოსნი და უსაყვარელესნი ყ<sup>1</sup>დ შვენიერი ჰ იმედი, დედოფალი თამარ<sup>2</sup>, რას მწარის საღმობით გარდაცვალებული და ანუკას<sup>2</sup> უჯამოდ და უხანოდ მიფარვის შემსწრები, ვაიმენ მათ უკან სიცოცხლე გაარმებულსა და მათ უკან ვაების ვმით აღმომეტყველი და კვნესა-სულტქმა რუდუნეული და სისხლიანის ცრემლით მტირალი ძმა თქვენი, ყოვლისა საქართველოს კ<sup>3</sup> პატრიარქი ბატონიშვილი ანტონ<sup>4</sup> მოვახსენებ, ჩემო მრავლის კეთილისა მიმტევებლო და ყოვლითურთ სიკეთით პოვნიერო და ძირთაგან სამეფოთა აღმასრულო და სიბრძნე-მეცნიერება შემკლელო ძმაო, ჩემო საყვარელო, საესაე-საწადელო ბატონიშვილო ბატონო\*... მეცა თქვენთანა მწუხარე და დიდათ გულტიკვნელობით თვალ ცრემლიან თავცემით სამძიმარს მკადრე ვექმნებით და ჩვენ მიერსა ლოცვა-კურთხევასა და მშვიდობას მოვახსენებთ. ნეტამც თქვენის ჭირის სანაცვლო ვქნილიყო, თქვენი თავი და ამავეითართა დღეთა და მწუხარებათა არ შევსწრებოდით. და ვმადლობ ღ<sup>5</sup>სა, რომ თქვენი ბედნიერად ბძანება და ამოდ ყოფა გვესმის. აწე ამას ვებეწვები დიდებულებასა თქვენსა, რძალი თქვენი, დედოფალი დედაჩემი<sup>6</sup>, მანდ, თქვენს საფარველს შემოვედრებული არის. თქვენც მოგახსენებათ დედაშვილობის სიყვარული და მერე ჩემი და მაგისი. მაგას ჩემს მეტი არა ყავს რა და მე მაგის მეტი. ამაზე თავს გიკრავ და გებეწვებით, სანამდინ ეგ ცოცხალი იყოს და ან ჩვენა, მაგისი ხილვის ღირს მყოთ. აქედამ კაცი გვიახლება თქვენის ძმის მეფის ბაქარისათვის, სინოდთა და ჩვენი ეპისკოპოსთათვის, ყველამ გული შეუქმნათ, კელი მოუმართოთ და გამოისტუმროთ. ეგ ჩემი უნახავი არ მოკედეს, დედაშვილობის ცეცხლმა მე არ დამწვას, და მე მაგისი უნახავი. ამისთვის შემობრალეთ და, მაგისი ნახვა არ მეღირსა, ჩემს სიცოცხლეში ველარ მოვისვენებ და არც ჩემი სიცოცხლე იქნება.

კზი ანტონ (ბ ვ ე უ ლ ა დ)

დაიწერა ივნის კე ჩღმე\*\*.

ჩემს ყ(ოვლ)დ სასურ-სატრფი(ა)ლოს ძმას პაატას<sup>5</sup> მწუხარებისაგან აღმურმობვეულის გულით მ(ა)გისის ჩემთვის ღმთვის სათხოვლის ნ(ა)ხვის სურვილს და თავსა პირს კოცნას მოვახსენებთ მათ ძმაჲ კზი:

ატონი\*\*\*

\* დატოვებულია ადგილი ადრესატის სახელის ჩასაწერად, შემდეგ ტექსტი გრძელდება მეორე გვერდზე.

\*\* მიწერილია სხვა, როგორც ჩანს, ანტონის ხელით. მინაწერი გაკეთებულია მეორე გვერდის ბოლოში.

\*\*\* ეს მოკითხვა მიწერილია პირველი გვერდის განის აშიაზე ანტონისავე ხელით.

1747—1752 წ.წ. წერილი დიმიტრი ეშიკალასბაშისა (რევაზ)  
ამილახვრისადმი

(რევაზი)!

ქ. ბატონს ამილახვარს\* ეშიკალასბაში დიმიტრი<sup>3</sup> მრავალს მოკითხვასა და სამსახურის ნატრას მოვახსენებთ. მერმე: ამას მოვახსენებთ, რომ თქვენ რომ ყამაზაშვილის ხეჩატურასათვის გიჩივლიათ, რომ ჩვენი ყმა არისო, ახლა ამ ხეჩატურას ბატონისათვის მოუხსენებია. ბატონის ბძანება ასრე გამოუტანია: თალოდ<sup>2</sup> არის, რომ დიდმარხვამდინ ვადა იყოსო. დიდმარხვაში ამილახვარი ჩამობძანდესო, თუ რამ ან წიგნი აქეთო და ან მოწამე ჰყავთ ვინმეო, თან ჩამოასხასო და აქ ჩვენს სამართალში ილაპარაკონო. თუ არა და, თუ დიდმარხვამდინ ან თითონ ამილახვარი არ ჩამობძანდებო და ან წიგნსა და მოწამეს არ ჩამოას\*\*ხამსო აქ, ჩვენს სამართალშიაო, ამილახვარს ამ ხეჩატურასთან საქმე აღარ ექნება\*\*\* რაო. ჩვენ ასრე მოგვიხსენებია და ნება თქვენია\*\*\*\*.

№ 62

1747 წ. 28 აპრილის წერილი-მიწერილობა თეიმურაზ II-სა  
ყაფლანისადმი

(ქ. ჩვენს მაგიერად ჩვენს დიდ)\*\*\*\*\* იმედს, დიდად იმედით მისაჩენელს მისახედავს, არაოდეს არდასავიწყარს ყაფლანს! მრავალი მოკითხვა უნაბეთ. მერმე: მამა ნუ წამიწყდება და შვილი ნუ მომიკვდება, ჩვენგან შენ სიკეთის მეტი ფიქრი ნურა გაქვს რა. ჩვენ კელმწიფესთან<sup>2</sup> წასვლა მოგვიხდა, ამ შეიღს-რევას დღეში წაუსვლელი არ დავდგებით და ან შენ უნდა წამომყვე თანა და ან ზა(ა)ლ<sup>3</sup> გამოგვატანო. ზა(ა)ლიც მანდ გამოგვიგზავნია და, ორში ერთი რომელიც წამოხვიდოდეთ, თადარიქი ქენით<sup>4</sup>, ჩვენც მანდეთ ჩამოვივლით და

\* დატოვებულია ადგილი სახელის ჩასაწერად.

\*\* გრძელდება განის აშიაზე, ფურცლის კვეთო ნაწილზე, ირიბად.

\*\*\* მთავრდება verso-ზე პირშექცევით.

\*\*\*\* დასმულია მურის მრავალწახნაგოვანი ბეჭედი შუაში სპარსული წარწერით, კიდევბზე მხედრულით; „მონა ღთისა ტომ ორბელიანი ეშიკალასბაში დიმიტრი“ (ა. ბაქრაძე, № 270).

\*\*\*\*\* ფურცლის თავი წავლექილი აქვს. აღდგენილია სხვა წერილების ანალოგიით.

თან წამოგვეყვით. ერთი ეს. რაც ლორის ციხიდან ან ზარბაზანი, ან ტყვია-წამალი გამოგეტანოს, ყველა უკლებლათ იქივ მიტანე და ციხეში დასდევი და, ჩვენ რომ მანდეთ მოვალთ, ვინც ბორჩალო ციხეში მდგარა, ისევე დავაყენებთ. ერთი ეს. რაც შენთან ლეკი არის, მაგათს ლალატს და დახოცას ეცადე. ეგენი რომ დახოცო და თავები მოგვართვა, დაიდ დიდი სამსახური იქნება და, თუ შენ ვერ შეიძლო დახოცა ჩვენს მანდ მოსვლამდის, ეცადე კაის სიტყვით ხათრიჯამი გახადო და ჩვენ რომ მანდეთ მოვალთ, მასუკან ჩვენ\* გავარიგებთ. აპრილის კვქს ულე\*\*.

№ 63

1747 წლის 3 მაისის წერილი ანტონ კათალიკოსისა ყიზლარის კომენდანტისადმი!

ქ. იესო. ქს მონა უფალი ანტონი, კზი ყოველთა ქართველთა და პატრიაქი სამეუფოსა ქალაქისა ახლისა იერუსალიმისა მცხეთისა და წმიდისა საერთობოსა ბრწყინვალისა ემბაზისა, მოგიწერ უფლისა მიერ საყვარელო ბრწყინვალე კნიაზო და ყიზლარის სიმაგრის კამენდატო.

მრავალი მოკითხვა და ჩვენ მიერ ლოცვა კურთხევა და მშვიდობა მოგიხსენებია. მერმე: ბატონს დედაჩემს დედოფალთან<sup>2</sup> კაცნი გავგზავნეთ და დავიბარეთ, თუ წამოსულიყოს და მოვიდეს, ან აქეთ წამოსვლა მოინდომოს, კელი მოუმართეთ და გამოისტუმრეთ და, თუ მოიცადოს და, თვალი და ყური გეჭიროსთ, სანამდინ აქედამ ანბავს შეიტყობდეს და, რასაც მაგათზე თვალსა და ყურს დაიჭერთ და გა(ი)რჯებით, ჩვენც თქვენი შლოცველი\*\*\* ვიქნებით. მაისს გ. ქრისტეს აქათ ჩღმზ. 1747.

კზი ანტონ (ხ ვ ე უ ლ ა დ)

№ 64

1747 წ. 19 სექტემბრის წერილი ერეკლე II-სა გრიგოლ სახლთ-უხუცესისადმი

ქ. ჩვენ მაგაიარად ჩვენმან ეამ ყოველ სიკეთით, დღე ყოველ მოსაგონარს და აროდეს არ დასაეიწყარს ს(ა)ხლთხუცეს ბატონს გრი-

\* გრძელდება verso-ზე პირშექცევით.

\*\* დასმულია მურის ოთხკუთხა ბეჭედი. შუაში ასომთავრულად „მეფე თეიმურაზ“, გარშემო მხედრულად. „ქ. დავითის ტომად, მკუიდრ ტახტზედ მჭლო-მად, მყო საქართველოს ღმერთმან ცხებულად“ (ა. ბაქრაძე, № 77).

\*\*\* ტექსტი გრძელდება verso-ზე პირშექცევით.



გოლს მრავალი მოკითხვა და ამოდ ყოფნის სიხარული მოეხსენოს. მერმე: წიგნი რომ მოგეწერა, რაც მოგეხსენებინა, ყველა შევიტყვე მანდაურობისა. შენზედ კილია, მანდ გვირჩევენსხარ. ჩვენც ცოტა ხან-ში მოვალთ და მასუქან თან წამოგიყვანთ. მანდ მაგრათ და ძალიანათ იყავით თადარიქით. ლეკის ჯარები მაგაზედ ნუ ამოივლის და ნურც ამოაროინებთ. ფთხილათ იყავით და მართებულად. შენ მანდ ყოფნი! ჯავრი ნუ გაქვს, ეგ უფრო ერთგულობა და სამსახური არის, რომ მანდაურობას კარგათ და მართებულათ\* მოუაროთ. ენკენისთვის ით. ქქს ულე\*\*.

№ 65

1740 წ. 16 ივნისის წერილი-მიწერილობა თეიმურაზ II-სა რევას სარდლისადმი

ქ. ჩვენ მაგიერად ჩვენს დიდათ იმედათ და ღრთის წყალობად მისაჩენელს და არაოდეს არდასაიწყარს დარბაზ ბატონს სარდარს რევასს! ასე მოახსენეთ. მერმე: ბაგრატის შვილები ლუარსაბ და ქაიხოსრო<sup>2</sup> შეშინებულან უბრალოს საქმეზე და ახალციხეს წასულან სადმე, თქვენ კაცი გაუგზავნეთ, ხათრიჯამი გახადეთ, მოიყვანეთ და\*\*\* როგორც თქვენთვის ემსახურებინოსთ და თქვენთან ყოფილიყვნენ, ისევ თქვენ გახლდნენ და გემსახურენ, ფქკრი ნურავისგან\*\*\*\* აქვსთ. ხათრიჯამი იყვენ. მთიბათვის იე ქქს ულზ\*\*\*\*\*.

№ 66

1750 წ. 25 თებერვლის წერილი თეიმურაზ II-ისა ზაალ თოფანქჩიალასისადმი

ქ. ჩვენ მაგარად ჩვენს დიდ იმედს, დიდათ იმედათ მისაჩენელს მისახედავს, არაოდეს არ დასაიწყარს დარბაზ ბატონს ზა(ა)ლ თავაქჩიალას! მრავალი მოკითხვა მოახსენეთ. ამხანათ არზა მოგეწერა მოგვივიდა, რაც მოგეწერა, ყველა შევიტყვევით. მოგეწერა, ის ქალი

\* აქედან ტექსტი გრძელდება განის აშიაზე.

\*\* დასმულია 8 კუთხა ბეჭედი, შუაში მხედრულად „ერეკლე“. გარშემო: „ქნარს მიცემს დავით, მივმობს ძედ, კახეთის მეფედ ცხებულს“ (ა. ბაქრაძე, № 53).

\*\*\* ტექსტი გადაღის განის აშიაზე.

\*\*\*\* აქედან ტექსტი გრძელდება verso-ზე პირშექცევით, განივად.

\*\*\*\*\* ოთხკუთხა ბეჭედი 3-სტრიქონიანი მხედრული წარწერით „უფლისა მიერ მეფედ ცხებული. თეიმურაზის დამტკიცებული“. (ა. ბაქრაძე, № 78).

ნალი-ხანმა არ დაგვანებაო და, თუ თქვენ წიგნს მოსწერთ, მოგვცემ-  
ხო. ნალი-ხანსაც წიგნი მივწერეთ მაგ ჯალის საქმეზედ და ვეპოფ და-  
განებოთ. და თუ არ დაგანებოსთ, როგორც მოგეწერა — გამოვა-  
პარებო, თუ გამოპარება გაეწყობა და ან შეიძლება, კარგი იქნება,  
ჯამა(ა)პარე და აქ წამოიყვანე. ერთი ეს მოგეწერა, თუ მომწერთ,  
აზატ-ხანს ვნახანო. იუ ნაზევა გინდოდეს, ნახე, ურიგო არ იქნება.  
ჩვენს ამბავს იკითხავთ, თებერვლის ოცდაოთხს განჯიღამ არაქათი<sup>2</sup>  
ვქენით და ლითთ ფანა-ხანზე<sup>3</sup> წავედით. ან შემოგვებმის და ან თავის  
ადგილიღამ გაიქცევა. ოთხს-ხუთს დღეში ჩვენი და იმათი საქმე გარ-  
დასწყდება. თებერვლის კვ. ქკს ულმ. ეს\* წიგნი უწინდელი დაწე-  
რილი იყო, მაგრამ ჩაფრები ამიტომ აღარ გამოვისტუმრეთ, გამარჯვე-  
ბის ამბავი... მოვაცდევინეთ\*\*.

## № 67

### 1750 წ. 8 მარტის წერილი თეიმურაზ II-ისა ზაალ თოფანქჩიალასისადმი

ქ. ჩვენ მაგიერად ჩვენს დიდს იმედს, დიდათ იმედათ მისაჩენელს  
მისახედავს, აროდეს არ დასავეიწყარს დარბაზ ბატონს ზაალ თოფანქ-  
ჩიალას<sup>1</sup> მრავალი მოკითხვა მოასხენეთ. ამხანათ წიგნი მოგეწერა, მო-  
გვივიდა, რაც მოგეწერა, შევიტყუევით. ჩვენსა და აქაურს ამბავს  
იკითხავთ. მარტის ხუთს, ორშაფათს, ფანასთან ომი მოგვიხდა<sup>2</sup>. შვიდ-  
რვა ათასამდის კაცი ყვანდა. დღესა სამი ს(ა)ათი დარჩომილიყო, იმ  
დროს შევიბენით. ლთის მოწყალებით გაგვიმარჯვა, გავაქცივეთ. ორი  
ათასამდის ცოცხალი მოიყვანეს და თავი მოიტანეს ჩვენის ჯარის  
კაცმა. გამოქცეული წამოვიდა, ჩვენც უკან მოვყუევით. არეზისაკენ  
წამოსულიყო თავისის ელით<sup>3</sup>. არეზის ხიდს რომ მისულიყო ელი, იმ  
დროს მოვედით. ხიდი შეკრა, თვითონ ხიდის ყურთან მეთოფით  
იღგა, რაც კაცი შერჩომოდა, იმითი. კარგა ხანს ჩვენის ჩაფაულის<sup>4</sup>  
კაცს სროლა აკიდეს. მაგრამ ჯარის ცხენკეთილმა კაცმა, ვისაც შეძ-  
ლო ხიდზე გასვლა, აღარ მოიცადა, წყალში ცხენები შეაყურეს. ხი-  
დისკენ ქვეითობა მოგვზანეთ, გავაქცივეთ, ვეღარ შემაგრდნენ და  
მრავალი უანგარიშო\*\*\* ძროხა, ცხვარი, ტყვე და საქონელი იშოვა  
ჩვენის ჯარის კაცმა. ანგარიში არ იქნება. იმასთან მყოფის ელის სა-

\* აქედან გრძელდება განის აშიაზე ირიბად, მიწერილია სხვა დროს, იმავე  
ხელით, უფრო გაკრულად და სხვა მელნით.

\*\* დასმულია მურის ბეჭედი წარწერით: „უფლისამ მიერ მეფედ ცხებული  
თეიმურაზის დამტკიცებული (ა. ბაქრაძე, № 78).

\*\*\* გრძელდება განის აშიაზე.

ქონელი აღარა მორჩომილა რა. ვინც მაგისტანა კაცი იყო, თავისთავი და ცოლშვილი სულ ცხენით გადახვეწეს. თორემ სხვა კაცი იშვიათა\* მორჩა. თვითონ ფანამ თავის ცოლშვილი გაიტაცა. კიდევ ჩვენი ჩაფაული კაცი უკან მიზღვეს ღთით, ვეჭოფ, ისიც ხელში ჩაგვევიარდეს. ამგვარი ღთისწყალობა და გამარჯვება იშვიათათ იქნება, ახლა რომ ჩვენ ღთის წყალობით გაგვემარჯვა. მაოტს 3 ქქს ულმ\*\* ღთით ზაალ თო[ფანქ]\*\*\*ჩი აღას მოუვიდეს\*\*\*\*.

## № 68

[1750] წლის 27 მარტის წერილი ერეკლესი კათალიკოს ანტონისა და ანასადმი

ანტონის და ანას!

ქ. პატრიარხს ბატონის შვილს\*\*\*\*\* ველს გაკოცებ და ბატონის შვილს და\*\*\*\*\* პირს გაკოცებ. გამარჯვების მოლოცვა რომ გებძანათ, ის წიგნი მოგვივიდა და გავიხარეთ. თუ რამ გაგვეწყობა, ჩვენი ამბავი ეს მოგახსენოთ: ღთით დადებრუნდით და ღვთით და ჩემს დას ქეთავანთანაც! კაცს ვგზავნით. მაგრამ გზები დიად არეულია და გვიჭირდება კაცის გაგზავნა. ამას გეხვეწებით, რომ თქვენს წიგნსა და ამბავს ვინც წამოვიდოდეს, გვიბრძანებდეთ. მარტის კზ. ერეკლე (ხ ვ ე უ ლ ა დ).

## № 69

1750 წ. 19 აპრილის წერილი თეიმურაზ II-ისა ზაალ თოფანქჩიალასადმი

ქ. ჩვენთვის ღიდათ ღთის წყალობად საგულეებელო და არ დასაიწყარო თოფანქჩიალას ბატონს ზაალს მრავალი მოკითხვა მოახსენეთ. რა ბამან-ხანი და ესენი აქ მოვიდნენ, მასუკან თქვენი ამბავი ვეღარ შევიტყუეთ რა. რასა იქთ, ან მანდური საქმეები როგორ იქნა, ყველა წვრილათ მოგვეწერეთ. ღთის ძალით ამ სამს ოთხს დღეში ამა-

\* აქედან გადაღის verso-ზე.

\*\* ბეჰედი წარწერით „უფლისა მიერ მფდ ცხბლი თეიმურაზის დამტკიცებული (ა. ბაქრაძე, № 78).

\*\*\* ეს ადგილი ლუქის ბეჰედს აპყოლია გახსნიას.

\*\*\*\* მისამართი მიწერილია წერილის verso-ზე პირშეტყევით.

\*\*\*\*\* — დატოვებულია ადგილი სახელისათვის.

\*\*\*\*\* — აქედან გრძელდება მარცხენა აშიაზე განივად.

თაც გამოვისტუმრებთ. დაიწერა აპრილის\* ით, ქკს ულმ. მანდაურის საქმისა შენ იცი, როგორც ეცდები<sup>2</sup>. ქოჩი<sup>3</sup> მოსცეს თუ არა\*\*.

\*\*\*ქ. ზაალ თოფანქჩი[ი ალასს]\*\*\*\* მიუვიდეს.

## № 70

1750 წ. 30 აპრილის წერილი-მიწერილობა თეიმურაზ II-ისა  
ზაალ თოფანქჩიალასისადმი

ქ. ჩვენ მაგიარად ჩვენს დიდს იმედს, დიდათ იმედათ მისაჩენელს მისახედავს, დარბაზ ბატონს ზა(ა)ლ თეაქჩიალას<sup>1</sup> მოკითხვა მოახსენეთ. ამხანათ შენი კაცი ჩაფრათ გამოგეგზავნა, წიგნი მოგეწერა, მოგვივიდა, რაც მოგეწერა, ყველა შევიტყვევით. ჩვენის დისწულისა<sup>2</sup> ნახოვანს მოყვანა მოგეწერა, დიად გვიამა, კარგად ცდილხართ. ბაჰმან-ხანც წამოვიდა ჩვენსა და აქაურს ამბავს ყველას ეგ გამბობს. თუ მაგ ქა\*\*\*\*ლს აქათ წამოიყვანთ, დიად კარგი იქნება. ბაჰმან-ხანც აქ გვითხრა გამოგზავნიო. მანდაურსა ამბავ\*\*\*\*\*ს. ნუ დაგვაკლებთ აპრილის ლ. ქკს ულმ\*\*\*\*\*.

## № 71

1750 წ. 15 მაისის წერილი ერეკლე II-სა ზაალ და ქაიხოსრო  
ორბელიანებისადმი.

ქ. ჩემ მაგიერათ ჩვენს დიდათ ღთის წყალობათ მისაჩენელ მისახედავს და არდასავიწყარს თოფანქჩიალასს ბატონს ზაალს<sup>1</sup>, ნაიბეშიკალასს ქაიხოსროს<sup>2</sup> მრავალი მოკითხვა მოახსენეთ. თქვენი წიგნი მოგვივიდა. ხემწიფის ამბავი მოგეწერათ, დიდათ გვიამა. მანდაურს ამბავს ნუ დაგვაკლებთ, თავრიზიდამ ხემწიფის ჩაფარი რომ მოვიდეს, ჩქარა წამოყვანას ეცადეთ. ბაჰმან-ხანს ურჩიეთ, თავისი ქოჩი<sup>3</sup> აქ ჩვენთან გამოგზავნოს. მაგას ეგ ალაგები რა სულუქით<sup>4</sup> აქვს, ან სიტ-

\* აქედან გადაღის verso-ზე.

\*\* დასმულია მურის ბეჰედი წარწერით: შუაში: „მეფე თეიმურაზ“, გარშემო: „ქ. ღვთის ტომად, მკვიდრ ტახტზე მჯდომად, მყო საქართველოს ღმერთმან ცხებულად“ (ა. ბაქრაძე, № 77).

\*\*\* verso-ზე ფურცლის თავში დაწერილია მისამართი:

\*\*\*\* დაბეჭდილი ყოფილა ლუქით, ფრჩხილებში ჩასმული ასოები აღარ ჩანს.

\*\*\*\*\* აქედან გრძელდება განის აშიაზე.

\*\*\*\*\* ტექსტი გადაღის verso-ზე პირშეკვევით.

\*\*\*\*\* დასმულია მურის ბეჰედი წარწერით: „უფლისაჲ მიერ მეფედ ცხებული თეიმურაზის დამტყიცებული“ (ა. ბაქრაძე, № 78).

ყვას როგორ უგონებენ, ყ\* (verso) ველა გარჩევით მოგვეწერეთ. ქა-  
იხოსროვ, შენ წიგნი რომ მოგივიდეს, ნულარ დაიგვიანეფ, წამოდი.  
ზაალ, როგორც აქობინო შენი წაპოსვლა და ღგომა, ისე ქენ. თუ  
ბამან-ხანის სახლი<sup>5</sup> წამოიყვანო, შენც წამოდი.

დაიწერა მისის ე ქკს ულმ. ცოტას ხანს ბამან-ხანის ხიზანი<sup>6</sup>  
რომ ჩვენთან იყოს, დიდათ გვემგობინება\*\*.

## № 72

### 1750 წლის 17 მაისის წერილი თეიმურაზ II-ისა ზაალ თოფანქჩიალასისადმი

ქ. ჩვენ მაგიარათ ჩვენს დიდს იმედს, დიდათ იმედათ მისაჩე-  
ნელს მისახედავს, არაოდეს არ დასავიწყარს დარბაზ ბატონს თვაქ-  
ჩიალას ზაალს! მრავალი მოკითხვა მოახსენეთ. ამხანათ არზა მოგე-  
წერა, მოგივიდა. მანდაური ამბავი რაც მოგვეწერა, ყველა შევიტყე-  
ვით. ჩვენი ამბავი ყველა წერილი ბაჰმან-ხანისათვის მოგიწერია, იქი-  
დამ შეიტყობ. ღთით ჩვენც ახლა განჯა-ყარაბალიდამ, შამშადილოდამ,  
ყახაზ-ბორჩალოდამ და ზოგს ქართველს კაცს და ერეენის ჭარის ოთხი  
ათასამდის კაცს ახლა გამოვგზავნით, ათთორმეტს დღემდე უწინ ჩა-  
მოვა, და სხვას დიდის ჭარის თადარიქში ვართ. ორმოცს-ორმოც-  
დათ ათას კაცს შემოვიყრით და ღთით წამოვალთ. მანდაურს ამბავს  
ყოველდღეთ\*\*\* გვაცოდინებთ. მისის იზ. ქკს ულმ. აზატ-ხანის ამ-  
ბავი მოგვეწერე, საღ არის, ან შებმულან თუ არა, რას იქმონენ\*, მა-  
გათს ამბავს მალმალ მოგვეწერდე\*.

ქ. ღთით ზალ თვაქ[ჩიალას]\*\*\*\* მიუვიდეს.

## № 73

### 1750 წ. 7 სექტემბრის წერილი თეიმურაზ II-სა ზაალ ორბელიანისადმი

ქ. მესტუმრეო. ჩვენ მაგიერათ ჩვენს დიდს იმედს, დიდათ იმე-  
დათ მისაჩენელს მისახედავს, არაოდეს ჩვენგან არ დასავიწყარს დარ-

\* ტექსტი გრძელდება verso-ზე.

\*\* დასმულია მურის ბეჰედი, შუაში ასომთავრული წარწერით: „ერეკლე“,  
გარშემო მხედრულად: „მე ფეხთ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე“ (ა. ბაქრა-  
ძე, № 54).

\*\*\* აქედან ტექსტი გადაღის ვანის აშიაზე ირიბად.

\*\*\*\* კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ასოების ადგილას წერილი დალუქუ-  
ლი ყოფილა. ჩვეულებრივ, ლუქის ბეჰედის დასასმელ ადგილას სიტყვას წყვეტ-  
დნენ.

ბაზ ბატონს ზალ თვაქჩილას მრავალი მათის კანის თავის შესაფერი შოკითხვა მოახსენეთ! მერმე: წიგნი მოგეწ(ერა), ამხანათ მოგვივიდა, რაც მოგეწერა, ყველა შევიტყვევით. ურუმის რაისი მოსვლა და სეფი არხანისა დაჭერილი ხელში მოცემა მოგეწერა მწვე გვიამა. ჩვენც აღჯას აზატ-ხანს წიგნი მივწერეთ. აზატ-ხანისა და ბაჰმან-ხანის სამდღარავი და ბაჰმან-ხანზე აზატ-ხანის განწყობა მოგეწერა. რო-ვორც მოგეწერა, აზატ-ხანთან შუამომელობის წიგნები მივწერეთ. გეგონია, რომ რაგინდ დიდი დანაშაული ქონ<sup>დეს</sup>, ბაჰმან-ხანის თა-ხსირი<sup>2</sup> ჩვენ გვაპატიოს. ბაჰმან-ხანის ცოლშვილი<sup>3</sup> თუნდა ჩვენთან იყოს. თუნდ ნახჩოვანს, რა თაფაუთი<sup>4</sup> აქვს. თუ ჩვენ აზატ-ხანის დოსტი<sup>5</sup> ვართ, მაგისი კაცი რომ ჩვენთან იყოს, ალბათ<sup>6</sup> და მაგისი<sup>\*\*</sup> საზიანო არა იქნება რა. ჩვენ მაგისი ასეთი დოსტი ვართ, მაგისი მტერიც რომ იყოს და ჩვენთან მოვიდეს ვინმე, ისიც არ იწყინოს, თორემ მაგისის ერთგულის კაცის ცოლი და შვილი რომ ჩვენთან მოყვრობით მოსულიყოს, მაგათი საწყენი და საზიანო რა იქნება. მაგისი დოსტობისაგან ამას არა ვჯერვარ, რომ ბაჰმან-ხანს თუ სხვა თახსირი არა აქვს რა, აქ ცოლშვილის გამოგზავნისათვის გაუწყრეს. ახლა ილთიმაზის წიგნი მოგვიწერია, იმედი გვაქვს, რა გინდ დიდი დანაშაული ჰქონდეს, ჩვენ გვაპატიოს. შენც ეცადე მშვიდობა მოახ-დინო. ენკენისთვის ზ, ქეს ულც<sup>\*\*\*</sup>.

ქ. ზალ თვაქჩი ალას [ჩაბარდ]<sup>\*\*\*\*</sup> ესც<sup>\*\*\*\*\*</sup>.

№ 74

### 1750 წლის 16 ოქტომბრის წერილი ერეკლესი ანტონისადმი

ქ. შენმა ერეკლემ სოფლისაგან აჩემებულმა შენი ჰირი წაიღოს, ჩემო რარიგად პატრონად ტრფიალებით საგულგოვო და კემწიფედ გულისა ჩემისა საესავო, თუ ამისი ღირსი ვარ, ძმად და სიცოცხლევ, უფალო ბატონისშვილო, პატრიარხო<sup>\*\*\*\*\*</sup>, მაგ უცხოს მადლით სავსეს ჯელებზე გაკოცებ და თუ არ გამიწყრები, ყელშიაც გაგიბედავ, რომ გაკოცო, ბატონისშვილო, შენმა მზემ, არ ვიცი ამ წიგნის პასუხი რა უნდა მოგახსენო, არ ვიცი, შენი ჰირიმე, ღეთისმაც ასეთი შე რა

\* ტექსტი გადაღის განის აშიაზე.

\*\* ტექსტი გადაღის verso-ზე ირიბად.

\*\*\* დასმულია მურის ბეჭედი წარწერით: „უფლისაი მიერ მეფედ ცხებული თეიმურაზის დამტკიცებული“ (ა. ბაქრაძე, № 78).

\*\*\*\* კვადრატულ ფრჩხილებში ლუქის ბეჭდის ქვეშ ნაგულისხმევი სიტყვები.

\*\*\*\*\* საბუთის ბოლოს პირშეკვევით, დედნისაგან განსხვავებული ხელით.

----- დატოვებულია ადგილი სახელისათვის.

მოგახსენე, რომ მე, შენი ცუდი ძმაკაცი, ამ წიგნის ღირსი ვიყო. ერთი-ორი სიტყვა ჩემთვის მოუწოდომლად საფიქრებელი არ დასამადლებელი გებძანა. ღვთისმაც, ზურაბ აბაშიძეს და ასლან ონანას-შვილის<sup>1</sup> სათქმელი სიტყვა რამ მოგაგონა. ჭეშმარიტად, არ უნდა ბრძანებდე ამისთანას სიტყვას. შენს სენაკში, რაც გინდოდეს, იფიქრე და ჩვენ, ვინც შენი ვართ, კი დაგვეხსენ. ამგვარს სიტყუებს რას გვემართლები. ვიცი, ბოტონიშვილო, ჩვენს ამბავს მოიხსენებთ. თქვენ რაღაც უგუნებობა რომ გჭირდათ და თქვენ რომ მორჩით, მასუკან ერთი ძნელი ყელისტკივილი\* სიცხიანი და მჭვალისანი ამიტყდა და დიად შემაწუხა. შენ ნუ მომიკვდები, და შენის მადლით ძლივ გამოუძვერი. ახლა ეს ლეკის ჯარი გვიდგას პირისპირ და ვნახოთ ჩვენი ღმერთი და შენი წმინდა ლოცვა რას\*\* გიზამს. ეს რევაზ და იოანე<sup>2</sup> მოვიდნენ. და რაც წიგნები და ამბავი იყო, ყველა მოგვიტანეს და გვიამბეს. იმათი ვეჭობ ასე იყოს. მამიდას<sup>3</sup> უფრო არ მოსწონებია და ნინოწმიდელს უფრო და ველარცეთს. ეს საქმე თავს ველარ უდვია. ველარც ჭელი აუღიათ და ვერც დაუდვიათ, რადგანაც ასეა, უჩვენოთ აღარ იქნება, ისინი დაიბარეთ. ამ ერთს თვეში ღვთით ჩვენ მოვიცდით და თუ ყაბულს იქმნენ ისინი, ჩვენ ვნახავთ. მამიდის ჩემისათვისაც<sup>4</sup> წიგნი მიახლებია. იმ წიგნს ჩემი და ანა<sup>4</sup> მოგართმევს და თქვენც ნახეთ, ისე გაუგზავნეთ. ჯერ ამის მეტი ვერა გამოვარჩივით რა. დიად, მოუცლელად ვართ, შენ ნუ მომიკვდები. თქვენს ამბავს გვიბრძანებდეთ. აღიწერა ოკდონმბერის ივ ქრისტეს აქეთ ჩღნ.

ერეკლე (ხ ვ ე უ ლ ა დ)

№ 75

1751 წ. 24 მაისის /წერილი თეიმურაზ II-ისა ზაალ ნაიბეშიკალასბაშისადმი

ქ. ჩვენ მაგიერ(ა)დ ჩვენს დიდს იმედსა და დიდ(ა)თ იმედ(ა)თ ღთის წყალობ(ა)დ მის(ა)ჩენელ-მის(ა)ხედავსა, აროდენს ჩვენგ(ა)ნ არა დას(ა)ვიწყარს ნ(ა)იბეშიკალათბაშს ზა(ა)ლს მრავალი მოკითხვა მოახსენეთ. მერმე: ხანს წიგნი მოეწერა ახვერდი-ხანის სურსათის ს(ა)ქმეზედ. თათრული თალილა<sup>1</sup> გამოგვიგზავნია, როგორც იმაში ეწეროს, სამს კაცზედ ერთი ლიტრა მიეცით. მაისის კდ გასულს, ქკს ულთ. ჯიმშერა ერისთავს<sup>2</sup> წიგნი\*\*\* მოეწერა, რომა ჩერქეზის დიდ

\* ტექსტი გრძელდება მარცხენა ვანის აშიაზე ირიბად.

\*\* ტექსტი ვადადის recto-ზე პირშეკეცივით ირიბად.

\*\*\* ტექსტი გრძელდება ვანის აშიაზე.

ჯარი მოსულ(ა). იმის მოწერილი წიგნიც თქვენთან გამოგვიგზავნია, ხანებს წაუკითხეთ\*\*.

ქ. ლთ ნიბა (sic) ეშვიკალ[ათბაშს]\*\*\* ზა(ა)ლს მიუვიდეს\*\*\*\*.

№ 76

1751 წ. 24 მაისის წერილი მდივან ედიშერისა მისი ძმისწული  
კაციასადმი

კაცო!

ქ. შენი ჰირი შეეყაროს ბიძაშენს, მდივნის ედიშერის ძმისწულო. ბატონო\*\*\*\*\*: მრავალ მოკითხვა მომიხსენებდა. მერმე: მინიშკარბაშ-მაც! წიგნი მისწერა ელიკაშვილს, მე ხომ ჭერხანად მანდეთ ველარ წამო-ვალ, ხითარაშვილი ზუაყ ამოიყვანეთ. დიდი ვარდუანას<sup>2</sup> ნახევარი მე-ფემ პატრონმა თეიმურაზ ბეჟანს უბოძა, ჩადით, ლთს წინაშე, შუაზედ გაყავით, ბარათი შეყარეთ, სიტყენაც (sic) ერგოს, ნახევარი ბეჟანს და(ა)ნებეთ და ნახევარი ჩვენთვის და მიშკარბაშისთვის დადევით. მასუკან შენ და ელიკაშვილმან შუაზედ გაიყავით. თუმანიშვილები (დ)აისწარ\*\*\*\*\* და ლთს წინაშე სწორედ გაყავით. ერთი ესეც: ზეთან-ზედ<sup>3</sup> ჩივის ბეჟან და ბატონის ოქმიც აიღო ჩვენი და ოთარ\*\*\*\*\* მდივნის წილი ჯიშითანთვინ ხუთის დღისა უნდა იყოს, იმდონი ჩვენ-თვის და ოთარ მდივნისთვის მოზომეთ და, სხვა თუ მეტი იყოს, მაგისი იქნება და თუ მეტი არ იყოს, ჩვენთან საქმე არ ექნება და თვითონ იცის, ვისაც უნდა ედაოს. მაისის კდ. ქკს უმთ\*\*\*\*\*.

ქ. ედიშერის მოწერილი წიგნი\*\*\*\*\*.

\* ტექსტი გადაღის verso-ზე.

\*\* დასმულია მურის ბეჭედი წარწერით: „ფფლისაჲ მიერ მეფედ ცხებულო თეიმურაზის დამტკიცებული“ (ა. ბაქრაძე, № 78).

\*\*\* კვადრატულ რჩხილებში ჩასმულია ასოები ლუქსის ბეჭდის ქვეშ არის შოყოლილი.

\*\*\*\* წერილი დაკეცილი ყოფილა განივად, გადანაკეცის თავზე მიწერილია მისამართი.

\*\*\*\*\* დატოვებულია ადგილი სახელისათვის.

\*\*\*\*\* გრძელდება განის აშიაზე, ირიბად.

\*\*\*\*\* გრძელდება verso-ზე პირშეკეცვით, ირიბად.

\*\*\*\*\* დასმულია მურის ოვალური ბეჭედი წარწერით: „მდივან ედიშერ“, (ა. ბაქრაძე, № 454).

\*\*\*\*\* ეს სიტყვები მიწერილია სხვა ხელით verso-ზე პირშეკეცვით.



1751 წლის 6 სექტემბრის წერილი თეიმურაზ II-ისა ზაალ  
ორბელიანისადმი

ქ. ჩვენ მაგიერათ ჩვენს დიდს იმედს, დიდათ იმედათ მისაჩენელს მისახედავს, არასოდეს არ დასავიწყარს, ყოვლის ცოდნით სრულს ნაიბეშიკალას-ბაშს. ზა(ა)ლ ორბელიანს მრავალი მოკითხვა მოახსენეთ. ამხანათ არზა მოგეწერა, მოგვივიდა, რაც მოგეწერა, ყველა შევიტყვევით. მახსოდ-სულთნის<sup>1</sup> შემორიგება და ბამან-ხანთან მოსვლა მოგეწერა, ყველა შევიტყვევით. ეგ მახსოდ-სულთანი აქ დაგვიბარებია. აქ უნდა წამოვიდეს. მაჰმად გამოგვიგზავნია, ამას გამოატანეთ. მანდაურს ამბავს ნუ დაგვაკლებ. ენკენისთვის ვ, ქ<sup>2</sup>კს ულთ\*.

№ 78

1751 წ. 26 სექტემბრის წერილი თეიმურაზ II-ისა ზაალ  
ორბელიანისადმი

ქ. ჩვენ მაგიერათ ჩვენს დიდს იმედს, დიდათ იმედათ მისაჩენელს მისახედავს, არაოდეს არ დასავიწყარს დარბაზბატონს ზა(ა)ლ ნაიბ ეშ(ი)კალასბაშს მრავალი მოკითხვა მოახსენეთ. ქართველისშვილის ხელით არზა მოგეწერა, მოგვივიდა, რაც მოგეწერა, ყველა შევიტყვევით. ვინც მოვიდოდეს, კიდევ მანდაურს ამბავს ნუ დაგვაკლებ. სხვას ჩვენს სიტყვას ყულაჰად გაიამბობს და ისე სიფრთხილით იყავით\*<sup>1</sup>. ენკენისთვის კვ ქ<sup>2</sup>კს ულთ\*\*\*.

ქ. ზა(ა)ლ ნაიბეშ[იკა\*\*\*\*] დასბაშს მიუვიდეს\*\*\*\*\*.

№ 79

1751 წლის 10 ოქტომბრის წერილი ერეკლე მეფისა ზა(ა)ლ  
ეშიკალასბაშისადმი

ქ. ჩვენ მაგიერათ ჩვენს დიდს იმედს, დიდათ იმედათ და ღთის წყალობად მისაჩენელს მისახედავს, არაოდეს არ დასავიწყარს, მათ

\* დასმულია მურის ოთხკუთხა ბეჭედი წარწერით: „უფლისაი მიერ მეფედ ცხებული, თეიმურაზის დამტკიცებული“ (ა. ბაქრაძე, № 78).

\*\* აქედან გრძელდება განის აშიაზე.

\*\*\* დასმულია თეიმურაზის მურის ბეჭედი წარწერით: უფლისაი მიერ მეფედ ცხებული, თეიმურაზის დამტკიცებული (ა. ბაქრაძე, № 78).

\*\*\*\* ფრჩხილებში ჩასმული ასოების ადგილი წინასწარ გამოთავისუფლებულია ლუქის ბეჭდის დასასმელად.

\*\*\*\*\* მისამართი მიწერილია verso-ზე ჰირშექტევით, ფურცლის თავში.

საკადრისად ქება-დიდებით მოსაგონარს, დარბაზბატონს ზა(ა)ლ ნაიბ ეშიკალასბაშს მათის პატიოსნის თავის შესაფერი მოკითხვა მოახსენეთ. ამხანათ წიგნი მოგეწერა, მოგვიცადა, რაც მოგეწერა, ყველა შევიტყვევით. თქვენი გოქჩას მოსვლა მოგეწერათ. რადგან მოსულხართ, ჭერხანათ მანდ იყავით. მასუკან როგორც\* მოგეწერათ, ისე ქენით. თქვენი ერთმანეთისაგან ბიდამალობის<sup>1</sup> საქმე მოგეწერა, უწინაც ხომ დაგაბარეთ, რომ ერთმანერთთან კაის\*\* სულუგით<sup>2</sup> ყოფილიყავით. ახლაც ბიდამალობის დრო არ არის, ისევ სულუგი ქენით. სამჯობინარი ის არის მხატვრის ცოლშვილის მოყვანის საქმეზე რომ ალამ დაბაში გამოვგზავნეთ, იმის მოყვანის ბეჯითი იყავი. ღვინობისთვის ივ. ქქს ულთ\*\*\*.

ქ. ლთით ზა(ა)ლ ნაიბეშ[იკა]\*\*\*\* დასბაშს მიუვიდეს\*\*\*\*\*.

## № 80

1752 წ. 10 ივნისის წერილი ერეკლე II-ისა ანტონ I-სადმი

ქ. თქვენს ადრე სამსახურში მოწვევისამც ღირსი ვარ, წმინდავო პატრიარქო მეფის ძეგო\*\*\*\*\*. მარჯვენას კანდიერებით გაკოცებ, ჩემგან ამდენს ხანს თქვენის ამბის შეუტყობრობას და წიგნის უხლებლობის ბოდიშს და თავრიზულობის ლექსებს ამკვლად დავიდუმებთ. და ღვთის ნებით, როდისაც გნახავთ, მაშინ მოგახსენებ. ღვთით თქვენი მშვიდობისა და კარგად ბძანების ამბავი სხვათას წიგნით გვესმის და სიხარული გვმართებს. ახლა ჩვენსასაც შემოკლებით მოგახსენებთ ამბავსა. ივნისის ათერთმეტს თელავიდან ქალაქს წამოვედით. ვინცა ვინ იქ დავგვრჩინენ, ღვთითა და შენით, უჭირველად არიან და გახლავან\*\*\*\*\* თქვენს ერდგულეებაზე. კახეთში მშვიდობა არის ღვთით და თუშთაც ძალიან გამეარჯვათ დინგას ჯარზე, ქალაქს რომ გიახელ, ჩერქეზები დამხვდნენ და ერთობით ყველამ ჩემი ვეცს ჩე\*\*\*\*\*რქეზის

\* გრძელდება ჯანის აშის ბოლოზე, ირიბად.

\*\* ტექსტი გადაღის verso-ზე პირშექცევით, ირიბად.

\*\*\* დასმულია მურის რვაკუთხა ბეჭედი წარწერით: შუაში ხვეულად: „ერეკლე“, გარშემო; „ქნარს მიცემს დავით, მიხმობს ძედ, კახეთის მეფედ ცხებულს“ (ა. ბაქრაძე, № 53).

\*\*\*\* კვადრატულ ფრჩხილებში ჩასმული ასოების ადგილი გამოთავისუფლებული იყო ლუქის ბეჭდის დასასმელად.

\*\*\*\*\* მისამართი მიწერილია verso-ზე, ფურცლის თავში.

\*\*\*\*\* აქ დატოვებულია ადგილი სახელის ჩასაწერად.

\*\*\*\*\* გრძელდება მარცხენა აშიაზე ჯანივად.

\*\*\*\*\* გადაღის verso-ზე ირიბად.

ჯარის მოსაყვანათ წასვლა ამჯობინეს. და გუშინ ხუთშაბათს ამავე თვის ი დღეშეთს მიველ გიორგითვე და ვახტანგს შევეყარენით. ამ ორ-სამ დღეში ღვთით კვეისაკენ წავალთ და ეგების ჩერქეზშიაც წასვლა მოკვიდეს<sup>1</sup>. თქვენის სუფევით ბრძანების ამბის წყალობას ვითხოვთ. და რადგანაც მთის ალაგმა ნისლიანი და მოწყენილი დღეები იცის, ამას ველით იენგი<sup>2</sup> (sic) ქრისტეანე თეოდორე გვიბოძოთ, რომ კარგია, კაცი შეექვევა რასმე. ივნისის ით, ქრისტეს აქეთა ჩღნბ\*.

კალნიერების წიგნისათვის ბოღიშს მომთხოვნევი ვარ. მრწემი ძმაჲ თქვენი ერეკლე.

## № 81

1752 წ. 1 აგვისტოს წერილი ერეკლე II-ისა ანტონ I-ისადმი

კ'ზს ანტონის!

ქ. თქვენს ჰირს შევეყარო, ჩემო რა ვიცი თუ რად საფიქრავო ბატონიშვილო, ძმაო პატრიარქო\*\*<sup>2</sup>. შენს ჩემს მრჩობლად სასიცოცხლოდ სასასოს წმინდას მარჯვენას სურვილით ამბორს გაგიბედავ. ამდონი ხანი არის, თქვენი სუფევის ამბავი აღარა გვსმენია რა. მაგრამ ღვთის მოწყალებისაგან იმედი გვაქვს, რომ უჭირველად ბძანდებით. ჩვენი ამბავი რალა მოგახსენოთ, ზოგს აბაშიძე ნიკოლა მოგახსენებთ. და ჩვენც ღვთისაგან იმედი გვაქვს, რომ ამ ერთს კვირას თქვენი თაყვანის ცემა გვეღირსოს და მაშინაც კიდემ მოგხსენდებათ. ნიკოლაოზმა ბევრის ჰადრაკის ჯობნას ველარ გაუძლო და გამოგვეცალა. კახური ამბავი აღარა ვიცი რა დი\*\*\*<sup>3</sup> აღ ვსწუხვარ. თქვენს კარგად ბრძანების ამბავის წყალობას ვითხოვთ, ვინც წამოვიდეს. თქვენი ერეკლე.

აგვისტოს ა, ქრისტეს აქეთ ჩღნბ.

## № 82

1752—1755 წწ. წერილი იოსებ რუსთველისა ასლანისადმი

ასლან!

ქ. თქვენის კარგათ ყოფის მონატრე რუსთველი იოსებ მოგახსენებ, ძმაო ბატონო. მრავალი მოკითხვა და უფლის მიერ ლოცვა-კურთხევა მოგვიხსენებია. მერმე: ეს ჩვენი კაცი გიგაურიშვილი შიო

\* ჩღნ — მ. ჭავთარია, დასახ. ნაშრ., 191.

\*\* ტექსტი გრძელდება განის აშიაზე.

\*\*\* ტექსტი გადაღის verso-ზე ირიბად.

თქვენთვის მოგვიბარებია. ამაზედ თვალი და ყური გვეკიროსთ. არავინ არა შესცოდოს. ამასთან საქმე არავის რა აქვს. მლთაების ყმა არის, სხვის საცილო და სამუნათო ხომ არავისი უჭირავს. ჯანდიერის\* შეილისაგან მამული უყიდია, ისიც ხომ წაურთმევეით და ახლა ამასთან ვის რა საქმე აქვს. სანამღი წამოვიყვანდე, თქვენ გებარებოდეს და ჩვენც გვიმსახურეთ. სანამდე წამოვიყვანდე, ნურავის წამიკდენინებ, ბერ (?) ონია.

რუსთველი იოსებ (ხ ვ ე უ ლ ა დ)

№ 83

1753 წ. 10 მარტის წერილი ერეკლე II-ისა ანტონ I-ისადმი

ქ. შენი ჭირი მომეცა, წმინდავო\*\* ჩემი წასვლისა და ან აქ(ავ) დგომის ამბავი გეყთხათ; თუ ჩემი ჯერხანად წასვლა ყოფილიყო, თქვენი ჩემგან უხლებლობა და ართაყვანისცემა როგორ იქნებოდა. და ან ამ შაბათის მომშევი და კელის ამლები ვინ არის. ქართლის ცხოვრება გებძანათ, მოგართვირთ. თქვე\*\*\*ნი ძმა ირაკლი კელს გაკოცებ. მარტის ი, ჩღგ. დიდომს სამეუფოსა\*\*\*\*.

№ 84

1753 წლის 12 ივლისის წერილი ერეკლე II-ისა ანტონ I-ისადმი

ანტონი!

ქ. ღმერთმან შენი ჭირი მომცეს, ჩემო მრჩობლად სასიხარულოვ, ჩემო შენის მადლითაც და შენის სიცოცხლის იმედითაც, ჩემო სიხარულიანად მაცოცხლებლო წმინდავო მეუფევეო, ძმაო ბატონისშვილო პატრიარქო\*\*\*\*\*. არც თავაზითღა მოგახსენებ და არც დარიდებით. თვარემ შენ ან ერთში ვინღა გაგივალთ, თვარემ ეს მეორე თქვენი წიგნი აცხადებს, მაშ მოვალ და აღარც ამდენს საკვირველის ლექსებით შეწყობილს სამღურავებსღა დავერიდები და მაგ ნათელს კელს კი გაკოცებ .და მერმე რაც გინდა, მიყავ. ჩემ უმეცარისაგან თქვენთან წიგნის დაგვიანების საქმე ყველა, სულხან რომ წამოვიდა, მაშინ მო-

\* აქედან ტექსტი გრძელდება verso-ზე.

\*\* დატოვებულია ადგილი სახელისათვის.

\*\*\* გრძელდება განის აშიაზე განივად.

\*\*\*\* დასმულია მურის ბეჭედი verso-ს შუაში, იმ ადგილას, სადაც recto-ზე ტექსტი მთავრდება ბეჭედი ოთხკუთხაა, ხეული წარწერით: „ერეკლე“ ა. (ბაქრაძე, № 52).

\*\*\*\*\* დატოვებულია ადგილი სახელის ჩასაწერად.

გახსენე. ალბათ ორგულობით კი არ ვეშოვა\*(?), გამსლოდეს\*\*. და რა კვებნაა, უცხო რამ მიქნია. თუ შენი ერთგული ვარ, ასეთს ვერას გამსახურებ, ტყუილია, რომ შენის ჩემზე მოწყალის გულის ნათათაღათ გამოსაჩენი იყო. ჩვენს ცულობას ნუ მიხედავთ და თქვენსა ჩემთვის სატრფოსა კეთილსუფევით ბრძანე\*\*\*ბას მიწყალობებდეთ. ასე როგორ გამომიხატე ან მე და ან ჩემი იწრო გონება ამ თქვენს წიგნში, რომ რომელიც ჩვენგან ძნიად საპოვნელი და საფიქრო და შესამართავი იყო, რადგანაც ცოდვის აფრით მოფარდულნი ვართ, ამაების ჩვენგან ხედვა რითლა იქნება. მაგრამ სხვანიც რომ ავრე გგონიათ თქვენსავით, მე რალა მოგახსენო. ჩვენი ამბავი ეს მოგხსენდეს, ღვთით და თქვენის მადლით, მშვიდობა არის, დავითისა რომ გებძანა, შენმა მზემ და შენ ნუ მომიკვდები, დიად სრულის გულით გულდაჭერებულნი ვართ. აღიწერა ივლისის (იბ) ქრისტეს ჩიხგ.

თქვენი ირაკლი

ქ. ანნას, მეფის ასულს ვაკოცებ, თუ არ ითაკილუბს\*\*\*\*.

ქ. მამიდაჩემებს<sup>1</sup> ორთავე სამსახურს და გულსა კოცნას მოვახსენებ\*\*\*\*\*.

ქ. ქეთავნს<sup>2</sup> პირს კოცნას მოვახსენებ, მაგ სომხის დედაკაცების მაჯავრებელს\*\*\*\*\*.

## № 85

### 1758 წ. 22 ნოემბრის წერილი კათალიკოს ანტონ I-ისა გორჯასპი და ყარან თუმანიშვილებისადმი

ქ. მაგათის ბრძანად ყოვლისავე სიკეთით შემკულის თავის მარადის კარგად ყოფის მოწადე საქართველოს პატრიარქი მეფის ძე ანტონი ჩვენთვის სასიკეთოთ მისაჩენელთ, მეფეთ მდივანმწიგნობართ ბატონს მდივანს გორჯასპის და ბატონს მდივანს ყარანს მრავალს მოკითხვასა და ქრისტეს მიერსა მშვიდობას მოვახსენებთ. ვიცით, ჩვენს ანბავს იკითხავთ. ღთის მადლით, მშვიდობით და უვნებელათ ვართ. ვიცით, გიამებათ, ჩემი რძალი დედოფალი<sup>3</sup> მორჩა და ქალი ღთნ აღუზარდოს<sup>2</sup> და თქვენცა ჩემთანა გიხაროდენ. სხვას ჩვენს ანბავს ყველას ბაზიეროთხუციშვილი დედოფლის სუფრაჩი რევაზ მოგახსენ-

\* არეზავა — ქეთარია, დასახ. ნაშრ., გვ. 87.

\*\* ტექსტი ვრძელდება განის აშიაზე სიგრიძე.

\*\*\* ტექსტი გადაღის verso-ზე ირიბად.

\*\*\*\* ეს ფრაზა მოთავსებულია recto-ზე განის აშიის სიგრიძე.

\*\*\*\*\* მოთავსებულია verso-ს განის აშიაზე სიგრიძე.

\*\*\*\*\* მოთავსებულია verso-ს განის აშიის ქვემო მხარეს.

ნებთ. ვინც წამოკიდოდეს, თქვენს ანბავს ნუ დაგვაკლებთ. ნოენბერს  
კბ. ჩლნგ. კ<sup>წ</sup>ი ანტონ (ხვეულად).

ბატონს მდივანს გორჯასპის და მდი[ვანს ყა]\*რანს მიერთოს\*\*.

№ 86

1754 წ. 28 აპრილის წერილი გორჯასპი თუშანიშვილისა ბეჟან  
თუშანიშვილისადმი

ბეჟან!

ქ. გორჯასპი მდივნის აუარებელო ღთის წყალობავ. ძმაო ბატონო  
თავილდარო\*\*\*1. მრავალი მოკითხვა და კარგად ყოფა მამიხსენებია.  
ამხანათ ივანე დიასამიძემ წიგნი მოგწერა ამის სადგომს მოვალის  
ოქმი არის. ის ოქმი შენ გამოართვი და, რაც სამორდრო იყოს, ის ბე-  
რუას უთხარ\*\*\*\*, გარიგებინებს, გამოართვი. მორდარს გამოუგზავნე  
და ოქმი ბერუას მიეცი. იმ კაცს ის იცნობს. ხუთი აბაზი იყოს თუ  
ოთხი, მორდარისთვის გამოართვი. აპრილის კვ ქქს უმბ.

ქ. ქალაქს თავილდ[არს ბე]ეან თუშანიშვილს მიუვიდეს\*\*\*\*\*.

№ 87

1754 წ. 15 ივლისის წერილი თეიმურაზისა და ერეკლესი ზაალ  
ორბელიანისადმი

ქ. ჩვენ მაგიერათ ჩვენს დიდს იმედს, დიდათ იმედათ მისაჩენელს  
მისაბედავს, არაოდეს არ დასავიწყარს და მათი საკადრისად მოსავო-  
ნარს დარბაზს ბატონს ნაიბეშიკალას ბაშს ზა(ა)ლს მრავალი მათის  
კანის თავის შესაფერი მოკითხვა მოახსენეთ. ამხანათ ჩვენ დღეს აქ  
ქალას ვიქნებით და ხვალ ღთით კარალეთს მოვალთ. თქვენ თუ იცო-  
დეთ, რომ მაჰმად-ბეგ თან არ წამოგვეყვებოდესთ და იმას მანდ და(ა)-  
ყენებდეთ, მდივანბეგისათვისაც მოგვიწერია, თქვენ წამოდით, გენა-  
ხეთ და თუ მაგათ\*\*\*\*\*აც არ დაიშალონ და წამოვიდნენ, თქვენც ნუ-

\* კვადრატულ ფრჩხილებში მოთავსებული ასოები ლუქქვეშ მოხვედრილა.

\*\* მისამართი მიწერილია verso-ზე, ფურცლის კიდეზე სხვა (ანტონის) ხელით.

\*\*\* დატოვებულია ადგილი სახელისათვის.

\*\*\*\* ტექსტი გადადის verso-ზე.

\*\*\*\*\* მისამართი მიწერილია verso-ზე. კიდეზე, პირშექცევით. კვადრატული  
ფრჩხილებში ჩასმული ასოების ადგილას დაიბეჭდებოდა წერილი ლუქის ბეჭდით.

\*\*\*\*\* აქედან ტექსტი გრძელდება განის აშიაზე.

ღარ წამოხვალთ, მანდ იყავით. ჯარები შემოგვეყრება და საციციანოს\* მხრილამ თარხანი და კ<sup>ა</sup>ზის სარდალი გამოივლის და მას უკან ერთათ წამოლდით, ეგენიც წამოიყვანეთ. დღეს აქ ჩიმშერ ერისთავს და რაც სხვა უკან ჯარი არის, იმას მოველით. მკათათვის ივ ქკს უმბ. თქვენი მანდ მშვილობით მოსვლა დიახ გვიამა. მანდ აღამის ყმა და ქაზუმ-ბეგ მემანდრათ! დაგდევით. მაგათ კარგა მსახურონ. ნურას და(ა)კლგებენ, მანამ დავიბარებდეთ. თუ იცოდეთ, რომ თქვენ რომ წამოხვიდოდეთ, არც ეგენი დადგებოდენ. თქვენც მოიცადეთ, ნუ წამოხვალთ\*\*.

## № 88

1755 წ. 22 დეკემბრის წერილი კონსტანტინე მუხრანბატონისა გივი ფარეშთუხუცესისადმი

### გივო!

მუხრან ბატონის კონსტანტინეს კეთილათ სახსენებლო ძმავ ბატონო ფარეშ(უ)ხუცესო! მრავალი მოკითხვა მოგვიხსენებია. მერმე: ამ გოგობედაშვილი დავითისათვის ამ რეზაშვილს თავი გაუტეხია და ესეც ამას უჩივის. ბაგა...\*\*\*ლიც გიახლება მანდა. ამისთვისაც დაგვიბარებია და ამათი სიტყვა ორისავე გასინჯეთ, კარგად შეიტყვევით, როგორც ყოფილა და ეცადე, რომ მანდ უყოთ სამართალი და შეარიგოთ. თუ რომ ვერ შეარიგოთ, როგორც ყოფილა, ჩვენ მოგვწერეთ, თუ მანდ შეარიგებთ, ის კი სჯობს. ქრისტიშობის კბ. ქკს უმგ\*\*\*\*.

## № 89

1756 წლის 8 იანვრის წერილი ერეკლე II-ისა და ანტონ I-ისადმი

### ანტონი!

ქ. ღმერთმან შენი ჰირი მოსცეს შენის მოშორებისათვის სიცოცხლე-გაუგემურებულს შენსა იმას, ბატონიშვილო, წმინდა კლ<sup>ა</sup>ზ, კელს

\* ტექსტი გადაღის verso-ზე, ირიბად.

\*\* დასმულია: მურის ბეკედი თეიმურაზისა, სამ სტრიქონიანი წარწერით: „უფლისაი მიერ მეფედ ცხებული თეიმურაზის დამტკიცებული“ (ა. ბაქრაძე, № 78); ერეკლეს რვაკუთხა ბეკედი, შუაში ასომთავრული წარწერით „ერეკლე“, გარშემო მხედრულით: „მე ფეხთ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე“ (ა. ბაქრაძე, № 54).

\*\*\* 3—4 ასოს ოდენა ადვილი არ იკითხება.

\*\*\*\* verso-ს კიდვზე, პირშექცევით დასმულია ელიფსის ფორმის მურის ბეკედი გაურკვეველი წარწერით. ექვე მიწერილი აქვს სხვა ხელით: ქ. ეს წიგნები იოვან(ე) ღია(ა)შიძისა არი.

გაკოცებ და ღვთის შეწევნით, თუ იმისი ნებაც არის, ადრე სამსახურში ხლების სურვილს მოგახსენებ. ორჯელ წიგნი გეზოდით. მომივიდა და ჩემგან პასუხის უხლებლობა ამის მეტი არა იყო რა, რა უნდა მომეხსენებინა, ვერა მოვიგონე რა. თუ ჩემი შეწუხება მეთქვა, შენის ამ ღლისათვის ცოტათ რომ ვწუხდე, რა გასაკვირველი იქნება, და ვერც არას ახლა მოგახსენებ, ამის მეტსა. თქვენი დიდი მწუხარება გვესმის, მაგრამ ჩემგან თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, საქმე რომ მოვა, შეწუხება ვერას გზას მისცემს კაცს. ისევე შენი გონება მიეც, შენ ნუ მომიკვდები, შენს თავს გაუფრთხილდი, შენის თავის მომვლელი შენვე შეიქენ და გული გაიმაგრე, თვარამ სხვა სხვას გაგვდენს, ვერას არგებს. სტეფანესი ეს მოგხსენდეს; წირვა მისცეს და გიახლებათ. ეგების გეგონოსთ, რომ მე უშენოთ ეგ მე მინდოდეს. შენ ნუ მომიკვდე და ღმერთი ნუ გამიწყრეს, ბევრით უკეთესი კაცი რომ იყოს, ნახანც თქვენი გამოსაყენებელი იქნება, მე არ\* მშურდეს და კიდევ გამოვიმეტო. მეც მგონია ამ ცოტას ხანში გიახლო ღვთით და სხვას თავს ველარას გაწყუნ. თუ რამ მოსახსენებელი მაქვს, მუშინ მოგახსენებთ. აქაურს ამბავს ყველას ჯვარის მამა და მოლარეთხუცესი მოგახსენებთ. ერეკლე.

იანვრის 13 ჩლნე

ქ. თქვენმა რძალმა სამსახურის ნატვრა და კელს კოცნა გაბედა.

## № 90

1750 წ. 12 თებერვლის წერილი ერეკლე II-ისა ანტონ I-ისადმი

წმიდავო კზრო ანტონი!

ქ. ღმერთმან თქვენი ჰირი მისცეს თქვენს ძმას, ბატონიშვილო\*\*, ჩემს სასო(ო)ს კელს გააკოცებ. გუშინ იოანე მოვიდა აქ შიოსუბანს. თქვენი ამბავი მოგვიტანა. ღლეს, ამ თვის იბ მანდ ხლებას ვაპირობდი, შენმა მზემ. მაგრამ დავით ერისთავმა დიად ღიდის ბეჭითობით ბატონიცა და ჩვენც დაგვპატიჟა შინ და მიტომ ველარ გიახელით. და ღვთით მგონია ამ ორს ღლეს გიახლოთ. ეს იოანე ბერი მე აღარ გამოუშვი. ჩვენთან გიახლებათ ესეცა. მოკლეს წიგნისათვის ნუ გავვიწყრებით. თქვენი ძმა მეფე ერეკლე.

თებერვალს იბ ჩლნე.

\* აქედან გრძელდება განის აშიაზე სიგრიძე.

\*\* დატოვებულია ადგილი სახელისათვის.



ჩემო დავო, ბატონის შეილო ანავ! მოკითხვას პირზე კოცნით მოვახსენებ.

ქ. ჩემს მამიდებს<sup>2</sup> სამსახურს და გულზე კოცნას მოვახსენებ\*.

### № 01

1756 წ. 5 აპრილის წერილი თეიმურაზ II-ისა პაატა აბაშიძისადმი

ქ. ჩვენ მაგიერათ ჩვენგან დიდათ პატივცემულსა და დიდათ იმედით მისაჩენელ მისახედავს და არაოდეს არ დასაეიწყარს დარბაზ-ბატონს აბაშიძე პა(ა)ტა<sup>ა</sup> მრავალი მოკითხვა უანბეთ, მერმე: ეს პაპუა ორჯონიკიძე მამის თქვენის გაზრდილია და ერთგული თქვენიცა. ამას რაც მამისთქვენის წყალობა სჭირდეს, ან ყმა და ან სახელო, ნურაფერს მოუშლით. თქვენიც ერთგულია. ამის საქმეზედ ყური მოუგდევით და ბეჯითი ბძანდებოდეთ. თქვენს გამოისათ ჩვენც ამისი მწყალობელი ვართ, აპრილის ე ქკს უმდ. ამას\*\* რასაც წყალობას უხვამთ, ჩვენ დავიმაღლებთ\*\*\*.

### № 02

1757 წ. შემდგომი ხანის წერილი თეიმურაზ II-ის დიაკვნის ზაქარიასი პატრიარქ ანტონისადმი

პატრიარქს ანტონს!

ქ. ზემოთა გონებისა წვლილადისა სამეცნოსა განმსტკრობასა და ქვედამზიდველთა კავშირთა შორად განმყრელისა, წამდვილ უსხეულოთა დასთა ქცევისა უშორისოდ მიმდესა, იმმანოელისაებრთა მღვდელთ-მთავრობისა მადლითა განშვენებულსა და ხედვითისა და საქმითისა სიბრძნისმოყვარებისა მარჩობლისა მიმთვლეველსა ილისეს მარჩობლ სულთაებრ ყოვლად უწმინდესს და უსანატრელესსა: მათისა მარად მიმდებად მსახური გონებით და მცირეთ კელთაცა და უმრწემესთა მონა და სიმაღლისა მათისა შევედრებული ზაქარია მეფის თეიმურაზის დიაკვანი<sup>1</sup>, ოდესმე მათთან შკოლასა შინა მყოფი მარტივისა გულით შევიწირავ სიტყვათა ამათ, მე უსწავლელი ესე.

აწ მიზეზი აღწერილისა ამის წარმოვთქვათ. აქა, უფალო, ორნი წიგნნი აღიწერენეს და სომხურთა მიერ გარდამოიცნეს. ერთისა სა-

\* მიწერილია განის აშოაზე განივად.

\*\* აქედან გრძელდება განის აშის ქვემო მხარეს.

\*\*\* დასმულია მურის ოთხკუთხა ბეჭედი წარწერით: უფლისაი მიერ მეფედ ცხებული თეიმურაზის დამტკიცებული (ა. ბაქრაძე, № 78).

ხელი „კავშირი“<sup>2</sup> პროკლესი და მეორისა „დიალიკტიკა“<sup>3</sup>. ესენი სრულ იქმნენ, „დიალიკტიკა“ ნიკოლოზ მღვდლისა<sup>4</sup> მიერ და „კავშირი“ მღვიანბეგისა<sup>5</sup> მიერ შემწეობითა ამავე ნიკოლოზისათა კახის ბატონის (verso) მღვდლისათა. „კავშირი“ ტერ-ფილიპესაგან<sup>6</sup>. გარდამოიცა ქკს უმე და „დიალიკტიკა“ ამავე ტერ-ფილიპეს მიერ ქკს უმდ და ქართულად გარდმოთარგმნილი ორნივე აღიწერნეს ჩემ მიერ და ჩემ მიერ აღწერილი კვალად შეემოწმნეს სომხურსა და ესრეთ კვალად გაიმართნეს. „კავშირი“ თქვენ დაგებარებინათ, ეჩმიაწინილამ მოუვიდა ავეტის ვარდაპეტისა<sup>7</sup>, მაგრამ მოსელასა მისსა ბევრი ინაღვლა და მუჯლს იცა, ვისაც სურდა, იმან ვერ ისურვა და ვერ ამოივსო წყაროსა ამისგანო. უამისა შემდგომ კელყეეს სწავლასა მისსა მღვიანბეგმა და ტერფილიპემ, ნიკოლოზ და გლახამ<sup>8</sup> და არ შეემოწმა კავშირსა ჩვენსა პლ<sup>9</sup>სა მიზეზსა ამისას ასე ამბობდენ, თუმცა სომეხთ ჩვენილამ გარდუღიათო, მაგრამ ჩუენ ვგონებთ, რომ მწერალთა მიერ განკრწნილ იყოსო და სომხურს ენაზედაც და ლღვარქნით არ იყო აღსნანიცა ფრიად კეთილ და გამომლო დ: ადვილ. ამათ მიზეზთათვის კ<sup>10</sup>დ გარდამოსცეს და გარდამოიღეს ნეტარ ამათ მრავალ ტყვიმოთნეთ. ახლა თუ თქვენი ნება იქნება და იწადებთ, ორიგ ჩემი დაწერილი და გამართულები მე მაქვს და „კავშირს“ ეწერ და „დიალიკტიკასაც“ გარდაესწერ მეორედ და გიძღვნით. გენებებათ, სხვათ უბძანეთ, მე დედანს ვათხოვებ და გარდასწერონ და მოგართვან. თუ კანონზე წერას შეიძლებს ვინმე<sup>9</sup>, მე ხომ არა ვგონებ. მე, რა თქვენ წაბძანებულხართ, ტერ-ფილიპე მაკითხებს და მაწერინებს. პორფირი გამათავებინა და ღრამმატიკის სიმეტენეში ვარ<sup>10</sup>. წელან მომაცდინა, თვარემ უფრო დავისწავლიდი\* და მოგართმევ. კიდევ მითხრა, გარდვიღოთო ქართულათო ტერ-ფილიპემა. ცოტას მეც თქვენს სიმალლეს ვემსახურები და თუ ზატყის და მარხვანს ორსავ მიბოძებთ, დიდი წყალობა იქნება. როგორც(ც) თქვენ გენებოსთ, ეგრე ჰყავით.

ეს წიგნი ჩქარა დაეწერე და რალაც აქა-იქ სიტყვა გამეგონა ის არის. მე არ მიფიქრია, ამ კადნიერს ლაპარაკს ნუ მიწყენ, მარტივის გონებით მოგახსენებ\*\* მე ვერ შევიტყვე, ეგები ამისი ამბავი სხვათაც მოგეწერეს, ახლა ვმოქენებო „კლდე სარწმუნოებისას“<sup>11</sup> ახლად გარდამოთარგმნულსა, რა წარმოავლინოთ, როგორც თქვენ მიბძანებთ, ისე ვიქონიებ. გენებებათ დაფარულად, გეპრიანებათ სანჯამნოდ<sup>12</sup>. და ესე არ მიბოძოთ ერთი, ან დაბადება, ან ზატყი, ან მარხვანი მიბოძეთ და, სხვაც, თუ გეპრიანებოდეს რამ, მიბრძანეთ, აქ მე ვიშოვნი, გარ-

\* გრძელდება recto-ს თავში ირიბად, პირშექცევით.

\*\* გრძელდება verso-ს განის აწიაზე სიგრიძე.

დავსწერ და მოგართმევ. გეპრიანებათ „პორფირის“ თარგმანს დავით უძლველისას შევადგები, ვათარგმნინებ\*.

თქვენთა კრებულთა სტეფანეს, მოლარეთხუცესს მიხაილს, ზაქარიას<sup>13</sup> მოწიწებით) იატაკ გართხმა და საუფლოს მარჯვენეო ავბორი მიეძღვნას. შ, ტრფიალნო სიბრძნისანო, თუმცა თქვენთან არა ვარ და თქვენ არ გამსახურებ, მაგრამ აქედამაც ვცდილობ თქვენის სამსახურის აღსრულებას.

## № 93

1757—1762 წწ. წერილი მარიამისა ანტონ I-ისადმი

ქ. უწმინდესსა და უნეტარესსა საქართველოს პატრიარქს მეფის ძეს ანტონის, ჩემს მოწყალეს კელმწიფეს!

ჩემს ორისავე ცხოვრების მფარველს საუფლოს მარჯვენეს გეამბორებები და თქვენს ადრე სიხარულით განცდას ღთსა ვსთხოვ. ვიცი თქვენის მოწყალებისაგან, ჩემს უნდოს ცხოვრებას მოიხსენებთ. ღვთითა და თქვენ მიერის მადლითა და საფარველითა მშვიდობით გახლავართ, ჩემს სნეულებას გარდა და, ხანდახან ჩემი სნეულება კი შემაწუხებს ხოლმე. სტეფანეც ხომ მოგახსენებდათ ჩემს ამბავს. ჩემო კელმწიფევე, ზაქარია მღვდელს ჩემი თეთრი მართებს. გავიგონე, ამანათი მოსულა იმისი და მოსატანათ კაცი გაგიგზავნიათ. წყალობას ვითხოვ, რომ ჩემი\*\* არ დამეკარგოს. ამდენი ხანია არც სარგებელი მიჭირავს და არც თავნი. და თუ რამ მებოძოს, ამ მოწყალებასაც ვითხოვ. რომ თქვენის სალთხუცის ძმას ჩემს სვინას მიაბაროთ. გ\*\*\*ევედრებით და მუხლს გეხვევით. თქვენის მოწყალების იმედი მაქვს, თორემ მე იქილამ ვერას გამოვიტან, ჩემო კელმწიფევე. ორმოცდაათი თუმანი იქნება თავნი და სარგებელი, თუ სრულად\*\*\*\* მებოძება, ხომ უმეტესი მოწყალება იქნება, რომ ჩემი სიღარიბე და ხელმოკლეობა თქვენც მოგეხსენებათ. და თუ სრულად არ იქნება, ახლა რაც თქვენის მოწყალებით ახლა მებოძება, ისიც დიდი მოწყალება იქნება. და რაც დარჩება, კიდევ მოვიციდი, რა ღონე მექნება. ოცდახუთი თუმანი თავნია და სხვა სარგებელი, თუმანი ორ შაურად არის. ჩემო კელმწიფევე, დიდად მსურს, თქვენს დღეგრძელობას ვითყავ, რომ წიგნს გაახლებდე. მაგრამ ავი მდივანი გახლავარ და იმისათვის ვერ გაახლებ

\* გრძელდება განის ამიაზე სიგრძივ.

\*\* აქ ავტორს დაუწერია სიტყვა „ამანათი“ და თითონვე გადაუხაზია...

\*\*\* გრძელდება მარცხენა ამიაზე ირიბად.

\*\*\*\* გადაღის verso-ზე, ირიბად, ზედა კიდეზე პირშექტევით.

ხოლმე\*. ჩემო კელმწიფევე, თამასუქიც მინდოდა მეახლებინა, მაგრამ თქვენი ბრძანება როდისა მომივა, მაშინ გაახლებთ.

მათის უწმინდესობის თაყვანის მცემელი მათის დობის არალირსი მარიაამ\*\*.

ქ. უწმინდესსა და უნეტარესს მეფის ძეს ანტონს საქართველოს პატრიარქს მიერთვას\*\*\*.

## № 94

1759 წ. 24 იანვრის წერილი შიომ შედგინიძისა ოთიასადმი

ოთიავ!

ქ. ბიძის თქვენის შიომის კეთილად სახსენებლო და სანახავად სანატრელო ჩემო ძმისწულო\*\*\*\*. მრავალი ნოკითხვა და ხილვის დიდად ალერს მოგახსენებ. შენი წიგნი მომივიდა, რაც გებძანებინა, ყველა შევიტყვევი. მამულების წიგნები გეთხოვნა — გადავაწერინე და ამისი პირები მანდ გამომიგზავნია. ეს რომ გამომეგზავნა ან გზაზე დაიკარგებოდა და ან მანდ დაკარგავდი, არეულობა არის. მამულის სამძღვრები არ იცი. ჩვენს სასახლის ქვევით რომ რუ არის, აგრე გატანებით თავხელიძის კალო რომ არის, ისე შატანება გორამდინ სულ ჩვენი გარშამო რაც ნაფუზრები არის, სულ ჩვენია. აგრევე ჩვენის ზვრის გატანებამდინ ეგ გვერდი ძირი ჭლირამდის კარამდინ და ჭლირამდის კარზე რომ ნაფუზარია, ისიც ჩვენია, რომ იმ ნაფუზარს ვერ გამოცილდების. ჩვენია მინდვრის მიწა ყარაგოზაური ქიწნისის თავამდინ ზეით რუვამდინ ჩვენია. დიდი მიწა არის აგრევე ჭინქველაური ტყეც, დიდი მიწა არის. ტყეიავის მიწა რომ არის, იქნამდინ სამნების, ჩვენი კაცი აღარავინა ცოცხალა, რომ ალაგები გიჩვენოს ან კინჩლა, ან ზაქარა, ან სახარე, ან საქორე. ბატონის ერისთვისთვინც წიგნი მომირთმევი. ეს წიგნების პირიც მიაართვი და აჩვენე. შენი ამბავი წვრილად მომწერე, ან ამ მოხსენებას როგორ შეისმენს, ან რას წყალობას გიზამს, ან ვინ გეცილება. ყველა გარჩევით მომწერე შენი ამბავი. სიღარიბისათვის ნუ შეწუხდებით. ცოლი შეირთვე. ღთი მოწყალე არის. ჩემის დის სიკვდილი მოგეწერათ. ვინ დარჩა ჩემს დას, ისიც მომწერე. ერთი წითელი ჩერქეზულად შეკერილი წითელი საისი ქუდი\*\*\*\*\* ორი პირი, შიგნიდამ ლურჯი, გარედამ წითელი, შეკე-

\* აქედან ტექსტი გრძელდება. სწორ სტრიქონებად.

\*\* მიწერილია verso-ზე მარჯვენა მხარეს.

\*\*\* მისამართი მიწერილია ფურცლის კიდეში პირშექვევით.

\*\*\*\* დატოვებულია ადგილი სახელისათვის.

\*\*\*\*\* ტექსტი გრძელდება verso-ზე პირშექვევით.

რული, ყალბა აბრეშუმისა აქვს პირისახოცში ახვევია, ჩემის ბეჭ-  
დით დაბეჭდილია. ახლა\* რომ გამომიგზავნა, არ მოგიტანდენ. ეს  
გამომიგზავნიან. მოგივა თუ არა, მომწერე მალე. მას უკან ბურღია-  
შვილი სვიმონ წამოვა, იმისის კელით გამოგიგზავნი. ეს ქული, პი-  
რისახოცში გახვეული, და ხიგლები პირები მოლარეთხუცის გედავა-  
ნიძის კაცის გიორგის კელით გამომიგზავნია და ერისთვის წიგნიც ამას  
გამოვატანე და ამასვე მიართმევინე. და ამისი პასუხი ამ გოგიას პი-  
რით შემატყობინე. შენი წიგნი მაგას მიეც. ეგ გამომიგზავნის შენს  
წიგნსა. მანდაური ანბავი წერილად მომწერე. ბეჯან ლიპარტიონი მო-  
მიკითხე. ბატონის ერისთვისათვის და მაგისის ძმისათვის სვიმონ  
ბურღიაშვილი რომ წამოვა, ამისის კელით მოგართმევ ფეშქაშ(ს).  
ჩემს ანბავს ივანე ხერხეულიძე, მოლარეთხუცის კაცი გიორგი, ესენი  
გვიანობენ. ვისაც ვიცნობდეთ, ყველას მოკითხვა მომიხსენეთ.

მეფის ბაქარის სუფრაჯი საქართველოს თავადი შოომ  
ხედგენიძე

იანუარს კდ 1759 წელს.

## № 95

### 1760 წ. 5 მარტის წერილი ერეკლე II-ისა ზაზა თარხნიშვილისადმი

ქ. ჩვენ მაგიერად ჩვენს დიდს იმედს და ღთის წყალობად სა-  
გულეებელს ყორიასაუღბაშს ზაზას თარხნიშვილს და, ვინცავენი სა-  
ბატონოს კაცის შვილები არიან, მრავალი მოკითხვა და ამოდ ყოფის  
სიხარული მოეხსენოსთ. ამხანად თქვენი მოწერილი წიგნი მოგვივი-  
და. რადგან მეტეხს მოსულხართ, მუხრანის ბატონისათვის და ამილა-  
ხერისათვის მოგვიწერია, ეგენი მოვლენ თქვენთან, მუხრანს გამოდით  
და ჩვენც აქედამ ჯარს გამოგზავნით და ღთით მშვიდობით ჩამო-  
ხვალთ. ამას წინათ რომ ჯარიანობის ამბავი მოგწერეთ, იმდენი\*\* არ  
ყოფილა, მაგრამ ორმოციოდ ცხენოსანს შემოუვლია და ორ სამ რი-  
გად ქვეითს შემოუვლია, ასობით სამოცო\*\*\*ბით ყოფილა. ასე მო-  
გვხსენდა. თქვენც კარგად ფიქრიანად იყავით.მარტის ე.ქკს უმც\*\*\*\*.

\* ალბათ გულისხმობს „ახალს“.

\*\* აქედან ვრძელდება განის აშიაზე.

\*\*\* ტექსტი გადაღის verso-ზე პირშექცევით, ირიბად.

\*\*\*\* დასმულაა მურის რვაკუთხა ბეჭედი შუაში ასომთავრული წარწერით  
„ერეკლე“, გარშემო მხედრულით: „მე ფეხთ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე“  
(ა. ბაქრაძე, № 54).

შეფე ირაკლისაგან პატივსაცემელი წერილი მამა ჩვენს თავად ზაზა ყორიასაულბაშთან\*.

№ 96

1700 (?) წ. წერილი თეიმურაზ უზბაშისა გოგია თუმანიშვილისადმი

გოგიას!

ქ. ძმას ბატონს თუმანიშვილს თეიმურაზ უზბაში მოკითხვას მოვახსენებ. მერმე: აქაური ქ(ა)რ(ა)ვ(ა)ნი მზა არის და მე შემპირდნენ ექს შაურათ საპალნე. შენც აქეთ წამოდი და მანდაურს ქრვანს ასე უბძანე და შენც წილს მოგართმევ. მეფე ერეკლე ნუ მამიკდება ამაზე ხათრი ჯამი რყვნენ რომ ექს შაურზე მეტს არ გამოართმევს. რასა (verso)ც ბევრს წამოიყვან, შენი სარგებელი იქნება. ოთარა გამამიგზავნია, ეს თქვენ მოგართმევს პირობას, თქვენ ამას მოეციოთ პირობა. ამ ოთარ(ა)სი და შენი სიტყვის ყაბული მაქვს\*\*.

---

\* წერილზე დაწებებულია ლურჯი ქაღალდი, რომელზედაც აღრესატის შვილის ხელით გაკეთებულია ეს მინაწერი.

\*\* დასმული აქვს ელიფსის ფორმის მურის ბეჭედი გაურკვეველი წარწერით.

## შენიშვნები.

### № 1

XV ს. წერილი ანტონისა ვაჩიძორის მოძღვარ აბრამისადმი. პირი. დედანი დაკარგულია. გვაქვს ამ წერილის ე. თაყაიშვილისეული აღწერა და ფოტო ნატურალურ ზომაში. ტექსტი დაწერილია ქალღმერთ ლამაზი მხედრულით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ზომა  $10,5 \times 10$  სმ.

ტექსტი ნაწერია recto-ზე მთლიანად და verso-ს ნაწილზე. ფურცელი გაკეცილია შუაზე, შემდეგ სამად დაკეცილი ისე, რომ ზემოდან მოქცეულია verso-ს თავისუფალი ნაწილი.

გამოცემულია: ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს, პარიზი, 1937, გვ. 61.

ეს წერილი სხვა ხუთ საბუთთან ერთად უნახავს ერთ მონადირეს ვაჩიძორის მონასტრის მახლობლად მდებარე მღვიმეში. ვაჩიძორი მდებარეობს ოლთისში, ნიაკომის წყლის ხეობაში (ამჟამად თურქეთშია). მონადირემ ნაპოვნი საბუთების შეკვრა გადასცა ე. თაყაიშვილს, რომელიც ამ დროს მოგზაურობდა კოლა-ოლთისში ამ მხარის არქეოლოგიური შესწავლის მიზნით. ე. თაყაიშვილმა საბუთების შეკვრა დეტალურად აღწერა, პირი გადაიღო, თანმხლებ ფოტოგრაფს ედუარდ ლიოზენს მისი ფოტო გააკეთებინა და შემდეგ ადგილობრივ ხელისუფალთა მოთხოვნით გუბერნატორს გაუგზავნა.

წერილში ნახსენები ძმები ზაზა და ციცი მღვიმეში ნაპოვნ სხვა საბუთებშიაც იხსენებიან. ისინი ადგილობრივი მსხვილი ფეოდალური საგვარეულოს — ფანასკერტელების — წარმომადგენლები არიან. ძმებში უფროსს ზაზა ფანასკერტელს, კონსტანტინე ქართლის მეფემ (1479—1505) ქართლში სხვადასხვა მამულები უბოძა (საქ. ცსია, ფ. 1448, № 64). ამ მამულებმა შექმნეს ქართლში ციციშვილთა სათავადო (დ. ბერძენიშვილი, ფანასკერტელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული; I, თბ., 1960, გვ. 100—102). ვაჩიძორი ფანასკერტელთა მონასტერი ოლთისში, ეს წერილი დაიწერებოდა. იმ დროს, როცა ზაზა ჯერ არ

იყო ქართლში საბოლოოდ გადმოსახლებული ანუ XV ს. 60—70-იან წლებში.

1. ანტონი — წერილის ავტორი, როგორც ჩანს, ზაზა ფანასკერტელის კარისკაცი.

2. მოძღვარი აბრამი — ვაჩიძორის მოძღვარი. ვაჩიძორი წმ. სტეფანეს სახელობის თავი ეკლესიაა ოღისთში, ნიკომის წყლის ხეობაში მდებარე დიდი სამონასტრო კომპლექსისა.

3. ზაზა — იგულისხმება ადგილობრივი დიდი ფეოდალი ზაზა ფანასკერტელი, მექურკლეთუხუცესი და ერისთავთერისთავი.

4. ციცი — ზაზას უმცროსი ძმა.

5. როგორც ჩანს, ძმათა შორის რაღაც დავა ამტყდარა და ამ დავის გადაწყვეტაში ზაზა შუაეცად ირჩევს თავის მონასტრის მოძღვარს აბრამს.

## № 2

XV ს. წერილი ბასილისა სულიერ მამა ზოსიმესადმი. დედანი. დაწერილია ლამაზი ნუსხურით, წერილი კალმით, შავი მელნით მოყვითალო ქაღალდზე, რომლის ბოლო არ შემონახულა. ზომა მოღწეული ფურცლისა 14×3 სმ. განკვ. ნიშნები არა აქვს. ფურცელი გამოყენებული ყოფილა ხელნაწერი წიგნის Q—1487-ის სარესტავრაციოდ.

საქ. ხ. ი. ფ. Q—1487-ის ჯიბე.

ხელნაწერი Q—1487 არის ხახულის სვინაქსარი, გადაწერილი 1210 წ. ზაქარია ფანასკერტელის შეკვეთით. ეს ხელნაწერი მრავალი წლის მანიძლზე თურქეთში იყო, დიარბექირში. 1979 წ. იგი თბილისში ჩამოიტანა გ. პატარაიამ. ხელნაწერის აღწერილობა და მასზე მოთავსებული მინაწერების დათარიღება იხ. დ. კლდიაშვილი, თილისისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები, თბ., 1986. გვ. 54—70.

წერილი დაბეჭდილია, დ. კლდიაშვილის დასახ. ნაშრომში, გვ. 71.

წერილს დ. კლდიაშვილი პალეოგრაფიული ნიშნებით XV—XVI სს-ით ათარიღებს, მაგრამ შესაძლებელია ამ თარიღის უფრო დავიწროება. წერილში სრულიად არა ჩანს ამ მხარის ოკუპაცია თურქოსმალთა მიერ, რაც XVI ს-ში უკვე მომხდარი ფაქტია. 1550 წ. ზავით მანა-ოლთისი მთლიანად თურქეთის ხელში გადავიდა. „მესხური მატეანის“ მიხედვით 1558 წ. „ხახული სასანჯახოთ მისცეს მანუჩარს“—ჩაყელს. ე. ი. ეს ადგილები ჩაყელთა ხელშია. (ქრ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები XV—XVI სს. თბ., 1961, გვ. 49, 51). ჩაყელები ოლთისში ფანასკერტელთა ადგილას მოვიდნენ. დ. კლდიაშვილის დაკვირვებით ხახულის სვინაქსარს არ გააჩნია ჩაყელთა არც ერთი მოსახსენებელი, რაც იმას მიუთითებს, რომ ჩაყელ-



თა ხახულში დამკვიდრებისას ხახულის სვინაქსარი უკვე აღარ იყო ხახულში. ის წაღებული იქნებოდა დიარბეჭირში რესტავრირებულ (ძნელი წარმოსადგენია, რომ დიარბეჭირის სირიულ მონასტერში — სადაც ინახებოდა სვინაქსარი ჩვენს დრომდე — ხელნაწერთან ერთად თან წაეღოთ აქაური წერილები და ისინი შემდეგში გამოეყენებინათ სარესტავრაციო ქალაქად). რომ ხახულის სვინაქსარი XVI ს. დამდეგამდე არის ხახულიდან წაღებული, ეს ჩანს კიდევ ერთი მომენტი: სვინაქსარის მესამოცე ფურცელზე ჩაწერილია ღუქისძეთა მოსახსენებელი. ღუქისძეთა საგვარეულო XVI ს. შემდეგ საერთოდ აღარავგვხვდება. უნდა დავასკვნათ შემდეგი: სვინაქსარი წაუღიათ დიარბეჭირში XVI ს. დამდეგს. მანამდე კი მოუხდენიათ ხელნაწერის რესტავრაცია. სარესტავრაციოდ გამოიყენებდნენ ქალაქის იმ ფურცელს, რომელზედაც მოთავსებული წერილი უკვე აღარავისაჯვის არ იქნებოდა საინტერესო. აქედან — წერილი დაიწერებოდა XV ს-ში.

1. ასისფორი — ტაოში შემავალი ერთ-ერთი ხეობა. სომხურად არსიაცფორი, თურქეთის ადმინისტრაციული დაყოფით — იუსუფილი. ასისფორი ჭოროხის მარჯვენა შენაკადია, იქ მდებარეობს დორთქილისა ანუ ოთხთაეკლესია.

2. შესავალი — საგადასახადო ერთეული.

3. შე — ასისფორის ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი.

4. მონასტერი — აქ უნდა იგულისხმებოდეს ასისფორში მდებარე დორთქილისა ან პარხალი (იხ. დ. კლდიაშვილის დასახლებული ნაშრომი, გვ. 66).

5. ასპარაშენი — იმიერტაოს ერთ-ერთი პუნქტი. უამთააღმწერელის მიხედვით იშხანის ციხესთან მდებარე ადგილია: დემეტრე მეფემ თავისი ძე „მცირე გიორგი წარგზავნა ტაოს, იშხანის ციხესა, ასპარაშენს“ (ქართლის ცხოვრება, II, 228—229).

## № 8

XV ს. წერილი უცნობი პირისა უცნობ პირთან. ფრაგმენტი. დკ-დანი. დაწერილია ქალაქის ფურცელზე, რომელიც შემდეგ გამოუყენებიათ ხახულის სვინაქსარის Q-1487-ის სარესტავრაციოდ. ფრაგმენტი დაწერილია მხედრულით, ყავისფერი მელნით რუხ ქალაქზე-ზომა 6X2 სმ. განკვ. ნიშნები არ ჩანს.

საქ. ხ. ი. ფ. Q № 1487-ის ყდაზე დაკერებულ ჯიბეში.

გამოცემულია დ. კლდიაშვილის „თისლისა და ხახულის ხელნაწერების მინაწერები“, თბ., 1986. გვ. 77. ამ გამოცემაში წერილის ფრაგმენტი დათარიღებულია პალეოგრაფიულად XV—XVI სს-ით,

მაგრამ რამდენადაც ის, ისევე როგორც წერილი № 2, გამოყენებული იყო ხახულის სვინაქსარის სარესტავრაციოდ. ეს ხელნაწერი კი XVI ს-ში უკვე აღარ არის ხახულში და დიარბეჭირშია წაღებული რესტავრაციის შემდეგ, ამდენად წერილი დაიწერებოდა XV ს-ში (იხ. აქვე, შენიშვნები წერილი № 2-სა).

1. ამოყდომილი — დამშეული, სიმშლით მკვდარ, სიტყვიდან მოყმობა. (ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973. გვ. 283).

2. „სანახავად სანატრელო“, „ნატრებო“ — ეპისტოლოგრაფიაში მიღებული გამოთქმები.

#### № 4

XV ს. ბოლო — XVI ს. დასაწყისის წერილი მოძღვარი დავითისა და ჭვარის მონასტრის ყოფილი ბერის ბართლომესი ქრისტეს საფლავის ბერი ნიკოლოზისადმი. პირი. დაწერილია ლამაზი მხედრულით თეთრ ქაღალდზე. ზომა დედნისა 18X6 სმ. განკვ. ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. წერილი დაკეცილი ყოფილა ჭვარედინად. შემდეგ სამად გადაკეცილი ისე, რომ ზედაპირად რჩება verso-ს დაუწერელი მხარე. დედანი დაკარგულია, გვაქვს ე. თაყაიშვილის დეტალური აღწერილობა, გადანუსხული პირი და კარგი ფოტო ნატურალურ ზომაში (იხ. № 1 წერილის შენიშვნები).

დაბეჭდილია: ე. თაყაიშვილი, „არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“, გვ. 68.

წერილი თარიღდება XV ს. ბოლოთი და XVI ს. დასაწყისით შემდეგი მოსაზრებით: წერილში ნახმარი გამოთქმები „ესეთთა ქაჰაშაშიად“ და „ჰავნი ქამნის“ დადგომა მაუწყებელია ოსმალთა შემოსევის გახშირებისა, მაგრამ თვით ოლთისის მხარე ამ წერილით ჯერ არ არის ოსმალთაგან საბოლოოდ ოკუპირებული. ოლთისი ოსმალების ხელში გადავიდა 1550 წლის ზაფხით. წერილში კი ამაზე აღრინდელი სიტუაციაა აღწერილი. ამ ნიშნით წერილი უნდა დათარიღდეს XV ს. ბოლო — XVI ს. დასაწყისით.

წერილის ადრესატი „პატრონისა ცხოველს მყოფელის ქრისტეს საფლავის მადლით შეჭურვილია“ — ე. ი. ის ჭვარის მონასტრის ყოფილი ბერია. ამავე დროს იგი იწოდება პატრონად — ეს კი ნიშნავს, რომ ის ვაჩიძორის მონასტრის პატრონი საგვარეულოს წევრია. იგი რაღაც მიზეზებით განაწყენებული ტოვებს წმ. სტეფანეს სახელობის ვაჩიძორის მონასტერს და ხავალს არის შეხიზნული. მონასტერში დარჩენილი პირები მას უკან დაბრუნებას სთხოვენ, სათხოვნელად უგზავ-

ნიან მისსავე გამზრდელს და თანახმანი არიან ნამორეთის შამული — ალბათ წყენის მიზეზი — მიართვან მას.

1. ხ ა ვ ა ლ ი — ეს უნდა იყოს გურჯისტანის ვილაეთის დავთარ-ში ნახსენები ხ უ ვ ა ხ ი, ს. ჭიქიას სიტყვით ანძავის სამხრეთით მდებარე პუნქტი. ანძავი კი ოლთისიდან 23 ვერსითაა დაწორებული (ს. ჭიქია, გურჯისტანის ვილაეთის დიდი დავთარი, წიგნი III, თბ., 1958. გვ. 596—599).

2. ნ ა მ ო რ ე თ ი — როგორც ჩანს, ადგილი ვაჩიძორის სიახლოვეს, ადრესატის წყენის მიზეზი.

3. წ შ ი დ ა ს ტ ე ფ ა ნ ე — ვაჩიძორის წმ. სტეფანეს სახელობის მონასტერი. ფანასკერტელთა სამონასტრო კომპლექსის თავი ეკლესია. ეს ეკლესია აღწერა ე. თაყაიშვილმა. იხ. მისი დასახელებული ნაშრომი, გვ. 61—67.

## № 5

XV ს. ბოლო — XVI ს. დასაწყისის წერილი ვაჩიძორის მონასტრის მოძღვარ საბასი პატრონი ნიკოლოზისადმი. პირი. მოღწეულია მხოლოდ დასაწყისი ნაწილი წერილისა. დედანი დაწერილი ყოფილა ლამაზი მხედრულით ქალაღდზე. ზომა მოღწეული ქალაღდისა 11X 12,5 სმ., განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი.

გამოცემულია: ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-ოლთისში და ჩანგლში 1907 წელს“, გვ. 68.

ადრესატი ამ წერილისა პატრონი ნიკოლოზი იგივე წინა (№ 4) წერილის ადრესატი „ქრისტეს საფლავის მადლით შექუტრვილი პატრონი ნიკოლოზია“, რომელიც რაღაცაზე განაწყენებული ვაჩიძორიდან არის წასული. ეს ნიკოლოზიც მასავით ეკლესიიდან სადღაც არის გადახვეწილი. ამიტომ ეს წერილიც № 4 წერილის მსგავსად XV ს. ბოლო — XVI ს. დასაწყისით უნდა დათარიღდეს.

1. „გრძლად მოკსენება“ — წერილის წერის მანერა — იხმარება წერილის პირველი ნაწილების — მიმართვა-სახელდების გავრცელებულად გადმოცემისას. ეს გამოთქმა ამავე მნიშვნელობით იხმარება XVIII ს-შიც.

2. „რთული მოკსენება“ — გრძლად მოკსენების სინონიმი; გავრცობილი მიმართვის სახელწოდება. (ამ ტერმინების შესახებ იხ. წინასიტყვაობა).

## № 6

1616—1619 წწ. წერილი იმერეთის მეფე გიორგისა დარბაზის პატრონ შიოშისადმი. დედანი. დაწერილია გაკრული მოგრძო ასო-

ებით ყვითელ ქალღმერთზე შავი მელნით. ჰეირანიანი არ ჩანს. განკვე-  
ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ზომა 16×  
18 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 15014.

დაბეჭდილია წიგნში: „ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სა-  
მეფოსა და გურია-ოდის სამთავროდან“, I. თბ., 1959, № 7. ტექსტი  
გამოსცა... შ. ბურჯანაძემ.

თარიღდება იმერეთის მეფის გიორგის ზეობით.

1. ინამი — უფროსისაგან უმცროსისათვის მიცემული საჩუქარი.

2. სხვა ჩვენს ქართულს... ჩვენი ყმა მოგახსენებს“. ამ შემთხვე-  
ვაში „ქართული“ ნიშნავს გადაწყვეტილებას, სამართლებრივ დადგე-  
ნილებას, ასეთი მნიშვნელობით ამ სიტყვის ხმარება ხშირია XVII—  
XVIII სს. საბუთებში.

## № 7

1633—1658 წწ. წერილი-ბრძანება შაჰისა ყაფლან ბარათაშვილი-  
სადმი. დედანი. დედანი ორენოვანია. ქართული ტექსტი ნაწერია ა-  
მეტობით. განკვე. ნიშნად ნახმარია ნიშანი V ყოველი სიტყვის შემდეგ.  
verso-ს შუიდან იწყება სპარსული ტექსტი, რომლის პირველი ორი  
სიტყვა ოქროსფერი მელნითაა ნაწერი. შემდეგ დასმულია დიდი მრგვა-  
ლი ბეჭედი. წერილის სპარსული ტექსტი წითელი მელნით და წერი-  
ლი კალმით დაწერილი სიტყვით იწყება.

ქართულ ტექსტის შუაშიც დასმულია ელიფსის ფორმის მურის  
ბეჭედი სპარსული წარწერით. ეტყობა, ჯერ ბეჭედი დასმული და  
შემდეგ ტექსტია ნაწერი.

ზომა ფურცლისა — 19,5×49 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 14654.

თარიღდება ტექსტში ნახსენები როსტომ-ხანის ზეობით.

წერილის ავტორია ირანის შაჰი, რომელიც როსტომს უწოდებს  
„მეფეთმეფეს როსტომ-ხანს“. როსტომის მეფობაში ირანში შაჰადაა  
სეფი I (1629—1642) და აბას II (1642—1666). თუ რომელი შაჰია  
ამათგან წერილის ავტორი, გაირკვევა ბეჭდის ზედწერილიდან, რომ-  
ლის ამოკითხვა ამჯერად ვერ მოხერხდა.

1. არდაჰანა — არტანის თურქული სახელწოდება. არტანნი —  
არდაჰანი პუნქტია ყარსის ვილაეთში.

2. „ჩვენს ტახტსა დავლათს უხდებოდეს“ — დავლათი (არაბ.)  
ბედნიერება, სიკეთე, ძლიერება. ირანის საწვლმწიფოს ერთ-ერთი  
ეპითეტია.

8. ქართული ეპისტოლური წყაროები

1707—1709 წლის წერილი-ბრძანება გიორგი XI-სა ყაფლანი-შვილებისადმი. დედანი. დაწერილია უხეირო მხედრულით ყვითელ ქალაღზე. ჭვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად — სამწერტილი. ზომა 12,5×17,5 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Sd № 632.

დაბეჭდილია საქ. სიძვ. II, № 224.

წერილს ადრესატი, მდივანბეგი ვახტანგ ყაფლანიშვილი XVIII ს. ქართლის ცნობილი პიროვნებაა იგი შვილია როსტომ მეფის დაახლოვებული პირის ყაფლან ბარათაშვილისა, რომელიც ითვლება ბარათაშვილების სახლიდან გამოყოფილი ახალი ფეოდალური ოჯახის — ორბელიან-ყაფლანიშვილების მამამთავრად (მ. ქავთარია, ყაფლანიშვილთა სახლის გენეალოგია, „მრავალთავი“, XIV, 115). ყაფლან ორბელიანს ექვსი ვაჟი ჰყავდა. ამათგან მესამე — წერილის ადრესატი — მდივანბეგი ვახტანგი გიორგი XI-ის თანამედროვეა. გიორგი ქართლში მეფობდა 1675—1688 წლებსა და 1703—1709 წლებში. წერილი დაიწერებოდა გიორგი XI-ის ქართლში პირველი მეფობის წლებში, რადგან 1696 წ. სასყიდობის წიგნით ვახტანგი უკვე აღარაა ცოცხალი (საქ. სიძვ. II, № 110).

## № 9

1688—1703 წერილი ნაზარალი-ხანისა თავის ქალ ბეგუმთან. დედანი. დაწერილია მხედრულად რუხ ქალაღზე. ჭვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი. ზომა 13×16 სმ.

წერილი დაკეცილი ყოფილა განივად.

საქ. ცსია, ფ. 1448, № 1461.

თარიღდება ნაზარალი-ხანის — ერეკლე I-ის — ქართლში მეფობით.

1. ბეგუმ — იგივე ელენე, ერეკლე I-ის ასული, შემდეგში ოსებ მეფის მეუღლე. დაიბადა ირანში და იქვე გაატარა ბავშვობა. 1715 წ. გაყვა იესე ქართლის მეფეს: „მარტყოფს... ქმნა ქორწილი ქრისტიანულ-მაჰმადიანური“ („ქართლის ცხოვრება“, IV, 494). როცა 1716 წ. იესე შაჰის ბრძანებით თელავიდან თბილისის მიიყვანეს ბაქართან, ელენეც ქმარს გაჰყვა. ელენეს იესესაგან ხუთი შვილი შეეძინა: იოანე (გარდაიცვალა 1717 წ.), ნიკოლოზი (დაიბადა და გარდაიცვალა 1720 წლამდე. ნიკოლოზის შესახებ იხ. შენიშვნები № 22 წერილზე), თეიმურაზი (შემდეგში ანტონ I; დაიბადა 1720 წ.), ანასტასია და მარიამი (ორივე ბავშვობაში გარდაიცვალა 30-იანი წლების დასაწყისში).

იესე მეფე 1727 წ. გარდაიცვალა. დაქვრივებულ ელენეს ახლა ქალებიც დაეხოცა, უნუგეშოდ დარჩენილი დედოფალი მონაზვნად აღიკვეცა ელისაბედის სახელით. მისი ფარული მიზანი იყო თავისი ერთადერთი ვაჟისათვის თეიმურაზისათვის (ამ დროისათვის ხუთი შვილისგან მხოლოდ ეს ერთი შერჩა) როგორმე ქართლის ტახტი ეშოვა. 1738 წ. ის თეიმურაზის თანხლებით რუსეთს გაემგზავრა. მაგრამ ასტრახანში მგზავრები შეაჩერეს. თეიმურაზი ველარ დაელოდა რუსეთის მთავრობის ნებართვას მოსკოვში ჩასვლაზე და უკან გამობრუნდა. საქართველოში ის ბერად აღიკვეცა ანტონის სახელით. ამ ამბავმა ელენეს თავზარი დასცა. ის მაინც დაელოდა მოსკოვში გამგზავრების ნებართვას. 1739 წ. მაისში ჩავიდა მოსკოვში და დარეკან არჩილის ასულთან დასახლდა დროებით. მოსკოვიდან ის აღარ დაბრუნებულა და შვილის უნახავი იქვე გარდაიცვალა 1750 წ. 27 აპრილს. დასაფლავებულია დონის მონასტერში (დ. ლომიძე, XVIII ს. პირველი ნახევრის საქართველოს ისტორიიდან, „მრავალთავი“, XIII, თბ., 1986. გვ. 26—43).

2. „ბატონი დედათქვენი დედოფალი“ — იგულისხმება ნაზარალი-ხანის მეუღლე, ბეგუმის დედა, დედოფალი ანა. ანა ჩოლაყაშვილის ქალი იყო. როცა რუსეთიდან დაბრუნებული ერეკლე ქართლის ტახტის შოვნის მოლოდინში ისპაანს იმყოფებოდა, კახეთში შეუთვალა, რომ მისთვის იქიდან გამოეგზავნათ საცოლე. მაგრამ არც ერთმა კახმა დიდებულმა არ ისურვა ერეკლესათვის ქალის მიცემა: შიში ჰქონდათ რომ ერეკლე ამ ქალზე არ იქორწინებდა და ხარკად დაისვამდა. ბოლოს ერთ-ერთმა ჩოლაყაშვილმა — ალექსანდრე I-ის დროს გაკრეჭილი ალავერდელის ჩამომავალმა — თავისი ქალი ანა ერეკლეს გაუგზავნა ისპაანში. ერეკლეს მისგან ეყოლა ძე დავითი (შემდეგში მეფე იმამყული-ხანი) და ასული ელენე (შემდეგში იესე მეფის მეუღლე) 1688 წ. შაჰმა ერეკლე ქართლის მეფედ წარმოგზავნა, მისი გამაჰმადიანებული ცოლშვილი კი ერთხანს ისპაანში დარჩა (ქცა, IV, 610). რამდენიმე ხნის შემდეგ დედოფალი ანა და ასული ელენე „წარმოუვლინეს ქართლს და უშვა ერეკლეს ტფილისს ანანამ ძე თეიმურაზ“ (ქცა, IV, 610).

1703 წ. ერეკლეს ჩამოართვეს ქართლის მეფობა, იგი ისპაანს გადასახლდა, კახეთში კი თავისი უფროსი ვაჟი დავითი გამოაგზავნინა მეფედ. დავითის ირანიდან დაბრუნებამდე ერეკლემ „თეიმურაზ დაუტევა კახეთს განმგედ“ (იქვე, 613). დედოფალი ანა კახეთში დარჩა შვილთან. ერეკლე I 1709 წ. გარდაიცვალა ისპაანს, ანა მონაზვნად შედგა ანასტასიას სახელით (თ. ჟორდანიას. ქრონიკები და სხვა მასალა... III 61,605). გარდაიცვალა 1716 წ. გაზაფხულზე, პატარძელში. დასაფლავებულია ალავერდს (ქცა, IV, 616).

1688—1703 წწ. წერილი ნაზარალი-ხანისა თავის დეიდა თამარ-თან. დედანი. დაწერილია ულაზათო მხედრულით რუხ ქაღალდზე. კვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 14×26. თავი და ბოლო ბარათს წაჭრილი აქვს. წერილი დაკეცილი ყოფილა განივად.

საქ. ხ. ი., ფ. Sd № 576.

დაბეჭდილია საქ. სიძვ. II. № 158.

1. თამარ—ნაზარალი-ხანის დეიდა, და დედოფალი ელენესი. დედოფალი ელენე, ნაზარალი-ხანის დედა, იყო მეუღლე დავით თეიმურაზ I-ის ძისა. დედოფალი ელენე აქტიური პიროვნება ჩანს. ნაზარალი-ხანის სახელით გაცემულ სიგელებში ნაზარალი-ხანთან — ერეკლე I-თან ერთად დედოფალი ელენე და ერეკლეს ვაჟები იხსენიებიან. დედოფალი ანა კი — ერეკლე ნაზარალი-ხანის მეუღლე — ამ საბუთებში სრულიად არ იხსენიება. თუმცა სწორედ მისი ხსენება იყო აუცილებელი (მეფე-დედოფალი და არა მეფე და დედა). ელენეს ხსენება ქრება 1695 წლიდან. ჩვენთვის ცნობილი საბუთებით ანა დედოფალი მეფე ერეკლე I-ის გვერდით სიგელებში ადგილს იჭერს 1696 წლიდან (საქ. სიძვ. II, გვ. 260—261). 1695 წლის სიგელში ელენე სულკურთხეულად იხსენიება. (საქ. სიძვ. II, გვ. 167).

ამ ელენე დედოფლის და თამარი გათხოვილი იყო ვახტანგ ორბელიანის ძმაზე ასლან ორბელიანზე. თამარის მამლის გიორგის შვილი ჩანს „გიორგიშვილი ბატონი ზურაბი“, რომელიც თავს ერასტი ორბელიანის (საბა-სულხანის ძმის) ბიძაშვილს უწოდებს (საქ. სიძვ. II, გვ. 299, 1717 წლის საბუთი). თამარი ლევან დიასამიძის ქალია. (იხ. მ. ქავთარია, „მრავალთავი“, XIV, გვ. 120).

2. „თქვენის მამლისშვილის სულხანის შემორიგების საქმეზედ“ — იგულისხმება ნაზარალი-ხანის დეიდის — თამარის — მეუღლის ძმისწული — სულხან ორბელიანი (შემდეგში სულხან-საბა) და მასთან ერეკლე I-ის შერიგება.

3. ოთარი — ნაზარალი-ხანის დეიდაშვილი — ასლან ყაფლანის ძისა და „დედიდა თამარის“ ერთ-ერთი ვაჟი (ამ ცოლ-ქმარს ექვსი ვაჟი ჰყავდა). ოთარ ყაფლანიშვილი ბაზიერთუხუცესის ხელს ფლობდა (მ. ქავთარია, „მრავალთავი“, XIV, 122).

1703—1709 წწ. წერილი მდივან გიორგი თუმანიშვილისა მისი ძმის მდივან ზურაბისადმი. დედანი. დაწერილია მოგრძო ასოებით;

ყავისფერი მელნით მოყვითალო სქელ ქაღალდზე. ჰვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი. ზომა 12,5×42,5 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 3946.

წერილი თარიღდება ბატონის — ე. ი. გიორგი XI-ისა და ბატონიშვილს ვახტანგის მოხსენიებით.

გიორგი XI მეფობდა 1676 წლიდან, 1688 წელს მას მეფობა ჩამოართვეს. მეფობა მას დაუბრუნეს 1703 წელს. ამიერიდან ის მეფედ ითვლება, თუმცა ირანში, უფრო სწორედ ყანდაარში, დატოვეს სიკვდილამდე (1709 წ.). ქართლის მეფის მოადგილედ (ჯანიშინად) ქართლში ვახტანგ ლევანის ძე გამოგზავნეს. წერილის დაწერისას მეფე-ბატონი საქართველოში არ არის — წერილის ავტორმა ადრესატის თხოვნა „ბატონს მოახსენა“ და მანაც „ბატონის შვილს ბატონს ვახტანგს წიგნი აახლო“, უეჭველია, როგორც ჯანიშინს. ამ ნიშანთა გათვალისწინებით, წერილი დაიწერებოდა 1703—1709 წლებში.

წერილის ავტორი მდივანი გიორგი, როგორც ჩანს, თან ახლდა გიორგი XI-ს ირანში. ასეთად უნდა ვიგულისხმოთ თუმანიშვილების წარმომადგენელი (იხ. აქვე, წერილი № 15). ადრესატიც წერილისა ასევე თუმანიშვილია, ეს უნდა იყოს გიორგის უფროსი ძმა, ასევე მდივანი, ზურაბი (დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, № 20 და საქ. სიძვ., II, 104). თუმანიშვილია აგრეთვე წერილში მოკითხული ლიპარიტი, წერილის ავტორის უმცროსი ძმა.

1. „ბატონს თბილელს თქვენი მადრიელობა მოეწერა“ — წერილის დაწერის ხანაში ტფილელი მიტროპოლიტის ხარისხი ჰქონდა დომენტი ყაფლანიშვილს, ასლანის ძეს. დომენტი ტფილელად იხსენიება 1690 და 1727 წლებს შორის (მ. ქავთარია, მრავალთავი, XIV, 126; ა. ბაქრაძე, № 940, 941.

2. სარმა — (სპარს.) — კაპიტალი, თავნი.

## № 12

XVIII ს. I მეოთხედის წერილი გიორგი გურიელისა ვახტანგ VI-სთან. ფრაგმენტი. ბოლო მოხეული აქვს. დედანი დაწერილია შავი მელნით თეთრ ქაღალდზე. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ზომა მოღწეული ფურცლისა 25×33 სმ. ჰვირნიშანია წრეში ჩასმული რგოლი.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1431.

საბუთს თავში ბროსეს ხელით მიწერილი აქვს ფრანგული ტექსტი 6 სტრიქონად — რომელშიაც გადმოცემულია წერილის ძირითადი შინაარსი. ბროსეს დროს, როგორც ჩანს, ეს წერილი სრული სახით ყო-



ფილა მოღწეული და ამის საფუძველზე იგი იძლევა წერილის თარიღს 1719 წ.

წერილის ავტორი გიორგი გურიელი მეფე ვახტანგს თავის ბიძას უწოდებს, ხოლო შემოქმედელს — ძმას.

### № 13

1703—1709 წწ. წერილი შაჰნავაზ II-სა (გიორგი XI-სა) თავის ძმისწულ ბატონიშვილ ვახტანგისადმი.

დედანი. დაწერილია მოგრძო მხედრულით, შავი მელნით რუხ ქალღებზე. ჰვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 14,5×45,3 სმ.

საქ. ცსია, ფ. 1448. № 343.

წერილი დახვეული ყოფილა წერილად. დაწერილია ყანდაარში. 1703 წ. გიორგი XI, იგივე შაჰნავაზ II, ირანის შაჰმა ხელახლა დაამტკიცა ქართლის მეფედ და ყანდაარში აჯანყების ჩაქრობა დააკისრა. ქართლში კი ჯანიშინად მისი ძმისწული ვახტანგ ლევანის ძე დააყენეს. შაჰნავაზი 1709 წ. მოკლეს ყანდაარში. ამ ნიშნით, წერილი დაიწერებოდა 1703 და 1709 წლებს შორის.

### № 14

1703—1716 (?) წ.წ. წერილი იმამყული-ხანისა თეიმურაზ ბატონიშვილთან. დედანი დაწერილია ყავისფერი მკრთალი მელნით ყვითელ ქალღებზე, ჰვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი ზომა 23×22 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Sd № 834.

თარიღდება თეიმურაზის ბატონიშვილობით. წერილი ნაწერია მეტად გაურკვეველი ხელით, ამიტომ ზოგი ადგილის ამოკითხვა ვერ მოხერხდა.

### № 15

1707 წ. წერილი მდივან გიორგისი (თუმანიშვილისა) საბა და ერასტი ორბელიან-ყაფლანიშვილებისადმი. დედანი. დაწერილია მოგრძო მხედრულით, შავი მელნით ყვითელ, თხელ ქალღებზე. ჰვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 16,5×30,5 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd, № 14314.

დაბეჭდილია საქ. სიძვ., II, H. 177.

წერილი უთარიღოა, მაგრამ ადვილად თარიღდება. იგი წარმოადგენს სამძიმრის წერილს საბა და ერასტი ორბელიანებისადმი მათი ძმის

ვახუშტის გარდაცვალების გამო. ვახუშტი ორბელიანი კი გარდაიცვალა ყანდაარს 1707 წ. წერილის ავტორი, მდივანი გიორგი გვარად თუმანიშვილია (იხ. აქვე, შენიშვნები № II წერილზე). იგი თან ახლდა გიორგი XI-ს ირანსა და ავღანეთში.

1. თავილი — სახარჯოდ გაცემული თანხა: გარკვეული პირის პასუხისმგებლობაში გადაცემული თანხა ან ქონება.

2. „თავისი ბაგრატ დღეს მოკდომოდეს“ — იგულისხმება ბაგრატ, გიორგი XI-ის ძე, რომელიც გარდაიცვალა ჰერათს დაახლოებით 1693 წ. (სეხნია ჩხეიძე, ჭიჭინაძის გამოც. საქართველოს ცხოვრება, გვ. 7; ვახუშტი, ქცა, IV, 472).

3. „არც შეილზედ და არც ძმაზედ ეს არ უქნია“ — იგულისხმება გიორგი მეფის მწუხარება შვილისა და ძმის გარდაცვალების გამო. შვილად იგულისხმება ბაგრატი (იხ. შენ. № 1). ძმის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი: ვახტანგ V-ს გიორგის გარდა კიდევ ხუთი ვაჟი ჰყავდა: არჩილი, ლევანი, ალექსანდრე, ლუარსაბი და სოლომონი. ერთერთი ამათგანი გიორგის მოჰკვდომია ვახუშტის გარდაცვალებამდე — ე. ი. 1707 წლამდე. ასეთად არ ჩაითვლებიან არჩილი (გარდაიცვალა 1712 წ.), არც ლევანი (გარდაიცვალა 1709 წ.) და არც სულეიმანი — იგი ცოცხალია 1709 წ. (იხ. აქვე, № 19-ზე დასმული მისი ბეჭედი). ვახტანგ V-ის მეოთხე ვაჟი ალექსანდრე, ყაენის გაზრდილი, ისპაანის ტარულა იყო. სეხნია ჩხეიძის თქმით, ეს ალექსანდრე ავღანებთან ბრძოლაში მოკლეს 1711 წლის 27 სექტემბერს. (სეხნია ჩხეიძე, გვ. 28). ვახტანგ V-ის მეხუთე ვაჟი ლუარსაბი მეფე გიორგიმ ყაენს გაუგზავნა 1776 წელს (ქცა, IV, 457), იგი ცოცხალია 1688 წელსაც (საქსიძე, II, 104), 1694 წელს ირანის შაჰად გახდა სულთან ჰუსეინი, რომელმაც ტყვეობიდან გაათავისუფლა მეფე გიორგის ძმები ლევანი და ლუარსაბი. (ქცა, IV, გვ. 472), როდესაც გიორგი მეფე 1696 წელს ყაენს ეახლა ისპაანში, მას იქ შეხვდნენ ძმები ლევანი და ლუარსაბი. (ქცა, IV, 475) გიორგის ისპაანში ჩასვლის შემდეგ „გამოხდა წელნი სამნი და მიიცვალა ბატონიშვილი ლუარსაბ“ (სეხნია ჩხეიძე, გვ. 10). ე. ი. ლუარსაბი გარდაიცვალა 1699 წ. მეფე გიორგის სწორედ ამ ძმის სიკვდილით გამოწვეულ მწუხარებას იხსენებს წერილის ავტორი გიორგი თუმანიშვილი.

## № 10

1707 წ. სამძიმრის წერილი შაჰნავაზისა საბა და ერასტი ორბელიანებისადმი. დედანი. დაწერილია ყვითელ, თხელ ქაღალდზე შავი მელნით. ჭვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი. ზომა 29×76 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Sd № 591.

დაბეჭდილია საქ. სიძვ. II, 178.

წერილი თარიღდება 1707 წლით, რადგან ამ წელს გარდაიცვალა ვახუშტი ორბელიანი, ამ ფაქტის გამო სწერს შაჰნავაზი სამძიმრის წერილს მის ძმებს.

1. ბიბლიური გამონათქვამის ვარიანტი. იობის წიგნში ვკითხულობთ: „შეძრწუნდეს თმანი ჩემნი და კორცნი“, „წიგნი იობისაი“, 4,15.

#### № 17

1707 წ. სამძიმრის წერილი შაჰნავაზისა ერასტი ორბელიანისადმი. დედანი. დაწერილია გაკრული მხედრულით ყვითელ, თხელ ქალღალღზე. ქვირნიშანი არა აქვს. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ორწერტილი, ზომა 25,5×48,5 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Sd № 592.

დაბეჭდილია საქ. სიძვ. II, № 179.

წერილში შაჰნავაზი სამძიმარს უცხადებს ერასტი ორბელიანს მისი ძმის ვახუშტის გარდაცვალების გამო. ვახუშტი კი 1707 წ. გარდაიცვალა. აქედან — წერილიც 1707 წლისაა. მაგრამ რადგან აქ ლაპარაკია შავის გამოცვლაზე, უნდა ვიფიქროთ, რომ ვახუშტის გარდაცვალებიდან 40 დღე მაინც გავიდოდა. ამიტომ ეს წერილი სამძიმრის სხვა წერილებზე უფრო გვიან დაიწერებოდა.

1. აქ ჩამოთვლილია სპარსული სამოსის შემადგენელი ნაწილები, რომელთა ერთობლიობა „ხალათს“ წარმოადგენდა. ხალათში შედის: კაბა დიბისა, თელაი სევანარიანი (თელაი—სპარს. ჩალმაში ჩასარჭობი ფრთა ან ფოჩი), ქამარბანდი (გრეხილი ქამარი), სარტყელი ზარბაბისა ყირმიზი (წელზე რამდენიმე ფენად შემოსახვევი ქსოვილი — აქ წითელი ოქროქსოვილი ფარჩისა), დოლბანდი (იგივე ჩალმა) თამამ ზარი (თამამ ნიშნავს სუფთას, წმინდას, მთლიანს; ზარი — ოქროს), ნოღრაი (ამ სიტყვის მნიშვნელობა ვერ გამოვარკვეეთ).

#### № 18

1707 წ. წერილი მეფე გიორგი XI-სა (შაჰნავაზ II-სა) სულხანსაბა ორბელიანისადმი. დედანი. დაწერილია ყვითელ ქალღალღზე გაკრული მხედრულით. ქვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი. ზომა 17,5×32,5 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Sd № 593.

დაბეჭდილია საქ. სიძვ., II, № 180.

წერილი თარიღდება ვახუშტი ორბელიანის გარდაცვალების წლით (1707 წ.).

1. „რას ქვიან ამისთანა ქართული“ — ქართული აქ ნიშნავს „სამართალს“, „გარდაწყვეტილებას“, „დადგენილებას“. ამ მნიშვნელობით სიტყვა „ქართულის“ ხმარება XVII—XVIII სს. დასაწყისის საბუთებში საკმაოდ ხშირია.

2. „შეიქნა ჩემზედ — ქამ შალაბათი“ — „ქამ შალაბათი“ არაბულიდან მომდინარე გამოთქმაა. ქამ — უარყოფის ნაწილაკი. უ: შაყაბათი — ნდობა. ქამშალაბათი — უნდობლობა.

წერილში ლაპარაკია პაპუნას საუფროსო წილზე. პაპუნა საბა ორბელიანის ბიძაა, უშვილო, რომელმაც იშვილა თავისი ძმისწული, ვახტანგის შვილი ერასტი. ამასთან პაპუნამ პირობა დასდო, რომ საუფროსოს ის თავის შვილობილს არ აკუთვნებდა და ყველა ძმას თანასწორად გაუყოფდა (ამის შესახებ იხ. აქვე, წერილი № 8). ამ წერილიდან კი ჩანს, რომ ყაფლანიშვილთა ოჯახში რალაც დავა ატეხილა პაპუნას საუფროსოს ირგვლივ.

## № 19

1710—1713 წწ. წერილი კათალიკოზ დომენტისა ნიკოლოზ ალავერდელისადმი. დედანი. დაწერილია შავი მელნით ყვითელ ქაღალდზე ლამაზი მხედრულით. ჳვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად ნახმა-რია ორწერტილი. ზომა 13,5×34 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 14048.

დომენტი კათალიკოსად ითვლებოდა 1705—1741 წლებში. ამ პერიოდში 1725 წ-დან 1739 წ-მდე ის საქართველოში არ იმყოფებოდა. ამიტომ ეს წერილი დაიწერებოდა 1725 წლამდე. მაგრამ შეიძლება ამ თარიღის უფრო დავიწროება, რაშიაც გვეხმარება წერილზე დასმული ბეჭედი დომენტისა. ეს ბეჭედი ოთხკუთხაა, მის ზედა ნაწილში გამოსახულია სვეტიცხოველი, ანგელოზი და ჳვარი. ქვედა ნაწილში კი მოთავსებულია ორსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა: „კზ მამათმთავარი დომენტი ქრისტეს აქეთ ჩღე“ (1705 წ.) როგორც ა ბაქრაძე აღნიშნავს, ასეთი ფორმისა და წარწერის ბეჭდით დაბეჭდილია კათალიკოს დომენტის საბუთები 1710—1713 წლებისა (მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, გვ. 98—99).

წერილს ადრესატია აშბა ალავერდელი ნიკოლოზი. დომენტის კათალიკოსობაში რამდენიმე ალავერდელი გვხვდება ნიკოლოზის სახელით: 1690 წ. საბუთში (Ad, 349). XVIII ს. დასაწყისის უთარილო

საბუთში (Ad, 473), 1739 წ. საბუთში (Hd, 2190). სამივე ეს საბუთი სხვადასხვა ბეჭდითაა დაბეჭდილი, ცხადია, რომ სამივე ნიკოლოზი სხვადასხვა პირია. ამათგან XVIII ს. დასაწყისის საბუთში ნახსენები ალავერდელი ნიკოლოზი შეიძლება ჩაითვალოს დომენტის თანამედროვედ 1710—1713 წლებში.

## № 20

1713—24 წწ. წერილი ვახტანგ მეფისა თინათინისადმი. დედანი. დაწერილია ყვითელ ქაღალდზე მსხვილი მხედრულით ყავისფერი შეღწით. ჳვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად — თითო წერტილი. ზომა 14×46 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 14043.

წერილიდან არ ჩანს ვინ არის აღრესატი თინათინი. წერილის ტექსტით, იგი „ყოველთა ბნონათა ზნითა და ქცევით მოუკლება-რია“, რომელსაც რაღაც უსიამოვნება შეხვედრია, როგორც ჩანს, სამამულო მფლობელობის მხრივ. მეფე ვახტანგი მას სასამსახუროდ უტოვებს ქალას. ქალა კი ამილახვრების კუთვნილი მამულია. თინათინიც ან ამილახვარი უნდა იყოს და ან ამილახვრების რძალი. მის შემდეგ ქალა დარჩება პაპუნას, მის, ალბათ, არაპირდაპირ მემკვიდრეს.

ეს წერილი XIX ს-ში რუსეთის უმაღლეს მთავრობაში ყოფილა წარდგენილი, როგორც სამამულო საკუთრების დამამტკიცებელი საბუთი, რის შესახებაც მის V-ზე მოთავსებულია 12 სტრიქონიანი წარწერა, სრულიად გაფერმკრთალებული. სამწუხაროდ არ იკითხება, სახელდობრ ვინ წარმოადგინა იგი.

## № 21

1715—24 წწ. წერილი მაჰმადისა ელიზბარ-ბეგისადმი. დედანი. ორენოვანი. ქართული ტექსტი დაწერილია ყავისფერი, მკრთალი შეღწით. ყვითელ ქაღალდზე. ჳვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნები არა აქვს. ზომა 15×24,5 სმ. სპარსული ტექსტი დაწერილია შავი შეღწით verso-ზე ფურცლის შუიდან და მარჯვენა არეზე ირიბად. recto-ზე არის ელიფსის ფორმის ბეჭედი ორსტრიქონიანი სპარსული წარწერით, წერილი დაკეცილი ყოფილა განივად ისე, რომ ტექსტი მოქცეულა შიგნით. recto-ს ბოლოში, რომელიც ზემოდან მოექცა დაკეცილ წერილს, პირშექცევით მიწერილია მისამართი სპარსულად: „იყოს ამისი განკარგულება, რომ ეს წერილები თიფლისში ელიზბარ-ბეგს ჩაბარდეს“.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 5237.

სპარსული ტექსტით. ირკვევა ადრესატის ვინაობა — (ქართულში არ ჩანს) — ეს ყოფილა ელიზბარ-ბეგი, ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს 1707 წელს ყანდაარში გარდაცვლილი ვახუშტი ორბელიანის ვაჟი ელიზბარი, რომელიც ძმასთან — ვახტანგთან ერთად იშვილა ბიძამ — ერასტი ორბელიანმა, ყაფლანიშვილმა. ელიზბარი იმ დროს 4 წლისა ყოფილა, ვახტანგი — 3-სა (საქ. სიძვ. II, 216). შემდეგში ელიზბარ-ბეგ ყაფლანიშვილი რამდენჯერმე იხსენიება სპარსულ საბუთებში. 1739 წელს „ელიზბარ-ბეგ ყაფლანიშვილი“ ღირსქმნილია მაღალ ვეჟილთა უფროსის ეშიკალასბაშის მოადგილეთ“ (მაქარ ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფორმანები და ჰოქმები, თბილისი, 1949. გვ. 70). 1742 წელს კი ელიზბარ-ბეგს ებოძა ეშიკალასბაშობა — თბილისის მხარეთა ჯარების უფროსობა (იქვე, გვ. 73—75).

წერილის დაწერისას კი ელიზბარ-ბეგი ამ მაღალი თანამდებობების პატრონი ჯერ არ უნდა იყოს. ის აქ შედარებით ახალგაზრდაა — წერილის ავტორი მას არიგებს როგორ მოიქცეს. ამასთან მას მამაც ჰყავს — „მამა თქვენსაც წიგნი დაუწერია“ — ნათქვამია იქ, მისი ნამდვილი მამა. ვახუშტი, 1707 წ. გარდაიცვალა, ხოლო მამობილი და ბიძა ერასტი 1730 წელს. (საქ. სიძვ. II, 356). წერილი კი მამის სიცოცხლეშია დაწერილი — ე. ი. 1730 წლამდე. შესაძლებელია ამ თარიღის უფრო დაეიწროება, წერილის ავტორი ადრესატს ეპატიჟება თავისთან და თან არიგებს, რომ აქაური (ირანელი) ჯანიშინისა, ვეზირისა და ქალანთარისთვის, საჩუქრები წამოიღოს და თან „ბატონისაგან წიგნები აიღოს“. სპარსული ტექსტის შესაბამის ადგილას ბატონის ნაცვლად წერია „ვახთანგის მინდობის წიგნი“. ცხადია, რომ აქ ლაპარაკია ქართლის ბატონ ვახტანგ VI-ზე. ე. ი. წერილი დაიწერებოდა 1724 წელზე (ვახტანგის რუსეთს წასვლამდე). ადრე. ზემოთ ითქვა, რომ 1707 წელს ელიზბარი 4 წლისა იყო — ანუ ის დაბადებულა 1703 წელს. ამ წერილის ადრესატი წარმოგვიდგება შორეული მგზავრობისათვის მომზადებულ, ქორ-შევარდნით. ნადირობას მიჩვეულ ახალგაზრდა კაცად — 14—15 წლის ყმაწვილად. ამ ნიშნით წერილი. დაიწერებოდა დაახლოებით 1715—1724 წწ. შუალედში.

მოგვეყავს ამ წერილის სპარსული ვარიანტის ქართული თარგმანი (სპარსული ტექსტი ქართულის ადეკვატურ თარგმანს არ წარმოადგენს, მასში ქართულად მონათხრობი გადმოტანილია სპარსულ ეპისტოლოგრაფიაში მიღებული წესებით):

„ხოტბის შემდეგ“

წერილები რომლებიც ჩვენ ისპაანში ჩამოვიტანეთ, მივართვით დანიშნულებისამებრ. რატომ აქ არ ჩამობრძანდებით. თუ ისურვებთ,

ამ მოკლე ხანში ჩამობრძანდით. მამაჩემიც თქვენს სამსახურში იქნება. თუ გინდათ სოფელში ჩამობრძანდით და იქ დაემკვიდრდით. მაღალ ღმერთს ვფიცავ, რომ რამდენ ხანსაც გინდა, იმდენ ხანს დარჩი. ყურადღებით იქნები გარემოცული და აგრეთვე ჩამოსვლისას რამე საჩუქრები ჩამოიტანე ვაზირისა, ჯანიშინისა და ქალანთარისათვის, როგორც არის ქორი, მიმინო და აგრეთვე მწვევარი. (განის არშიაზე ირიბად); და ჩამოსვლის დროს ვახტანგის მინდობის წიგნი ჩამოიტანეთ ერთი ჯანიშინისთვის, მეორე ვაზირისათვის და ერთიც ქალანთარისათვის. და ჩქარა ჩამოდით, ჩამოსვლის შესახებ თავს ნუ გაიძნელებ. მამასაც რაღაც დაუწერია თქვენი მონა-მორჩილის სათხოვრის შესახებ, რომ თქვენი მონა-მორჩილის თხოვნის სამაგიერო ტყვე მისცეთ. ამბავი დამიწერეთ, რომ ან მე თვით ჩამოვიდე ან რომ კაცი გამოვგზავნო, ხოლო უკეთუ ტყვეს არ მომცემთ, ვისაც კი სოფელში ზავთს უზამთ, ბარათით შემატყობინეთ, რომ თქვენი მონა-მორჩილის თხოვნის შესრულებას ხელს უწყობთ. და გარდა ამისა მამასაც ამბავი მოუწერია, რათა ჩემი სოფლის ორი (წლის) მოსავალი მე მომცენ. ყოველგვარი გადაწყვეტილების მიუხედავად, თუ კი ტყვეს დამიბრუნებ, შეგვატყობინეთ. ავდგებით და მოვალთ. ხოლო უკეთუ ზავთქმნულის გამოგზავნას აპირებთ, ბარათი მოიწერე და კვლავ შეგვატყობინეთ, საჭიროა, რომ თქვენი მონა-მორჩილის სათხოვრის საგანმა ჩვენამდე მოაღწიოს და სხვა ყოველგვარი მნიშვნელოვანი საქმეების შესახებ, რომლებსაც რაიმე დამოკიდებულება აქვს ამასთან, ამბავი შეგვატყობინოთ.

მფარველობდეს მაღალი ღმერთი ელიზბარ-ბეგს.

მისამართი:

„იყოს ამისი განკარგულება, რომ ეს წერილები თიფლისში ელიზბარ-ბეგს ჩაბარდეს“<sup>1</sup>.

## № 22

1716—1720 წწ. წერილი დედოფალ ელენესი (ირაკლი I ნაზარალი-ხანის ასული) მეფე ვახტანგ VI-სთან. დედანი. დაწერილია ლამაზი მხედრულით, შავი მელნით თეთრ ქალაღზე. ჰვირნიშანი: ვაცის თუ რაღაც ცხოველის გამოსახულება. განკვ. ნიშნად ნახმა-რია ორწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ტექსტი დაწერილი უნდა იყოს მდივნის ხელით. ზომა 25,8×44 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1429.

<sup>1</sup> სპარსული ტექსტი თარგმნა კ. ტაბატაძემ, რისთვისაც მას შალღობას მოვასხენებთ.

საბუთს ბროსეს ხელით გაკეთებული აქვს 4-სტრიქონიანი მინაწერი, რომელშიაც გადმოცემულია წერილის მოკლე შინაარსი და 1706—1710 წწ. შუალედით არის დათარიღებული.

თუმცა ამ საბუთზე ბროსეს ხელით გაკეთებულ მინაწერში წერილის დამწერი დედოფალი ელენე ერეკლე I-ის დედად არის ჩათვლილი, მაგრამ ეს არ შეეფერება სინამდვილეს. ერეკლე I-ის დედა ელენე, მეტად აქტიური პიროვნება, 1695 წლისათვის სულკურთხეულად იხსენიება. ამავე დროს წერილის ადრესატი მეფე ვახტანგი „ყაენის სპასალარად და აღრიბეუანის ბეგლარბეგად“ იწოდება. სპასალარობა და ბეგლარბეგობა კი ვახტანგ VI-ს 1716 წელს ებოძა ყაენისაგან. ამიტომ იგი ვერ იქნებოდა ერეკლე I-ის დედის დედოფალ ელენეს თანადროული სპასალარი.

წერილს დამწერი თავის თავს უწოდებს ვახტანგის „არა მკადრე სძლობისა დედოფალ ელენეს“. ასეთად კი უნდა ვიგულისხმოთ ერეკლე I-ის ასული ელენე-ბეგუმ, რომელიც იესე მეფემ ითხოვა დაახლ. 1711 წ. და მხოლოდ 1715 წ. იქორწინა მასზე (ელენეს შესახებ იხ. აქვე, № 9. წერილის შენიშვნა № 1). წერილზე დასმულ ბეჭდის წარწერაშიაც „დედოფალი ელენე ბეგუმ“ მოიხსენება. რაკი ელენე 1715 წ. გახდა დედოფალი, წერილი დაიწერებოდა 1716 წ. და მის შემდეგ, ვახტანგ VI-ის — წერილის ადრესატის — რუსეთს წასვლამდე, 1724 წლამდე.

1. „ძითურთ“ — იგულისხმება იესე მეფისა და ელენე ბეგუმის ვაჟი, რომელსაც ცოტა ქვემოთ ელენე ნიკოლოზად მოიხსენიებს. ცნობილია, რომ ელენეს იესესაგან საბოლოოდ სამი შვილი შერჩა: თეიმურაზი (შემდეგში ანტონ I), მარიამი და ანასტასია. თეიმურაზი 1720 წ. დაიბადა, მისი დები კი მისი მომდევნონი იყვნენ. ორივე და 30-იანი წლების დასაწყისში გარდაიცვალა. ჩვენს წერილში კი ელენეს ვაჟს ნიკოლოზი ჰქვია. ვინ არის ეს ნიკოლოზი? აქ შეიძლება დავუშვათ ორი ვარაუდი: ან თეიმურაზს ნიკოლოზიც ერქვა სახელად, ან იესე-ელენეს ჰყოლიათ კიდევ ერთი ვაჟი ნიკოლოზი, რომელიც გარდაიცვლებოდა ანტონის დაბადებამდე, რაკი არც ელენე და არც თვით ანტონი შემდეგში მას აღარ ახსენებენ.

იესეს და ელენეს მართლაც ჰყოლიათ კიდევ ერთი ვაჟი — ჩვილობაში დაღუპული იოანე. ბროსეს ალავერდის ტაძარში უნახავს ღვთისმშობლის ხატი; რომელზედაც ამოკვეთილი ყოფილა წარწერა: „ჩვენ... მეფე იესე და თანამეცხედრე დედოფალი ელენე, მას ჟამსა, ოდეს მიგვეცვალა ძე ჩვენი იოანე და მიიღეთ ალავერდს, საფლავ-



სა მისსა ხატი ესე დავასვენეთ. ქქს უ“. (ქრ., III, 180) მაგრამ ბროსეს შეცდომა მოსვლია ქორონიკონის გადმოწერაში. უნდა ყოფილიყო „ქქს უე“ ე. ი. 1717 წ. (ჯახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, კრებული შეადგინა... თ. ბარნაველმა. თბ., 1961. გვ 18)

თავად იესე მეფეს კი სხვადასხვა ქალებისაგან შვილები მრავლად ჰყავდა: იოანე, გიორგი, თეიმურაზი, აბდულა-ბეგი (შემდეგში არჩილი), უსეინ-ბეგი, ისაყ-ბეგი (შემდეგში ალექსანდრე), დავითი, მაგრამ ნიკოლოზის სახელით — არც ერთი. ელენე კი თავად ამბობს, რომ მას ძე ჰყავს სახელად ნიკოლოზი. პ. კარბელაშვილის ცნობით („იერარქია საქართველოს ეკლესიისა“, გვ. 141) იესეს 1716 წელს შეეძინა ვაჟი (არა ანტონი). პ. კარბელაშვილი არ ასახელებს მის სახელს და არც იმ წყაროს უჩვენებს, საიდანაც ამოიღო მან ეს ცნობა.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს ბავშვი იყო სწორედ ის ნიკოლოზი, რომლის შეწყნარებასაც ასე გულმხურვალედ ევედრება დედოფალი ელენე ჰეფე ვახტანგს. ვახტანგსავე „უიძედოვხესი და უმკვიდრესი“ ელენეს სხვა არავინა ჰყავს და რადგან სწორედ მას „დედაშვილი რადგან ხელად შევეარდნივართ, ამას ვეხევეწებით, რომ მოწყალების ხელი არ აგვალონ, ჩემს უმოწყალოს ნიკზს ხელი არ ააღონ მაგათჳა გამარჯვებამ“. ელენე და მისი ვაჟი „ვახტანგს ხელად შევადრნილან“ — ე. ი. ვახტანგის ხელთ არიან. ასეთი დრო 1716 წ. შემდეგი ხანებია, როდესაც იესე და მისი ცოლ-შვილი ვახტანგისა და ბაქარის ტყვეობაში იმყოფებიან. ვახტანგმა იესე მხოლოდ 1721 წ. გაათავისუფლა. სწორედ ამ ხანებში დაწერდა ელენე თავის ამ ევდრებას (მაგრამ 1720 წლამდე, თეიმურაზ-ანტონის დაბადებამდე).

2. „არა მკადრე სძლობისა დედოფალი ელენე“ — ელენე ვახტანგ VI-ს რძლად ერგებოდა. რადგან იგი ცოლი იყო ვახტანგის ძმის იესე მეფისა.

3. „ნკლზ“ — ელენესა და იესეს ვაჟი, დაბადებული 1716 წ., გარდაცვლილი ბავშვობაში, 1720 წლამდე (იხ. აქვე, შენიშვნა 1.).

ელენე ბევუმის შესახებ იხ. შენიშვნები № 9 წერილზე.

## № 23

1716—1721 წწ. წერილი-მიწერილობა ვახუშტი ზაგრატიონისა ზაალ ფარეშთუხუცესისადმი. დედანი. დაწერილია მხედრულად ყვითელ ქალაღზე ყავისფერი მელნით. ჰვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად ნახმარია სამწერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ზომა 15X16 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Sd № 67.

დაბეჭდილია საქ. სიძვ., II, № 264.

წერილი დაწერილია ვახუშტის რუსეთს წასვლამდე, ვახტანგის ჯანიშინობაში — ე. ი. 1716—1724 წწ. შუალედში.

ეს წერილი 1817 წ. 21 იანვარს ზაქარია, ქაიხოსრო და მიხეილ ჯავახიშვილებს წარუდგენიათ „სულა ი რასპრავის“ ექსპედიციაში აქ ნახსენები კვიროსის სამამულოდ დასამტკიცებლად, რის შესახებაც წერილს ნეორე მხარეზე გაკეთებული აქვს სათანადო მინაწერი რუსულ ენაზე. ჯავახიშვილები ვახუშტის ადრესატის — ზაალ ფარეშთუხუცესის — მემკვიდრეები ყოფილან.

## № 24

1720 წ. შემდგომი ხანის წერილი იმერთა მეფე ალექსანდრე V-ისა ვახტანგ ფალავანდიშვილისადმი. დედანი დაწერილია შავი მელნით ყვითელ ქაღალდზე. კვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად ნახმარია სამწერტილი. ზომა 32×11,5 სმ.

საქ. ცსია, ფ. 1448 № 349.

წერილის ავტორი მეფობდა იმერეთში 1720—51 წლებში, წერილს დასმული აქვს მეფე ალექსანდრეს ბეჭედი, რომელსაც ის ხმარობდა 20,30-იანი წლების საბუთების დასამტკიცებლად (ა. ბაქრაძე, № 144).

ამავე დროს წერილის ადრესატი ვახტანგ ფალავანდიშვილი 1752 წ. უკვე ჩამოშორებულია აქტიურ ცხოვრებას — ამ წელს გაცემული ერთ-ერთი საბუთი ახსენებს ვახტანგის შვილს დავით ფალავანდიშვილს. ამ ნიშნებით წერილი დაიწერებოდა 1720—1740 წლებში (საქ. სიძვ., II, № 449).

არსებობს კიდევ ერთი ორიენტირი წერილის დასათარიღებლად: ვახტანგ ფალავანდიშვილი წერილში იხსენიება დარბაზ პატრონის ძმად. მაგრამ ჩვენ ვერ დავადგინეთ, ვინ იყო ალექსანდრეს მეფობაში დარბაზ პატრონი. რა ერქვა ამ ფალავანდიშვილს და როდემდე იყო ის დარბაზ პატრონი.

1. შანა — სანდო ნიშანი (ს. ს. ორბელიანი).

## № 25

1720 წ. დასაწყისის წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი. დედანი. დაწერილია მხედრულით, მსხვილი კალმით, შავი მელნით მოყვითალო ქაღალდზე. კვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 32×51 სმ. წერილის ძირითადი ნაწილი (თხრობა) იწყება სიტყვით: „მერმე“ და დაწერილია ახალი სტრიქონით. verso-ზე უზის ბეჭედი იქ, სადაც recto-ზე ტექსტი მთავრდება. ბეჭედი ოთხ-

კუთხაა, შუაში ხვეულად „იმამყულიხან“ გარშემო: „მნა ღთისა მეფე დავით“ (ა. ბაქრაძე, № 90)<sup>1</sup>.

ახლავს ბროსეს ხუთსტრიქონიანი მინაწერი ფრანგულ ენაზე, რომელშიაც მოთხრობილია წერილის შინაარსი და მოცემულია მისი დათარიღება 1719—1722 წლებით.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1448.

გამოქვეყნებულია დ. მეგრელაძის მიერ (მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 33, თბ., 1960, გვ. 142, № 1. შემდეგში მსკი). ფრანგულად მისი შინაარსი გადმოცემული აქვს ბროსეს Histoire de la Géorgie II p. Additions, XIV, SPb, 1857. შემდეგში—Additions. წერილი უნდა დათარიღდეს 1720 წ. რადგან: ვახტანგ VI, უსეინყული-ხანად წოდებული, 1719 წ. ქართლში ბრუნდება. იმავე წლის დეკემბერში ვახტანგ VI და იმამყული-ხანი ერთმანეთს ხვდებიან საფურცელში (ქცა, IV, 617). ამ შეხვედრით მეფეთა შორის კეთილი ურთიერთობა დამყარდა და გადაწყდა, რომ ქართლ-კახეთი ერთად იბრძოდებდა ლეკების წინააღმდეგ. „ზავ ჰყვეს და აღუთქვა ვახტანგ წარვლინება სპისა კახეთს“ (ქცა, IV, 497). წერილი დაიწერებოდა ამ შეთანხმების შემდეგ.

1. უსეინყული-ხან — ვახტანგ VI-ის სახელი გამაჰმადიანების შემდეგ.

2. ჭერემელი გრიგოლ — ჭერემის ეპისკოპოსი.

3. „ჩემი ძმა“ — იგულისხმება დავით იმამყული-ხანის უმცროსი ძმა თეიმურაზ ბატონიშვილი, შემდეგ თეიმურაზ II.

4. „ჩემი რძალი“ — თეიმურაზის მეუღლე, ვახტანგ VI-ის ასული თამარი. თეიმურაზმა და თამარმა 1712 წ. იქორწინეს (ქრ., III, 42). ეტყობა, ისინი ვახტანგის კარზე იმყოფებოდნენ და დავითი ახლა მათ კახეთში დაბრუნებას ითხოვს.

5. რუსხათი — (არაბ) — გაშვება, ნებართვა, თანხმობა.

## № 26

1720 წ. დასაწყისის წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ Vd-ისადმი. დედანი. დაწერილია ლამაზი მხედრულით, შავი მეღნის მოყვითალო ქაღალდზე. კვირნიშანი არ ჩანს. პირველი 15 სტრიქონი დაწერილია დიდი ინტერვალით, შემდეგი 18 სტრიქონი კი მიჯრით. განკვ. ნიშნად — სამწერტილი. ზომა 25×65,5 სმ. verso-ზე იქ, სადაც

<sup>1</sup> საერთოდ ჩვენს გამოცემაში წერილზე დასმული ზეპლის და მისი ზედწერილის აღწერილობა მოცემულია წერილის ტექსტისავე სქოლიოში. მაგრამ როცა ბეჭედი დასმულია არა ტექსტის ბოლოს, არამედ უჩვეულო ადგილას, მაშინ ზეპლის აღწერილობას ვიპოვებთ „შენიშვნებშიც“.

recto-ზე ტექსტი მთავრდება, დასმულია იმამყული-ხანის იგივე ბეჰედ-დი, რაც № 25 წერილს უზის. ახლავს ბროსეს შვიდსტრიქონიანი მინაწერი, რომელშიაც მოცემულია წერილის შინაარსი და დათარიღება 1719—1722 წლებით.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1445.

გამოქვეყნებულია, მსკი, № 2, Additions-ში, (გვ. 425) დაბეჭდილია მისი ფრანგული შინაარსი.

წერილი უნდა დათარიღდეს 1720 წ. დასაწყისით, რადგან როგორც ტექსტიდან ჩანს, იგი დაწერილია საფურცელში მეფეთა შეხვედრის (1719 წ. დეკემბერში) შემდეგ, მაგრამ იმ დროს, როცა ვახტანგის ლაშქარი ჯერ არ იყო კახეთში მისული. ამას მიუთითებს წერილის შემდეგი ადგილი: „მანდ რომ გახლდით, ხომ ქვემოთი ალაგების გაჭირვება დარბაისელთ ყველა თითონ მოგახსენესთ და ჩვენსავე მანდ ყოფაში ორ-სამს ალაგს მოვდომოდენ“. (იმამყული-ხანის მიერ ნახსენები „დარბაისელთ მოხსენება“ დაცულია საქ. ხ. ი.-ს Hd ფონდში, 1499 ნომრად და გამოქვეყნებულია დ. მეგრელაძის მიერ, მსკი, № 3).

1. ქვემოთი ალაგების გაჭირვება — ივულისხმება ივრისა და ალაზნის ქვემო წელზე მდებარე ტერიტორია.

2. სარათი — (სპარს.-არაბ). საზღვარი, სასაზღვრო მხარე.

3. ყადაღი — (თურქ.) — აკრძალვა, გაფრთხილება.

## № 27

1720 წ. წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი. დედანი. დაწერილია გაკრული მხედრულით, შავი მელნით ყვითელ ქალაღზე. ჭვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 24×42 სმ. ტექსტი ნაწერია ფურცლის ორივე მხარეს. verso-ზე ტექსტის დამთავრებისას დასმულია იმამყული-ხანის ბეჰედი (ა. ბაქრაძე, № 90). ახლავს ბროსეს სამსტრიქონიანი მინაწერი, სადაც მოცემულია წერილის მოკლე შინაარსი და დათარიღებულია 1719—1722 წლებით.

საქ. ხ. ი., ფ. Hd. № 1443.

დაბეჭდილია მსკი, № 4. ბროსეს Additions-ში (გვ. 423) აღნიშნული აქვს, რომ წერილიდან არ ჩანს თუ ვახტანგის რომელი ლაშქრობა იგულისხმება აქ. როგორც დ. მეგრელაძე ასკვნის, რაკი, წერილით, ქართლის ჯარი უკვე კახეთშია, მეფე კი ჯერ ისევ ქართლში, აქ უნდა იგულისხმებოდეს ვახტანგის ის ლაშქარი, რომელიც ქართლის მეფემ გაგზავნა კახეთს ერასტი ყაფლანიშვილის მეთაურობით 1720 წ. გაზაფხულზე. ამის შესახებ ვახუშტი მოგვითხრობს: „შემდგომად გაზაფხულს- წარავლინა საბარათიანოს სპითა ერასტი ყაფლანიშვილი.

ამან დაჰყო კახეთს თთუე სამი, არ აბრძოლეს კახთა და მოიქცა ტფილისსეე უქმი“ (ქცა, IV, 497—498).

## № 28

1720 წ. წერილი დავით II იმამყულიხანისა ვახტანგ IV-ისადმი. დედანი. დაწერილია ლამაზი მხედრულით, ყავისფერი მეღვინით მოყვითალო ქაღალდზე. ჰვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 23×26,5. ტექსტი გრძელდება recto-ს მარჯვენა აშიაზე. დასასრულის გასწვრივ verso-ზე უზის ბეჭედი (ა. ბაქრაძე, № 90). ტექსტს ახლავს ბროსეს ოთხსტრიქონიანი მინაწერი, წერილის მოკლე შინაარსით და თარიღით.

1719 წ. საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1444.

გამოქვეყნებულია მსკი, № 5. Additions-ში 1721 წ. თარიღით, ფრანგულად გადმოცემულია მისი შინაარსი. მაგრამ რადგან თავისი შინაარსით ეს წერილი წარმოადგენს წინა, № 27 წერილის გაგრძელებას, ამიტომ ესეც 1720 წ. უნდა დათარიღდეს (დ. მეგრელაძე, მსკი, გვ. 153).

1. „წიგნის სუბუქობა“ — წერილის წერის მანერა. წერილის ისეთი სახეობა, რომელშიაც მიმართვა შემოკლებულად არის გადმოცემული.

## № 29

1720 წ. ზაფხულის წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი. დედანი. დაწერილია ულაზათო მხედრულით ყავისფერი მეღვინით თეთრ ქაღალდზე. ჰვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 30,5×51 სმ. დახვეული ყოფილა გრაგნილად; verso-ს ბოლოში, იქ, სადაც recto-ზე ტექსტი მთავრდება, დასმული აქვს ბეჭედი (ა. ბაქრაძე, № 90). აქ დასმული ბეჭედი გრაგნილს ზემოდან მოექცეოდა.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1437.

ახლავს ბროსეს ხუთსტრიქონიანი მინაწერი, რომელშიაც წერილი დათარიღებულია 1719—1722 წწ. Additions-ში კი მოცემულია თარიღად 1720 წ. (გვ. 417). წერილში ნახსენები ფრაზა „თუ ამავე ზაფხულს“ მაჩვენებელია იმისა, რომ წერილი ზაფხულშია დაწერილი, თანაც ზაფხულის დასაწყისში, რადგან 1720 წლის გაზაფხულზე ჯარის გამოგზავნიდან ერთი თვეც არ არის გასული: „ჯერ ხომ ერთი თვე არ არის, რომ ესენი აქ არიან“, — წერს იმამყული-ხანი.

1. სარატები — საზღვრები (იხ. № 26. წერილის შენიშვნა 2).

1720 წ. იენისის წერილი დავით II იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი. დედანი. დაწერილია მსხვილი და მოგრძო ასოებით, თავში ლამაზად, ბოლოში გაკრულად, თეთრ ქაღალდზე. ჭვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად — სამწერტილი. ზომა 30×67 სმ. verso-ზე იმ ადგილას, სადაც r-ზე ტექსტი მთავრდება, დასმული აქვს იმამყული-ხანის ბეჭედი (ა. ბაქრაძე, № 90). წერილს ახლავს ცხრასტრიქონიანი მინაწერი ბროსეს ზელით. იგი წერილს 1721 წ. ათარიღებს.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1434.

დაბეჭდილია მსკი, № 9 Additions-ში მოცემულია მისი შინაარსი ფრანგულად თარიღით 1720 წ. შემოდგომა (გვ. 414—415). დ. მეგრულად მას 1720 წლით ათარიღებს, რადგან სწორედ ამ წელს მოხდა წერილში აღწერილი ლაშქრობა მირ-ვეისის შვილისა. მაგრამ შეიძლება ამ თარიღის დაკონკრეტება. წერილში ნათქვამია — „მუშაობა და მკა მოეჯარა“. ე. ი. მოახლოვებულია მკა, მკათათვე. ამიტომ წერილი იენისში დაიწერებოდა.

1. მირვეისის შვილი იგივე მირ-მაჰმუდია, ავღანთა ტომის მეტაურის შვილი. 1717 წლიდან ის ჩაუდგა სათავეში ავღანთა ტომს და ირანელებთან ბრძოლა გააჩაღა. 1720 წ. 10-ათასიანი ლაშქრით თავს დაესხა ქირმანს, ირანელებმა მოახერხეს მირ-მაჰმუდის დამარცხება და აიძულეს იგი ყანდაარში გაქცეულიყო. 1722—1723 წლებში მირ-მაჰმუდმა მოახერხა ირანის არმიის რამდენჯერმე დამარცხება და ირანის დედაქალაქი ისპაანი დაიკავა.

2. თასარუფი — (არაბ) — დამორჩილება, დაპყრობა, ფლობა.

3. ყოლბეგი — მსახურების უფროსი.

4. თამბა, თანბა — (არაბ. თანბიკ) — გაკიცხვა, დასჯა, საყვედური.

## № 81

1720 წ. შემოდგომის წერილი იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი. დედანი დაწერილია მსხვილი მხედრულით შავი მელნით თეთრ, თხელ ქაღალდზე. ჭვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი. ზომა 37×54,5 სმ. ახლავს ბროსეს ცხრასტრიქონიანი მინაწერი, სადაც ის იძლევა ორ სავარაუდებელ თარიღს 1719 და 1720 წწ. დახვეული ყოფილა გრაგნილად. გრაგნილის ზემოთა მხარეს, ე. ი. verso-ს ბოლოში დასმულია მურის ბეჭედი (ა. ბაქრაძე № 90). ბეჭედის დასმის ადგილის უკანა მხარეს ანუ recto-ზე მთავრდება ტექსტი:

საქ. ხ. ი., ფ. Hd 1438.

დაბეჭდილია მსკი, № 7, ფრანგულად მისი შინაარსი მოცემულია ბროსეს Additions-ში (გვ. 416). დ. მეგრელაძე წერილს ათარიღებს 1720 წ. შემოდგომით შემდეგი მოსაზრებით: ვახუშტის ცნობით, ვახტანგ VI-ის ლაშქარმა ერასტი ყაფლანიშვილის მეთაურობით კახეთში სამი-ოთხი თვე დაჰყო. წინა წერილების მიხედვით, ქართლის მეფის ჯარი კახეთში გაზაფხულის ბოლოს თუ ზაფხულის დასაწყისში ჩავიდა. ამ წერილში კი ლაპარაკია ღამის გადიდებასა და აგრილებაზე. ყველა ამ მომენტის გათვალისწინებით წერილი დაიწერებოდა 1720 წლის შემოდგომაზე, სექტემბერ-ოქტომბერში.

1. „მდივანბეგის ჯარი“ — წერილში ნახსენები მდივანბეგი, ბროსეს აზრით, უნდა იყოს ერასტი ყაფლანიშვილი, მართლაც, ვახუშტის ტექსტით ვიცით, რომ ვახტანგ VI-მ იმამყული-ხანთან შეთანხმების საფუძველზე 1720 წ. გაზაფხულზე ლეკებთან საბრძოლველად გაგზავნა სომხით-საბარათიანოს ჯარი და მას უთავა ერასტი ყაფლანიშვილი.

ერასტი ყაფლანიშვილი XVIII ს. პირველი მესამედის ცნობილი პიროვნებაა. იგი თითქმის 30 წელი ქართლის მეფის მდივანბეგი იყო. (იხ. გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 147). ერასტის ცოლად ჰყავდა დიდგვაროვანი ქალი ანახანუმი, მაგრამ ამ ცოლ-ქმარს ვაჟიშვილი არ ჰყოლია. ჰყავდათ მხოლოდ ქალი მარიამი (ამ მარიამის შესახებ იხ. შენიშვნა № 58 წერილზე). 1707 წ. ერასტის გარდაეცვალა ძმა ვახუშტი. ერასტიმ იშვილა ვახუშტის ობლები — ელიზბარი, ვახტანგი და ბანგუა (ბანგუა შემდეგში გივი ამილახვარზე გათხოვდა, ეყოლა მასთან ოთხი შვილი, მაგრამ ოთხივე დაეხოცა; ქმარი 1754 წ. მოუკვდა, თავად კი 1766 წ. გარდაიცვალა. — კრ., III, 290). ნაშვილები ელიზბარი კი შემდეგში სახლთუხუცესი (ეშიალასბაში) შეიქნა, 1744 წ. ოსმალებმა ჩამოახრჩეს (ქრ. III, 174). მეორე ვაჟი ვახტანგი უფრო დღეგრძელი გამოდგა (ამისი შვილიშვილი ვახტანგ დიმიტრის ძე ორბელიანი იყო მეუღლე ერეკლე II-ის ქალის თეკლე ბატონიშვილისა). მდივანბეგი ერასტი ყაფლანიშვილი გარდაიცვალა 1731 წ.

2. ზარური — (არაბ.) — საჭირო, აუცილებელი.

3. მუნასიბი — (არაბ.) შესაფერისი, შესაბამისი.

1720 წ. ბოლოს წერილი იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი. დედანი. დაწერილია მსხვილი მხედრულით შავი მეღნიით თეთრ ქაღალდზე. კვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად ნახმარად ორწერტილი.

ზომა 30×69 სმ. verso-ზე უზის იმამყული-ხანის ოთხკუთხა ბეჭედი (ა. ბაქრაძე, № 90) იმ ადგილას, სადაც recto-ზე ტექსტი მთავრდება. წერილს ახლავს ბროსეს მინაწერი, რომელშიაც მოთხრობილია მისი მოკლე შინაარსი და დათარიღებულია 1719 წ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd, № 1436.

დაბეჭდილია მსკი, № 8, მისი შინაარსი ფრანგულად მოცემულია Additions-ში (გვ. 416—417). ამ გამოცემაში მ. ბროსე წერილს ათარიღებს 1720 წლით. ასევე ათარიღებს მას დ. მეგრულაძე (მსკი, გვ. 155). წერილი მართლაც უნდა დათარიღდეს 1720 წ. ბოლოთი. აქ მოთხრობილია დავითისა და ვახტანგის ურთიერთობის მთელი ისტორია. ეს მეფეები ჯერ მცხეთას შეხვედრიან ერთმანეთს, შემდეგ შაჰის განკარგულებით — თბილისს, სადაც თეიმურაზისა და ვახტანგის ქალის თამარის დაქორწინება გადაწყვეტილა (1712 წ.) და ბოლოს, საფურცელში შეხვედრისას ლეკების წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის გეგმები დაუსახავეთ. ამ ფაქტს ადგილი ჰქონდა 1719 წ. დეკემბერში. შემდეგ ვახტანგს ეჭვი გასჩენია, რომ იმამყული-ხანი ჰხარს უჭერდა ქსნის ერისთავ შანშეს ქართლის მეფის საწინააღმდეგო მოქმედებაში. როგორც ცნობილია, შანშე მართლაც განუდგა ვახტანგს და თავის მამულში გამაგრდა. ეს ამბავი ვახუშტის მოთხრობილი აქვს კახეთიდან ქართლის ჯარების დაბრუნების შემდეგ. რამდენადაც ჯარების დაბრუნება 1720 წ. შემოდგომით მოხდა (იხ. № 31 წერილის შენიშვნები), ეს წერილი დაიწერებოდა 1720 წ. ბოლო თვეებში.

1. დოვლათი — (არაბ.) სიმდიდრე, სიკეთე, სიძლიერე.
2. ეთიაჯი — (არაბ.) საჭიროება, აუცილებლობა.
3. თანბა — (არაბ.) — დასჯა, გაკიცხვა.
4. მდივანი გორჯასპი — გორჯასპი თუმანიშვილი, ქართლის მეფის მდივანი, გავლენიანი პირი იმ დროის ქართლ-კახეთში.

### № 33

1721 წ. წერილი იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი. დედანი. დაწერილია მხედრულად შავი მელნით ყვითელ ქალაღზე. პირველი ორი სტრიქონი დაწერილია ლამაზად, შემდეგ გაკრული ხელით. ჰვირნიშანი არ ჩანს. განკვეთილობის ნიშნად — ორწერტილი. ზომა 31×62 სმ. verso-ზე იმ ადგილას, სადაც recto-ზე ტექსტი მთავრდება, დასმულია იმამყული-ხანის ბეჭედი (ა. ბაქრაძე, № 90). წერილს ახლავს ბროსეს რეასტრიქონიანი მინაწერი, რომელშიაც მოცემულია წერილის შინაარსი და დათარიღება 1719—1722 წწ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1441.



გამოქვეყნებულია მსკი, № 10. მისი ფრანგული შინაარსი მოცემულია Additions-ში 1721 წ. თარიღით (გვ. 422). დ. შეგრელაძეც ამავე წლით ათარიღებს მას, რადგან წერილში მოთხრობილი ამბავი ლეკების მოხდომისა შამახიაზე სწორედ 1721 წ. მოხდა.

1. ჯამათი — (არაბ.) მოსახლეობა, საზოგადოება, ხალხი. აქ — თანამდგომი, თანამებრძოლი მოსახლეობა.

2. მაპლაი — (არაბ.) — საცხოვრებელი ადგილი, ოლქი, უბანი.

3. ყოლბეგი — (თურქ.) — მსახურების უფროსი

4. ვაჯიში — უ. ი. ვაჯირი (არაბ) — აუცილებელი

5. „იკიდემ ესეც მოეწერა ჩემის წიგნის აშიაზედ“ — გამოთქმა მიუთითებს სხვადასხვა ცნობების გადმოსაცემად წერილის აშის გამოყენების ტრადიციაზე.

### № 34

1721 წ. წერილი იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი. დედანი. დაწერილია მხედრულით შავი მელნით მოყვითალო ქალაღზე. კვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. პირველი სამი სტრიქონი ნაწერია ლამაზად, შემდეგ — გაკრულად. ბეჭედი არა აქვს. ახლავს ბროსეს მინაწერი რვა სტრიქონად, რომელშიაც წერილი დათარიღებულია 1721 წ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1439.

დაბეჭდილია მსკი, № 11. მისი შინაარსი ფრანგულად მოცემულია Additions-ში (გვ. 419—420). წერილი დათარიღებულია 1721 წლით, რადგან მასში გადმოცემული „შირვანის ლეკისაგან დაჭერა“ 1721 წ. მოხდა.

1. „კელმწიფე“ — იგულისხმება ირანის შაჰი. იმამყული-ხანს, თავისი თავი და ვახტანგ VI-ც ირანის შაჰის — ხელმწიფის ქვეშევრდომებად მიაჩნია.

2. ენისელთ მოურავი ზაალ — გვარად ჩოლაყაშვილი.

3. მღივანი გურგენი — გვარი ვერ დავადგინეთ.

4. ეთმადოვლეს ძმა მაჰმად-ხან — ეთმადოვლე ეთმადოვლათის შემოკლებული ფორმაა, ნიშნავს „სახელმწიფოს ბურჯს“. სეფიანთა ირანის უპირველესი ვეზირის ტიტული. ამ დროისათვის ეთმადოვლე იყო ერევნის ბეგლარბეგი, შამხალის ვაჟი, რომლის და ფახრიჯან-ბეგუმი მამადყული-ხანის თანამეცხედრე იყო (ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955, გვ. 434). (ამავე კრე-

ბულში 1720 წ. ერთი საბუთში ფაბრიკან-ბეგეში დავითის თანამეცხედრეა, გვ. 430).

5. „ქელმწიფის რაყამის სავადი“ — შაჰის სიგელის პირი. სავადი (არაბ.) ნიშნავს დედნიდან გადმოწერილ პირს, კოპიოს.

6. ასლი რაყამი — (არაბ.) ნამდვილი, დედანი.

7. „მდივანბეგი პაატა და ეშოკალასბაში ზაალ გვიახლებია“ — დ. მეგრელაძის დაკვირვებით, მდივანბეგი პაატა არის სპარსულ ფირმანში ნახსენები „კახეთის დივანბეგი პაატა ბეგ, გურჯი როსტომ ბეგის ძე“ (მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, თბ., 1949. გვ. 56), რომელმაც 1703 წელს შემკვიდრებით მიიღო მამის — როსტომ ბეგის ჯამაგირი, რაც საბოლოოდ ირანის ხელისუფლებამ მას 1722 წ. დაუმტკიცა (იქვე, გვ. 54; მსკი, გვ. 160).

ეშოკალასბაში ზაალი არის ენისელთ მოურავის მერაბის ძმა. მერაბი ენისელთ მოურავია 1708 წ. (ქართ. სპარსული ისტ. საბ., გვ. 418). მერაბის შემდეგ ეს სახელო მისმა ძმამ ზაალმა დაიმკვიდრა. ზაალი და მერაბი გვარად ჩოლაყაშვილები იყვნენ.

## № 35

1721 წ. წერილი დავით იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი. დედანი .დაწერილია ლამაზი მხედრულით შავი მელნით, მსხვილი კალმით, თეთრ ბარათზე. ჭვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 11,5×14,5 სმ. ახლავს ბროსეს ორსტრიქონიანი მინაწერი, სადაც მოცემულია თარიღი 1721 წ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1442.

დაბეჭდილია მსკი, № 12. ეს ბარათი უნდა იყოს დამატება წინა, № 34 წერილისა. იქ იხსენიება ხელმწიფის რაყამის სავადი, აქ კი განმარტებულია, რომ ვახტანგისათვის სავადის ნაცვლად ასლი გაუგზავნიათ.

1. სავადი — კოპიო, პირი.

2. ეთიბარი — ეპტიბარი — სასოება, რწმენა, ნდობა.

3. ასლი — ნამდვილი, დედანი.

4. „რავგართაც კელმწიფეს თავდაბეჭდილი ებოძათ ჩვენთვის, ჩვენც ისე თავდაბეჭდული მოვართოთ“. — იგულისხმება შაჰის ბეჭდის დასმა წერილის თავში.

1721 წ. წერილი იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი. დედანი. დაწერილია მხედრულით მოგრძო ასოებით, შავი მელნით თეთრ, თხელ ქაღალდზე. პირველი ოთხი სტრიქონი ლამაზად, შემდეგ ოდნავ გაკრული ხელით. ჭვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად ორწერტილი. ზომა 31×62 სმ. ტექსტის თავში დაწერილი სახელი „უსეინყულიხანს“ გამოყვანილია განსაკუთრებულად ლამაზი ასოებით და ოთხივე მხრიდან ჩასმულია სამწერტილოში; მოთავსებულია. ფურცლის მე-12 სანტიმეტრზე, აქედან თვით ტექსტი დაშორებულია 8 სმ-ით. ახლავს ბროსეს მინაწერი ოთხ სტრიქონად, რომელშიაც ის წერილს ათარილებს 1719—1721 წწ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1447.

გამოქვეყნებულია მსკი, № 13. მისი შინაარსი ფრანგულად მოცემულია Additions-ში 1716 წ. თარიღით (გვ. 411). უნდა დათარიღდეს 1721 წ., რადგან ამ წელს გაემგზავრა შაჰის კარზე წერილში ნახსენები მდივანბეგი პაატა ბეგი.

1. მდივანბეგი — იგულისხმება მდივანბეგი პაატა-ბეგ გურჯი როსტომ-ბეგის ძე, რომელიც თავისი ჯამაგირის დასამტკიცებლად შაჰის კარზე გაემგზავრა 1721 წ. (იხ. შენიშვნა 7 № 34 წერილისა).

2. „რადგან კელმწიფეს თქვენთვის და ჩვენთვის ამგვარი სამსახური უბრძანებია“ — იგულისხმება შაჰის დეალება ვახტანგ VI-სა და იმამყულისადმი ლეკების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის წარმოების შესახებ.

3. მუნასიბი — (არაბ) — შესაფერისი, შესაბამისი.

1712 წ. სექტემბერ-ოქტომბრის წერილი იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი. დედანი. დაწერილია ლამაზი მხედრულით შავი მელნით თეთრ ქაღალდზე ჭვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 32×65,5 სმ. წერილი დახვეული ყოფილა გრაგნილად. ახლავს ბროსეს 14-სტრიქონიანი მინაწერი, სადაც წერილი დათარიღებულია 1719—1722 წწ.

ტექსტი recto-ზე მთავრდება განის ეშიაზე, სწორედ ამ ადგილის verso-ზე დასმულია იმამყული-ხანის ბეჭედი (ა. ბაქრაძე, № 90).

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1435.

გამოქვეყნებულია მსკი, № 15. მისი შინაარსი ფრანგულად მოცემულია Additions-ში, სადაც ის დათარიღებულია 1720 წ. შემოქ-

დგომით. წერილი მართლაც უნდა დათარიღდეს სექტემბერ-ოქტომბრით, რადგან აქ ლაპარაკია ზაფხულის გასვლასა და აგრილებაზე, მაგრამ 1721 წ. — ვახტანგისაგან კახეთში ჭარის მოშლის შემდეგ, ამავე წელსვე მოხდა ლეკებისაგან შირვანის დარბევა, რაზედაც წერილშია ლაპარაკი.

1. სართი — სასაზღვრო ქვეყანა.

## № 38

1722 წ. წერილი იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი. დედანი. დაწერილია ლამაზი, მსხვილი მხედრულით ყავისფერი მეღნიტ მოყვითალო ქაღალდზე. კვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად ნახმარია სამწერტილი. ზომა 25,5×49 სმ. წერილი დახვეული ყოფილა წვრილად. ახლავს ბროსეს მინაწერი თარიღით 1719 წ. verso-ზე იქ. სადაც recto-ზე ტექსტი მთავრდება, დასმულია იმამყული-ხანის ბეჭედი (ა. ბაქრაძე, № 90).

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1449.

გამოქვეყნებულია მსკი, № 20. მისი შინაარსი ფრანგულად მოცემულია Additions-ში 1716 წ. თარიღით (გვ. 412). მსკი-ში თარიღდება 1720—1722 წლებით. ჩვენ ვათარიღებთ 1722 წ. პირობით.

1. ნოქარი — (სპარს.) — შეიარაღებული მსახური, მეომარი, ხშირად, დაქირავებული.

## № 39

1722 წ. წერილი იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი. დედანი. დაწერილია წვრილი, ლამაზი მხედრულით თეთრ, თხელ ქაღალდზე შავი მეღნიტით. კვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. მარცხნივ დატოვებული აქვს 9 სმ-იანი არე. ზომა 31×48 სმ. ბეჭედი დასმული აქვს verso-ს ბოლოში, სადაც recto-ზე ტექსტი მთავრდება. ახლავს ბროსეს მინაწერი 6 სტრიქონად, სადაც წერილში ნახსენები მონაზონი ანა, რომელიც 1716 წ. გარდაიცვალა. ჩათვლილია ერეკლე 1-ის მეუღლედ, ალბათ ამ ნიშნით ბროსე წერილს ათარიღებს 1716 წ. წინა ხანებით.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1430.

გამოქვეყნებულია მსკი, № 21. მისი ფრანგული შინაარსი მოცემულია Additions-ში თარიღით 1716 წ. წინ. (გვ. 408). დ. მეგრელაძე წერილს ათარიღებს 1720—1722 წ.

1. „მონაზონი ბატონი ანნა“ — უცნობი პიროვნება. მ. ბროსე მას ერეკლე I-ის ქვრივად მიიჩნევდა. დ. მეგრელაძე ფიქრობს, რომ ეს ანნა არ უნდა იყოს დედოფალი. მართლაც, წერილი თითქოს არ გულისხმობს ამ ანნაში დედოფალს. კონტექსტით, ანნა „სიმცროთგან ღვთის მსახურებაზე აღზრდილა“ და „თავი ღთისათვის შეუწირავს“. „მამაჩვენი მანდ ბრძანდებოდა, თან ახლდა, მწვედ მწყალობელი და ყურის მიმგდები ბრძანებულა“. არა გვგონია, რომ ასე უცხოდ მოეხსენებინოს თავისი დედა იმამყული-ხანს.

2. ბელადი — წინამძღოლი შორეულ მგზავრობაში.

3. ერთიბრიანი — უ. ი. ეხთიბრიანი (არაბ) — სანდო, სარწმუნო.

#### № 40

1722 წ. წერილი იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი. დედანი. დაწერილია მრგვალი მხედრულით შავი მელნით მოყვირალო თხელ ქალაღზე. კვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 25×57 სმ. ახლავს ბროსეს მინაწერი ფრანგულად, ცხრა სტრიქონი, რომელშიაც მოცემულია წერილის დათარიღება 1719—1722 წწ. წერილს მეორე მხარეზე იმ ადგილის გასწვრივ, სადაც ზედა მხარეზე ტექსტი მთავრდება, დასმული აქვს იმამყული-ხანის ბეჭედი (ა. ბაქრაძე, № 90).

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1450.

გამოქვეყნებულია მსკი, № 22. მისი შინაარსი ფრანგულად მოცემულია Additions-ში უთარილოდ (გვ. 412). წერილი უნდა დათარიღდეს 1722 წლით, რადგან აქ მოხსენიებული მაჰმათ-ხანი, დანიშნული ხანად 1721 წ. (იხ. აქვე, წერილი № 34), ახლა უკვე ხანობა ჩამორთმეულია და მის მაგიერ ხანად მისი ძმა უღული-ხან არის დანიშნული.

1. ჯინში — (არაბ.) — ნატურით, საქონლით, ნივთეულობით რაიმეს (უფრო ხშირად გადასახადის) გადახდა.

2. ავალა, ჰავალა — (არაბ.) ფულის გადაცემა, რწმუნება, რაიმეს დავალება.

#### № 41

1722 წ. ზაფხულის წერილი იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი დედანი. დაწერილია ლამაზი მხედრულით შავი მელნით მოყვირალო, თხელ ქალაღზე. კვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 29,5×66,5 სმ. წერილი დაკეცილი ყოფილა სამად და შემდეგ დახვეული გრავნილად. verso-ზე დასმულია ბეჭედი იმ ადგილას,

სადაც recto-ზე ტექსტი მთავრდება. ბეჭედი ისეთია, როგორც ყველა სხვა წერილზეა დასმული (ა. ბაქრაძე, № 90). ახლავს ბროსეს შვიდსტრიქონიანი მინაწერი, სადაც გადმოცემულია წერილის მოკლე შინაარსი და მისი თარიღი — 1721 წ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1440.

დაბეჭდილია მსკი, № 14. მისი შინაარსი ფრანგულად მოცემულია Additions-ში 1721 წ. თარიღით (გვ. 420—422).

წერილში რამდენიმე ახალი მომენტი ჩანს. წერილის დაწერას იმამყული-ხანი „შეუძღვებლად“ არის (ცნობილია, რომ მან დიდხანს იავადმყოფა). წერილში მოთხრობილია ვახტანგისა და იმამყული-ხანის ლეკებთან ერთობლივი ბრძოლის საფეხურები. აღნიშნულია, რომ შაჰმა ორჯერ მოშალა ქართლის მეფის კახეთში ლაშქრობა. პირველად ვახტანგი არ შეეპუა შაჰის ამ გადაწყვეტილებას და ლეკების წინააღმდეგ კახეთში „დიდის ჯარით, ხარჯით და რიგით გამოძახნა“. შაჰის მეორე რაყამმა კი ის ისევ ქართლში დააბრუნა. ქართლის ჯარის კახეთიდან წამოსვლას შედეგად მოჰყვა ზოგიკახელი გლეხის ლეკების მხარეზე გადასვლა. იმამყული-ხანი მოუწოდებს ვახტანგს. „ამ ქვეყანას ამავე ზაფხულ მშველელი“ უნდა მოუვიდესო. ე. ი. წერილი დაწერილია რომელიღაც წლის ზაფხულში. რაკი წერილში ლაპარაკია იმამყული-ხანის შეუძლოდ ყოფნაზე, იმამყული-ხანი კი 1722 წ. 2 ნოემბერს გარდაიცვალა, ამიტომ წერილი დაიწერებოდა იმავე 1722 წ. ზაფხულში.

1. მურად-ბეგ ეშიკაღასი — ამისი ვინაობა ვერ გამოვარკვეით.
2. „მოუველდუფი“ — (არაბ.) — შეწყვეტილი, შეჩერებული, გადადებული, გადავადებული.
3. სარათის ბეგი — სასაზღვრო ქვეყნის გამგებელი.
4. თამბა — გაკიცხვა, დასჯა.
5. ნუზლი — საგზალი.

#### № 42

1722 წ. სექტემბერ-ოქტომბრის წერილი იმამყული-ხანისა ვახტანგ VI-ისადმი. დედანი. დაწერილია ლამაზი მხედრულით შავი მელნით თეთრ ქაღალდზე. კვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 29,5×60 სმ. წერილს ახლავს ბროსეს მინაწერი 13 სტრიქონად, სადაც მოცემულია წერილის ძირითადი შინაარსი და დათარიღება 1719—1722 წწ. წერილი დახვეული ყოფილა გრაგნილად. verso-ზე იმ ადგილას, სადაც recto-ზე ტექსტი მთავრდება, დასმულია იმამყული-ხანის ბეჭედი (ა. ბაქრაძე, № 90).

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1432.

გამოცემულია მსკი, № 16. მისი შინაარსი ფრანგულად მოცემულია Additions-ში 1719 წ. თარიღით (გვ. 409—411). წერილი უნდა დათარიღდეს 1722 წ. შემოდგომით, უფრო ზუსტად, სექტემბერ-ოქტომბრით, რადგან იმამყული-ხანი 2 ნოემბერს გარდაიცვალა, წერილი კი მანამდე დაიწერებოდა. 1722 წ. ზაფხულში იმამყული-ხანმა ერთი წერილი უკვე გაუგზავნა ვახტანგს (იხ. აქვე, წერილი № 41) ეს წერილი კი მის შემდეგ დაიწერებოდა, ე. ი. სექტემბერ-ოქტომბერში. რომ ეს წერილი არ დაიწერებოდა რომელიმე სხვა წლის შემოდგომით, ეს გარკვევით ჩანს წერილის შემდეგი ადგილიდან: ვახტანგს კახეთში ჯარის გასაგზავნად შეურჩევია ლილო. იმამყული-ხანს არ მიაჩნია ეს მიზანშეწონლად და თავის წერილში ამ აზრის დასაბუთებას ცდილობს. ლილო, როგორც კახეთში ქართლის ჯარის შესაყარი ადგილი, არ მოსწონს არც თეიმურაზს, რასაც ის თავისებურად ასაბუთებს ვახტანგთან მიწერილ ერთ წერილში. თეიმურაზის ეს წერილი იმამყული-ხანის სიკვდილის შემდეგ არის დაწერილი (იხ. აქვე, წერილი № 44).

1. ერთიბრიანი — ეპტიბრიანი — სარწმუნო, სანდო.
2. აღსაყალი — (თურქ. თეთრწვერა) — უფროსი, პატივსაცემი, საპატიო კაცი.
3. ხათრიჯამი — გულდაჭერებული, დარწმუნებული.
4. ონოფრე წინამძღვარი — გარეჯის წინამძღვარი ონოფრე მაქუტაძე.
5. „პაშტა ხანი“ — პაშტა — პატარა, ცოტა; პაშტა ხანი — ცოტა ხანი.

#### № 43

1722 წ. ბოლოს წერილი თეიმურაზ ბატონიშვილისა ვახტანგ VI-ისადმი. დედანი. დაწერილია ყავისფერი მელნით რუხ ქალაღზე. ქვირინიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 27,5X 57 სმ. verso-ზე დასმულია მურის რვაკუთხა ბეჭედი წარწერით: „თეიმურაზ“ (შუაში), „ბატონიშვილი“ (გარშემო). (ა. ბაქრაძე, № 171). თავში მიწერილია ბროსეს ხელით 6 სტრიქონი ფრანგულად, სადაც გადმოცემულია წერილის შინაარსი და დათარიღებულია 1722 წ. საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1451.

დაბეჭდილია მსკი, № 17. მისი შინაარსი ფრანგულად მოცემულია Additions-ში 1721 წ. თარიღით (გვ. 425—427). წერილი დაწერილია იმამყული-ხანის გარდაცვალების შემდეგ. („ჩემი ძმა კურთხეული იმამყულიხან“, „ჩემი ძმა მეფე იმამყულიხან გამიქარდა“). წერილში იმამყული-ხანის სიკვდილი გადმოცემულია როგორც ახალი

ამბავი, ამიტომ წერილი დაიწერებოდა 1722 წ. ნოემბერ-დეკემბერში. იმამყული-ხანი 1722 წ. 2 ნოემბერს გარდაიცვალა.

1. იგულისხმება ერეკლე I ნაზარალი-ხანის გარდაცვალება 1703 წ. როცა თეიმურაზი სამი წლისა იყო.

2. დედოფალი დაქვრივებული — თეიმურაზის დედა ანნა ჩოლაცაშვილი, რომელიც ნაზარალი-ხანმა ირანში ყოფნისას შეირთო. თეიმურაზი მას ეყოლა 1700 წ. თბილისში, როცა ნაზარალი-ხანი ქართლის მეფედ იყო დამტკიცებული. დედოფალი ანნა გარდაიცვალა 1716 წ. (ანნას შესახებ იხ. აქვე, № 9 წერილის შენიშვნა 2).

3. „ჯელმწიფის მუსაიბი“ — მუსაიბი (არაბ.) — მეგობარი, დაახლოვებული პირი, თანამოსაუბრე.

4. „თქვენი უმცროსი ძმა ბძანდება კარზე ყულარაღასი“ — იგულისხმება ვახტანგის უმცროსი ძმა როსტომი, რომელსაც ირანის კარზე ყულარაღასის თანამდებობა ეჭირა. როცა ავღანი მირ-ვეისის ძე მაჰმუდ-ხანი ისპაანს შემოადგა დიდი ჯარით, სასტიკ ბრძოლაში სხვა ყიზილბაშებთან ერთად „მოიკლა ძმა მეფისა ყულარაღასი როსტომი, მხნედ მბრძოლი ყულით“ (ვახუშტი, ქცა, IV, 499). ამ ბრძოლის თარიღად ვახუშტი უჩვენებს 1722 წ. მარტს, ხოლო ისპაანის ავღანთაგან აღებას იმავე წლის ოქტომბერში ათავსებს (იქვე, 500). ვახუშტის ეს თარიღები სწორია. 1722 წ. 8 მარტი და 22 ოქტომბერი ამ აქტების რეალური თარიღებია. (Иванов М. С., Очерк истории Ирана, М., 1952. 83,84).

ზემოთ ითქვა, რომ თეიმურაზის ეს წერილი დაწერილია იმამყული-ხანის გარდაცვალების შემდეგ. იმამყული-ხანი, გრაფი ტოლსტოის წერილის მიხედვით, 1722 წ. 2 ნოემბერს გარდაიცვალა (იხ. დ. მეგრელაძე, მსკი, 33, გვ. 168). ვახუშტი იმამყული-ხანის გარდაცვალების ორ თარიღს იძლევა — 1721 და 1722 წწ. თეიმურაზის წერილში ვახტანგის ძმა როსტომი ცოცხლად არის ნაგულისხმევი. ნუთუ როსტომის მარტში დაღუპვის ამბავი თეიმურაზმა ნოემბერშიაც ვერ გაიგო? ეს მით უფრო საკვირველია, რომ სეხნია ჩხეიძის ცნობით, როსტომის დაღუპვის შემდეგ შაჰმა სულთან-ჰუსეინმა ყულარაღასობა ბაქარს, ვახტანგის ძეს, უწყალობა. ხომ არ შეიძლება დავით იმამყული-ხანის გარდაცვალება 1721 წ. ვიგულისხმოთ?.

5. „საქართველოები“ — XVII—XVIII სს. წყაროები ცალკეულ სამეფოებად დაყოფილი საქართველოს ყოველ ნაწილს „საქართველოს“ უწოდებენ. ამ შემთხვევაში „საქართველოები“ უდრის ქართლსა და კახეთს.



6. იმამყული-ხანის გარდაცვალების შემდეგ შაჰმა კახეთის მეფედ გარდაცვლილი მეფის ნახევარძმა კონსტანტინე მაჰმადყული-ხანი დაამტკიცა. კონსტანტინე ამ დროს შაჰის კარზე იყო. კახელთა ერთ ნაწილს კი მეფედ თეიმურაზი ერჩია. ამ წერილით ჩანს, რომ ვახტანგ VI-ც ამ უკანასკნელთა აზრს ემხრობოდა. იგი ურჩევს თავის სიძეს. ისარგებლოს კონსტანტინეს ირანში ყოფნით და მეფობას შეეცადოს. მაგრამ თეიმურაზი ვახტანგს არ აპყვავ, იგი ცდილობს ვახტანგის საამისო არგუმენტები ზრდილობიანი ფორმით გააბათილოს. ვახტანგის ერთ-ერთი არგუმენტი კონსტანტინეს გამეფების წინააღმდეგ მისი უშვილობა ყოფილა. თეიმურაზი ამ აზრს აბათილებს როსტომ მეფის მაგალითით.

#### № 14

1722 წ. დეკემბრის წერილი თეიმურაზ ბატონიშვილისა ვახტანგ VI-ისადმი დედანი. დაწერილია მხედრულით თეთრ ქაღალდზე ჰვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად ორწერტილი. ზომა 22 X 55 სმ. verso-ზე დასმული აქვს ბეჭედი თეიმურაზისა წარწერით: „თეიმურაზ ბატონიშვილი“. ბეჭდის დასმის ადგილას recto-ზე ტექსტი მთავრდება. წერილს ახლავს ბროსეს ხუთსტრიქონიანი მინაწერი, რომელშიაც მოცემულია წერილის მოკლე შინაარსი და მისი დათარიღება 1722—1724 წწ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1452.

გამოქვეყნებულია მსკი, № 18. ფრანგულად Additions-ში 1722 წ. თარიღით (გვ. 427). წერილი დაწერილი უნდა იყოს იმამყული-ხანის გარდაცვალების ახლო ხანებში, 1722 წ. ბოლოს, დეკემბერში.

1. „მაგათი სიძე თეიმურაზი“, — თეიმურაზს ცოლად ჰყავდა ვახტანგის ქალი თამარი. დამახასიათებელია, რომ წერილის მიმართვაში თეიმურაზი კი არ წერს „თქვენი სიძე“, არამედ „მაგათი სიძე“. საერთოდ, თეიმურაზის წერილში ადრესატი ყველგან მესამე პირში მოიხსენიება: „მაგათის ქება“, „წიგნი ებოძათ“, „მაგათის ბედნიერებისათვის“. წერილს ძირითად ნაწილში — თხრობაში — თეიმურაზი ადრესატს მიმართავს ხან უშუალოდ, ხან როგორც მესამე პირს: „გვიბრძანებთ“, „მობძანდეთ“ „გვაქნევენებთ“ და ა. შ. ამავე დროს საპირისპიროდ: „თუ მაგათი გამობძანება იქნება“, „ბატონმა გაშინჯოს“, „მალე გვიბძანონ“ ადრესატს უშუალოდ მიმართავს მისი თანასწორი, მის ტოლ სოციალურ საფეხურზე მდგომი ავტორი. ამ შემთხვევაში თეიმურაზი ბატონიშვილია, ვახტანგი კი მეფე. ამი-

ტომაც მის წერილებში მიმართვის უშუალო და შუალობითი ფორმები ერთმანეთს ენაცვლებიან.

2. „ლილოზედ ჭარის დადგომა შიგნით კახეთის ალაგებს არას არგებს“ — თეიმურაზი აშკარად უწუნებს ვახტანგს ლილოზე ჭარის დაყენების გეგმას. ასეთი გეგმა ვახტანგს ჭერ კიდევ იმამყული-ხანის სიცოცხლეში ჰქონდა შემუშავებული (იხ. აქვე, წერილი № 42). ეს გეგმა არც იმამყული-ხანს მოსწონდა. ახლა თეიმურაზი იმამყული-ხანისეულ შეხედულებებს. ახალი მოსაზრებებით ამაგრებს.

## № 45

1723 წ. წერილი თეიმურაზ ბატონიშვილისა ვახტანგ VI-ისადმი. დედანი. დაწერილა ლამაზი მხედრულით ყვითელ ქაღალდზე. ჰვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად — სამწერტილი. ზომა 25,5×48 სმ. ტექსტი თავში ნაწერია ლამაზად, შემდეგ მწერალი თანადათან ჩქარობს, ბოლოს გარკვეული ხელით ამთავრებს წერას, წერილს ახლავს ბროსეს რვასტრიქონიანი მინაწერი, რომელშიაც მოთხრობილია წერილის შინაარსი და მოცემულია მისი დათარიღება 1722 წ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1453.

დაბეჭდილია მსკი, ნაკვ. 33, № 17, მისი შინაარსი ფრანგულად მოცემულია Additions-ში, გვ. 428—429.

წერილი უნდა დათარიღდეს 1723 წლით, რადგან თეიმურაზი მას წერს იმამყული-ხანის გარდაცვალების შემდეგ (1722 წ. ნოემბერი) და ვახტანგის სპასალარად დანიშვნის კვალდაკვალ. ვახუშტი იძლევა ყენისაგან ვახტანგის სპასალარად დანიშვნის ორ თარიღს: ქართლის ცხოვრებაში — 1722 წ. აგვისტო (ქცა, IV, გვ. 499), ხოლო კახეთის ცხოვრებაში — 1723 წ. აგვისტო (ქცა, IV, გვ. 619). ეს მეორე თარიღი უფრო სწორი უნდა იყოს, რადგან წერილით ვახტანგს სპასალარობა ებოძა კონსტანტინე მამადყული-ხანის მეფობაში.

1. „მაგათი სიძე კახეთის ჭანიშინი ბატონიშვილი თეიმურაზ“ — თეიმურაზი „მაგათი“ — ვახტანგ VI-ის — სიძე იყო, მას ცოლად ჰყავდა ვახტანგის ქალი თამარი.

2. „ჩვენ ძმას წიგნი მოეწერა“ — ჩვენ ძმად ე. ი. თეიმურაზის ძმად იგულისხმება კონსტანტინე მამადყული-ხანი, ერეკლე I-ის ვაჟი ხარჭისაგან, კახეთის მეფე 1722—1723 წლებში.

3. „მაგათთვის სარდლობის წყალობის მოსვლა ებრძანა“. ვახტანგმა აზერბაიჯანის სარდლობა — სპასალარობა მიიღო 1723 წ. აგვისტოში (ქცა, IV, 619; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, IV, თბ., 1973, 418).

1725—31 წწ. წერილი ალექსანდრე ალავერდელისა ტფილელი ეპისკოპოსის იოსებისადმი, დედანი. დაწერილია კარგი მხედრულით. თანდათან ნაწერი უარესდება და verso-ზე გაკრულ ხელზე გადადის, ტექსტში შიგადაშიგ ნასწორებია. ამ ნიშნებით, ეს წერილის შავი უნდა იყოს.

საქ. ხ. ი., ფ. Ad № 156.

იოსებ თბილელი იხსენიება 1730 წ. (ქრ. III, 126). 1730 წ. 20 XII-ს საბუთს სხვებთან ერთად ამტკიცებს ტფილელი მიტროპოლიტი ბატონი იოსებ (ქრ. III, 126; საქ. ხ. ი., ფ. Sd № 709). რამდენადაც 1731 წ. მაისში უკვე სხვა ტფილელი ჩანს — სახელდობრ არსენი (ს. კაკაბაძე, საისტ. საბ. V, 45), იოსების ტფილელობა მანამდეა საგულვებელი, დაახლოებით 1720-იან წლებში.

წერილში ნახსენები კათალიკოსი, რომელიც ნაწყენია ალექსანდრე ალავერდელის საქციელით და რომელთანაც შერიგების შუამავლობას სთხოვს წერილის დამწერი იოსებ თბილელს, უნდა იყოს ბესარიონ ორბელიშვილი. ბესარიონი კათალიკოსობდა 1725 წლიდან (დომენტის ოსმალეთში გამგზავრების შემდეგ) გარდაცვალებამდე — (1735—37 წწ-მდე). არ შეიძლება წერილში მოხსენებულ კათალიკოსად დომენტი ვიგულისხმოთ, რადგან კონტექსტით იგი გარკვევით საქართველოშია და არა უცხოეთში ტყვეობაში. ამის მიხედვით წერილი დაიწერებოდა 1725—1731 წლებში ოსმალობის ხანაში, როდესაც წერილის ავტორის სიტყვით „დაკნინებულია ქრისტიანობა“.

## № 47

1730-იანი წლების წერილი ელისე დმანელისა ვახტანგ ორბელიანისადმი. დედანი. დაწერილია ყავისფერი მელნით მოყვითალო ბარათზე. კვირინიშანი — არ ჩანს, განკვ. ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. ზომა 8×10,8 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Sd № 1998.

წერილს ადრესატი ვახტანგი გვარად ორბელიანია (ყაფლანიშვილი), ეს ჩანს შემდეგიდან: წერილის ავტორი ელისე დმანელი (დმანისის წინამძღვარი) თავს უწოდებს ადრესატის „მონასტრის მომსახურეს“. დმანისი კი სწორედ ორბელიანთა მონასტერი იყო. ვახტანგ ორბელიანი არის ძე ვახუშტი ორბელიანისა, რომელიც 1707 წელს გარდაიცვალა ყანდაარში. ვახუშტის ობლები ვახტანგ და ელიზბარი იშვილა ბიძამ—მდივანბეგმა ერასტიმ. ელიზბარი შემდეგში 1744 წელს, ოსმალეებმა ჩამოახრჩეს (ქრ., III, 174). ვახტანგი ყაფლანიშვილის

ერთადერთ მემკვიდრედ შეიქმნა. ამ ვახტანგის შესახებ იხ. აგრეთვე შენიშვნები № 31 წერილზე.

ელისე დმანელი დმანისის წინამძღვარად ჩანს XVIII ს. 30-იანი წლების საბუთებში (ქრ. III, გვ. 126, 150, 158). ამ ნიშნით წერილი თარიღდება 1730-იანი წლებით.

#### № 48

1731 წ. 20 ივნისის წერილი — ბრძანება ისპაყ-ფაშისა ელიზბარ და ვახტანგ ყაფლანიშვილებისადმი.

დედანი. დაწერილია მსხვილი მოგრძო ასოებით თეთრ ქაღალდზე. კვირნიშანი—ზოლები, ყვავილი და ლათინური ასოები. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 20×30 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Sd № 714.

დაბეჭდილია საქ. სიძვ., II, 321.

ძმები ელიზბარ და ვახტანგ ორბელიანები (ყაფლანიშვილები) ხშირად იხსენებიან XVIII ს. 30—40-იანი წლების საბუთებში (იხ. აქვე, შენიშვნა № 47 წერილისა).

1. ისპაყ-ფაშა — ახალციხის ფაშა. 1727 წ. მას საგამგებლოდ გადასცეს მთელი ამიერკავკასია და ვეზირობაც ობოძეს ოსმალებმა. გამოირჩეოდა სისასტიკით.

2. მირი — ოსმალეთში სახელმწიფო მიწებს მირი ეწოდებოდა. ოსმალებმა ქართლშიაც მიწები სახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადეს, ხოლო მოსახლეობას დააკისრეს საოსმალო მძიმე გადასახადი — მირი. ამ გადასახადის აკრეფაზე პასუხისმგებელი ოსმალთა წინაშე, ჩვეულებრივ, ადგილობრივი მებატონე იყო ხოლმე (ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII სს. გვ. 253).

3. მაჰმად-ბეგ — ე. თაყაიშვილის თქმით, მაჰმად-ბეგი იყო ქართლის გამგებლის ისპაყ-ფაშის ხაზინადარი (საქ. სიძვ., II, გვ. 534).

4. ზავთი — (არაბ.) — შენახვა, დაცვა, გამგებლობა. გადასახადების მკრეფელობა. აქ — უკანასკნელი მნიშვნელობით (ვ. ფუთურძე, ქართ. სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955. ლექსიკონი, გვ. 468).

#### № 49

1724—1735 წწ. (ოსმალობის ხანის) წერილი შანშე ერისთავისა მანუჩარ გლურჯიძისადმი. დაწერილია გაკრული ხელით ყვითელ ქაღალდზე. კვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 11×30 სმ.

საქ. ცსია, ფ. 1448. № 5219.

10. ქართული ეპისტოლური წყაროები

წერილი თარიღდება მასში გორის ფაშის ხსენებით, რაც ოსმალობის ხანაზე მიგვანიშნებს. მანუჩარ გლუჯიძე — ამ წერილის ადრესატი — ჩანს ამავე ხანის სხვა საბუთებშიაც. იგი არის დამწერი 1726 წ. 9 დეკემბერს გაცემული ერთი ნასყიდობის წიგნისა (დაბეჭდილია საქ. სიძვ., II, 338).

წერილი დაწერილია შანშე ერისთავის საკუთარი ხელით. სტილი მისი მთლად გამართული არ არის.

1. „თუ არდაგებაში ამ თათარმ კაცი დაჭრას“ — არდაგებაში — დამახინჯ. არდადეგებში — ე. ი. შუა ზაფხულში. მკათათვეში.

2. იხტიარი — (არაბ.) — უფლება, რწმუნება, უპირატესობის მიცემა, არჩევანი. აქ — არჩევანის მნიშვნელობით.

#### № 50

1724—1735 წწ. (ოსმალობის ხანის) წერილი უსუფ-ბეგისა გივი ამილახორისადმი. დედანი. დაწერილია მსხვილი მხედრულით ყვითელ ქაღალდზე. ჭვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად — სამწერტილი. ზომა 14×20,5 სმ.

წერილი დაკეცილი ყოფილა განივად.

ბარათს კუთხეში მიწერილი აქვს XIX საუკ. ხელით „გადაწერილია მლ. პ. კარბელაშვილი“.

საქ. ცსია, ფ. 1448, № 734.

წერილი დაწერილია მდიენის მიერ.

1. ქევჰა — (სპარს.) — მამასახლისი.

#### № 51

1724—35 წწ. წერილი უცნობი პირისა შანშე (ქსნის) ერისთავთან. დაწერილია მოგრძო მხედრულით შავი მელნით ყვითელ ქაღალდზე. ჭვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 19,5×16, 5 სმ.

წერილის verso-ს და recto-ს მარცხენა არე შემდეგში გამოყენებულია საწერად. სხვა ხელითა და მელნით აქ დაწერილია ლექსი („... ვინც აქო ვარდი, ბულბული იმას ვერავენ უქია... სანთლის შუქია“ და სხვ.).

საქ. ხ. ი., ფ. Ad № 1299 ბ.

წერილი თარიღდება „ოსმალობის“ ხანით.

1. ყაფიჩილარ — (თურქ.) მოხელე ციხის კარზე.

2. ხრაჯი — ალბათ ხარჯი

1724—36 წწ. წერილი გივი ამილახერისა ასანა, ფარემუზა, როსტომ და ვაჩასადმი. დედანი. დაწერილია მხედრულით შავი მელნით. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ჭვირნიშანი — არ ჩანს. ზომა 12×15 სმ. წერილი დაკეცილი ყოფილა წვრილად განივად.

საქ. ხ. ი., ფ. Qd № 237.

წერილი თარიღდება ოსმალობის ხანით. ფაშა ჩანს უმაღლეს ხელისუფლად.

1724—1736 წწ. წერილი შანშე ქსნის ერისთავისა ასანა თუმა-ნიშვილთან. დედანი დაწერილია შავი მელნით მოყვითალო ქაღალდზე. განკვ. ნიშნად — ორ წერტილი. ჭვირნიშანი — ზოლები. ზომა 11×26,5 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Qd № 235.

თარიღდება ოსმალობის დროისათვის დამახასიათებელი რელიეზებით — ენგიჩარი, ფაშა.

ასანა თუმანიშვილი იხსენიება ამ ხანის სხვა საბუთებშიც. მაგ., აქვე, წერილი № 54.

1724—36 წწ. წერილი დავრიშა-ბეგისა მთავარეპისკოპოსისადმი დედანი. დაწერილია შავი მელნით ყვითელ ქაღალდზე. განკვ. ნიშნად ნახმარია სამწერტილი. ჭვირნიშანი — ზოლები. ზომა 10,5×17,5 სმ. წერილს ახლავს მთავარეპისკოპოზის განკარგულებაც რამდენადაც წერილი ეხება ქვენატკოცის სუბაშს, ეს მთავარეპისკოპოსი — წერილის ადრესატი — შესაძლოა იყოს ჯუისის მიტროპოლიტი—მთავარეპისკოპოსი იოანე ბაზიერთხუციშვილი, რომელიც იხსენიება 1727 წ. ერთ საბუთში.

საქ. ხ. ი., ფ. Qd № 198.

თარიღდება ოსმალური ტერმინების — სუბაშის, ჩაუშის, ბურურთის ხსენებით.

წერილით ქვენატკოცის მოურაობა — სუბაშობა ასანა ჩაუშისათვის უბოძებიათ. ეს ასანა უნდა იყოს ასანა თუმანიშვილი — შანშე ერისთავის ხელქვეითი. იხსენიება წერილში № 53.

1. ქვენატკოცი — სოფელი მტკვრის პირას, თანამედროვე ქარელის რაიონში.

2. სუბაში — (თურქ.) — ერთ-ერთი მოხელე ოსმალეთში, მოურავის მსგავსი.

3. ჩაუში — (თურქ.) — უმცროსი სამხედრო პირი ოსმალეთში; მაცნე, ბრძანებათა საჯაროდ წამკითხველი.

4. ბურთი — (თურქ.) — წერილობითი ბრძანება, განკარგულება

#### № 55

1735 წ. 10 მაისის მიწერილობა გივი სახლთუხუცესისა გრიგოლისადმი. დედანი. დაწერილია ყავისფერი მელნით რუხ ბარათზე. კვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნები არა აქვს. დედანს შიგადაშიგ ასოები აკლია. ნაკლული ასოები მოცემულია მრგვალ ფრჩხილებში. ზომა 8×25 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd, № 4663.

1. სალთხუცი (სახლთუხუცესი) გივი უნდა იყოს კახეთის მეფის სახლთუხუცესი გივი ჩოლაყაშვილი. ჩვენამდე მოღწეულია 1736—1738 წწ. რამდენიმე საბუთი, გივი ჩოლაყაშვილის ბეჭდით დამტკიცებული. მისი ბეჭდის ზედწერილია: „მონა ღთისა, ყმა მეფისა, სახლთუხუცესი კახეთისა, მოურავი ფშავლებისა, მინდობილი არის ღთისა, გივი. 1736“. (ა. ბაქრაძე, № 750).

2. უტო — ადგილი კახეთში; უტოს ხევი ერთ-ერთი შენაკადია ალაზნისა, ჩამოუღის კვეტერას ციხეს (ვახუშტი, ქცა, IV, 549).

#### № 56

1735—1736 წწ. წერილი ეფთვიში ეპისკოპოსისა ბესარიონ კათალიკოსისადმი. დედანი. დაწერილია წვრილი ხელით, შავი მელნით მოყვითალო ქაღალდზე. კვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 10,5×24,5 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd 14241.

წერილის ადრესატია ბესარიონ პატრიარქი. ამ სახელით ქართლის კათალიკოსად იყო ბესარიონ ორბელიანი, რომელიც კათალიკოსად დააყენეს დომენტი კათალიკოსის ქართლიდან წასვლის შემდეგ (1725 წ. მარტი). ბესარიონი კათალიკოსია სიკვილიამდე. სენხია ჩხეიძე მის გარდაცვალებას 1735 წ. ნოემბერში უჩვენებს (საქართველოს ცხოვრება, ზ. კიკინაძის გამოც., გვ. 46). მ. ქავთარიამ დაადგინა ბესარიონის გარდაცვალების ნამდვილი თარიღი — 1737 წ. (იხ. მისი: ბესარიონ ორბელიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, — ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე I, 1959. გვ. 78).

წერილის დამწერია ეფთვიში ეპისკოპოსი; ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს ეფთვიში ტფილელი, რომელიც თბილელად ჩანს ბესარიონის პატრიარქობაში 1735—1739 წლებში (საქ. სიძვ. I, 331, 332, 451, 453, 456; II, 379, 384, 391). წერილის მიხედვით, ავტორი ადრე-

სატის „მზერის დაშორებული“ შექმნილა; ამავე დროს, ავტორს „გუშინწინ თვალი შეუდგამს“ კათალიკოსისათვის. წერილიდან იხილება ჩანს, რომ კათალიკოსი ბატონის წინაშეა. ავტორი სთხოვს კათალიკოსს — „თუ საქმემ თავი ჯელად მოგცეს, ერთობ ნუ მოშორდებით ბატონს“, რომელიც თავის ქვეყნიდან წამოსულა და ეხლა „აქ“ არის — ე. ი. ავტორის ადგილსამყოფელშია. „ერთობ ნუ მოშორდებით ბატონს. ახლა ამას უნდა ნუგეში და კეთილად საქმის წარმართებულობის იმედი. თქვენს მეტი არც თავის ქვეყანაში ყოლია ვინმე, თვარემ აქ ვინ ეყოლება კეთილის მოქმედი“. ავტორის ამ სიტყვებით ირკვევა, რომ ქართლში მეფობს თავის ქვეყნიდან წამოსული „კეთილის მოქმედთა“ მოკლებული პირი. ასეთად უნდა ვიგულისხმოთ მაქმადიანი ალი-მირზა, კახეთის მეფე დავით იმამყული-ხანის უკანონო ძე, ალექსანდრეს სახელით ცნობილი.

ეს ალექსანდრე თამაზ-ხანმა 1735 წ. აგვისტოში ქართლ-კახეთის მეფედ დაამტკიცა. 1736 წ. ოქტომბერში კი მის ადგილას ქართლში არჩილ აბდულა-ბეგი დაინიშნა, ალი-მირზას მხოლოდ კახეთი დაუტოვეს. ალი-მირზა (ალექსანდრე) კახეთში მეფობს 1738 წ. თებერვლამდე, შემდეგ იგი ნადირშაჰთან გაიწვიეს. ალი-მირზა ნადირშაჰს გაჰყვა ინდოეთის ლაშქრობაში; 1739 წ. დასაწყისში იგი ამ ლაშქრობაში დაიღუპა (დ. ლომიძე, 1735—1744 წლების ქართლისა და კახეთის მმართველთა ქრონოლოგია, — მრავალთავი, VIII, თბ., 1980. გვ. 105—113). ალი-მირზა — ალექსანდრეს ქართლში ხანმოკლე მეფობის პერიოდი (1735 წ. აგვისტო — 1736 წ. ოქტომბერი) ემთხვევა ბესარიონის პატრიარქობასაც და ეფთვიმის ეპისკოპოსობასაც. ამიტომ წერილი დაიწერებოდა 1735 წ. VIII-სა და 1736 წ. X-ს შორის.

ალექსანდრე მეფე, ეფთვიმის დახასიათებით, „არალირსთათვისაც მოწყალე არის და ვინგინდასთვისაც მრავლის წყალობის მყოფელი ან მეცნიერეთათვის, ანუ უმეცართათვის“. ეფთვიმი სთხოვს ბესარიონს, უშუამდგომლოს ამ მოწყალე მეფესთან, რათა მან ეფთვიმის ცხენი უწყალობოს.

1. „...სანატრელს ძმას ბატონს ვახტანგისათვის სამსახურის და ხილვის წადილი მიკადრებია“ — უნდა იგულისხმებოდეს ბესარიონის ახლობელი პირი ვახტანგ ორბელიანი (ვახუშტის ძე, ერასტის შვილობილი). ვახტანგ ორბელიანის შესახებ იხ. აქვე, შენიშვნები №№ 47 და 48 წერილებზე.

1736—1738 წწ. წერილი თამარ დედოფლისა გივი ქიზიყის მოურავისადმი. დედანი. დაწერილია მოგარძო მხედრულით ყვითელ, ვიწ-



რო და გრძელ ბარათზე. ჭვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 12×38,5 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 5220.

წერილის დასათარიღებლად რამდენიმე მომენტია გასათვალისწინებელი: თამარი, თეიმურაზ II-ს მეუღლე, დედოფალი იყო 1732—1746 წწ. 1738 წ. მარტში მან ქიზიყის მოურავად დაამტკიცა აბელი (საქ. სიძვ., III, 451). წერილს ადრესატი გივიც ქიზიყის მოურავია. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გივიც ქიზიყის მოურავი იყო აბელამდე, ე. ი. 1738 წ. მარტამდე. წერილში ნახსენები სარდალი — სეფი-ხანი, სარდლად დაინიშნა 1736 წ. თებერვალში. ამიტომ წერილი დაიწერებოდა 1736 წ. თებერვლის შემდეგ 1738 წ. მარტამდე.

1. „კემწიფის წყალობა“ — იგულისხმება ირანის შაჰის წყალობა.

2. „სარდლის წიგნი მოგვივიდა“ — უნდა იგულისხმებოდეს სეფი-ხანი, რომელიც სარდლად დაინიშნა 1736 წ. თებერვალში და სარდლად ითვლება 1738 წ. მარტამდე (დ. ლ. მ. ი. ძე, მრავალთავი, VIII, გვ. 118).

3. ქეცხა — მამასახლისი.

4. სარგარდანი — (სპარს.) — დაბნეული, თავგზააბნეული, შეწუხებული.

## № 58

1737—1738 წწ. წერილი თამარ დედოფლისა მარიამისადმი. დედანი. დაწერილია ყავისფერი მელნით რუხ ქაღალდზე მოგრძო ასოებით. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 16×46 სმ. წერილი დაკეცილი ყოფილა სიგანეზე და ბოლოს მიწერილი ჰქონია მისამართი.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 14293.

ამავე ინსტიტუტის ამავე Hd ფონდში დაცულია ამ წერილის პირი, შესრულებული მგონი ე. თაყაიშვილის ხელით, და მოცემულია მისი მოკლე აღწერილობა. Hd, № 1240. კითხვასხვაობანი მასთან მოცემული გვაქვს სქოლიოში.

წერილის დამწერი დედოფალი თამარი არის თეიმურაზ მეორის მეუღლე და დედა ერეკლე II-ისა იგი იყო ასული ვახტანგ VI-სა გარდაიცვალა 1746 წ.).

წერილის ადრესატი მარიამი. რომელსაც თამარი ბატონის რძალს უწოდებს, თამარს სთავაზობს ვიდაცას ერეკლეს საცოლედ. ვფიქრობთ, რომ ეს მარიამი უნდა იყოს იესე მეფის ერთ-ერთი მეუღლე, მარიამ ერასტის ას. ორბელიანის; ამ ერასტიმ იშვილა თავისი ძმის — ვახუშტის — შვილები ელიზბარ, იოანე და ბანგუა ორბელიანებში.

ერასტის ნაშვილები ბანგუა შემდეგში ცოლად გაჰყვა გივი ამილახვარს. სწორედ ამ ნათესაობას გულისხმობს თამარი, როცა სწერს: „როგორც თქვენის ძმებისაგან, ისე ამილახორისაგან, მინდა, რომ ჩემს ერეკლეზე გული ქონდეს“.

ალექსანდრე ამილახვრის „История Георгианская“-დან ვიცით, რომ გივი ამილახვრის ქალი ერეკლესათვის სდომებიათ საცოლედ, მაგრამ იგი მალევე გარდაიცვალა (გვ. 53, სქოლიო). ამ წერილში სწორედ გივი ამილახვრის ქალზე უნდა იყოს ლაპარაკი.

წერილის სიტყვები — „ჩემი შვილი ასე დაშორებული მყავს“ უნდა ნიშნავდეს ერეკლეს შორეულ ირანსა და ინდოეთში ყოფნას. ერეკლე ნადირ შაჰთან გაემგზავრა 1737 წ. თებერვალს, შემდეგ იგი ყანდაარს (ავღანეთში) ჩავიდა და იქიდან მას ინდოეთის ლაშქრობაში თან წაყვა. ინდოეთიდან ნადირ შაჰი 1739 წ. მობრუნდა და მაშინვე ერეკლე საქართველოსაკენ გამოისტუმრა. იმავე წლის მაისში ერეკლე გამოემგზავრა და 13 დეკემბერს ალავერდში მოვიდა. (ომან ხერხეულიძე, ჭიჭინაძის გამოც., გვ. 244, 245). ე. ი. ერეკლე დედისაგან „დამშორებული“ იყო 1737—1739 წლებში. 1739 წელს თეიმურაზი ყაფლანიშვილებს სთხოვს ქალს ერეკლესათვის (იხ. ხ. ი. ფ., Sd. 1895. ჩვენი № 59). ამიტომ ამილახვრის ქალის თხოვა ამაზე ადრე მოხდებოდა. წერილიც 1737—38 წლებში დაიწერებოდა.

1. მარიამ, ბატონის რძალი — როგორც ზემოთ ითქვა, ერასტი ყაფლანიშვილის ქალი. ვახუშტის სიტყვით, ის ჯერ გათხოვილი იყო ამირეჯიბზე, მაგრამ იესე მეფემ მოსტაცა იგი ქმარს და თან წაიყვანა. მარიამი იესეს ცოლად ითვლებოდა 1712—1714 წლებში. ამ ხანებში მას იესესაგან შეეძინა ვაჟი გიორგი. 1715 წ. იესემ ცოლად შეირთო ერეკლე I-ის ქალი ელენე. ელენე დედოფლად იწოდება, მარიამი კი ბატონის რძლად. იესეს სიკვდილის შემდეგ მარიამი განმარტოებულ ცხოვრებას ეწევა შვილთან ერთად. 1736 წ. გიორგი ბატონიშვილმა თავის ბიძას ელისბარ ორბელიანს მიჰყიდა მარიამისათვის მშობლები-საგან გამოტანებული სოფ. სატრედო (საქ. სიძე., II, 384). გიორგი ბატონიშვილი, როგორც ჩანს, ქართლის ბაგრატიონების მომხრეა, ამავდროულად თვალსაზრისისა მისი ერთადერთი შვილი დიმიტრი, რომელიც მას თამარ ციციშვილისაგან შეეძინა 1746 წ. გიორგი ბატონიშვილი თითქოს მონაწილეობდა მისი ნახევარძმის — აბდულაბეგის ბრძოლებში თბილისის ციხესთან 1748 წ. ამის შემდეგ ცნობები გიორგის შესახებ აღარა გვაქვს. როცა 1765 წ. პაატა ბატონიშვილის შეთქმულება გამოძლეა, გაირკვა, რომ ამ შეთქმულებას თანაუგრძნობდა გიორგის შვილი და მარიამის შვილიშვილი დიმიტრი ბაგრატიონი. დიმიტრი ბეზიასთან ერთად საქართველოდან გააძევეს (მამა აღარ ჰყავდა

ცოცხალი, დედა სხვაზე იყო გათხოვილი). ბებია-შვილიშვილი ერთხანს ყიზლარში გაჩერებულან, 1767 წლიდან კი მოსკოვს დასახლების ნება მიიღეს (დ. ბაგრატიონი, დიმიტრიანი, გამოსცა რ. ნაკაშიძემ, თბ., 1978, გვ. 5—7). შემდეგი ბელი მარიამისა უცნობია.

2. ჩვენ ვერ გავარკვეთ ამ ელენესა და მისი გარდაცვლილი შვილის პატარა იოანეს ვინაობა. ცხადია, რომ ეს ელენე წერილის ადრესატის მარიამის ნათესავია — ან ყაფლანიშვილების და ან ამილახვრების მხრიდან. თამარ დედოფლისათვის სწორედ მარიამს უცნობებია წერილით იოანეს გარდაცვალება.

თამარ დედოფალი წერილში ორჯერ ახსენებს კიდევ სხვა იოანეს სიკვდილს. ელენეს იოანეს სიკვდილმა მას თავისი იოანეს სიკვდილი გაახსენა: „პატარას იოანეს სიკვდილის სმენით... ჩემის იოანეს სიკვდილის მსგავსად“, „მე უწყალო ცეცხლი მომედვა ჩემის იოანესაგან... ისიც თვალში წარმომიდგა“. ჩანს, რომ თამარსაც ჰყოლია ახლობელი მიცვალებული, სახელად იოანე. მაგრამ ვინ არის ეს იოანე, ჯერჯერობით ვერ გამოვარკვეთ.

3. საფიტარი — ფიცის წერილი როგორც ჩანს, საქორწინო მოლაპარაკებისას ორივე მხარე ფიცს იძლეოდა, რომ პირობას არ გადავიდოდა.

4. „ამილახორის სიყვარულით და ამილახორის ჭალაბის გულისათვის“ — იგულისხმება გივი ამილახვარი და მისი მეუღლე ბანგუა ორბელიანი, წერილის ადრესატის მარიამის და. შემდეგში ბანგუა გივი ამილახვარზე გათხოვდა. მას და გივის ორი ვაჟი და ორი ქალი ჰყავდათ. ორივე ვაჟი ბავშვობაშივე დაეხოცათ, ქალებიდან ერთი, თეიმურაზ იესეს ძის (ანტონ I-ის) საცოლედ, ნადირშაჰმა მოატაცებინა, მეორე კი ერეკლესათვის უნდოდათ საცოლედ, მაგრამ ის ნიშნობამდე გარდაცვლილა. უშვილოდ დარჩენილმა გივიმ თავის მემკვიდრედ თავისი უმცროსი ძმა — დიმიტრი ამილახვარი დანიშნა. გივი ამილახვარი 1754 წ. გარდაიცვალა, ბანგუა კი — 1766 წ. (ქრ., III, 624).

## № 50

1739—1740 წწ. წერილი თეიმურაზ II-ისა ელისბარ და ვახტანგ ყაფლანიშვილებისადმი. დედანი. დაწერილია მოყვითალო ქალაღზე შავი მელნით. განკვ. ნიშნად თითო წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. კვირნიშანი — ზოლები და ორი რგოლი. ზომა 17×29,2 სმ. წერილი დაკეცილი ყოფილა განივად. ოთხად. მარცხენა მხარეს ნაკეცი აქვს გაკეთებული არესათვის.

საქ. ხ. ი., ფ. № 1895. დაბეჭდილია საქ. სიძვ. II, № 355. გვ. 395.

საქ. სიძვ-ში წერილი თარიღდება 1738 წლით, რადგან, როგორც ამ წერილის ლეგენდამია ნათქვამი, ერეკლე II-მ 1738 წელს იქორწინა ვახტანგ ყაფლანიშვილის ქალზე ქეთევანზე (საქ. სიძვ. II, 395). მაგრამ სინამდვილეში ერეკლეს არ უქორწინია ყაფლანიშვილის ქალზე. ერეკლეს პირველი მეუღლე იყო გიორგი პეტრეს ძე ფხვიძის ასული ქეთევანი<sup>1</sup>, რომლისგანაც ერეკლეს ეყოლა პირველი ვაჟი ვახტანგ კარგი (1742—1760). ვახუშტი გიორგი ფხვიძეს ზაალ ფხვიძეს უწოდებს (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 629). ეს ქორწინება ვახუშტის მოთავსებული აქვს ნადირშაჰის ინდოეთიდან დაბრუნების მერე და იმავე ნადირის არდაველს მოსვლის — 1741 წლის წინ. ე. ი. ერეკლეს უქორწინია ფხვიძის ქალზე 1740—1741 წლებში. მანამდე კი, იმავე ვახუშტის, ცნობით ინდოეთიდან დაბრუნებულმა ნადირშაჰმა „წარმოავლინა ერეკლე... კახეთს, მოვიდა მშობელთა თანა... და მოგუარეს ცოლად ასული ვახტანგ ყაფლანიშვილისა, გარნა მიზეზთა განუტევა იგი და მოიყვანა იმერეთიდან ასული ზაალ ფხვიძისა და იქორწინა მის თანა“ (იქვე, გვ. 629). მშობლები-საგან ნათხოვ ქეთევან ყაფლანიშვილის ქალზე ერეკლეს არ უქორწინია. თეიმურაზისაგან ერეკლესათვის მისი თხოვა მოხდა ნადირშაჰის ინდოეთის ლაშქრობიდან დაბრუნების — 1739 წლის — შემდეგ. თეიმურაზის ეს წერილიც, ერეკლესათვის ყაფლანიანთ ქალის თხოვას რომ შეეხება, დაწერილი უნდა იყოს 1739 წლის დეკემბრის<sup>2</sup> შემდეგ, 1740 წელს.

ერეკლესაგან მიტოვებული ყაფლანიშვილის ქალი კი მონაზვნად შემდგარა და შემდეგ დარდისაგან გარდაცვლილა. იგი დასაფლავებულია ალავერდში. 1750 წელს მისთვის დაუდვიათ ქვა. ეპიტაფიაში იგი მოხსენებულია როგორც მეფე ერეკლეს თანამეცხედრე (ქრ., III, 209).

1. „თქვენი ოჯახი კემწიფეთ მემძახლენნი ყოფილან“ — იგულისხმება მარიამ ყაფლანიშვილის ქორწინება იესე მეფეზე. (იხ. შენიშვნები № 58 წერილისა).

2. მორდალი პაატა — მეფის მოხელე, ბეჭდის მცველი. გვარი პაატასი ვერ გამოვარკვია. მორდარი პაატა ბეჭდავს 1739 წ. ერთ საბუთს (ა. ბაქრაძე, № 601).

1 კ უ პ ლ ი ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი, ცოცობა ანუბი; ს. კაკაბაძის გამოც., გვ. 32. შენ. 1; გივი ამილახვრის გაქვევა, ს. კაკაბაძის გამოც., გვ. 66—67; საქ. ხ. ი., ფ. S—1046/გ. გვ. 25—26 (იხ. მაქს. ბერძნიშვილის არქივი, საქალაღე № 3. 1, გვ. 55 და შემდეგი).

2 ერეკლე ყანდარიდან კახეთს მობრუნდა 1739 წ. 13 XII-ს (ომან ხერხეულიძე. გვ. 245).

1746 წ. 25 ივნისის წერილი ანტონ კათალიკოსისა გიორგი ბატონიშვილისადმი. დედანი. დაწერილია მოგრძო ხვეული ასოებით შავი მელნით ორად მოკეცილ სქელ, თეთრ ქაღალდზე. ტექსტი მოთავსებულია პირველ და მეორე გვერდებზე. მინაწერი პირველ გვერდზე და თარიღი მეორე გვერდზე ნაწერია სხვა ხელით (ანტონის ხელით), მაგრამ თარიღში შეცდომაა. თამარ და ანუკა, ვახტანგ VI-ის ასულნი, გარდაიცვალნენ 1746 წ. დამწერს შეცდომა მოსვლიანაცვლად ჩღმე — დაუწერია ჩღმე. ჰვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად თითო წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ზომა გვერდისა 24×44 სმ. საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1454.

გამოქვეყნებულია მ. ქავთარიას მიერ. („მასალები XVII ს. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“, თბ., 1977, გვ. 104).

საბუთი ხელთ ჰქონია ბროსეს, რომელსაც ფრანგულად მიუწერია 8 სტრიქონად მისი მოკლე შინაარსი. იმავე ბროსეს საბუთის მეოთხე გვერდზე მიწერილი აქვს ფრანგულად რომ ეს არის რიგით № 5 წერილი მეფეთა და უმაღლეს პირთა 28 ავტოგრაფული წერილიდან.

წერილს თარიღად უზის ჩღმე — 1745 წ. მაგრამ ეს უნდა იყოს lapsus calami, რადგან წერილში მოთხრობილია ვახტანგ VI-ის ქალების ანუკას და თამარის გარდაცვალება, რაც 1746 წელს მოხდა.

1. გიორგი, რომელსაც შემდეგ წერილის დამწერი ანტონი „ძმარ საყვარელოს“ და „საწადელო ბატონიშვილოს“ უწოდებს, უნდა იყოს ვახტანგ VI-ის მეორე ვაჟი გიორგი. წერილის ბოლოში ადრესატი მოხსენებულია მეფის ბაქარის ძმად.

ეტყობა, 1746 წ., როცა ეს წერილი იწერება, ბაქარი, ვახტანგის სახლის უფროსი მამის სიკვდილის შემდეგ, მოსკოვში არ იმყოფებოდა და უფროსობა გიორგის უპყრია.

2. დანი — თამარი და ანუკა — ვახტანგ VI-ის ასულნი, პირველი თეიმურაზ II-ის მეუღლე, მეორე ვახუშტი აბაშიძისა. ორივენი გარდაიცვალნენ 1746 წელს. 4 თებერვალს ანუკა და 12 აპრილს თამარი.

3. ანტონი კათალიკოსად აირჩიეს 1744 წელს.

4. „რძალი თქვენი დედოფალი დედაჩემი“ — ანტონ I-ის დედა იყო ერეკლე I-ის ასული ელისაბედ (ელენე); მამა — იესე მეფე — ვახტანგ VI-ის ძმა, ე. ი. ადრესატის ბიძა. დედოფალი „რძალი თქვენი“ ელისაბედი ფაქტიურად გიორგის ძალაა.

5. ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი პაატა (დაბადებული დაახლ. 1720 წ.), 1765 წ. შეთქმულების გმირი და მსხვერპლი, თან ახლდა

უახტანგს. წერილის წერისას ის ჯერ ისევ რუსეთშია. საქართველოში  
ჯამოიქცა 1749 წ.

## № 61

1747—1752 წწ. წერილი დიმიტრი ეშიკალასბაშისა (რევაზ) ამი-  
ლახვრისადმი. დედანი. დაწერილია მხედრულით რუხ ქაღალდზე. კვირ-  
ნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად ნახმარია თითო წერტილი ყოველი  
სიტყვის შემდეგ. ზომა 10×26 სმ.

საქ. ცსია, ფ. 1448, № 731.

1. სახელი რევაზ მრცემულია წერილის ცენტრ. არქივისეულ აღ-  
წერილობაში, თვით წერილს კი ის ადგილი, სადაც ადრესატის სახე-  
ლია ხოლმე ჩვეულებრივ დაწერილი, ამჟამად წაჭრილი აქვს (ალბათ  
რესტავრირებისას წააჭრეს). მაგრამ, მართლაც, აქ რევაზი ეწერებოდა  
რევაზ ოთარის ძე ამილახვრად (ამილახვართა სახლის მეთაურად და  
სარდლად) ითვლებოდა 1746—1752 წლებში. წერილის ავტორი  
ეშიკალასბაშის ხელს ფლობს 1747 წლიდან. დიმიტრისა და  
რევაზის ერთად ხსენებით წერილი თარიღდება 1747—1752 წლებით.

რევაზი და მისი მამა ოთარ ამილახვარი თეიმურაზისა და ერე-  
კლეს ერთ-ერთი უერთგულესი თანამშრომლები არიან. 1744 წ. თეი-  
მურაზი პირობას უდებს რევაზს — თუ ქართლი ხელმწიფემ (— შა-  
ჰმა) მიბოძა, ამილახვრობას შენ მოგცემო (საქ. სიძე., III, 459). მარ-  
თლაც, 1746 წლის ერთი საბუთით რევაზი ამილახვარია (იქვე, 461).  
1752 წ. ამილახვრად ჩანს ამირინდო (იქვე, III, 423).

2. დიმიტრი ეშიკალასბაში თეიმურაზის სიძე, გვარად ორბელია-  
ნია. თეიმურაზმა მას თავისი ქალი ანა მიათხოვა „უამსა ოდეს ფაშა  
ახალციხისა პატრონობდა ქვეყანასა ქართლისასა“ (პაპუნა, გვ. 84). —  
ე. ი. ოსმალობის ხანაში (1724—1735 წწ.). ქართლში გამეფების შემ-  
დეგ 1744 წ. თეიმურაზმა მანდატურთუხუცესობა ანუ ეშიკალასბაშო-  
ბა თავის სიძე დიმიტრის უბოძა (იქვე). დიმიტრი გარდაიცვალა 1777 წ.  
(ქრ., III, 38).

3. „თალოდ არის“ — (არაბ) — დაპირება, ვალდებულება, გადა-  
წყვეტილება.

## № 62

1747 წ. 23 აპრილის წერილი — მიწერილობა თეიმურაზ II-ისა  
ყაფლანისადმი. დედანი. დაწერილია მოგრძო მხედრულით ყავისფერი  
მელნით რუხ ქაღალდზე. კვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად ნახ-  
მარია ორწერტილი. ზომა 10,5×37,5 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 7849.

1. ყაფლან ორბელიანი — დიმიტრი ზურაბის ძე ბარათაშვილის (ორბელიანის) უფროსი ვაჟი. თეიმურაზმა მას 1744 წ. უბოძა საბარათაშვილოს უზბაშობა.

2. „ეკლმწიფესთან“ — იგულისხმება ირანის შაჰი — ნადირშაჰი.

3. ზაალ — ორბელიანი ზაალ დიმიტრის ძე, ყაფლანის ძმა. 1744 წ. თეიმურაზმა მას უბოძა თოფანქჩილასობა. თეიმურაზის ერთგული თანამშრომელი. როცა ნახჩევანის ხანმა — ბაჰან-ხანმა 1749 წლის ბოლოს თეიმურაზს სთხოვა დახმარება (ყარაბაღის ფანა-ხანის წინააღმდეგ), თეიმურაზმა ზაალი ჯარით გაგზავნა მასთან (პაპუნა, 164). 1750 წ. ბაჰან-ხანის ცოლ-შვილი თბილისში მოვიდა, ზაალიც თავისი ჯარით თბილისში შემობრუნდა. როდესაც შემდეგ ნახჩევანი დაიბრუნეს ქართველებმა, ერეკლემ აქ ზაალი დააყენა (პაპუნა, 188).

1753 წ. და 1754 წლის აპრილს შორის აზატ-ხანმა ქართველებს ქალი სთხოვა სამეფო სახლიდან. ერეკლემ მას გაუგზავნა აბდულა-ბეგის ქალი მარიამ-ბეგუმი, რომელსაც თან გააყოლა ზაალ ორბელიანი. აზატ-ხანმა ზაალი თან წაიყვანა ისპაანის ლაშქრობაში (პაპუნა, 207).

ზაალი ცოცხალია 1793—95 წლებშიც. ამ ხანებში ის არზასს წერს მეფე ერეკლეს (საქ. სიძვ., II, გვ. 533).

4. თეიმურაზის გადაწყვეტილება, რომ ნადირთან თან გაეყოლინა ზაალ ან ყაფლან ორბელიანი, მოთხრობილია ვახტანგ, ზაალ და ლუარსაბ ორბელიანების ერთობლივ არზაში (საქ. სიძვ., II, 543). ამ საბუთით ირკვევა, რომ ნადირ შაჰთან თეიმურაზმა ბოლოს გაიყოლა ქაიხოსრო სარდალი და არა ეს ძმები.

პაპუნა ორბელიანის მიხედვით თეიმურაზი ქალაქიდან გავიდა 1747 წლის 10 მაისს. (პაპუნა, 125). ჩვენი წერილი კი დაწერილია ამაზე ადრე — 23 აპრილს.

5. ლორის ციხე ყაფლანმა დაიჭირა ლორის ქეთხუდების თხოვნით. როცა ლორეს ირანელებმა არბაბი ბეგრი შეაწერეს, ლორის ხანი იქაურობას გასცლოდა. უპატრონოდ დარჩენილმა ხალხმა ყაფლანი მიიწვია იქ. (პაპუნა, 122). შემდეგში თეიმურაზმა ჩამოართვა ყაფლანს ლორის სულთნობა და მისცა ქალბი-უსეინ-ხანის შვილს. მუსას (პაპუნა, 125).

## № 08

1747 წლის 3 მაისის წერილი ანტონ კათალიკოსისა ყიზლარის კომენდანტისადმი. დედანი. დაწერილია ყავისფერი შელნით მოგრძო, ლამაზი ასოებით (არა ანტონის ხელით). თეთრ ქაღალდზე. კვირინიშა-

ნი — ზოლები. განკვ. ნიშნად ნახმარია თითო წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ზომა 15×20,2 სმ.

საქ. ხ. ი., ფ Hd, № 7200.

1. ყიზლარის კომენდანტი 1738 წ. იყო პოდპოლკოვნიკი ნიკიტა არტემის ძე ბუნინი (მ. ქავთარია, მე-18 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, გვ. 174).

2. „ბატონს დედა ჩემს დედოფალთან“ — იგულისხმება ანტონის დედა, ერეკლე I ნაზარალი-ხანის ქალი ელენე, იესე მეფის მეუღლე, მონაზვნობაში ელისაბედი (ამ ელენე-ელისაბედის შესახებ იხ. აქვე, № 9 წერილის შენიშვნები).

#### № 64

1747 წ. 19 სექტემბრის წერილი ერეკლე II-ისა გრიგოლ სახლთუხუცესისადმი. დედანი. დაწერილია წერილი მხედრულით ყავისფერი მელნით ყვითელ ქაღალდზე. კვირნიშანი — ზოლები და ნახევარმთვარე. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი. ზომა 12×31,5 სმ.

საქ. ხ. ი., ფ Hd, № 6563

გრიგოლ სახლთუხუცესი გეარად ჩოლაყაშვილია. მას დიდხანს ეჭირა ეს ხელი. იგი მოხსენიებულია 1756 წ. წარწერაში ახმეტის ჭვარპატიოსნის ეკლესიის დასავლეთის კარის თავზე (თ. ბარნაველი, ქახეთის ისტორიული ძეგლების წარწერები, თბ., 1961. გვ. 35).

გრიგოლ ჩოლაყაშვილი სხვა ქართველ დიდებულებთან ერთად მონაწილეობდა აბდულა ბეგთან მოლაპარაკებაში სამშვილდის ციხეში (პაპუნა, გვ. 132).

გრიგოლის უფროსი ვაჟი ქაიხოსრო ასევე სახლთუხუცესი იყო 80-იან წლებში და შემდეგ.

#### № 65

1749 წ. 16 ივნისის წერილი — მიწერილობა თეიმურაზ II-სა რევაზ სარდლისადმი. დედანი. დაწერილია მოგრძო მხედრულით ყავისფერი მელნით რუხ ქაღალდზე. კვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი, ზომა 15×18,5 სმ.

საქ. ხ. ი., ფ Hd № 8606

1. დარბაზ ბატონი სარდარი რევაზი — ამილახვარი რევაზი, ოთარ ამილახვრის ვაჟი. ოთარის გარდაცვალების შემდეგ — 1741 წლიდან მას ებოძა მამის სახელო — ქეშიჩიბაშობა (პაპუნა, გვ. 52). რევაზი ზემო ქართლის სადროშოს სარდლად ჩანს 1746 წლიდან (იხ.



აქვე, № 61 წერილის შენიშვნები). რევან ამილახორის ვაჟი ოთარი ერეკლე II-ის მეფობაში ერთ-ერთი გავლენიანი პირი იყო ქართლ-კახეთის სამეფოში. რევანის ასული სალომე 1778 წ. მიათხოვეს იულონ ბატონიშვილს (ერეკლესა და დარეჯანის მეორე ვაჟი). ამ გარემოებამ კიდევ უფრო გაზარდა ოთარ ამილახორის გავლენიანობა.

2. ლუარსაბ და ქაიხოსრო ბაგრატიშვილების შესახებ რაიმე ცნობა ჩვენთვის ცნობილ წყაროებში არ შემონახულა. კონტექსტით ისინი ამილახორის სამსახურში არიან და მას ახლავენ, წერილის დაწერისას ისინი რაღაცით შეშინებულები ოსმალეთში გადახვეწილან. საერთოდ ბაგრატიშვილები ორბელიანების კუთვნილი აზნაურები იყვნენ. ამ წერილით კი მათი რაიმე დამოკიდებულება ორბელიანებზე არ ჩანს.

## № 66

1750 წ. 25 თებერვლის წერილი თეიმურაზ II-ისა ზაალ თოფანჭი აღასისადმი. დედანი. დაწერილია მოგრძო ასოებით ყავისფერი მელნით რუხ ქაღალდზე. ჭვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი. ზომა 15×40 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 9433

1. თავაქჩიაღასი, თოფანჭიაღასი — მეთოფეთა ჯარის უფროსი ირანში.

2. „არაქათი ვქენით“ — დავიძარით, წამოვედით.

3. ფანა-ხანი — ყარაბაღის ხანი. ფანა-ხანმა ალყა შემოარტყა განჯას (1749 წ. სექტემბერში). განჯის ხანმა — შავერდი-ხანმა თეიმურაზ-ერეკლეს სთხოვა დახმარება. თუ განჯას ყარაბაღის ხანი დაიქერდა, მაშინ იგი „ყაზახ-ბორჩალოსაც მოინდომებდა. (პაპუნა, გვ. 165). ერეკლე-თეიმურაზი საფუძვლიანად მოემზადნენ ფანა-ხანთან საბრძოლველად შათთან ერთად იბრძოდნენ განჯის ხანის, გულისტანის მელიქის, ყარაბაღელი სომხების კათალიკოსისა და ერევნელების ჯარები. ბრძოლა მოხდა 1750 წ. 5 მარტს (იხ. აქვე, წერილი № 67), ფანა-ხანი სასტიკად დამარცხდა. ამ გამარჯვების შემდეგ თეიმურაზ-ერეკლეს გავლენა დამკვიდრდა მდ. არაქსის ნაპირებზე.

4. „გამარჯვების ამბავი მოვაცდევინეთ“—ბოლო ნაწილი წერილს მიწერილი აქვს ფანა-ხანზე 5 მარტის გამარჯვების შემდეგ (იხ. წერილი № 67).

1750 წლის 8 მარტის წერილი თეიმურაზ II-სა ზაალ თოფანქჩიალასისადმი. დედანი. დაწერილია ყვითელ ქაღალდზე ყავისფერი მელნით. ქვირნიშანი: ზოლები და 3 ნახევარმთვარე. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი. ზომა 15,5×45,5 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1994.

1. ზაალ თოფანქჩიალასის შესახებ იხ. შენიშვნები № 62 წერილზე.

2. იგულისხმება ფანა-ხანთან შეტაკება — 1750 წ. 5 მარტს.

3. ელი — მომთაბარე ტომი, ქოჩად მავალი ხალხი.

4. ჩაფაულის კაცი — (მონღ.) — დამრბევი, თავდამსხმელი. აქ ჯარის ნაწილი, რომელსაც ევალება მოწინააღმდეგეზე თავდასხმა.

### № 68

[1750] წლის 27 მარტის წერილი ერეკლესი ანტონისა და ანასადმი. დედანი. დაწერილია მსხვილი მხედრულით, მსხვილი კალმით, შავი მელნით მოყვითალო ქაღალდზე. ქვირნიშანი — ზოლები, განკვ. ნიშნად — თითო წერტილი. ზომა 8,5×20 სმ.

საქ. ცსია, ფ. 1448. № 197.

გამოქვეყნებულია მ. ქავთარიას „XVIII საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“, თბ., 1977. გვ. 192.

წერილი დახვეული ყოფილა განივად, წერილად.

წერილს თარიღი არ უზის. ეტყობა, რომ გამოგზავნილია ფანა-ხანზე — 1750 წ. 5 მარტს გამარჯვების შემდეგ. გზად თავის და ქეთევანთანაც კაცს აგზავნის.

1. ქეთევანი, თეიმურაზ II-ის ასული, 1737 წელს მიათხოვეს ალიყული-ხანს, რომელიც შემდეგ 1747 წ. [ქრ. III, 190] ადილ-შაჰის სახელით ყაენად დაჯდა (პაპუნა, 128). ალიყული-ხანი იმ იბრაიმ-ხანის ძე იყო, რომელიც მოკლეს ქარში (პაპუნა 65). შემდეგში ალიყული-ხანმა უღალატა თავის ბიძას — ნადირშაჰს — ნადირშაჰი მოკლეს „და ალიყული ხანი... მის წილ ყაენად იქ ის დამჯდარიყო“. (პაპუნა, 127). ბოლოს ადილ-შაჰიც ძმის ღალატის მსხვერპლი შეიქმნა და შაჰობას გამოესალმა.

ქეთევანის შემდგომი ბედი უცნობია. მისი დის ანა ორბელიანის ერთ წერილში (დაწერილია ანტონ I-ის გარდაცვალების — ე. ი. 1788 წლის — შემდეგ) ქეთევანის შესახებ ნათქვამია: „უებროდ დახატული ქეთეონ წარმართთ ჳელში ექვისის წლის მკედ-

რად ვისმინე“, „ქეთონისაგან ცრემლის დაყრას აღარ ველი და, თქვენმა მზემ, დაუმარხავსა“ (მ. ქავთარია, დასახ. ნაშრ., გვ. 203—204).

## № 60

1750 წ. 19 აპრილის წერილი თეიმურაზ II-ისა ზაალ თოფან-ქჩილასისადმი. დედანი. დაწერილია მოგრძო ასოებით შავი მელნით რუხ ქაღალდზე. ჭვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად თითო წერტილი. ზომა 15×22 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 1990.

1. ბამან-ხანი — იგივე ბაჰმან-ხანი — ნახჩევანის ხანი. ცოლად ჰყავდა იესე ქსნის ერისთავის ქალი. 1749 წ. ყარაბაღის ხანისაგან შევიწროებულმა ბამან ხანმა ცოლშვილი თბილისს გაგზავნა და ერეკლე-თეიმურაზს ჯარით დახმარება სთხოვა. ბოლოს ბამან-ხანი ერეკლეს გაუდგა, მისი ცოლშვილი კი ქსნის ერისთავმა აღარ დაუბრუნა მას. 1758 წ. თეიმურაზმა შეირიგა ბამან-ხანი და ბორჩალოს ხანობა უბოძა (პაპუნა, 245).

2. „მანდაურის საქმისა შენ იცი, როგორც ეცდები“ — იგულისხმება ზაალის ნახჩევანში ყოფნა. 1749 წ. ნახჩევანის ხანმა ბამან-ხანმა ჯარი სთხოვა ერეკლე — თეიმურაზს ყარაბაღის ხანისაგან თავდასაცავად. მეფეებმა „მცირე ჯარი“ ზაალის მეთაურობით გაუგზავნეს ბამან-ხანს. ზაალი „მივიდა ნახჩევანს, იამა დიდად ბამან-ხანს, დააყენა ქალაქსა ნახჩევანს. (პაპუნა, გვ. 164). ზაალი კარგა ხანს დარჩა ნახჩევანს მაგრამ როცა აზატ-ხანისაგან შევიწროებული ბამანხანი ერევანს გავიდა, მისი ცოლშვილი კი თბილისს გამოემგზავრა, ზაალი თავის ჯარით ქართლში დაბრუნდა (იქვე, 176) ქართველებმა მეორედაც დაიჭირეს ნახჩევანი ისევ ზაალის ჯარით (იქვე, 188).

შემდეგში ზაალ ორბელიანი ისპაანშია, იქ ჩაიყვანა მან აზატ-ხანისაგან ნათხოვნი მარიამ-ბეგუში, აბდულა-ბეგის ქალი. აზატ-ხანმა ზაალი იქიდან დიდის საჩუქრებით გამოისტუმრა (იქვე, 212).

3. ქოჩი — მოხეტიალე ტომი.

## № 70

1750 წ. 30 აპრილის წერილი — მიწერილობა თეიმურაზ II-ისა ზაალ თოფან-ქჩილასისადმი (თოფჩილასისადმი). დედანი. დაწერილია მოგრძო ასოებით შავი მელნით რუხ ქაღალდზე. ჭვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 15×22.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 6631.

1. ზაალ თვაქჩიაღასი, დარბაზ-ბატონი — გვარად ორბელიანი იხ. შენიშვნა № 61 წერილზე.

2. „ჩვენი დისწული“ — თეიმურაზის დისწული; თეიმურაზს რამდენიმე და ჰყავდა: ელენე, ხვარეშანი, მაკრინე; ქეთევანი (ერეკლე I-ის ასულნი სხვადასხვა ქალებისაგან). ამათგან ელენე იყო ცოლი იესე მეფისა და დედა ანტონისა. მას ჰყავდა ორი ქალი, ორივე 30-იან წლებში გარდაიცვალა. ხვარეშანი 1717 წ. იმამყულიხანმა მიათხოვა გარსევან ჩოლაყაშვილს. თიანეთის მოურავს. ხვარეშანი კათოლიკობის მომხრეობისათვის თეიმურაზ II-მ დასაჯა. ის ამ დასჯის მსხვერპლიც გამხდარა. ანტონი თავის დედის ხვარეშანის შესახებ წერს: „დედიდა ხვარეშან მომიკუდა... ცილდაწამებული ძალთა და მხეცთა მისაგდებლადცა დაისაჯა“ (მ. ქავთარია, დასახ. ნაშრ., გვ. 103). ხვარეშანის გარდაცვალება 1755 წ. ახლოს უნდა ვიგულისხმეთ. მარიამი, ერეკლეს ქალი დედოფალ ანასგან, დაიბადა XVII ს. მიწურულს. დაახლ. 1714 წ. მისთხოვა კახთა მეფის სახლთუხუცესს ედიშერ ჩოლაყაშვილს. ედიშერი 1724 წ. მოიკლა ლეკებთან ბრძოლაში. დაქვრივებული მარიამი მონაზვნად აღიკვეცა მაკრინეს სახელით. ცნობილია მისი ლიტერატურული და მწიგნობრული მოღვაწეობა. მაკრინემ იცოცხლა 40-იანი წლების ბოლომდე (კ. კეკელიძე, მეთვრამეტე საუკ. ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ეტიუდები, IV, გვ. 227—251). ქეთევანი ქიზიყის მოურავის აბელ ენდრონიკაშვილის მეუღლეა. ამათგან რომელი დისშვილის ნახიჩევანში ჩამოყვანაზეა აქ ლაპარაკი, გაურკვეველია.

## № 71

1750 წ. 15 მაისის წერილი ერეკლესი ზაალ და ქაიხოსრო ორბელიანებისადმი. დედანი. დაწერილია მოგრძო ასოებით ოდნავ გაყრული ხელით ყვითელ ქაღალდზე. ქვირინიშანი: ზოლები და რკალი. განკვ. ნიშნად — თითო წერტილი. ზომა 15×28 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 9432.

1. თოფანქჩიაღასი ზაალი — ორბელიანი — იხ. შენიშვნა № 62 წერილზე.

2. ნაიბ ეშკიაღასი ქაიხოსრო გვარად ორბელიანი.

3. ქოჩი — (სპარს.) — მოხეტიალე ტომი; აქ: ოჯახი, ცოლი, შინაურები.

4. სულუქი — (არაბ.) — სელა, გზა, საქციელი.

5. ბამან-ხანის სახლი — იგულისხმება ბამან-ხანის მეუღლე: იხ. შენიშვნა № 73 წერილისა.

6. ხიზანი — ოჯახი, ოჯახის წევრები.

1750 წ. 17 მაისის წერილი თეიმურაზ II-სა ზაალ თოფანქიალასისადმი. დედანი. დაწერილია შავი მელნით (მდივნის ხელით) თეთრ ქაღალდზე. კვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად — ორწერტილი-ზომა 15,5×36,5 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 9364.

1. ზაალ თეაქიალასი — თოფანქიალასი ზაალი, გვარად ორბელიანი. იხ. შენიშვნა № 62 წერილზე.

№ 73

1750 წ. 7 სექტემბრის წერილი თეიმურაზ II-ისა ზაალ ორბელიანისადმი. დედანი. დაწერილია მდივნის ხელით თეთრ ქაღალდზე. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი. ზომა 17×32,5 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. № 8137.

წერილის ადრესატის — ზაალ ორბელიანის — შესახებ იხ. შენიშვნები №№ 62, 69 წერილებზე.

1. რაია — არამუსულმანი მოსახლეობა თურქეთში.
2. თახსირი — (არაბ.) — დანაშული.
3. ბამან-ხანის ცოლშვილი — ბამან-ხანს ცოლად ჰყავდა ქსნის ერისთავის იასე ყულარაღასის ასული (პაპუნა, 175).
4. თაფაუთი — განსხვავება, სხვაობა, მეტნაკლებობა.
5. დოსტი — (სპარს.) — მეგობარი, მომხრე, მოყვარული.
6. ალბათ — (სპარს.) — ქეშმარიტად, უეჭველად, ნამდვილად.
7. „ილთიმაზის წიგნი“ — (არაბ.) ილთიმაზ — თხოვნა, ხვეწნა, მუდარა. ილთიმაზის წიგნი — სათხოვარი წიგნი, მუდარის წიგნი. წერილის ერთ-ერთი სახეობა.

№ 74

1750 წ. 16 ოქტომბრის წერილი ერეკლესი ანტონისადმი. დედანი. დაწერილია ძალიან წვრილი ხელით ყვითელ ქაღალდზე. კვირნიშანი: ზოლები. განკვ. ნიშნად ნახმარია თითო წერტილი თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ. ნაწერს ორგან ატყვია ავტორისეული ნასწორები. ზომა 7,5×15,5 სმ.

წერილი დაკეცილი ყოფილა განივად.

საქ. ცსა, ფ. 1448, № 196.

დაბეჭდილია მ. ქავთარიას „XVIII ს. ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან“, გვ. 190—191.

1. ასლან ონანასშვილი 1737 წ. თან ახლდა ერეკლეს, როცა ის ირანს მიემგზავრებოდა. ასლანი მოხუცი იყო და გზაში ცუდად შეიქნა. ერეკლემ ის უკან დააბრუნა (საქ. სიძვ., II, 441). შესაძლოა, აქ იგივე ასლანი იგულისხმებოდეს.

2. რევან და იოანე — გაურკვეველი პირები, რომელთაც მოუტანიათ ერეკლესათვის ანტონის წერილები (შესაძლოა, ორბელიანები).

3. „მამიდის ჩემისთვის წიგნი მიახლებია“ — ამ მამიდაში არ შეიძლება ვიგულისხმოთ ანტონის დედა ელენე-ელისაბედი, რომელიც 1738 წ.-დაი რუსეთშია სადაც გარდაიცვალა 1750 წელს აქ უნდა იგულისხმებოდეს ერეკლეს სხვა მამიდა, რომელიც წინა წერილის დაწერისას 1750 წ. საქართველოშია და ნინოწმიდელთან ერთად რაღაც აქვს გადასაწყვეტი. ანტონი ამ გადასაწყვეტ საქმეში შუამავლად გამოდის, რის საპასუხოდაც არის დაწერილი ეს წერილი. ერეკლეს ელენეს გარდა რამდენიმე მამიდა ჰყავდა (იხ. წერილი № 70-ის შენიშვნა 2), რომელთაგან მაკრინე-მარიამი 40-იან წწ. გარდაიცვალა, ქეთევანი — აბელ ენდრონიკაშვილის მეუღლე, — რომლის გარდაცვალების თარიღი უცნობია, და ხვარეშანი, გარდაცვლილი 1755 წ. ახლო ხანებში. ამ წერილში ნახსენებ მამიდად ხვარეშანი ან ქეთევანი უნდა ვიგულისხმოთ.

4. „ჩემი და ანა“ — თეიმურაზ II-სა და თამარის ქალი, გათხოვილი დიმიტრი ორბელიანზე.

## № 75

1751 წ. 24 მაისის წერილი თეიმურაზ II-ისა ზაალ ორბელიანი-სადმი. დედანი. დაწერილია მოგრძო ასოებით (დედანი ა-ს აკლებს) ყვითელ ქალაღზე. ჭვირნიშანი—არ ჩანს. განკვ. ნიშნად—ორწერტილი. ზომა 15,5×22,3 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 6593

ადრესატი ზაალ ნაიბეშვიკაღათბაში იგივე ზაალ თოფანჭიიღაბაშია, გვარად ორბელიანი. იხ. შენიშვნები №№ 62, 69 წერილებზე.

1. თათრული თალიღა — (არაბ.) თალიღა — წერილი; თათრული თალიღა სპარსულად შედგენილი მიწერილობა.

2. ჭიმშერ ერისთავი — არაგვის ერისთავი. ერეკლეს თანშეზრდილი და კაი ყმა (პაპუნა, 240), უახლოესი თანამშრომელი თეიმურაზ-ერეკლესი. ერეკლეს ეზმარება ლეკებთან ბრძოლაში, მონაწილეობა მიიღო ზუბეიღალა ბელადთან ბრძოლაში (პაპუნა, 199). როდესაც ანტონ I რუსეთს გაემგზავრა (1756 წ.), ანანურიღან ჭევის საზღვრამდე ჭიმშერ ერისთავმა გააციღა. (პაპუნა, 239). იქიღან შოჯ

ბრუნებულ ჭიმშერს მთიულეთში ნაზლაიძის სახლში უღალატეს „კაცთა საერისთოელთა და მოკლეს თოფითა... დაფლეს ანანურს“ (პაპუნა, 240).

## № 76

1751 წლის 24 მაისის წერილი მდივან ედიშერ თუმანიშვილისა მისი ძმისწული კაციასადმი. დედანი. დაწერილია ყავისფერ მეღვინით ყვითელ ქაღალდზე. ჭვირნიშანი—არ ჩანს. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ზომა 15,5×15 სმ. წერილი გაკეცილი ყოფილა შუაზედ, შემდეგ განივად ვიწროდ დაკეცილი.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 4970.

წერილის ავტორი ედიშერ მდივანი გვარად თუმანიშვილია. იგი მდივანად იხსენიება დაახლ. 1749 წლიდან.

1. მინიშკარბაში, მიშკარბაში — მოხელე მეფის კარზე, მონადირეთუხუცესი. 1757 წლიდან მიშკარბაშობა ქალაქის მეღვიჟა-მამასახლისის ალა ბებუთაშვილს უკავია (ქართულ-სპარსული ისტ. საბუთები, 455). ამ წერილით კი თითქოს მირიშკარბაშად თუმანიშვილების წარმომადგენელი იგულისხმება.

2. დიდი ვარდუანა — სოფელი ქართლში, თუმანიშვილების საკუთრება. 1751 წ. დადგენილებით მეფე თეიმურაზს ამ სოფლის ნახევარი ბეჟან თუმანიშვილისათვის მიუცია, ნახევარი კი — ედიშერისა და მიშკარბაშისათვის. ვარდუანა თუმანიშვილების სანახევრო სოფელი ჩანს 1758 წ. ერთ საბუთშიაც (საქ. სიძვ., II, 428).

3. ზე, ზენი (მრ. რ.) — სოფელი ქართლში, XVII ს-ში ჭავჭავიშვილებს ეკუთვნოდათ.

## № 77

1751 წ. 6 სექტემბრის წერილი თეიმურაზისა ზაალ ორბელიანისადმი. დედანი. დაწერილია მდივანის ხელით თეთრ ქაღალდზე. ჭვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი. ზომა 16×36 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd, № 6147.

1. მახსუდ-სულთანი — ამ პირის ვინაობა ვერ გავარკვევთ.

წერილის აღრესატის ზაალ ორბელიანის შესახებ იხ. შენიშვნები №№ 62, 69 წერილებზე.

1751 წ. 26 სექტემბერის წერილი თეიმურაზ II-ისა ზაალ ორბელიანისადმი. დედანი. დაწერილია შავი მელნით რუხ ქაღალდზე. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. კვირნიშანი — ზოლები. ზომა 16,5×29 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 9393.

წერილის ადრესატის ზაალ ორბელიანის შესახებ იხ. შენიშვნები №№ 62, 69 წერილებზე.

1751 წ. 16 ოქტომბრის წერილი ერეკლე მეფისა ზაალ ორბელიანისადმი. დედანი. დაწერილია მოგრძო ასოებით შავი მელნით თეთრ, გრძელ ბარათზე. კვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი. ზომა 13,8×30 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 2473.

1. ბიღამალ — (სპარს.) — მოწყენილი, გულმოსული, გაჯავრებული.

2. სულუგი — (არაბ.) — ზავი, შერიგება, მშვიდობიანობა; სულუგით ყოფილიყავით — შერიგდით, მშვიდობიანად იყავით.

1752 წლის 19 ივნისის წერილი ერეკლე II-ისა ანტონ I-ისადმი დედანი. დაწერილია მოშაო მელნით ყვითელ ქაღალდზე. კვირნიშანი — ზოლები და რალაც გამოსახულების (გერბის) ჩამონაჭერით. განკვ. ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. ზომა 9,5×19,5 სმ.

საქ. ცსია, ფ. 1448. № 195.

წერილი დაკეცილი (ან დახვეული) ყოფილა წვრილად. დედანი შიგადაშიგ ნასწორებია.

გამოქვეყნებულია: მ. ქავთარია, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

1. ეს ამბავი ასევე აქვს მოთხრობილი პაპუნა ორბელიანს (იხ. პაპუნა, გვ. 199).

2. იენგი — (სპარს) — ზუსტად, ნამდვილად. (?)



1752 წლის 1 აგვისტოს წერილი ერეკლე II-ისა ანტონ I-ისადმი დედანი დაწერილია ყვითელ ქალაღდზე შავი მელნით. ჰვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად — თითო წერტილი. ზომა 10×17,5 სმ.

საქ. ცსია, ფ. 1448, № 193.

წერილი დაკეცილი ყოფილა წვრილად განივად.

დაბეჭდილია: მ. ქავთარია, დასახ. ნაშრ., გვ. 191—192.

1752—1755 წწ. წერილი იოსებ რუსთველისა ასლანისადმი. დედანი. დაწერილია რუხ ქალაღდზე შავი მელნით. ჰვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად ნახმარია ორწერტილი. ზომა 10,3×18,5 სმ.

წერილი დაკეცილი ყოფილა განივად.

საქ. ცსია, ფ. 1448, № 293.

წერილი თარიღდება იოსების რუსთველობით. წერილის ავტორი იოსებ რუსთველი უნდა იყოს იოსებ ჯანდიერიშვილი, რუსთავის ეპისკოპოსი, რომელიც 1756 წელს აკურთხეს კათალიკოზად (პაპუნა, გვ. 244).

1736 წელს რუსთველად ჩანს დომენტი მიტროპოლიტი, რომელიც ამ ხარისხზე აუყვანიათ წინა 1735 წელს. დომენტი რუსთველად იხსენიება 1752 წელსაც. ამ წელს მას შეუძენია სასახლე მარტყოფელისათვის. (იხ. ღვთაების გუჯრის მინაწერები. ისტორიული საბუთები, 1,45). ე. ი. იოსებ ჯანდიერი რუსთველად აყვანილ იქნებოდა 1752 წ. შემდეგ, იგი რუსთველად იქნებოდა 1756 წლამდე—კათალიკოსად არჩევამდე.

წერილის ავტორი რუსთველი ჯანდიერი, ეს ჩანს იქიდან, რომ წერილში ჯანდიერის შვილისაგან მონასყიდის ინტერესებია დაცული.

1753 წლის 10 მარტის წერილი ერეკლესი ანტონისადმი. დედანი. დაწერილია მსხვილი მხედრულით, შავი მელნით. ყვითელ ქალაღდზე. ჰვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად — თითო წერტილი, ზომა 9,5×13,5 სმ.

საქ. ცსია, ფ. 1448, № 199.

დაბეჭდილია მ. ქავთარია, დასახ. ნაშრ., გვ. 191.

ამ წერილს, მსგავსად იმამყული-ხანის წერილებისა, ბეჭედი უზის ფურცლის მეორე მხარეს, იმ ადგილის გასწვრივ, სადაც ზედა პირზე ტექსტი მთავრდება.

1753 წ. 12 ივლისის წერილი ერეკლე II-ისა ანტონ I-ისადმი დედანი. დაწერილია წერილი ხელით შავი მელნით ყვითელ ქაღალდზე. ქვირნიშანი — ზოლები განკვ. ნიშნად ნახმარია თითო წერტილი. ზომა 10×23,5 სმ.

საქ. ცსია, ფ. 1448, № 192.

ტექსტი დაწერილია ფურცლის ორივე მხარეს; წერილი დაწერილი უნდა იყოს ერეკლეს ხელით. ფურცელი დაკეცილი ყოფილა განივად.

დაბეჭდილია: მ. ქავთარია, დასახ. ნაშრ., გვ. 87.

1. მამიდაჩემებს ორთავე სამსახურს მოვახსენებ — 1753 წლისათვის ერეკლეს ცოცხალი ჰყოლია ორი მამიდა — ზვარეშანი და ქეთევანი (იხ. შენიშვნები №№ 70, 74 წერილებზე).

2. ამ ქეთევანში არ უნდა იგულისხმებოდეს ერეკლეს მამიდა.

№ 85

1753 წ. 22 ნოემბრის წერილი კათალიკოს ანტონისა მდივანმწიგნობარ გორჯასპი და ყარან თუმანიშვილებისადმი. დედანი. დაწერილია მოგრძო ასოებით შავი მელნით თეთრ ქაღალდზე. განკვ. ნიშნად — თითო წერტილი. ქვირნიშანი — ზოლები. ზომა 16,5×36 სმ. წერილი დაკეცილი ყოფილა ჯერ შუაზე, შემდეგ დაკეცილი განივად. ზემოდან მოქცეულ მხარეს აწერია მისამართი „ბატონ მდივანს გორჯასპის და მდივანს ყარანს მიერთოს“ ძირითადი ტექსტისაგან განსხვავებული, ეტყობა, თვით ანტონის ხელით.

საქ. ხ. ი., ფ. Sd № 1747.

1. „ჩემი რძალი დედოფალი მორჩა“ — იგულისხმება ერეკლე II-ის მესამე შეუღლე დარეჯან გიორგის ასული დადიანი, რომელზედაც ერეკლემ ჯვარი დაიწერა 1750 წელს.

2. „ქალი ღთნ აღუზარდოს“ — იგულისხმება ერეკლესა და დარეჯანის პირველი შვილი — ელენე, იგი დაიბადა 1753 წელს. „კახი დედოფალი დაწვა, შვა ასული ელენე“ (პაპუნა, გვ. 211). ელენე შემდეგში მიათხოვეს სოლომონ I-ის ძმას არჩილს, რომელთანაც ეყოლა ორი ქალი, დაქვრივების შემდეგ მიათხოვეს ზაქარია ანდრონიკაშვილს. ანდრონიკაშვილისაგან მას ეყოლა ქალი ხორეშანი — გრიგოლ ორბელიანის დედა. ელენე გარდაიცვალა 1786 წელს. (იხ. მაქსიმე ბერძენიშვილი, მასალები XIX ს. პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის. I. თბ., 1980, გვ. 221—222).

1754 წ. 28 აპრილის წერილი გორჯასპი თუმანიშვილისა ბეჟან თუმანიშვილისადმი დედანი. დაწერილია შავი მელნით თეთრ ბარათზე. განკვ. ნიშნად—ორწერტილი. ზომა 16×15 სმ. წერილი დაკეცილი ყოფილა განივად, წვრილად, ზემო მხარეს მიწერილი ჰქონდა მისამართი და დალუქული ყოფილა.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 8609.

წერილის ავტორი გორჯასპი მდივანი XVIII ს. ცნობილი პიროვნებაა. იგი არის წევრი ქართლის ერთ-ერთი შექმლებული საგვარეულოსი — თუმანიშვილებისა. ამ გვარის წარმომადგენლებს XVI—XVIII სს. მანძილზე ქართლის მეფეთა მდივნის თანამდებობა ეჭირათ. თვით თავადი გორჯასპი მდივნად ჩანს 1733—1767 წლებში. მას სამი ვაჟი ჰყავდა: სულხან, მანუჩარ და ყალანდარი. სულხანი და მანუჩარი მამასავით მდივნები იყვნენ.

1. თავილდარი — მოხელე, რომელსაც აბარია შემოტანილი ან აკრეფილი თავილი. თავილი — (არაბ.) — სახარჯოდ გაცემული თანხა, ნივთეულობა, შემოსავალი, ჩაბარებული გარკვეული პირის პასუხისმგებლობაში.

#### № 87

1754 წლის 15 ივლისის წერილი თეიმურაზისა და ერეკლესი ნაიბეშვიკლასბაშ, ზაალ ორბელიანისადმი. დედანი. დაწერილია ჩვეულებრივი, მდივნის ხელით. განკვ. ნიშნად — ორწერტილი. ჰვირნიშანი—ზოლები. ზომა 15×24,5 სმ.

საქ. ხ. ი., ფ. Hd № 6143.

წერილის ადრესატის ზაალ ორბელიანის შესახებ იხ. შენიშვნებო № 62 და № 69 წერილებზე.

1. მეკმანდარი — (სპარს.) — მესტუმრე.

#### № 88

1755 წლის 22 დეკემბერის წერილი კონსტანტინე მუხრანბატონისა გივი ფარეშთუხუცესისადმი (ე. ო. ციციშვილისადმი). დედანი. დაწერილია ყვითელ ქაღალდზე ყავისფერი მელნით: ზომა 13,5×21,5 სმ. ჰვირნიშანი არ ჩანს. განკვ. ნიშნად ნახმარია თითო წერტილი ყოველ სიტყვის შემდეგ. დაკეცილი ყოფილა განივად. აშია არა აქვს დატოვებული. ტექსტი იწყება მარცხენა კიდოდან.

საქ. ცსია, ფ. 1448, № 1216.

წერილის ადრესატი გივი ფარეშთუხუცესი გვარად ციციშვილია. იგი ფარეშთუხუცესად ჩანს XVIII ს. 50-იანი წლებიდან 1802 წლამდე.

#### № 80

1756 წლის 8 იანვრის წერილი ერეკლე II-ისა ანტონ I კათალიკოსისადმი. დედანი. დაწერილია წერილი ხელით შავი მელნით ყვითელ ქაღალდზე. ჭვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად — თითო წერტილი ყოველი სიტყვის შემდეგ. ზომა  $10 \times 19,5$  სმ.

საქ. ცსია, ფ. 1448, № 191.

წერილი დაწერილი უნდა იყოს თვით ერეკლეს ხელით.

გამოქვეყნებულია: მ. ქავთარია, დასახ. ნაშრ., გვ. 189—190.

#### № 90

1756 წლის 12 თებერვლის წერილი ერეკლესი ანტონ I-სადმი. დედანი. დაწერილია წერილი ხელით ყავისფერი მელნით ყვითელ ქაღალდზე. ჭვირნიშანი — ზოლები. განკვ. ნიშნად — თითო წერტილი. ზომა  $9,5 \times 15,5$  სმ.

საქ. ცსია, ფ. 1448, № 198.

დაბეჭდილია: მ. ქავთარია, დასახ. ნაშრ., გვ. 189.

1. ბატონისშვილი ანა — თეიმურაზ II-სა და თამარ დედოფლის ასული, ერეკლეს ღვიძლი და, გათხოვილი დიმიტრი ყაფლანიშვილ-ორბელიანზე, ეშიკალასბაშზე.

